**შესავალი:** ფინანსური გლობალიზაციის იდეა მდგომარეობს კრიზისების თავიდან აცილებასა და საერთაშორისო ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების მხარდაჭერაში. აღნიშნული მოვლენის დამახასიათებელი ნიშანია ფინანსური ინფორმაციის როლის გაზრდა, ასევე მისი ხელმისაწვდომობა ბაზრის მონაწილეებისათვის. სწორედ ეს გარემოება იძლევა ფინანსური რესურსების მასშტაბის გაფართოების, მათი გამოყენების გაზრდის, ფულადი სახსრების კონცენტრაციისა და გარე ფინანსურ რესურსებთან ხელმისაწვდომობის გაზრდის საშუალებას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინტერნეტი - ყოველივე ეს იძლევა ინფორმაციის მყისიერად გადაცემის საშუალება, ხოლო ანალიზის მათემატიკური მეთოდების განვითარება დაეხმარა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს შექმნან ახალი მოდელები და ახალი ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური გლობალიზაცია, ეს არის მრავალმხრივი პროცესი, რომელსაც მოაქვს პოზიტიური შედეგები მსოფლიო ეკონომიკისათვის. რომელთაგან უმნიშვნელოვანესია მსოფლიო წარმოების, ვაჭრობის და საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის სხვა სფეროების ფინანსირების ეფექტიანი პოტენციალის შექმნა. საერთაშორისო ფინანსური ბაზრები ამ პირობებში იყენებენ ამ მექანიზმს მსხვილი მასშტაბით და ახდენენ მის ოპტიმიზირებას უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე. მსოფლიო ეკონომიკურ-ფინანსური ერთობის, იმის გამო, რომ ფინანსური ინფორმაცია გადაიცემა პრაქტიკულად სინათლის სიჩქარით, ფინანსური ცენტრები და საერთაშორისო ბაზრები დაკავშირებულნი არიან ყველაზე თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით, მოქმედებენ დღეღამის განმავლობაში და არიან ურთიერთდაკავშირებულნი.

**ძირითადი ტექსტი:** ფინანსური გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოში შლის ეროვნულ საზღვრებს და ამავე დროს არღვევს საუკუნეების მანძილზე არსებულ ჩარჩოებს, რომელშიც განვითარდა ნაციონალური ეკონომიკა. ახლა მრავალი

სახელმწიფოს ბანკებს აქვთ თავიანთი ფილიალები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ფინანსური ინსტიტუტები იძულებულნი არიან ჩაებან კონკრეტულ ბრძოლაში, არა მხოლოდ ნაციონალურ ბანკებთან, არამედ უფრო ძლიერ უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტებთან, როგორც გარე, ასევე შიდა ბაზარზე. თანამედროვე დროში, ფინანსური ბაზრების გახსნილობის ხარისხი სულ უფრო იზრდება და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, მცირედით განსხვავდება ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისაგან. ფინანსური გლობალიზაციის პირობებში, საბანკო სექტორი არ არის დამოუკიდებელი, იგი ექცევა კაპიტალის მსოფლიო ბაზრის და მასზე არსებული დეფორმაციის და ასიმეტრიის გავლენის ქვეშ. მსოფლიო ფინანსურ–ეკონომიკურმა კრიზისმა ეს დამაჯერებლად აჩვენა. თანამედროვე ფინანსურ ბაზრებზე ფინანსური ოპერაციების მოცულობა გვაძლევს შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ ტრანზაქციების მომსახურების მიმართულებით ფინანსური სექტორი არ არის მეორეხარისხოვანი, იგი გახდა ერთ–ერთი მთავარი ინფლაციური პროცესების შეკავების საკითხში. ფინანსური ბაზრებისთვის დამახასიათებელია ინფორმაციული ასიმეტრია, ხოლო საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირებისთვის საჭიროა სანდო ინფორმაცია. საბაზრო დისციპლინის გაძლიერებისთვის, ფინანსურ ბაზრებზე ეფექტური ფასების დასადგენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის სიზუსტე და გამჭვირვალობა.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, ასევე გააჩინა კითხვები საბანკო სექტორში კონცენტრაციის ხარისხთან დაკავშირებით. გადაჭარბებული კონცენტრაციის ფინანსური კაპიტალი შეინიშნება ბევრ ქვეყანაში. შედეგად გამოჩნდა ახალი ძალიან ძლიერი ფინანსური ინსტიტუტები – „თოო ბიგ ტო ფაილ“ (გაკოტრებისთვის ზედმეტად ძლიერი). როგორც ავღნიშნეთ გადაჭარბებული კონცენტრაციის ფინანსური კაპიტალი შეინიშნება ბევრ ქვეყანაში, მაგალითად: აშშ–ში მთლიანი აქტივების 57% მოდის 25 უდიდესი ფინანსური ინსტიტუტის წილზე, ეს ძალიან დიდი მაჩვენებელია, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ფინანსურ სექტორში ატარებს თანდათანობითი დეკონცენტრაციის პოლიტიკას. მთლიანი

აქტივების 5 უდიდესი ბანკის წილი აშშ– ში არის 23% , იაპონიაში– 24%, გერმანიაში– 38%, ხოლო რუსეთის ფედერაციაში – 48 %.

გადაჭარბებული კონცენტრაციის საბანკო კაპიტალმა შესაძლოა იქამდე მიგვიყვანოს, რომ ძლიერი ბანკის გაკოტრება გახდეს პოლიტიკური მოვლენა და საფრთხე შეუქმნას ნაციონალურ უსაფრთხოებას, რადგან შესაძლოა საარსებო საშუალების გარეშე დარჩეს მოსახლეობა, ბაზრის ძლიერი წარმომადგენლები და ასევე ფინანსურად დაზარალდნენ უცხო ქვეყნის იურიდიული პირებიც. საფრთხეების თავიდან ასაცილებლად მთავრობა იძულებული იქნება გამოიყენოს საბიუჯეტო რესურსი, ეს კი ფაქტობრივად არის გადასახადების გადამხდელების ფული. საკრედიტო ორგანიზაციები და მათი ტოპ მენეჯმენტი, დაინტერესებულნი არიან დიდი პრემიების მიღებით, ქმნიან სხვადასხვა სახის ბალანსგარეშე სტრუქტურებს, რომლებიც საშუალებას იძლევა ოფიციალური ფინანსური ანგარიშგების გვერდის ავლით განახორციელონ სარისკო ოპერაციები.

უკანასკნელ წლებში მსოფლიო საფინანსო სისიტემაში სწრაფი ტემპებით ვითარდება ჩრდილოვანი სექტორი, განსაკუთრებით კი საბანკო სისტემაში. ამ უკანასკნელმა მიიღო ჩრდილოვანი ბანკინგის სახელწოდება. ჩრდილოვანი საბანკო სისტემა წარმოადგენს ნებისმიერი საბანკო ფუნქციების განხორციელებას არარეგულირებადი ან სუსტად რეგულირებადი ინსტიტუტების მიერ. ჩრდილოვანი ბანკინგში ჩართული სუბიექტები არ არიან კრიმინალები, და არც მათი წარმომადგენლები არიან დამნაშავენი. ისინი წარმოადგენენ ინსტიტუტებს, რომლებიც იმყოფებიან ეროვნული საბანკო სისტემების რეგულირების მიღმა.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე საბანკო სექტორს ესაჭიროება კონტროლი, ასევე უნდა გატარდეს ანტიმონოპოლიური ღონისძიებები. მოცემული პრობლემა იმით რთულდება, რომ ფინანსურად ძლიერი საკრედიტო ორგანიზაცია, როგორც წესი ფლობს საინვესტიციო პროექტების განხორციელებისთვის საჭირო რესურსებს და ფინანსურ ბაზრებზე ატარებს ფართომასშტაბიან ოპერაციებს თავისი კლიენტების ინტერესებიდან გამომდინარე. საჭიროა ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც გააერთიანებს ფინანსური ბაზრის მონაწილეთა და საზოგადოებრივ ინტერესებს.

ამიტომ გაკოტრებისთვის ზედმეტად ძლიერი ფინანსური ორგანიზაციებისთვის ეროვნული კონტროლის პოლიტიკა უნდა იყოს დაბალანსებული და მომთხოვნიც:

1. ძლიერი ფინანსური ორგანიზაციების კლასიფიკაციისთვის უნდა განისაზღვროს კრიტერიუმები.
2. განისაზღვროს ინფორმაციის გამჭვირვალობის სტანდარტები.
3. ასეთი ორგანიზაციების საქმიანობის განხორციელებისას დაწესდეს პრინციპები სოციალური პასუხისმგებლობის ქცევაზე.

რაც უფრო მკაცრი ხდება საბანკო სექტორში ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ინტერესთა კონფლიქტის მიზეზების აღმოფხვრის მოთხოვნები, მით უფრო მეტი ფული გადაედინება საბანკო სექტორში. ამიტომაც საფინანსო სექტორის მარეგულირებლებისათვის მეტად მნიშვნელოვანია იპოვონ ოქროს შუალედი, ანუ, ერთის მხრივ, რეგულირების პროცესი არ მიიყვანონ აბსურდამდე, ხოლო, მეორეს მხრივ, აკონტროლონ სისტემური რისკები, ამასთანავე მკაცრი რეგულირების ხარჯები საკმაოდ მაღალია, ამიტომ აუცილებელია მათი ოპტიმიზაცია. აუცილებელია ფუნდამენტურად განსხვავებული რეგულირების სისტემების შემუშავება, რომლებიც ხელს უწყობს ინოვაციურ განვითარებას და ასევე დააბრკოლებს სოციალურად საეჭვო ინოვაციებს. ბანკის ძირითადი პერსონალის წახალისების სისტემა უნდა უკავშირდებოდეს სოციალური პრობლემების მოგვარებას, სოციალური პასუხისმგებლობის მიღწევებს ბიზნესის სფეროში.

ფინანსური კრიზისის კიდევ ერთ პრობლემად გვევლინება სხვადასხვა სახის სარეიტინგო სააგენტოების საქმიანობა. რამდენად საიმედოა დღევანდელი რეიტინგული შეფასებები და შეიძლება თუ არა მათ საფუძველზე მივიღოთ ინვესტირების გადაწყვეტილება, როდესაც ხშირ შემთხვევაში მათ აფინანსებენ ისინი, ვის რეიტინგებსაც სარეიტინგო სააგენტოები ადგენენ და აქვეყნებენ?

გლობალურ ეკონომიკაში შეიძლება გაჩნდეს ახალი და უცნობი რისკები. როგორც კრიზისმა არაერთხელ აჩვენა, რისკები შეიძლება ძალიან სწრაფად გავრცელდეს, ზოგჯერ მოულოდნელი გზებით. დღევანდელ ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში კრიზისი არ აღიარებს საზღვრებს. გლობალურ სამყაროში რისკებზე წარმოდგენა სწრაფად იცვლება ურთიერთსაპირისპიროზე.

საერთაშორისო ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის მეთოდები ჯერ კიდევ ჩამორჩება ინტეგრაციის სწრაფ ტემპს. თანამედროვე ფინანსები ატარებენ გლობალურ ხასიათს, მაგრამ სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის მეთოდები რჩება ძირითადად ეროვნული, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების პოტენციალი შოკების წინააღმდეგ ბრძოლაში ადვილად შესუსტდეს და დარჩეს სტაბილიზაციის პოლიტიკის ინსტრუმენტების გარეშე.

**დასკვნა:** ფინანსური კრიზისის განვითარებამ და გლობალიზაციის პროცესებმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ეკონომიკის ფინანსურ სექტორში რეგულირების და ზედამხედველობის რადიკალურად განსხვავებული მექანიზმების შემოღება. ახალი რეგულაციები უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა ფინანსური ბაზრების სეგმენტების სპეციფიკას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას, უნდა იყოს ყოვლისმომცველი, უნდა მოიცვას ყველა ფინანსური ინსტიტუტი და ინსტრუმენტი, ასევე მაქსიმალურად თავიდან აიცილოს მარეგულირებელ-საარბიტრაჟო გარიგებები. ამისათვის მარეგულირებელი ორგანოების და ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობა უნდა იყოს აბსოლუტურად გამჭვირვალე. ფინანსური რეგულირების რეფორმების განვითარების და განხორციელების მონიტორინგში ჩართულია საერთაშორისო ორგანიზაციებიც, მაგალითად, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი. უფრო ინტეგრირებულმა და ურთიერთდაკავშირებულმა გლობალურმა ეკონომიკამ შესაძლოა გამოიღოს კარგი შედეგი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარბაქაძე ხ. საბანკო საქმიანობის აქტუალური საკითხები საქართველოში. თბ. 2008.
2. კაკულია რ. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები. "ეკონომიკური პროფილი", N 3, თბ. 2007.
3. კიკორია მ. რა ახალი რეგულაციები ამოქმედდა ფინანსურ სექტორში მომხმარებლების დასაცავად. იმედი NEWS. თბ. 29.01.2018.
4. მუშკუდიანი ზ. საბანკო სექტორის მდგრადობის როლი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში. დისერტაცია.

5. საქართველოს ბანკი. SOLO - საქართველოს ბანკის შესახებ. http://solo.ge/ge/about-solo/about-bank-of-georgia/references
6. საქართველოს ეროვნული ბანკი. საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებები. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2017. თბ.
8. Золотое А.В. Развитие финансовых рынков в условиях глобализации. Вестник Московского университета имени С.Ю. Витте. Серия 1: Экономика и управление. 2013. № 2.
9. Международный_валютный_фонд. Годовой отчет МВФ 2017. Содействие всеобьемлющему росту.

# საბანკო მომსახურების გაყიდვების ეფექტიანი სისტემა როგორც მარკეტინგის განუყოფელი ელემენტი

# Effective banking services sales system like an integral element of marketing

**გიორგი ცაავა** - ეკომომიკის დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
**რატი ბურდიაშვილი** - ეკომომიკის დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

**რეზიუმე:** სტატიაში აღნიშნულია, რომ საბანკო პროდუქტების გაყიდვების ეფექტური სისტემა მარკეტინგის განუყოფელი ელენენტია. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მუდმივ კლიენტებზე გაყიდვების 5%-ით ნაზარდი მოგებას 25%-დან - 125%-მდე ზრდის. გამახვილებულია ყურადღება იმაზე, რომ საშუალოდ ბანკების უმეტესობა თითოეულ 5 წელიწადში საკუთარი კლიენტების 50% კარგავენ მათთან არაეფექტურად ურთიერთქმედების გამო. დანახარჯების მიხედვით ახალი კლიენტის მოზიდვა, როგორც წესი, 8 ჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე მოქმედ კლიენტებტან რეგულარული მუშაობა. მოყვანილია ხარჯებისა და შემოსავლრბის ცალკეული მუხლების ჭრილში გაყიდვებისა და რენტაბელობის ანალიზის ოთხი ძირითადი ფორმულა.
**საკვანძო სიტყვები:** ეფექტიანობა, სფექტური ბაზარი, საოპერაციო საქმიანობა.

**Summary:** Efficient banking products sales system An integral element of marketing. It is obvious that the customer confidence in the bank by the number of products purchased in the bank. As opy shows sales growth for regular customers 5% increases profits by 25 to 124%. Attention is drawn to the fact that on average, most banks lost 50% of their customers every 5 years because no promises more effective interaction with them. Cost to acquire a new customer costs, usually at 8 times more expensive than the regular work with existing clients. The basic formula chetire cost analysis and profitability of sales in the context of individual items of expenditure and income.
**Keywords:** Effectiveness, efficient market, operating activity.

**საბანკო პროდუქტების გაყიდვების თანამედროვე ფორმები და მეთოდები:** გაყიდვების ფორმებისა და სახეობების მთლიანი მრავალფეროვნება შეიძლება შემდეგი სახის სამ ფაქტორზე დამოკიდებულებაში იქნას კლასიფიცირებული: ვინ ავლენს ინიციატივას გაყიდვების პროცესში, სად ხორციელდება ტერიტორიალურად გაყიდვები, და როგორია პროდუქტების ნაერთი.

ტერიტორიალურ მიზმაზე დამოკიდებულებში გაყიდვების ძირთადი ფორმებია - **გაყიდვების სტაციონალური ფორმა და დისტანციური ფორმა.** კლიენტებთან საბანკო გარიგებების უმეტესობა სტაციონალურ ფორმაში მიმდინარეობს, როდესაც კლიენტის მომსახურება უსუალოდ ბანკის ოფისშიხორციელდება. საბანკო მომსახურების სტაციონალური ფორმები შეიძლება პასიურ გაყიდვებთან იქნას მიკუთვნებული, როდესაც ინიციატივა კლიენტიდან გამომდინარეობს. სტაციონალური მომსახურების პროცესში ყველაზეტრადიციული საბანკო პროდუქტების გაყიდვა ხორციელდება.

საბანკო მომსახურებაში სულ უფრო და უფრო მეტი ადგილი გაყიდვების დისტანციურ ფორმებს, ანუ კლიენტების შორი მანძილიდან მომსახურებას უკავიათ. ისინი შეიძლება ატარებდნენ როგორც აქტიურ ხასიათს, როდესაც ინიციატივა ბანკიდან გამომდინარეობს, და ამ შემთხვევაში ჩვენ პირდაპირი გაყიდვების მეთოდების შესახებ ვლაპარაკობთ, ასევე პასიურ ხასიათსაც, რომელიც კლიენტის ტრადიციული მომსახურების სახით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების მეშვეობით ვლინდება.
საბანკო ბიზნესის ორგანიზაციის სტრატეგიიდან დამოკიდებულებაში გაყიდვები შეიძლება კლასიფიცირებული იქნას როგორც მასიური ხასიათის გაყიდვები (საბანკო რიეტეილი) და ინდივიდუალური გაყიდვები. ბოლო ფორმა უფრო მეტად Vip - კლიენტების მომსახურებას მიეკუთვნება და ზოგიერთ წყაროებში არინიშნება როგორც „ფინანსური ბუტიკის“ ტიპის მიხედვით გაყიდვების ორგანიზაცია.
როგორი დამახასიათებელი ნიშანთვისებები და განსხვავებები გააჩნიათ გაყიდვების აღნიშნულ ფორმებს?

**მასიური გაყიდვები** „ფინანსური სუპერმარკეტის“ სქემის მიხედვით ითვალისწინებს საკუთარი სამომხმარებლო უპირატესობების მიხედვით მსგავსი დიდი რაოდენობის კლიენტების მომსახურებას და ერთტიპიური საბანკო ოპერაციების განხორციელებას.
საცალო გაყიდვები, როგორც წესი, სტაციონალურად ხორციელდება და ფართე ფილიალური ქსელის შექმნას მოითხოვს. აღნიშნულთან დაკავშირებით საცალო ბიზნესის ძირითადი რისკია - ამ ბიზნესის ქვეშ შექმნადი იმ სიმძლავრეების (საბანკო ინფრასტრუქტურის: ფილიალების, წარმომადგენლობების, ეკვაირინგის, მიწერილი სალაროების, პროცესინგის, POS-ტერმინალური ტექნიკის და ა.შ.) საბანკო ოპერაციების საჭირო მოცულობებით არ შევსება. თუ არნიშნული მაინც ხდება, მაშინ შეიძლება ბანკის მარკეტინგული სამსახურების სუსტი მუშაობის შესახებ ლაპარაკი, რომლებმაც ბაზრის სეგმენტები არასაკმარისად გამოიკვლიეს და საცალო ბიზნესისათვის მოთხოვნის საჭირო მოცულობით სტიმულირება ვერ შეძლეს. მაგალითად, საბარათე ბიზნესის განვითარებისათვის ემისიის წლიურმა მოცულობამ არა ნაკლები 1 მლნ ბარათი უნდა შეადგინოს და ამასთან მათი მეშვეობით არა ნაკლები 100 ათ. ტრანსაქციები თვეში უნდა იქნას განხორციელებული.ექსპრეს-კრედიტების მიხედვით რენტაბელობის მინიმალური ზღვარი 200 ათ. მომხმარებელის დონეზე, ხოლო SMS-ბანკინგის მომსახურების მიხედვით - 100 ათ. მომხმარებელის დონეზე იმყოფება.

ამრიგად, საცალო საბანკო ბიზნესში რენტაბელობის საჭირო დონის მხარდაჭერისათვის საკმარისი შემოსავლების მიღების საფუძველს კლიენტების ანგარიშების მიხედვით ბრუნვები წარმოადგენენ.

საცალო გაყიდვების ძირითადი პრობლემაა - სასიცოცხლო ციკლის ყველა სტადიებზე ხარჯების ხარისხობრივი მართვის სისტემის შექმნა. გაყიდვების ინფრასტრუქტურის ფორმირებაზე მაღალი საწყისი დანახარჯების გამო „ფინანსური სუპერმარკეტისათვის“ განსაკუთრებით აქტუალურია მიღწევადი და იაფი პროდუქტების შექმნა. მაგრამ მრავალი საცალო ბანკები პროდუქტიული რიგის გაფართოებით მეტად ზედმეტად არიან დაკავებულები, რასაც სხვა პრობლემისაკენ მივყავართ - შექმნილი პროდუქტები ვერ პოულობენ მოთხოვნას, ხოლო მათი

კლიენტებისთავზე მოხვევის მცდელობები ბანკის იმიჯზე ცუდად აისახება.

**მიზნობრივი (ინდივიდუალური) გაყიდვები** „ფინანსური ბუტიკების“ სქემის მიხედვით კლიენტების გარკვეული ჯგუფებისა და მომსახურების ექსკლუზიური ფორმების მოძიებას ითვალისწინებს. ოპერაციების უმნიშვნელო რაოდენობა და შედარებით მცირე საწყისი დანახარჯები მოითხოვენ, რომ გაყიდვების მიხედვით მენეჯერები ინდივიდუალური პროდუქტების რეალიზაციიდან მაღალი მარჟის მიღებაზე იყვნენ ორიენტირებულები. ფინანსურ ბუტიკში რენტაბელობის მინიმალური ზღვარი რესურსების მოზიდვაზედანახარჯების 15 – 20%-ის ჩარჩოებში მერყეობს.

გაყიდვის ინდივიდუალური ფორმის ძირითადი რისკი - კლიენტის დაკარგვაა. ინდივიდუალური კლიენტების მომსახურების ხარისხისადმი მიზმულობის ზრდასთან დაკავშირებით, „Private Banking“სტრატეგიის განმავითარებელი ბანკები მომსახურების სტანდარტულ ნაერთს აფართოებენ, რომელიც თავისთავში მოიცავს:

- პერსონალურ მენეჯმენტს.
- მომსახურებას ცალკე შენობაში.
- ფინანსურ და საგადასახადო კონსალტინგს.
- მიღწევადობას ფორექსულ ოპერაციებთან.
- ლითონული ანგარიშების გახსნას.
- უფრო სასარგებლო განაკვეთები და ტარიფები.
- ოპერაციები უძრავ ქონებასთან.

აღნიშნული ჩამონათვალი შეიძლება შევსებული იქნას მომსახურეობების იმ ფორმების ხარჯზე, რომელთაც თვით კლიებტი ისურვებს. სოციალური ტექნოლოგიების ცენტრის გამოკითხვის მონაცემების მიხედვით Vip-კლიენტები ბანკიდან მოელიან შემდეგმომსახურეობებს (პროცენტებში გამოკითხულთა რაოდენობიდან):

- ოპერაციები ანაბრების მიხედვით 86%;
- გახსნა ანგარიშსწორების ანგარიშის 79%;
- საკრედიტო ბარათებო 75%;
- ნდობითი მართვა კლიენტების აქტივების და საინვესტიციო მომსახურეობები, საპროექტო დაკრედიტების ჩათვლით 40%;
- საგადასახასო დაგეგმვას 35%;

- ფინანსურ კონსულტირებას 32%;
- გადარიცხვები უცხოელი პარტნიორების ანგარიშებზე 26%;
- მიმდინარე დაკრედიტება 23%;
- განაღდება ანგარიშების 12%;
- სხვები 9%.

პროდუქტიული ნიშანთვისების მიხედვით შეიძლება გამოიყოს გაყიდვების შემდეგი მეთოდები: ერთჯერადი გაყიდვები, პაკეტირება, კროსს-გაყიდვები, გადაჯვარებული გაყიდვები.

**ერთჯერადი გაყიდვები** ითვალისწინებენ ერთი დასახელების პროდუქტის გაყიდვას, მაგალითად ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნა ან კრედიტის მიღება. ერთჯერადმა გაყიდვებმა შეიძლება უკვე გამოყენებული პროდუქტების სია შეავსონ, ან საცდელი გაყიდვებისათვის დაგეგმვის ცალკე ობიექტი იყოს.

დღევანდელი მდგომარეობით ყველაზე მოთხოვნადს წარმოადგენს **საბანკო პროდუქტების პაკეტირება,** რომელიც შეიძლება სათაო ბანკის დონეზე, ასევე გაყიდვების კონკრეტულ ოფისშიც ფართედ იქნას გამოყენებული.

**ცხრილი 2. კერძო პირებისათვის ფილიალებში გაყიდვადი და პაკეტებში დაჯგუფებადი საბანკო პროდუქტების ნაერთი**

| | | **მოთხოვნილებები:** | |
|---|---|---|---|
| **პროდუქტის სახეობები:** | **ანგარიშსწორებები და გადარიცხვები:** | **სახსრების დაბანდებები:** | **დაკრედიტება:** |
| **ძირითადი პროდუქტი:** | პირადი მიმდინარე ანგარიში. | დეპოზიტი, ფასიანი ქაღალდები. | სესხი. |
| **დამატებითი პროდუქტები:** | მუდმივი დავალება, სადებეტო ბარათი, „ManyGram“, “Western Union”. | შენახვა და / ან ფასიანი ქაღალდების მართვა, საინვესტიციო პორტფელის ფორმირება. | საკრედიტო ბარათი, სესხის დაზღვევა/ |

იგი ითვალისწინებს ფაქტიურად არსებული პროდუქტების განხილვას როგორც ურთიერთდაკავშირებული მომსახურეობების კატალოგის ცალკე პოზიციებს, და პროდუქტების ნაერთის განსაზღვრისა და ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც მთლიანად დააკმაყოფილებდა კლიენტების მოთხოვნებს, და ამით მასთან საუკეთესო ზემოქმედების გარანტიაც იქნებოდა.

ცხრილი 2-ში ფილიალის დონეზე კერძო პირებისათვის საბანკო პროდუქტების ტრადიციული პაკეტირების მაგალითებია მოყვანილი.

პაკეტში შეიძლება ჩაირთოს პროდუქტები, რომელთაც სეზონური ხასიათი გააჩნიათ (საგასასახადო გადახდები, საშვებულები ანაბრები, სამშენებლო სესხები). მაგალითად, გადასახადების პერიოდულობით გადახდის შემთხვევაში შეიძლება მათი ავანსირებული გადახდა იქნას შეთავაზებული. ზოგიერთი ბანკების პრაქტიკაში თავისი გამოყენება მოიპოვა პროცენტების დარიცხვის მოქნილი სისტემიანმა სეზონური ანაბრების ყოველწლიურად დანერგვის გამოცხადებამ. ანაბრის ან მისი ნაწილის ვადაზე ადრე გამოთხოვის შემთხვევაში პროცენტებიანაბრებზე სახსრების ფაქტიურად არსებობის ვადაზე დამოკიდებულებაში მერყეობს.

პროდუქტის ხარისხი პირდაპირ არის დაკავშირებული მომსახურების ხარისხთან და ითვალისწინებს, უპირველეს ყოვლისა, კლიენტების მოლოდინების მიზმას და იმას, თუ ბანკს რისი შეთავაზება შეუძლია. გაყიდვების ეფექტიანობის ცნებაში, ამრიგად, ისეთი კომპლექსური ცნება ჩაირთვება, როგორიცაა კლიენტურასთან კეთილსასურველი ურთიერთობა, და აღნიშნული ელემენტი შეიძლება პროდუქტების პაკეტირების ტექნოლოგიაში სრული საფუძვლიანობით იქნას ჩართული. პაკეტური გაყიდვების კონცეფცია ითვალისწინებს კომპეტენციის შესაბამის პროფესიონალურ დონეს (ბანკის პროდუქტიული რიგის ცოდნას, შეთავაზებადი პროდუქტების წარდგენის შესაძლებლობას, მათ გამოყენებაში დახმარებას), ურტიერთობების გამოცდილებას (ყურადღება, მოკრძალებულობა, გათვალისწინებულობა, თავისთან განწყობის შესაძლებლობა). მოცემული კონცეფცია ითვალისწინებს ხანგრძლივი ურთიერთობის მხარდაჭერის შესაძლებლობას (ზოგიერთი

კლიენტებისათვის და შემენადი მომსახურების სახეობებისათვის ურთიერტობის პერიოდი უფრო ხანგრძლივია, ვიდრე სხვებისათვის), ურთიერთობის ადგილისა და იერარქიული დონის დაცვას (Vip-კლიენტებისათვის მმართველის მონაწილეობა, უფრო კომფორტული გარემოების წარდგენა არის საჭირო),აუცილებელი ნორმატიული მოთხოვნილებების გამოყენება (საგარეო სახე, კლიენტებთან ურთიერთობა და ა.შ.).

მრავალი ბანკის პრაქტიკაში, რომელთაც მსხვილი ფილიალები გააჩნიათ, გამოიყენება ისეთი მეთოდი, როგორიცაა **გაყიდვების კროსსირება.** კროსს-გაყიდვა (cross-selling) - კლიენტურისათვის თანმხლები პროდუქტების შეთავაზებასთან მიმართებასი საქომიანობაა. ამასთან ერთად შეიძლება ასევე იმ პროდუქტების შეცვლა იქნას განხორციელებული, რომლებიც თავის დროს უკვე იყვნენ გამოყენებულები და სანაცვლოდ შეიძლება ახალი პროდუქტები (გადაჯვარებული გაყიდვა) იქნას შეთავაზებული. ასეთ სტრატეგიას კარგი მოგება მოაქვს და კონკურენტრბის წინაშე უპირატესობების მიღწევის შესასზლებლობას იძლევა. მოცემული მეთოდის წარმატებისათვის ერთ-ერთ- ძირითადი პირობაა - კლიენტის მოთხოვნილებასთან მიმართებასი პროდუქტიული რიგის ლოგიკური აგება. პროდუქტები კლიენტისათვის უნდა იყოს საინტერესო და მიმზიდველები და მომსახურების პაკეტში ჩართულები, რომლებიც შეიძლება ნებისმიერ მომენტში გაყიდვისათვის იქნას შეთავაზებული. თანმხლები და ურთიერთშეცვლადი პროდუქტების ჩამონათვალი ჯერ კიდევ არ მოზიდული, მაგრამ ბანკისათვის მნიშვნელოვანი კლიენტებისათვის შეიძლება ჩართული იქნას ის პროდუქტები, რომელთაც მოქმედი კლიენტურა არ იყენებს, მაგრამ რომლებითაც შეიძლება დაინტერესდეს მომავალში. აღნიშნული სრეატეგია გაყიდვების დაგეგმვისა და ბანკის რესურსების ოპტიმალურად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. იგი ასევე მომხმარებლების მოლოდინების უკეთესად გაგებისა და ბაზრის შეფასების შესაძლებლობასაც იძლევა. კრისირებული და გადაჯაჭვური გაყიდვების სხვა მნიშვნელოვანი ასპექტი მდგომარეობს კონკურენტულ უპირატესობაში, რომელიც მათგან გამომდინარეობს. კლიენტი გრძნობს, რომ საბანკო პროდუქტებში მისი ყველაზე

მრავალფეროვანიმოთხოვნილებები შეიძლება მხოლოდ ამ ბანკში იქნას დაკმაყოფილებული. მაგალითად, თუ კლიენტი ბანკისაგან საგზაო ჩეკებს იძენს, მასზე ასევე უცხოეთში გამგზავრების დროს უბედური შემთხვევისაგან დაზღვევასთან მიმართებასი მომსახურეობები უნდა უნდა იქნას შეთავაზებული.

პაკეტური და გადაჯაჭვური გაყიდვების სტრატეგია კლიენტებთან მდგრადი და ხანგრძლივი კავშირების დადგენის შესაძლებლობას იძლევა. ცხადია, რომ ბანკისადმი კლიენტის ნდობა ბანკში შეძენილი პროდუქტების რიცხოვნობით განისაზრვრება.

**გაყიდვებზე კონტროლი და გაყიდვების ეფექტიანობის შეფასება:** გაყიდვების ზრდა შეიძლება ბანკის სხვადასხვა მიმართულებებით ძალისხმევასთან იყოს დაკავშირებული - ესაა ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, საბაზრო კონიუნქტურის გაუმჯობესება და ა.შ. უფრო რთულია გაყიდვების თვით ტექნოლოგიის ორგანიზაციის დონის ზემოქმედების გამოვლება. ბანკები, რომლებიც გაყიდვების უახლესი მეთოდების გამოყენების უპირატესობებში არიან დარწმუნებულები, შედეგების იმავდროულ გაუმჯობესებას არ უნადა მოელოდნენ. გაყიდვების სფეროში რეორგანიზაცია ბანკებიდან უპირველეს ყოვლიდა მოითხოვს გარკვეულ ღონისძიებებზე ძალისხმევის კონცენტრაციას, რომელთაც სწორედ ამ ბანკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, შეიძლება ეგრეთ წოდებული სტრატეგიული კლიენტებისათვის პროდუქტების პაკეტი იქნას დამუშავებული ან პოტენციალური კლიენტების შესახებ ინფორმაციების მოგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდები იქნას სრულყოფილი. ასევე შეიძლება მოქმედ კლიენტებთან საქმიანობის ყველა ასპექტები იქნას გაძლიერებული (3).

**მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საშუალოდ ბანკების უმეტესობა ყოველ 5 წელიწადში საკუთარი კლიენტების 50% კარგავს მათთან არაეფექტური ურთიერთქმედების გამო. დანახარჯების მიხედვით ახალი კლიენტის მოზიდვა, როგორც წესი, 8-ჯერ უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე მოქმედ კლიენტებთან რეგულარული მუშაობა.**

საერთო სახით **გაყიდვების ეფექტიანობა** განისაზღვრება როგორც **კლიენტების მომსახურების გაუმჯობესების ხარჯზე**

**მიღებულისაბანკო პროდუქტის დამატებითი გაყიდვებისთანაფარდობა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაზე ხარჯებთან.** გაყიდვებში ინესტიციების შემოსავლიანობის სისტემატიური ანალიზი მთლიანობაში ბანკის განვითარებაზე რესურსების გამოყოფისა და განაწილების ოპტიმიზირების შესამლებლობას იძლევა. ამასთან საჭიროა მუდამ გვახსოვდეს იმის შესახებ, რომ ერთ-ერთ მთავარი სიძნელე მდგომარეობს ბანკის ყველა სტრუქტურებში ცვლილებების პროცესის ინიცირებაში, დაწყებული ფრონტ-ოფისური ქვედანაყოფებიდან და ბანკის ცენტრალური აპარატით დამთავრებული.

ორგანიზაციული ცვლილებების გარდა ბანკებმა ასევე კლიენტების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხის გამომხატველი მაჩვენებლების სისტემა უნდა დანერგონ. მსხვილი უცხოური ბანკები უკვე მსგავს პოლიტიკას ახორციელებენ. მაგალითად,**ამერიკული „Citicorp"ბანკის საბანკო ბარათების განყოფილება ყოველდღიურად 81 მაჩვენებლის დინამიკას აკონტროლებს,** რომელთაგან თითოეული კლიენტების მოლოდინებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით შემუშავებული საბანკო მომსახურების სტანდარტებს უდარდება.

გაყიდვების კომპლექსური სისტემა კლიენტებთან ურთიერთქმედებისათვის საერთო პლატფორმის უზრუნველყოფას ახორციელებს. მის დანერგვის მიზანს კლიენტების ლოიალობის ამაღლება და მოგებიანი კლიენტების შეკავების პროცენტის გადიდება წარმოადგენს. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, **მუდმივ კლიენტებზე 5%-ით გაყიდვების ნაზარდი მოგებას 25%-დან - 125%-მდე ადიდებს.**

გაყიდვების ორგანიზაციის უველაზე ძნელ და მნიშვნელოვან მომენტს ხარისხის შეფასება, ანუ მისი ნიშანთვისებების განსაზღვრა, ხარისხისადმი მოთხოვნილებების კონკრეტიზაცია და ბანკის ხარისხის სტანდარტების ფორმირებაწარმოადგენს. ამასთან საბანკო პროდუქტის ხარისხის ნიშანთვისებები ბანკის ყველა ქვედანაყოფებისათვის ერთიანი უნდა იყოს. საბანკო პროდუქტების ხარისხის ნიშანთვისებები დაიყოფა შემდეგ სამ ჯგუფად: **ობიექტებად,** ანუ ქვედანაყოფებად, რომლებიც პროდუქტებს

ამუშავებენ და ყიდიან; პროდუქტების **სახეობებად** - საანარიშსწორებო, სასესხო, დეპოზოტური, ფასიანი ქაღალდები; კლიენტების **მიზნებად** - სახსრების განთავსება (ანაბრები მოთხოვნამდე, ვადიანები, საშემნახველოები და ა.შ.).კრედიტების მიღება სამომხმარებლი საჭიროებებუისათვის, გადარიცხვები, ვალუტის გაცვლა, პროექტების დაფინანსება, ვაჭრობის დაკრედიტება ბრუნვების ქვეშ.

ობიექტების მიხედვით გაყიდვებზე და მომსახურების ხარისხზე კონტროლს ბანკის მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახურები ახორციელებენ. მაგრამ მიმდინარე კონტროლი ფრონტ-ოფისური ქვედანაყოფების ხელმძღვანელებზე და პირველ რიგში განყოფილებების მმართველებზე არის დაკისრებული, რომლებიც თავიანთი არსით გაყიდვებთანმიმართებაში მთავარ მენეჯერებს წარმოადგენენ. ეფექტიანი კონტროლი იზრდება, თუ გეგმიურ პერიოდში განყოფილებამდე გაყიდვებისა და მოგების საკონტროლო მაჩვენებლები წინასწარ იქნება დაყვანილი. გაყიდვების გეგმებისა და მომსახურების ხარისხის შესრულების კონტროლი სეგმენტებში საბაზრო სიტუაციების გათვალისწინებით დაგეგმილი პარამეტრების მიღწევის შეფასებამდე დაიყვანება. ბანკის ზემოქმედების ზონაში საბაზრო აქტიურობის მაჩვენებლების გაზომვებს ბანკის მთავარი ოფისი ახორციელებს, რომელიც გაყოდვების გეგმების კორექტირებას ახორციელებს. გაყიდვების პუნქტების საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი პროდუქტებისა და ბაზრის ცალკე სეგმენტების ჭრილში ხორციელდება.

საბაზრო სიტუაციის ანალიზი, ბანკები-კონკურენტების შედარებით, განყოფილების მიერ საბანკო პროდუქტებისა და საკლიენტო სეგმენტების ჭრილში დაკავებული ბაზრის წილის შეფასებამდე დაიყვანება.

საბანკო პროდუქტის ხარისხის უნივერსალურ ნიშანთვისებებად ითვლებიან: ლიკვიდობა, საიმედობა (რისკებიდან დაცულობის ხარისხი), რენტაბელობა.

**კლიენტების მომსახურების ხარისხის აუდიტი** თავისთავში მოიცავს:

- რეგულარულად შიდა რევიზიების ჩატარებას;

- ხარისხის კონტროლზეხარჯების განსაზვრას (ხარისხის შემოწმებაზე ხარჯებს და ხარისხის მიხედვით მოთხოვნილებების შესრულების შეფასებას);
- დანახარჯების გაანგარიშებას, რომლებიც შეცდომებთან და ხარისხთან მიმართებასი მოთხოვნილებების შეუსრულებლობასთან არის დაკავშირებული;
- ხარჯების კონტროლი ხარისხის დაგეგმვასა და მართვასტან მიმარტებაში.

გაყიდვების ხარისხის აუდიტის ჩარჩოებში მენეჯერების საქმიანობის შემოწმების რამდენიმე ხერხი არსებობს:

1. კლიენტების გამოკითხვა - მის მთავარ მიზანს კონტაქტების სიხშირის შესახებ ინფორმაციის მიღება წარმოადგენს.
2. თანამშრომლების გამოკითხვა გამოიყენება კვალიფიკაციის შემოწმებისათვის (ეს შეიძლება იყოს ინტერვიუ შეცდომების, მუშაობაში სიძნელეების და ა.შ. წარმოქმნის სიხშირესთან მიმართებაში).
3. ტესტები გამოიყენება მოლაპარაკებებისადმი მომზადების ხარისხისა და მათი შედეგების შედეგებისათვის ფორმით: ა) კლიენტთან რეალურ ურთიერთობებზე დაკვირვება; ბ) დოკუმენტაციის გაძროლა.
4. პრეტენზიების ანალიზი, რომლებიც სიგნალს წარმოადგენს და იგი განხილული უნდა იქნას როგორც დაფარული და რეალური დაბრკოლება კლიენტსა და ბანკს შორის ნდობით ურთიერთობებთან მიმართებაში.

აუდიტის მიზანს წარმოადგენს გამოვლენა იმისა, თუ ხარისხის მართვის სისტემა რამდენად ეფექტურად ფინქციონირებს და როგორია მისი სუსტი ადგილები.

საოფისე ქვედანაყოფების მიხედვით, ხარჯებისა და შემოსავლების ცალკეული მუხლების ჭრილში გაყიდვების დანახარჯებისა და რენტაბელობის ანალიზი ხორციელდება შემდეგი ფორმულების გამოყენებით:

1) დანახარჯები სარეკლამო კომპანიაზე და გაყიდვებისსტიმულირებაზე /გაყიდვების მოცულობა;
2) დანახარჯები გაყიდვების განმხორციელებელი პერსონალის შენახვაზე / გაყიდვების მოცულობა;

3) ჯამური მოგება გაყიდვებიდან ბანკის ოფისში /ერთობლივი დანახარჯები პროდუქტების დამუშავებაზე და გაყიდვაზე;
4) მოგება გარიგებებიან კლიენტთან /დანახარჯები კლიენტის მომსახურებაზე.

**დასკვნები:** ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკრთება არის შესაძლებელი:

1. აღნიშნულია, რომ საბანკო პროდუქტების გაყიდვების ეფექტური სისტემა მარკეტინგის განუყოფელი ელენენტია. ცხადია, რომ ბანკისადმი კლიენტის ნდობა ბანკში შეძენილი პროდუქტების რიცხოვნობით განისაზღვრება. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მუდმივ კლიენტებზე გაყიდვების 5%-ით ნაზარდი მოგებას 25%-დან - 125%-მდე ზრდის.
2. გამახვილებულია ყურადღება იმაზე, რომ საშუალოდ ბანკების უმეტესობა თითოეულ 5 წელიწადში საკუთარი კლიენტების 50% კარგავენ მათთან არაეფექტურად ურთიერთქმედების გამო. დანახარჯების მიხედვით ახალი კლიენტის მოზიდვა, როგორც წესი, 8 ჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე მოქმედ კლიენტებტან რეგულარული მუშაობა.
3. მოყვანილია ხარჯებისა და შემოსავლრბის ცალკეული მუხლების ჭრილში გაყიდვებისა და რენტაბელობის ანალიზის ოთხი ძირითადი ფორმულა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Геронина Н.Р., Зверев О.А. – Актуальные вопросы банковского менеджмента: стратегическое управление, банковский маркетинг, финансовое планирование, управление инновациями. Монография. – Москва: МБИ, 2009. – 165 с. (С. 35 - 49).
2. Шамонин М. – Программастимулирования продаж. Вестник. McKinsey//www.illisium.ru.
3. ცაავა გ., ხანთაძე გ. - საბანკო მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2015. – 800 გვ.

# მასალათმცოდნეობაში ინოვაციური კვლევების კომერციალიზების თაობაზე
# On Commercialization of Innovative Studies in Materials Science

**ლევან ჩხარტიშვილი** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**ოთარ ცაგარეიშვილი** – ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი
**არჩილ მიქელაძე** – ტექნიკის დოქტორი
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

**Levan Chkhartishvili** – Doctor of Sciences in Physics & Mathematics, Professor
Ferdinand Tavadze Metallurgy & Materials Science Institute
Georgian Technical University
**Otar Tsagareishvili** – Doctor in Physics & Mathematics
Ferdinand Tavadze Metallurgy & Materials Science Institute
**Archil Mikeladze** – Doctor in Techniques
Ferdinand Tavadze Metallurgy & Materials Science Institute

**რეზიუმე:** მასალათმცოდნეობაში ინოვაციური კვლევების კომერციალიზების შესაძლებლობები განიხილება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიმდინარე პროექტის: „ბორის კარბიდის ფუძეზე ნანოსტრუქტურული ჰეტეროფაზური კერამიკული მასალებისა და გაუმჯობესებული საექსპლუატაციო მახასიათებლების მქონე ნაკეთობების მიღება“ მაგალითზე. ესაა გამოყენებითი კვლევა ტექნოლოგიური განვითარებისათვის, რომელსაც ახორციელებს კონსორციუმი შემდეგი შემადგენლობით: ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (წარმოდგენილი ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტითა და პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტით) და საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი. ამ ორგანიზაციებს დიდი გამოცდილება აქვთ ბორშემცველი მასალების მიღებასა და თვისებების კვლევებში, და მათგან ნაკეთობების

წარმოებასა და მარკეტინგში. ამ გამოცდილებისა და პრობლემის სამეცნიერო და საწარმოო აქტუალობის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ საწარმოო დანიშნულების ნანომასალების უახლეს ენციკლოპედიურ ცნობარში პროექტის შემსრულებლების ავტორობითაა დაწერილი თავი ბორშემცველი ნანოკრისტალური მასალების შესახებ. თანამედროვე კომერციული დანიშნულების მყარ მასალებს შორის ყველაზე მაღალი სისალე / სიმკვრივე ფარდობით ბორის კარბიდი ხასიათდება. ამ და სხვა უნიკალური თვისებების გამო, მასალები ბორის კარბიდის ფუძეზე ფართოდ გამოიყენება მანქანათმშენებლობაში, ბირთვულ ენერგეტიკაში, კოსმოსურ ტექნოლოგიებში, მედიცინაში და ა.შ. მაგრამ ბორის კარბიდის სიმყიფე და, შესაბამისად, შედარებით დაბალი ბზარმედეგობა აფერხებს წარმოებაში გამოყენებათა არეალის შემდგომ ზრდას. პროექტის მიზანია აღნიშნული ნაკლოვანების აღმოფხვრა ბორის კარბიდის ფუძეზე ნანოკომპოზიტური მასალების შექმნით. შესაბამისი ორიგინალური საწარმოო ტექნოლოგია გულისხმობს ნანოკომპოზიტური ფხვნილების მიღებას ორგანული გამხსნელებით მომზადებული თხევადი კაზმების ზომიერ ტემპერატურებზე დამუშავებით და მათ კომპაქტირებას მყარ მასალებად და / ან ნაკეთობებად ნაპერწკლურ-პლაზმური სინთეზით. ახალი ტექნოლოგია, არსებულ ტექნოლოგიებთან შედარებით, იქნება უფრო ენერგოდამზოგავი, ეკოლოგიური და ეფექტური. პროექტის განხორციელების ფინალურ ეტაპზე შედგება კვლევის შედეგების კომერციალიზების ბიზნეს-გეგმა და მოეწყობა საპილოტე საწარმოო უბანი. საქართველოს, რეგიონული და საერთაშორისო ბაზრების წინასწარი კვლევა აჩვენებს, რომ ბორის კარბიდის ფუძეზე ნანოკომპოზიტური მასალების ფხვნილებისა და მათგან მყარი მასალებისა და ნაკეთობების წარმოება მაღალი მოგების მომტანი იქნება.

**Abstract:** Commercialization possibilities of innovative studies in materials science are considered for case of current Project: “Obtaining of boron carbide-based nanostructured heterophase ceramic materials and products with improved performance characteristics” of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. It is an applied research for the technology development to be conducted by the consortium consisted of: Ferdinand Tavadze Metallurgy & Materials Science Institute, Ivane Javakhishvili Tbilisi State University (represented by Elephter

Andronikashvili Institute of Physics and Peter Melikishvili Institute of Physical & Organic Chemistry), and National High Technology Center of Georgia. These organizations own sound expertise in their obtaining and studying their properties, as well as manufacture and marketing of goods made from these materials. To illustrate the consortium members' expertise, and academic and industrial importance of the problem, it is suffice to say that in the recent handbook of nanomaterials for industrial applications, the Chapter devoted to the boron-containing nanocrystalline materials is authored by the Project's participants. Among the current commercial solid materials, boron carbide possesses the highest hardness-to-density ratio. For this and other unique properties, boron carbide based materials are widely used in machine engineering industry, nuclear energy production, space technologies, medicine, etc. However, boron carbide's brittleness and, therefore, relatively low stability against crack formation hamper further extension of the sphere of their industrial applications. Project aims to overcome mentioned disadvantage by creation boron carbide based nanocomposite materials. Corresponding original industrial technology includes obtaining the nanocomposite powders from organic solvents based liquid charge by thermal treatment at moderate temperatures and further compacting into solid materials and / or goods by spark-plasma synthesis. This novel technology, if compared with existing, will be more energy consuming, ecologically friendlier, and more effective. At the final stage of the Project realization, business plan for research outcomes commercialization will be elaborated and pilot production place will be organized. Preliminary research of Georgian, regional, and international markets shows high profits expected from production of powders of boron carbide based nanocomposite materials, their solid compacts, and goods.

**საკვანძო სიტყვები:** მასალათმცოდნეობა, ინოვაცია, კომერციალიზება, საპილოტე წარმოება.

**Key Words:** materials science, innovation, commercialization, pilot production.

**შესავალი:** თუკი წინა ეპოქებში საწარმოო ძალთა განვითარება ძირითადად ბუნებრივი მასალების დამუშავების ახალ ტექნოლოგიებს ეფუძნებოდა, უკვე გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული აქცენტი ახალი, წინასწარ განსაზღვრული

თვისებების ანუ ფუნქციონალური დანიშნულების მქონე, მასალების შექმნაზეა გადატანილი. წინამდებარე შრომაში ამ ზოგადი და გლობალური ტენდენციის გამოვლინება თანამედროვე საქართველოში განხილულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიმდინარე პროექტის AR–18–1045: „ბორის კარბიდის ფუძეზე ნანოსტრუქტურული ჰეტეროფაზური კერამიკული მასალებისა და გაუმჯობესებული საექსპლუატაციო მახასიათებლების მქონე ნაკეთობების მიღება“ (2018 – 2021 წლები) კონკრეტულ მაგალითზე. ესაა ისეთი გამოყენებითი ხასიათის ინოვაციური კვლევა მასალათმცოდნეობაში, რომელიც მიზნად ისახავს შესაბამისი საწარმოო ტექნოლოგიის შემუშავებას, საპილოტე წარმოების მოწყობას და, საბოლოოდ, ჩატარებული მეცნიერული კვლევის შედეგების კომერციალიზებას.

**ძირითადი ტექსტი:** თანამედროვე კომერციული დანიშნულების მყარ მასალებს შორის სისალე / სიმკვრივე ფარდობის ყველაზე მაღალი მნიშვნელობით ხასიათდება ბორის კარბიდი, რომლის მიახლოებითი ქიმიური ფორმულაა $B_4C$. ამ და მთელი რიგი სხვა უნიკალური თვისებების გამო, მასალები ბორის კარბიდის ფუძეზე ფართოდ გამოიყენება მანქანათმშენებლობაში, ბირთვულ ენერგეტიკაში, კოსმოსურ ტექნოლოგიებში, მედიცინაში და ა.შ.

მაგრამ ბორის კარბიდის სიმყიფე და, შესაბამისად, შედარებით დაბალი ბზარმედეგობა აფერხებს წარმოებასა და ყოფაში მის გამოყენებათა არეალის შემდგომ ზრდას. პროექტის მიზანია აღნიშნული ნაკლოვანების აღმოფხვრა ახალი ნანოკომპოზიტური მასალების შექმნით ბორის კარბიდის ფუძეზე. იგულიხმება, რომ ბორის კარბიდის მატრიცაში ჩართული იქნება გარკვეული სხვა მასალების წვრილდისპერსული ფაზები (1 ნანომეტრი = $10^{-9}$ მეტრი).

შესაბამისი ლაბორატორიულად დამუშავებული ორიგინალური ტექნოლოგია, რომელიც პროექტის განხორციელების შედეგად საწარმოო ტექნოლოგიად უნდა გარდაიქმნას, გულისხმობს ნანოკომპოზიტური ფხვნილების მიღებას ორგანული გამხსნელებით მომზადებული თხევადი კაზმების დამუშავებით ზომიერ ტემპერატურებზე და ამ შუალედური პროდუქტის კომპაქტირებას მყარ მასალებად და / ან ნაკეთობებად ნაპერწკლურ-პლაზმური სინთეზის მეთოდით.

ეს ახალი ტექნოლოგია, ამჟამად არსებულ ტექნოლოგიებთან შედარებით, იქნება უფრო ენერგოდამზოგავი, ეკოლოგიური და, იმავდროულად, ეკონომიკურად ეფექტურიც.

ტექნოლოგიის შემუშავების მიმართულებით პროექტის შემსრულებლებს უკვე მოპოვებული აქვთ ერთი პატენტი [1]. ეს მიანიშნებს ამ ინოვაციური ტექნოლოგიის მაღალ პატენტუნარიანობაზე. პროექტის მონაწილეები კიდევ რამდენიმე საპატენტო განაცხადის მომზადებაა გეგმავენ.

პროექტს ახორციელებს სამეცნიერო-საწარმოო კონსორციუმი შემდეგი შემადგენლობით:

- ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი (წამყვანი ორგანიზაცია);
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თანამონაწილე ორგანიზაცია), წარმოდგენილი ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტითა და პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტით; და
- საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი (სამეწარმეო იურიდიული პირი).

ამ ორგანიზაციებს დიდი გამოცდილება აქვთ დაგროვილი ბორშემცველი მასალების მიღებასა და თვისებების კვლევებში, და მათგან ნაკეთობების წარმოებასა და მარკეტინგში.

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი (ფთმმმი) ჯერ კიდევ ყოფილ საბჭოთა კავშირში ასრულემდა ბორის მიმართულების კოორდინატორის როლს. იმ დროიდან მოყოლებული ფუნქციონირებს ინსტიტუტში სპეციალიზებული (ამჟამად – ბორისა და კომპოზიტური მასალების) ლაბორატორია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ინსტიტუტის თანამედროვე მიღწევებიც. ისინი დეტალურადაა აღწერილი მოხსენებაში: „ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში კომპოზიტური მასალების მიღების ნანოტექნოლოგიების შემუშავება – მიღწევები და პერსპექტივები", რომელიც წარმოდგენილი იყო მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო ასოციაციის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კომიტეტის ახალი მასალების

სამეცნიერო საბჭოს 21-ე სესიაზე „კომპოზიტური ნანოსტუქტურული მასალები – მიღება, გამოყენება და რესურსი“, კიევი, უკრაინა, 2016 წლის 24 მაისი (მოხსენების ტექსტისა და ილუსტრაციებისათვის იხ., შესაბამისად, [2] და [3]).

კონკრეტულად პროექტის წამყვანი ორგანიზაციის – ფთმმმი-ის მკვლევართა ჯგუფის მაღალი საერთაშორისო სამეცნიერო რეპუტაციისა და საკუთრივ სამეცნიერო პრობლემის წარმოებისათვის აქტუალობის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო აკადემიურმა გამომცემლობის Elsevier საწარმოო დანიშნულების ნანომასალების უახლეს ენციკლოპედიურ ცნობარში, სწორედ მათი ავტორობითაა დაწერილი თავი ბორშემცველი ნანოკრისტალური მასალების შესახებ [4]. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს არის მე-2 თავი, რომელიც უშუალოდ მოსდევს რედაქტორისეულ 1-ლ ანუ შესავალ თავს, სადაც ამგვარი მასალების ზოგადი კლასიფიკაციაა მოცემული.

ფთმმმი-ში მოხდება ბორის კარბიდის ფუძეზე ნანოკომპოზიტურ ფხვნილების, შესაბამისი მყარი მასალებისა და მათგან ნაკეთობების მიღება, აგრეთვე, ამ პროდუქტების სტრუქტურისა და მორფოლოგიის, ქიმიური და ფაზური შემადგენლობების და რიგი ტექნოლოგიური თვისებების ექსპერიმენტული შესწავლა. აქვე ჩატარდება ბორის კარბიდის ფუძეზე ზესალი ნანოკომპოზიტების ანსამბლირების პროცესების ზოგადთეორიული და, კერძოდ, თერმოდინამიკური გამოკვლევა.

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში (ეასფი) ჩატარდება მიღებული ნანოკომპოზიტური კომპაქტების მექანიკური და მთელი რიგი სხვა ფიზიკური თვისებების ექსპერიმენტული გამოკვლევა. ეასფი-ის ჯგუფს დიდი გამოცდილება აქვს ამ მიმართულებით, ისევე როგორც ბორის სტაბილური იზოტოპებით გამდიდრებული მასალების შესწავლაში, რომლებიც ბირთვულ ენერგეტიკაში გამოიყენება.

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში (პმფოქი) მომზადდება პრეკუსორი მასალები ნანოკომპოზიტური ფხვნილებისათვის ბორის კარბიდის ფუძეზე. პმფოქი-ის კვლევითი ჯგუფის გამოდილებაც საკმაოდ მნიშვნელოვანია პროექტისათვის, რადგანაც, როგორც აღინიშნა,

ახალი ტექნოლოგია ორგანული გამხსნელების გამოყენებაზეა დაფუძნებული.

სპეციფიკურია საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის (სმტეც) როლი პროექტში, რადგანაც იგი წარმოადგენს არა კვლევით ინსტიტუციას, არამედ – სამეწარმეო იურიდიულ პირს. თუმცა სმტეც, როგორც სამეწარმეო შპს, შექმნილია ისეთი დიდი კვლევითი ტრადიციის მქონე ორგანიზაციის ბაზაზე, როგორიც იყო თბილისის სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. ამჟამად სმტეც აწარმოებს და წარმატებით ყიდის საერთაშორისო ბაზრზე (დასავლეთ ევროპის ქვეყნები, იაპონია, ჩინეთი და სხვა) მრავალი დასახელების მასალას, მათ შორის, ბორის კარბიდის ფხვნილებს.

სმტეც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პროექტის კვლევით ეტაპზე მიღებული ნიმუშების დახასიათებასა და სერტიფიცირებაში, ლაბორატორიულიდან საწარმოო ტექნოლოგიაზე გადასვლაში, საპილოტე წარმოების ორგანიზებაში და, აგრეთვე, მიღებული პროდუქციისათვის გასაღების ბაზრიების მოძიებაში.

პროექტის განხორციელების ფინალურ ეტაპზე შედგება კვლევის შედეგების კომერციალიზების ბიზნეს-გეგმა და მოეწყობა საპილოტე საწარმოო უბანი.

პროექტის ფარგლებში დამუშავებლი ტექნოლოგიით მიღებული იქნება ახალი ტიპის ნანოსტრუქტურული ჰეტეროფაზური ფხვნილები ბორის კარბიდის ფუძეზე და შესაბამისი მყარი მასალები და ნაკეთობები. ბაზრის წინასწარი კვლევა აჩვენებს, რომ აღნიშნული პროდუქციით დაინტერესებული იქნებიან:

- კონსორციუმის წევრი სამეწარმეო იურიდიული პირი – შპს „სმტეც“;
- საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და დაწესებულებები;
- საქართველოს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“, რომლის შემადგენლობაშიც შედის პროექტის წამყვანი ორგანიზაცია – ფთმმმი;
- საქართველოს ლითონდამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ზემტკიცე მასალებისათვის იყენებენ საჭრისებს, თვალაკებს, პრეს-ფორმებს და სხვა;

- რეგიონის სხვა ქვეყნების ანალოგიური მიმართულების ინსტიტუციები და საწარმოები.

როგორც ამგვარი პროდუქციის, ისე თავად მისი მიღების საწარმოო ტექნოლოგიის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მომხმარებლი უნდა იყოს თურქეთი. საქმე ისაა, რომ ეს ქვეყანა ფლობს მსოფლიოში დაზვერილი ბორის რეზერვების 72 %-ს და, შესაბამისად, მაღალია მისი როლი ამ ნედლეულის მოპოვებაში და მიწოდებაში საერთაშორისო ბაზრისათვის [5]. მაგრამ თურქეთი არაა მოწინავე მიწინავე ბორშემცველი მასალების მიღებაში და მათგან მზა პროდუქციის წარმოებაში. ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად თურქული სახელმწიფო დიდ ფინანსურ და სამეცნიერო-ტექნიკურ რესურსებს წარმართავს.

წინასწარი შეფასებით, საქართველოს, რეგიონული და საერთაშორისო ბაზრებისათვის ბორის კარბიდის ფუძეზე შექმნილი ნანოკომპოზიტური მასალების ფხვნილებისა და მათგან წარმოებული მყარი მასალებისა და ნაკეთობების მიწოდება მაღალი მოგების მომტანი იქნება.

**დასკვნა:** შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის AR–18–1045: „ბორის კარბიდის ფუძეზე ნანოსტრუქტურული ჰეტეროფაზური კერამიკული მასალებისა და გაუმჯობესებული საექსპლუატაციო მახასიათებლების მქონე ნაკეთობების მიღება“ (2018 – 2021 წლები) განხორციელება გახდება მასალათმცოდნეობაში ინოვაციური კვლევების კომერციალიზების კარგი მაგალითი. ბორის კარბიდის ფუძეზე შექმნილი ნანოკომპოზიტური მასალების ფხვნილებისა და მათგან წარმოებული მყარი მასალებისა და ნაკეთობების მიწოდება ბაზრისათვის მაღალი მოგების მომტანი იქნება.

**მადლიერება:** კვლევა განხორციედა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (პროექტი AR–18–1045: „ბორის კარბიდის ფუძეზე ნანოსტრუქტურული ჰეტეროფაზური კერამიკული მასალებისა და გაუმჯობესებული საექსპლუატაციო მახასიათებლების მქონე ნაკეთობების მიღება“).

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ცაგარეიშვილი ო., მიქელაძე ა., ჭედია რ., ჩხარტიშვილი ლ. ბორის კარბიდის ფუძეზე ნანოსტრუქტურული სალი მასალების მიღების ხერხი. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ – პატენტი # GE P 2018 6709 B, 2018 წლის 11 ოქტომბერი.

2. Тавадзе Г. Ф., Чхартишвили Л. С. Разработка нанотехнологий получения композиционных материалов в Институте металлургии и материаловедения им. Фердинанда Тавадзе – Достижения и перспективы. Nano Studies, 2016, 13, 59-78.

3. Тавадзе Г. Ф., Чхартишвили Л. С. Разработка нанотехнологий получения композициионных материалов в Институте металлургии и материаловедения им. Фердинанда Тавадзе – Достижения и перспективы. В сб.: Проблемы современного материаловедения (Ред.: Бабаев А. В., Песецкий С. С., Плескачевский Ю. М.), 2017, Гомель, ИММПС им. Белого В. А., 9-11.

4. Chkhartishvili L., Mikeladze A., Tsagareishvili O., Gachechiladze A., Oakley A., Margiev B. Ch. 2: Boron-containing nanocrystalline ceramic and metal–ceramic materials. In: Handbook of Nanomaterials for Industrial Applications (Ed. Hussain Ch. M.), 2018, Amsterdam, Elsevier, 13-35.

5. Kar Y., Sen N., Demirbas A. Boron minerals in Turkey, their application areas and importance for the country’s economy. Minerals & Energy, 2006, 3-4, 2-10, 1404-1409.

# შიდა აუდიტი, როგორც რისკის მართვის შეფასება

# Internal audit as risk management assessment

**თეა ჰასრათოვი** - ფინანსების დოქტორი,
თბილისის ღია უნივერსიტეტი
**Tea Hasratovi** - PhD of Finance,
Tbilisi Open University

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია ის მნიშვნელობა, რომელიც შიდა აუდიტში რისკზე ორიენტირებული მიდგომებს დამკვიდრებას გააჩნია, როგორც ორგანიზაციისათვის ისე თვით შიდა აუდიტის ფუნქციისათვის. სხვადასხვა საუკეთესო პრაქტიკისა და შიდა აუდიტორთა პროფესიული სტანდარტების ფონზე, ავტორი შეეცადა მკითხველისათვის გასაგები გაეხადა, თანამედროვე ორგანიზაციაში რისკის მართვისა და შიდა აუდიტის შორის არსებული კომპლექსური ურთიერთობები და ამ ურთიერთობის მიზნები. თანამედროვე მზარდი ორგანიზაციის სტაბილურობისა და გრძელვადიანი წარმატება წარ- მოუდგენელია, თუ მისი მმართველობის სისტემაში სათანადო ადგილი არ უკავია რისკის მართვას, თუნდაც არაფორმალიზებული სახით. ეს ფაქტი უკვე დიდი ხანია აისახა მრავალი ქვეყნის კორპორაციულ სამართალში, კორპორაციული მმართველობის კოდექსში, თუ კონკრეტული საქმიანობის სფეროს (მაგალითად, საბანკო საქმიანობა, საჯარო სექტორი) საერთაშორისო და ეროვნულ მარეგლამეტირებელ დოკუმენტებში.

**Abstract:** Stability and long-term success of modern increasing organization is incredible, if the proper place does not occupy risk management in its managementsystem, even in the non-formal form, this fact has long been reflected in corporate law of several countries, incorporate management code. Risk management as the most strategic instrument towards interest of the organization, especially has increased in recent period of time.

Therefore the aim of the topic research represents, to determine what role is awarded and what place is occupied of the risk management in internal audit system.

Studying of internal audit processes oriented on the risk must be paid attention to optimal model developing of organizational process and properly functionality,

identify and assessment of all substantial risk and opportunities, reasonable approaches and the development of control measures towards these risks, therefore it is necessary close partnership with internal audit as an independent function of the service, to outline the main challenges facing the organization and plan the necessary measures. Internal auditing has grown tremendously over the years to reflect its new high-profile position in most large organizations. It has shifted from backoffice checking teams to become an important corporate resource. The focus on professionalism and objectivity has driven the new-look auditor toward high-impact work that can really make a difference.

**საკვანძო სიტყვები:** საკვანძო სიტყვები: შიდა აუდიტი, შიდა კონტროლის სისტემა, მიზნები და სტრატეგიები, რისკის კომპონენტები

**Keywords:** internal audit, system of internal control, goals and strategies, risk components.

**შესავალი:** რისკის მართვა წარმოადგენს განმეორებადი სისტემატიზირებული პროცესების ერთობლიობას. ის იგეგმება, ხორციელდება, კონტროლდება და მუდმივად იხვეწება იმისათვის, რომ გაიზარდოს ორგანიზაციის წინაშე არსებული ყველა მნიშვნელოვანი შესაძლებლობის, მიზნის მიღწევის სტრატეგიისა და ბიზნესგეგმის რეალიზაციის ალბათობა ან მაქსიმალურად შემცირდეს ამ უკანასკნელთა ხელისშემშლელი ფაქტორებისა და მოვლენების მოხდენის ალბათობა, მათი შესაძლო ნეგატიური ზეგავლენა.

**ძირითადი ტექსტი:** შიდა აუდიტი არის დამოუკიდებელი და ობიექტური მარწმუნებელი საკონსულტაციო საქმიანობა, რომლის მიზანია ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესება და სხვა დამატებითი სარგებლის შექმნა. შიდა აუდიტი, მმართველობის სისტემის, რისკის (1) მართვისა და კონტროლის პროცესების სისტემატიზირებული და მიზანმიმართული შეფასებებითა და მათი ეფექტიანობის გაუმჯობესების წინადადებების შემუშავებით, ორგანიზაციას ეხმარება დასახული მიზნების მიღწევაში.

რისკის მართვა წარმოადგენს რისკის განსაზღვრის, შეფასების, მონიტორინგის და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით საჭირო კონტროლის ღონისძიებების გატარების პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს დაწესებულების

მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკის შემცირების მიზნით.

რისკის მართვა წარმოადგენს ერთიან, უწყვეტ და განვითარებად პროცესს, რომელშიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობას იღებს დაწესებულების თითოეული თანამშრომელი.

რისკის მართვა წარმოადგნეს დაწესებულების სტრატეგიული მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს.

რისკის მართვის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს პოტენციური დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

რისკის მართვა მოიცავს პრაქტიკულად ყველა რისკს, რომელიც ეხება დაწესებულების საქმიანობას წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო დაწესებულებაში შექმნილი შიდა აუდიტის სუბიექტის მოვალეობაა არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასება და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

რისკის მართვა უნდა ატარებდეს პერმანენტულ ხასიათს და ხორციელდებოდეს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად.

რისკის მართვა ეხმარება და აძლიერებს დაწესებულებას, უზრუნველყოფს რა მისი ამოცანების ეფექტურად შესრულებას, მათ შორის:

- დაწესებულების ზოგადი მიმართულებების ჩამოყალიბებას, რომელიც საშუალებას იძლევა მომავალი საქმიანობა გამართული და კონტროლირებადი ფორმით წარიმართოს;
- რიგი პროცესების გაუმჯობესებას - გადაწყვეტილების მიღება, დაგეგმვა და პრიორიტეტების მინიჭება;
- დაწესებულებაში არსებული ქონებისა და რესურსების პროდუქტიული განაწილებისა და გამოყენების ხელშეწყობას;

- დაწესებულების რეპუტაციისა და აქტივების დაცვას და გაძლიერებას;
- ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციონალური ცოდნის ბაზის განვითარებას და გაძლიერებას;
- ოპერაციების ოპტიმიზაციას და სხვ.

რისკის მართვის პროცესი არის კოორდინირებული და თანმიმდევრული უწყვეტი ქმედებების ერთობლიობა. მისი შემადგენელი ცალკეული ნაწილები დამოკიდებულია დაწესებულების სპეციფიკაზე, მის მიზნებსა და სტრატეგიაზე, თუმცა რისკის მართვის პროცესის ზოგადი სტრუქტურა ყველა დაწესებულებაში იდენტურია

(1). *Sawyer, L., Montimer A., Dittenhofer, J., Scheiner, H., (2003), Sawyer's Internal Auditing, 5t*

**ცხრილი №1 შიდა აუდიტის ყველაზე გავრცელებული საქმიანობების რეიტინგული ადგილი**

| შიდა აუდიტის საქმიანობები/აუდიტის სახეები | *2018** |
|---|---|
| *ოპერაციული აუდიტი* | *1* |
| *ფინანსური რისკების აუდიტი* | *2* |
| *შესაბამისობის აუდიტი* | *3* |
| *ინფორმაციული რისკების აუდიტი* | *4* |
| *ორგანიზაციის რისკის მართვის შეფასება* | *5* |
| *შიდა თაღლითობისა და დარღვევების გამოძიება* | *6* |
| *შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობის შეფასება* | *7* |
| *ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკების აუდიტი* | *8* |

* *- 2018წ წყარო: The IIA esearch Foundation, CBOK*

თანამედროვე ორგანიზაციის მენეჯმენტისათვის, მიუღებელია შიდა აუდიტი შემოიფარგლოს მხოლოდ ისტორიული ინფორმაციითა და ოპერაციებისა და კონტროლების შემოწმებით.აუცილებელია აუდიტორთა მიდგომები გახდეს უფრო პროაქტიული და რისკის შეფასების ტექნიკის გამოყენებით, გამოვლენილი იქნას ბიზნესისათვის უფრო ღირებული აუდიტის ობიექტები, ხოლო თითოეული ამ ობიექტებთან მიმართებაში ყველაზე მაღალი რისკის შემცველი თემები.აუცილებელია შიდა აუდიტმა უარი თქვას მხოლოდ შიდა კონტროლის შემოწმებებზე და ისინი აქტიურად განიხილოს თითოეული პროცესის დონეზე განსაზღვრულ მიზნებსა და რისკებთან კავშირში. ამასთან, განხილულ უნდა იქნას, არამარტო რისკის კონტროლის კონკრეტული ღონისძიებები (Risk controls), არამედ თვით რისკზე საპასუხო ქმედებებიც (Risk mitigations).

ეს შიდა აუდიტს საშუალებას მისცემს, შიდა კონტროლის ადეკვატურობა შეაფასოს არა განყენებულად, არამედ მიიღოს რწმუნება იმაზე, რომ კონტროლის ღონისძიებების გარდა,სწორად არის შერჩეული რისკზე საპასუხო ქმედებებიც (მაგალითად,რისკის დაზღვევა, აცილება, დივერსიფიკაცია). ამდენად, მიღწევადია თუ არა ორგანიზაციისა და პროცესების მიზნები. გარდა ამისა, შიდა აუდიტორები შეძლებენ გამოავლინონ, არამარტო დამატებითი კონტროლების საჭიროება, არამედ აღმოაჩინონ ზედმეტი, არაფრის მომცემი კანტროლიც და ამით შამცირონ ხარჯები .

მაკნეიმი და ჯ. სელიმი მიუთითებენ, რომ მრავალმა ბანკმა, რომლებსაც გააჩნდათ ტრანსაქციების მრავალნაირი კონტროლი, დაკარგეს ასობით მილიონ დოლარი, იმის უბრალო რისკის ვერ გაცნობიერების გამო, რომ ზოგიერთმა ტრეიდერმა თავიანთი საქმიანობის ამახველი ანგარიში (The Commitements of Traders) და ტრანსაქციები სისტემაში შეიძლება საერთოდ არ შეიყვანოს.

იმის გათვალისწინებით, რომ რისკის მართვა თავისთავად არაზუსტი, არაობიექტური და საქმიანობის სფეროა, რომელიც უმეტესწილად მოითხოვს შემოქმედებით მიდგომებს, შიდა აუდიტს მართებს ამ სფეროში არსებული სხვადასხვა საუკეთესო პრაქტიკის ცოდნა. კერძოდ, სხვადასხვა ორგანიზაციაში შეიძლება განსხვავებულ იყოს რისკის მართვასთან დაკავშირებული

პროცესების ფორმალიზაციისა (მაგალითად, რისკი მართვის პოლიტიკა, პასუხისმგებელი მხარეები) და დოკუმენტირების ხარისხი (მაგალითად, გამოიყენება მარტივი ელ-ცხრილები თუ სპეციალური პროგრამული პაკეტები).

თუ რისკის მართვას ერთიან, განმეორებად და უწყვეტ პროცესების ერთობლიობად წარმოვიდგენთ, შიდა აუდიტის ფუნქცია შეიძლება აღვიქვათ როგორც ამ პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლი, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანი სისტემისა და ცალკეული პროცესების დიაგნოსტიკას და მათი ხარისხის მუდმივ სრულყოფას. ამ თვალსაზრისით რისკის მართვა, ძალზედ ჰგავს ხარისხის მართვის სისტემას და შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც სერტიფიცირებადი ობიექტი (მაგალითად, ISO 31000 სტანდარტთან შესაბამისობის კუთხით).

რისკზე ორიენტირებული აუდიტის საქმიანობის წლიური დაგეგმვისას, სპეციფიკურ ელემენტს წარმოადგენს რისკის მართვის ფუნქციის დოკუმენტაციაში დაფიქსირებული მთლიანი და ნარჩენი რისკების ანალიზი. ჩვეულებრივ, დოკუმენტირებულ რისკის რეესტრში, აღნიშნული რისკები მიბმულია შესაბამის პროცესთან და/ან მის მიზანთან.ამ შემთხვევაში,შიდა აუდიტი აუდიტირებადი თემების არჩევისას, ხელმძღვანელობს შემდეგი პრაქტიკული წესით. კერძოდ, შერჩევაში ხვდება:

- ის მთლიანი რისკები, რომლებიც მაღალი სიდიდით გამოირჩევიან. მაღალ სიდიდეში ძირითადად იგულისხმება ე.წ. „კატასტროფული“ ეფექტის მქონე რისკები, მიუხედავად მათი მოხდენის ალბათობისა (მაგალითად, მთავარი სერვისების ხანგრძლივი შეჩერება);
- ის მაღალი მთლიანი რისკები, რომელთა კონტროლის/კონტროლების ადეკვატურობა შიდა აუდიტს არ შეუმოწმებია ან დიდი ხნის წინ აქვს შემოწმებული (მაგალითად, მნიშვნელოვან ინფორმაციული სისტემაზე არასანქცირებული დაშვება);
- მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული ის ნარჩენი რისკები, რომლებიც არ შეესაბამება ან უახლოვდებიან რისკის

განსაზღვრულ ზღვარს (მაგალითად, წელიწადში არაუმეტეს ორი არასწორად ავტორიზებული გადარიცხვა რეზიდენტ-მიმწოდებელთან);

- ისეთი შიდა კონტროლის/კონტროლების შემცველი პროცესები/ოპერაციები, რომლებზეც მენეჯმენტი კრიტიკულად მაღალი ხარისხით ეყრდნობა (მაგალითად, პერიოდული რეკონსილაცია ხელფასების მართვისა და საბუღალტრო სისტემებს შორის);
- ის ნარჩენი რისკები, რომლების კონტროლის ღონისძიებები არაადეკვატურად იქნა მიჩნეული შიდა აუდიტის მიმდინარე ან ახლო წარსულში ჩატარებული შემოწმებისას;
- სხვა აუდიტირებადი ობიექტები და თემები, რომლებიც შემოთავაზებულია აუდიტის კომიტეტის ან საბჭოს მიერ.

აუდიტის ობიექტების პრიორიტეტულობის განსაზღვრის საბოლოო ეტაპს წამოადგენს თითოეული აუდიტის ობიექტის შეწონვა მინიჭებული ქულების მიხედვით და აუდიტის ობიექტის რეიტინგის განსაზღვრა, რაც ძალზედ პირობითია. ამის შემდეგ, მოდის აუდიტის ციკლის განსაზღვრის და მასზე გა- მიზნული დროითი და ადამიანური რესურსების განაწილების პროცესი.რისკზე ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს, რომ შიდა აუდიტის საქმიანობის წლიური დაგეგმვის პროცესი უფრო „მგრძნობიარე“ ხდება ორგანიზაციის რისკის პროფილის ცვლილების მიმართ. ამდენად, შიდა აუდიტის ხელმძღვანელი მზად უნდა იყოს, რომ წლიური გეგმა გახდეს უფრო მოქნილი და დაექვემდებაროს რეგულარულ განახლებას (Ro- lling plan). ამისათვის აუცილებელია, გეგმაში სტა- ტიკური (Cyclical) აუდიტის ობიექტებთან ერთად, განისაზღვროს შესაძლო აუდიტების ობიექტებისა და მიმართულებების რეზერვი. ამ რეზერვის ათვისება დამოკიდებული იქნება გეგმის მომდევნო განახლების მომენტში (მაგალითად, ყოველკვარტალურად) არსებულ მდგომარეობაზე. დაგეგმვის ასეთი პრაქტიკის გამოყენებას წარმოადგენს შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის რეკომენდაციაც.

**დასკვნა:** შიდა აუდიტი უზრუნველყოფს არამარტო ორგანიზაციაში რისკის მართვის პროცესების ინიცირებას, არამედ ამით შიდა აუდიტის გრძლევადიანი და ოპერაციული დაგეგმვა

გახადება უფრო მეტად რისკზე ორიენტირებული,რისკზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება წარმოადგენს შიდა აუდიტის მიზანს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უკეთ და დროზე გამოავლინოს ორგანიზაციის წინაშე არსებული საფრთხეები და მათ შესახებ დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს სასარგებლო ინფორმაცია, რადგან სწორედ ამ, არც თუ ისე მარტივი საკითხის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული, როგორც ორგანიზაცის და ისე შიდა აუდიტის გრძელვადიანი წარმატება. იმისათვის, რომ შიდა აუდიტმა თავის საქმიანობაში რისკზე ორიენტირებული მიდგომა გამოიყენოს, აუცილებელია მთელ ორგანიზაციაში და არა მის რომელიმე თუნდაც ძირითად დეპარტამენტში, არსებობდეს რისკის მართვის სისტემატიზირებული პროცესები, შესაბამისად შიდა აუდიტისათვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რისკის მართვის პრაქტიკის ფორმალიზაციის და დოკუმენტირების რა დონე შეიძლება ჩაითვალოს სიმწიფის იმ მინიმალურ სტადიად, როდესაც მას საშუალება ექნება გასწიოს მარწმუნებელი მომსახურება და შეაფასოს რისკის მართვის ადეკვატურობა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. გიორგი ცაავა, გიორგი ხანთაძე საბაკო საქმე- თბილის, 2014;
2. მოსიაშვილი ვ., ფინანსების საფუძვლები, თბილისი. 2018;
3. Griffiths, Ph., (2005), Risk-based Auditing, Gower publishing;
4. Moeller, Rt., (2009), Brink's modern internal auditing, Wiley publishing;
5. Moeller, R., (2011), COSO – Enterprise Risk Management, Wiley publishing;
6. Spencer, P., (2006), Audit Planning. A Risk-based Approach, Wiley publishing;
7. Spencer, P., (2005), Auditing of risk management process, Wiley publishing;

# განახლებადი, არატრადიციული ენერგორესურსების მენეჯმენტი და მათი ათვისების პროგრამის დამუშავება საქართველოში

# Renewable nontraditional energy resources management and development of the program of using energy resources in Georgia

**ქეთევან ვეზირიშვილი-ნოზაძე** - პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**ელენე ფანცხავა** - ასისტენტ პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**მაკა ჯიშკარიანი** - ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Qetevan Vezirishvili-Nozadze** - Doctor of Technical Sciences,
Proffesor of GTU
**Helen Pantskhava** - Academic doctor,
Assistant Professor of GTU
**Maka Jishkariani** - Academic Doctor,
Associate Professor of GTU

**რეზიუმე:** საბაზრო ეკონომიკის ფორმირების რთულ ეტაპზე გადასვლამ საქართველოში მოითხოვა რესურსების ენერგომენეჯმენტის ღრმად შესწავლის აუცილებლობა. თანამედროვე გარდამავალ პერიოდში ქვეყნის საერთო მდგომარეობა თვისობრივად შეიცვალა: მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული ენერგეტიკული დარგის რესტრუქტურიზაციის და ახალი ეკონომიკური ურთიერთობების საკანონმდებლო ბაზის სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობამ და ენერგოუსაფრთხოების გაძლიერების მიზნით ევროპულ სტრუქტურებთან დაახლოებამ განაპირობა სწორედ ენერგოეფექტურობის მენეჯმენტი თბოენერგეტიკაში.

ნაშრომში განახლებადი ენერგეტიკული რესურსები გაანალიზებული და შეფასებულია ტექნოლოგიების განვითარების დღევანდელი დონისა და პერსპექტივების გათვალისწინებით. ენერგეტიკაში არსებული მდგომარეობის და პერსპექტივების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია დარგის განვითარების ამოცანები და

მიზნები. შემოთავაზებულია განახლებადი ენერგეტიკის მიზანდასახული და გეგმა-ზომიერი განვითარების პროგრამის კონცეფცია.

ელექტროენერგეტიკის დარგის მდგრადი განვითარების ოპტიმალურ გზად, თანამედროვე ცივილიზაციამ აღიარა საკუთარი განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისება. სტენფორდის აკადემიის და ბერლინის მექანიკის ინსტიტუტის მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ 2050 წელს, მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა (მათ შორის საქართველო) ენერგიაზე მოთხოვნას დაიკმაყოფილებს ქარის, წყლის, მზის, ბიოგაზის საკუთარი ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** განახლებადი ენერგია, ენერგომენეჯმენტი, ენერგოეფექტურობა.

**Abstract:** Transition to the stage of formation of market economy in Georgia needs fundamental research of management of energy resources. Situation in the country has changed qualitatively: Important steps have been done towards restructuration of branch of energetics and development of legislation of new economic relations. Compliance with international standards and closer approach to European Union in order to improve Energetic Security of Georgia caused making focus on management of energetics' effectiveness.

Taking into consideration modern level and vision of future of development of technologies, renewable energy resources are analyzed and assessed in the article. On the basis of analysis of existing situation and future of energetics there are formulated goals and tasks of the branch development. In addition, the result oriented and reasonable concept of the plan of development of renewable energetics is recommended.

The world has announced use of country's own renewable energy resources as an optimal way of stable development of electric power. Scholars from Stanford Academy and Institute of Mechanics of Berlin think that in 2050 most of countries including Georgia will use their own potential of wind, water, solar energy and biogas to satisfy their needs of energy. Countries of European Union and other developed countries has developed their programs of using energy resources. Therefore, to develop Georgian energetics in line with modern tendencies, the primary goal for the country is management of local energy resources and development of reasonable program of their use.

**Key Words:** renewable energy, management energy, energetics' effectiveness

**შესავალი:** ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა მისი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის (სეკ) ბაზა. იგი განსაზღვრავს მეურნეობისა და მოსახლეობის სპეციალური პირობების მდგომარეობასა და განვითარებას. განვითარებული სეკ-ის ბაზის გარეშე შეუძლებელია საქართველოს სრული ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევა. თანამედროვე პირობებში სულ უფრო მწვავდება ბუნების დაცვისა და რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემა. ამ გლობალური პრობლემის გადაჭრის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სეკ-ის ეფექტური განვითარება. ყველა სახეობის სათბობსა და ენერგიაზე მზარდ მოთხოვნილებათა სტაბილური დაკმაყოფილება საჭიროებს სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის სტრუქტურის გაუმჯობესებას.

ცნობილია, რომ საქართველოს სეკ-ის თანამედროვე მდგომარეობა ხასიათდება სხვადასხვა სახის სათბობისა და ელექტროენერგიის მოხმარების არასაკმარისი ზრდით. ამასთან , სათბობის ადგილობრივი წარმოება აკმაყოფილებს რესპუბლიკის მოთხოვნათა 9-10%-ს. საჭირო სათბობის უმეტესი ნაწილი კი -14 მლნ.ტ პს შემოგვაქვს გარედან. შემოტანილი სათბობის მნიშვნელოვანი ნაწილია მაზუთი და გაზი, რომელთა ტრანსპორტირება ხდება რამდენიმე ათასი კმ-ის მანძილზე. ეს იწვევს ქვეყანაში მოხმარებული და პერსპექტივაში საჭირო სათბობის მიწოდების გართულებას და მეტისმეტად აძვირებს მას. ამიტომ ცხადია, რომ საქართველოს სეკ-ის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ენერგორესურსების ეკონომიის ღონისძიებათა შემუშავება და დანერგვა. საჭიროა სეკ-ის ოპტიმიზაცია. ეს ძალზე აქტუალურია, რადგან სეკ-ზე მიდის მთლიანი კაპიტალდაბანდებათა 33% და ყოველწლიური მთლიანი საექსპლუატაციო ხარჯების მეოთხედი.

**ძირითდი ტექსტი:** სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სამომავლო განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად განახლებადი ენერგეტიკული რესურსების (ჰიდრო, მზის, ქარის, ბიომასის) ათვისების აუცილებლობაა მიჩნეული. განახლებადი რესურსების ათვისება საშუალებას იძლევა რეგიონებში შეიქმნას დამატებითი ენერგეტიკული სიმძლავრეები, რომელიც უზრუნველყოფს

ენერგიაშემცველებზე მათი დამოკიდებულების შემცირებას და ენერეგეტიკულ უსაფრთხოებას.

ჰიდროენერგია მეტ-ნაკლები ზომით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გამოიყენება. ჰიდროენერგიის გამოყენების სიდიდით მსოფლიოს ათეულში შემავალი ქვეყნები წარმოდგენილია #1 ცხრილში. ჰიდროენერგიის გამოყენება, როგორც ამ ქვეყანაში, ისე მთელ მსოფლიოში განუხრელად უმჯობესდება. ამას ადასტურებს მსოფლიოს ჯამური მაჩვენებელიც: 2005-2017 წლებში მსოფლიოში ჰიდროელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა 2994 ტვტ.სთ-დან 3978 ტვტ.სთ-მდე, ანუ 32,8 %-ით.

ჰიდროენერგიის გამოყენება აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა

**ცხრილი №1.** ელექტროენერგიის წარმოება ჰიდროელექტროსადგურებში, მსოფლიოში 2017წ.

| № | ქვეყნის დასახელება | ელექტროენერგიის წარმოება, ტვტ.სთ | % ჯამთან |
|---|---|---|---|
| 1 | ჩინეთი | 1130 | 28,4 |
| 2 | კანადა | 381 | 9,6 |
| 3 | ბრაზილია | 360 | 9,0 |
| 4 | აშშ | 271 | 6,8 |
| 5 | რუსეთი | 170 | 4,3 |
| 6 | ნორვეგია | 139 | 3,5 |
| 7 | ინდოეთი | 138 | 3,5 |
| 8 | იაპონია | 91 | 2,3 |
| 9 | შვედეთი | 75 | 1,9 |
| 10 | ვენესუელა | 75 | 1,9 |
| | სხვა ქვეყნები | 1148 | 28,8 |
| | მსოფლიო, სულ | 3978 | 100,0 |

თითქმის ყველა ქვეყანაში. ზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩინეთში (2,8-ჯერ), ინდოეთში (38%-ით), ბრაზილიაში და ა. შ.

საქართველოში 2017 წელს სულ წარმოებული იქნა 11531,2 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია, სადაც 80% ჰიდროენერგიაზე მოდის. ამასთან მას ყოველწლიურად ზრდის ტენდენცია აქვს. ბოლო ჩვიდმეტი წლის განმავლობაში (2000-2017 წწ.) საქართველოში ჰიდროენერგიის გამომუშავება 512 ათ. ტ. პ. ს.-დან 726,9 ათ.ტ. პ. ს.-

მდე. ანუ 42%-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ეს მაჩვენებელი მსოფლიოს ზემოთ აღნიშნულ ათეულთან შედარებით მიზერულია - მსოფლიოს საშუალო დონესთან შედარებით 0.23%.

**ცხრილი №2** განახლებადი ენერგეტიკული რესურსების გამოვლენილი პოტენციალი საქართველოში

| განახლებადი ენერგეტიკული რესურსების გამოვლენილი პოტენციალი საქართველოში | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ენერგეტიკული რესურსის სახეობა | | კვლევის დონე | სიმძლავრე,მვტ. | წლიური გენერაცია, მლნ.კვტ.სთ | სიმძ-ის ეფექტობა, სთ/წელი |
| ჰიდრო | დიდი ჰესები(100 მვტ-ზე სიმძლავრის 10 პროექტი) | წინარე საინჟ. კვლევა | 2,603.00 | 9,075.00 | 3,486.36 |
| | | | | | |
| | საშუალო (43 საშ.სიმძ.ჰესი) | წინარე საინჟ. კვლევა | 1,889.00 | 9,629.00 | 5,097.41 |
| | მცირე (1251 მცირე სიმძლ. ჰესი) | თეორიული კვლევა | 3,729.00 | 19,471.00 | 5,221.51 |
| | **ჰიდრო მთლიანი** | | **8,221.00** | **38,175.00** | 4,643.60 |
| **ქარის** | | | **12,500.00** | **50,000.00** | 4,000.00 |
| **მზის** | | | **38,000.00** | **43,903.00** | 1,155.34 |
| **განახლებადი ენერგეტიკ.** | | | **58,721.00** | **132,078.00** | 2,249.25 |

საქართველოს ტერიტორიაზე დათვლილია 26060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 60 ათასი კმ-ია. საქართველოს მტკნარი წყლის საერთო მარაგი, რომელიც შედგება მყინვარების, ტბებისა და წყალსაცავების წყლის მარაგებისაგან, შეადგენს 96,5 კბვ-ს. მდინარეთა საერთო რაოდენობიდან ენერგეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა 300-მდე მდინარე, რომელთა წლიური ჯამური პოტენციური სიმძლავრე 15,550 მეგავატის ეკვივალენტურია, ხოლო საშუალო წლიური ენერგია-50 მლრდ კვტ. საათის ეკვივალენტური. თუმცა, სამწუხაროდ, დღესდღეობით ქვეყნის მთლიანი პოტენციალის დაახლოებით 20% არის ათვისებული, რაც 3000 მგვტ-ს შეადგენს. რა თქმა უნდა, ასეთი სტატისტიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არსებული რესურსების ათვისება, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა.

საქართველოს გააჩნია ქარის სოლიდური ენერგეტიკული პოტენციალი, რომლის გამოყენებით, ტექნოლოგიების განვითარების დღევანდელ ეტაპზე შესაძლებელია ათეულობით მილიარდი კვტ.სთ ელ-ენერგიის წარმოება ყოველწლიურად. ამასთან, ენერგიის მოდინების მაღალი ინტენსიობა რეგიონების უმეტეს ნაწილზე, სეზონურად ემთხვევა ჰიდრო და ჰელიო ენერგეტიკული რესურსების დეფიციტის სეზონს. შესაბამისად, ქარის ელექტრო სადგურები ოპტიმალურად შეავსებს ჰესების სეზონურ დეფიციტს.

ტექნიკურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მიზანშეწონილობის მხრივ, დადებითი მნიშვნელობით არის გამორჩეული იმერეთის მაღლობზე არსებული ქარის ენერგეტიკული პოტენციალი. მაღლობზე შესაძლებელია დამონტაჟდეს 150 ერთეული 4,5 მვტ. სიმძლავრის ქარის აგრეგატი და წლიურად გამომუშავდეს 2,3 მილიარდ კვტ.სთ-ზე მეტი ენერგია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ ენერგიის 70% გამომუშავებული იქნება შემოდგომა ზამთრის თვეებში. შესაბამისად, ეს ენერგია წარმატებით ჩაანაცვლებს იმპორტირებულ გაზზე გამომუშავებულ ელ-ენერგიას. კომპლექსური ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია, ენერგოსისტემაში ქარის სადგურების ჯამური 600-700 მვტ. სიმძლავრის ინტეგრაციის ტექნიკური შესაძლებლობა.

მზის ენერგეტიკული პოტენციალის კვლევის შედეგად დადგენილია:

- მზის ენერგიის გამოყენებით, საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში, შესაძლებელია აშენდეს მზის ელექტროსადგურები ჯამური სიმძლავრით 37 ათასი მვტ. წლიური 41 მილიარდი კვტ.სთ ელ-ენერგიის გამომუშავებით.[2]
- ელექტროენერგიის წარმოების გარდა, შესაძლებელია, რომ მზის ენერგიით ჩანაცვლდეს სითბოთი და ცხელი წყლით მომარაგებისათვის გამოყენებული ტრადიციული ენერგო მატარებლების 60%. კვლევების შედეგად გამოვლენილი მთლიანი განახლებადი ენერგეტიკული პოტენციალი, სახეობების მიხედვით არის წარმოდგენილი ქვემოთ #2 ცხრილში.[3]

ალტერნატიული ენერგიის წარმოება საქართველოში 2000-2017 წლებში გაიზარდა 3,1 ათ. ტ.პ.ს.-დან 21,2 ათ.ტ.პ.ს.-მდე, ანუ 6,8-ჯერ.ასეთ ზრდას ხელი შეუწყო ქარის ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შესვლამ, რომელმაც 2017 წელს თითქმის 100 მლნ კვტ.სთ გამოიმუშავა.[4] შედარებით მოკრძალებულია თერმული წყლების გამოყენება, მაშინ, როცა საქართველოს ამ მხრივ კარგი

**ნახ.#1** ელექტრო ენერგიის გენერაციის სტრუქტურა საქართველოში, 2017 წ.




პოტენციალი აქვს. 2017 წლის მონაცემებით, ალტერნატიული ენერგიის წარმოება (მზე, ქარი, გეოთერმული) საქართველოში წარმოებულ ჯამურ მაჩვენებლებთან შეადგენს 1,54%, განახლებადი ენერგიის მონაწილეობა კი (სადაც გათვალისწინებულია ჰიდროენერგიაც) მთლიან წარმოებულ ენერგიაში 59,85-ის ტოლია. თუ გაანგარიშებაში ჩავრთავთ ბიოსაწვავსა (შეშა) და ნარჩენებს, აღნიშნული მაჩვენებელი 88%-მდე გაიზრდება.

მსოფლიოში განახლებადი ენერგიის გამოყენება სწრაფად იზრდება. 2017 წელს მსოფლიო ენერგოწარმოებაში მზის, ქარის და თერმული წყლების მოპოვება-წარმოებამ 1,4% შეადგინა, ანუ 41 წლის განმავლობაში 14-ჯერ გაიზარდა. საკმაოდ სოლიდურია ამ მხრივ ბიოსაწვავის წილი-10,3%, თუმცა ეს მაჩვენებელი ამ პერიოდში 0,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა.[5]

ნახ.**#2** განახლებადი ენერგორესურსების წილი ელექტროენერგიის მსოფლიო წარმოებაში, 2017 წ.

ყოველწლიურად იზრდება განახლებადი ენერგიების წილი მსოფლიოში გამომუშავებულ ელექტროენერგიაში. ასე, თუ 2017 წლის ბოლოს განახლებად ენერგორესურსებზე მოდიოდა გამომუშავებული ელექტროენერგიის 23, 7%, 2018 წელს იგივე მაჩვენებელი იყო- 26,5% (ნახ.**#2**). [6]




მსოფლიოს 10 მოწინავე ქვეყნებს შორის, რომლებიც ელექტროენერგიას მზის ელექტროსადგურებში აწარმოებენ, არიან (2017 წლის მონაცემებით) ჩინეთი (მსოფლიო წარმოების 18,3%), გერმანია (15,7%), იაპონია (14, 5%), აშშ (13%), იტალია (9,3%), ესპანეთი (3,4%), გაერთიანებული სამეფო (3,1%), საფრანგეთი (2.9%), ავსტრალია (2,4%), ინდოეთი (2,3%).

2017 წელს სულ მსოფლიოში მზის ელექტროსადგურებში წარმოებული იქნა 247 ტვტ.სთ ელექტროენერგია. რაც შეეხება ქარის ელექტროსადგურებში წარმოებულ ჯამურ ენერგიას, იგი 838 ტვტ.სთ-ია.

**დასკვნები:** 1. საქართველოს განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ელექტრო-ენერგეტიკული ეკვივალენტი, ტექნოლოგიების განვითარების დღევანდელ ეტაპზე შეადგენს 130 მილიარდ კვტ. სთ-ზე მეტს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ქარის, მზის ენერგეტიკული რესურსი, რომლის ელექტრო-ენერგეტიკული ეკვივალენტი, სიმძლავრეების ზრდის კვალობაზე, მომავალში უფრო გაიზრდება. [7]

2. მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში, გენერაციის სექტორის ოპტიმალური განვითარება მიიღწევა მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰესების და ქარის სადგურების მშენებლობის გზით.

3. გენერაციის სექტორის გეგმა-ზომიერი განვითარების უზრუნველსაყოფად, საჭიროა, რომ ენერგეტიკის დარგის მართვის სტრუქტურაში, აღდგეს გენერაციის სექტორის მაკოორდინირებელი რგოლი, ტრადიციული ფუნქციებით და მოვალეობებით.

4. საკუთარი, მხოლოდ განახლებადი ენერეგტიკული რესურსების მიზანდასახული ათვისებით, შესაძლებელია ქვეყნის სრული ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევა.

სამომავლოდ, პერსპექტიულ პერიოდში გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

2019 წელს დადგენილია 5 მლრდლარამდე ღირებულების ,,სამხრეთ კავკასიური გაზსადენის გაფართოების პროექტის“ დასრულება. იგეგმება მილსადენის გამტარუნარიანობის ზრდა 16 მლრდ. კუბური მეტრით. მილსადენი წარმოადგენს ევროპის გაზის სამხრეთი კორიდორის ნაწილს და პროექტს ახორციელებს BP-ის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული საერთაშორისო კონსორციუმი.

2020 წლის ბოლოსათვის დაგეგმილია 230 მგვტ სიმძლავრის (წლიური გამომუშავება-1200გვტ) კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის გარდაბანი II პროექტის დასრულება. პროექტის ღირებულება 400 მლნ.ლარს აღემატება.

2020-2021 წლებში სახელმწიფო გარდაბნის მუნიციპალიტეტში განახორციელებს მთელი ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მეგა პროექტს-მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობას (250-280 მლნ. კუბური მეტრი სამუშაო მოცულობა), რომლის ღირებულება დაახლოებით 600 მლნ. ლარს შეადგენს. გარდა ამისა, გაფორმებული მემორანდუმების შესაბამისად, იგეგმება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. განსაკუთრებისთ მნიშვნელოვანია, ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოიჩინონ

კეთილგონიერება და მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაციის ფონზე საფუძველი ჩაუყარონ დიდი მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას.

რეფორმები, რომელიც ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკაში მათ შორის ჰიდროენერგეტიკაში ხორციელდება, მოწოდებულია უზრუნველყოს ქვეყნის საჭირო სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, აამაღლოს ცხოვრების დონე და კომფორტი, ახალი ტექნოლოგიების დანერგვით შეძლოს ტარიფების დონის შემცირება, თუმცა, ისიც ცნობილია, რომ ჰიდროენერგეტიკა მაღალი შრომატევადობითა და კაპიტალტევადობით ხასიათდება და მოითხოვს ინტენსიურ და უწყვეტ დაფინანსებას, რათა შეინარჩუნოს ფუნქციონირების უნარი და იმავდროულად მიაღწიოს პროგრესს მაკროეკონომიკური გარემოს მოთხოვნების შესაბამისად. დარგის განვითარება მოითხოვს მნიშვნელოვანი რაოდენობის დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას, ეს კი სხვა ობიექტური ფაქტორების (ეკოლოგია, სულ უფრო ძვირი ჰიდროენერგორესურსების ათვისების აუცილებლობა და სხვა.) ერთობლივი გავლენის შედეგად კიდევ უფრო ზრდის დარგის კაპიტალტევადობას. 2. [9]

,,საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის (2018-2028 წწ.) მიხედვით, საქრთველოში ნავარაუდებია 2029 წლისათვის თითქმის 29 მლრდ კვტ.სთ ჰიდროენერგიის გამომუშავება, (ანუ 2,7-ჯერ ზრდა 2018 წელთან შედარებით) რომელიც, ცხადია უზარმაზარ ინვესტიციებს საჭიროებს.1.[8] განახორციელებული ინვესტიციები, რა თქმა უნდა, აისახება ტარიფებში. სამომავლოდ ამ კუთხით, აუცილებელია, საჭირო ივესტიციების მატების ტემპი უფრო ნაკლები იყოს ელექტროენერგიის წარმოების ტემპზე. ასეთი თანაფარდობა კი უზრუნველყოფს ტარიფების სიდიდის შემცირებას და შესაბამისად, საბოლოო ჯამში ცხოვრების დონის ამაღლებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. (8) მარგველაშვილი მ.,,მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში“, 2015 წ. გვ.18.

2. (9) ჩომახიძე დ. საქართველოს ენერგეტიკა: ,,ეკონომიკა, რეგულირება, ტერმილოგია, სტატისტიკა“. გამომცემლობა ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2014 წ.

1. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., ფანცხავა ე., ,,საქართველოში არსებული ენერგორესურსების ათვისების პოტენციალური მიმართულებანი“, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, ქუთაისი, 2016 წ. გვ.108-110.

2. ჟორდანია ი., ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., მირიანაშვილი ნ., ,,მზის ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების პერსპექტივები კახეთის რეგიონში“. ჟურნალი ,,ენერგია“// #1(73),2017 წ. გვ.36-40.

3. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., ფანცხავა ე., ,,არატრადიციული, განახლებადი რესურსების ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის ალტერნატივა“, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული,ქუთაისი, 2016 წ. გვ.110-113.

4. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., მირიანაშვილი ნ., ,,არატრადიციული განახლებადი ენერგორესურსების ათვისების პერსპექტივები ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოს ზღვისპირეთში“ // სტუ-ის დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები-,, XXI საუკუნის მეცნიერება და ტექნიკის განვითარების ძირითადი პარადიგმები“. თბილისი. 19-21 სექტემბერი, 2012 წ. გვ. 157-159.

5. მირიანაშვილი ნ., ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., მეგრელიძე თ., ,, თბური ტუმბოს დანადგარების პროექტირების და პრაქტიკული გამოყენების 60-წლიანი გამოცდილება საქართველოში“ // სტუ-ის ელიაშვილის მსი-ს შრომათა კრებული. #18, 2014 წ. გვ.116-120

6. არაბიძე ნ., ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., ფანცხავა ე., ,,ბიომასა-ალტერნატიული გზა ენერგოეფექტურობისაკენ“. ჟურნალი ,, ენერგია“, #3(83) 2017 წ.

7. კონფერენციის მასალები: (განახლებადი ენერგეტიკის განვითარება საქართველოში). 7 მაისი, 2018 წ. სასტუმრო თბილისი მარიოტი.

# ეკონომიკური უსაფრთხოება

## Economic Security

**შორენა ცაავა** - სოცოალურ მეცნიერებათა დოქტორი
**Shorena Tsaava** – Doctor of Social Sciences

**რეზიუმე:** ეკონომიკური უსაფრთხოება ღონისძიებათა სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური სისტემის დამოუკიდებლობას, თვითმყოფადობას, მის განვითარებას, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას; სოციალურ-ეკონომიკური საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გამოვლენას, იდენტიფიცირებას, შეფასებას და პროგნოზირებას; საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის ნეიტრალიზაციას; სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკური პროექტების უსაფრთხოების ასპექტების შეფასებას და შესაბამისი უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავებას; საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ეროვნული უსაფრთხოების მიზნებთან და ამოცანებთან თავსებადობის უზრუნველყოფას; სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას და აშ.

ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის სტაბილური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ეკონომიკური ზრდა, მწარმოებლურობის მაღალი დონე, ეკონომიკურ მოთხოვნილებათა ეფექტიანი დაკმაყოფილება, სახელმწიფო კონტროლი ეროვნული რესურსების მოძრაობასა და გამოყენებაზე და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა საერთაშორისო დონეზე.

**Abstract:** Economic security is a system of measures to ensure the independence, identity and development of the country's national economic system, the protection of human rights and freedoms guaranteed by the Constitution of Georgia in the planning and implementation of national security policies; Identification, assessment and prediction of socio-economic threats, risks and challenges; Neutralization of economic and financial activities that threaten the state interests of Georgia; Assess the security aspects of the strategic importance of economic projects and develop appropriate security mechanisms;

Ensuring compliance with the national security objectives and objectives of foreign economic relations; Provision of food security and ect.

Economic security is a necessary precondition for the stable development of the country. Economic growth, high productivity, effective economic satisfaction, state control over the movement and use of national resources and the protection of the economic interests of the country at international level.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური უსაფრთხოება, სახელმწიფო კონტროლი.
**Key Words:** economic security, national economy, state control.

სოციალურ–ეკონომიკური უსაფრთხოების სფერო მოიცავს: ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას; სოციალურ-ეკონომიკური საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გამოვლენას, იდენტიფიცირებას, შეფასებას და პროგნოზირებას; საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის ნეიტრალიზაციას; სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკური პროექტების უსაფრთხოების ასპექტების შეფასებას და შესაბამისი უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავებას; საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ეროვნული უსაფრთხოების მიზნებთან და ამოცანებთან თავსებადობის უზრუნველყოფას; სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას და აშ.

ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის სტაბილური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ეკონომიკური ზრდა, მწარმოებლურობის მაღალი დონე, ეკონომიკურ მოთხოვნილებათა ეფექტიანი დაკმაყოფილება, სახელმწიფო კონტროლი ეროვნული რესურსების მოძრაობასა და გამოყენებაზე და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა საერთაშორისო დონეზე.

ეკონომიკური უსაფრთხოების ობიექტია როგორც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური სისტემა, ისე მისი შემადგენელი სექტორები და ელემენტები. ეკონომიკა თავის მხრივ არის საზოგადოების ეკონომიკური ბაზისი, საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა,

ქვეყნის ან მისი ნაწილის მეურნეობა, წარმოების დარგებისა და სახეობების ჩათვლით. თავისუფალი ეკონომიკა ემყარება შემდეგ პრინციპებს: თავისუფალ მეწარმეობას, წარმოების საშუალებებზე საკუთრების მრავალფეროვნებას, საბაზრო ფასწარმოქმნას, ბაზრის სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებს. ეკონომიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფს თავისუფალი ეკონომიკის განვითარებას, საქართველოში ბიზნესის წარმოება საკმაოდ მარტივი პროცედურაა, ამისთვის საჭიროა რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სტატისტიკის მონაცემებით წარმოდგენილია შემდეგი სურათი (იხ. ცხრილი N1, ცხრილი N2).

| ბიზნეს სუბიექტები | 2010 | 2017 |
|---|---|---|
| ინდივიდუალური მეწარმე | 34678 | 24259 |
| სოლიდარული პასუხისმგებლობის საწარმო | 17 | 15 |
| კოოპერატივი | 18 | 251 |
| შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო | 11213 | 25445 |
| სააქციო საზოგადოება | 27 | 106 |
| კომანდიტური საზოგადოება | 3 | 1 |
| უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი | 58 | 152 |
| არასამეწარმეო იურიდიული პირი | 989 | 1552 |
| უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი | 11 | 3 |
| საჯარო სამართლის იურიდიული პირი | 0 | 2 |
| მთლიანად | 47014 | 51786 |

**ცხრილი N1**

| უძრავი ქონების რეგისტრაცია | 2010 | 2017 |
|---|---|---|
| პირველადი რეგისტრაცია | 98215 | 258433 |
| არაპირველადი რეგისტრაცია | 274728 | 609343 |
| მთლიანად | 372943 | 867776 |

**ცხრილი N2**

აღნიშნული ინფორმაცია გვიჩვენებს რომ 2017 წელს 2010 წელთან შედარებით ქონების ბაზარზე ბაზრის სუბექტთა სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა 10 %-ით გაიზარდა, ხოლო, უძრავი ქონების რეგისტრაცია 2017 წელს 2010 წელთან შედარებით გაიზარდა 133 %-ით.

მსოფლიო ბანკის "Doing Business 2019 " რეიტინგში საქართველო მე-6 ადგილზეა, ბიზნესის დაწყება - გაუმჯობესდა 2 პოზიციით და მე-4 ადგილიდან მე-2 ადგილზე გადმოინაცვლა; ქონების რეგისტრაცია - საქართველო მე-4 ადგილზეა; აღსანიშნავია, რომ რეიტინგის მიხედვით 2019 წელსაც საქართველო ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში (24 ქვეყანას შორის) კვლავ ლიდერ პოზიციაზე იმყოფება. რეიტინგის მიხედვით, საქართველო ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში 10-დან 7 ინდიკატორში ტოპ სამეულში შედის. აქედან, საქართველო პირველ პოზიციაზე იმყოფება ბიზნესის დაწყების, ქონების რეგისტრაციის, გადასახადების გადახდის და კრედიტის მიღების ინდიკატორებში, მე-2 ადგილი უკავია მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვის და კონტრაქტების აღსრულების ინდიკატორებში (წყარო: www.mof.ge).

ეკონომიკური ფაქტორს წარმოადგენს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლის ხარისხობრივ ერთ-ერთ ინდიკატორს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის წილი მშპ–ში და მისი დინამიკა; საქართველოს სურსათის ექსპორტის იმპორტთან შესაბამისობის მაჩვენებელი და ა.შ.

ეროვნული ეკონომიკის ერთადერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, საქართველო ოდითგანვე იყო აგრარული ქვეყანა, საჭიროა ქვეყნის შიგნით ან/და მის საზღვრებს გარეთ მიგრაციის შეჩერება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტიმულირება, რაც ერთი მხრივ, შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტზე, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა კეთილდღეობისა და შემოსავლების ზრდას, ხელს შეუწყობს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას და სოციალურ სტაბილურობას. ამისთვის, უნდა განხორციელდეს გარკვეული დამცავი ღონისძიებები ეროვნულ პროდუქციასთან მიმართებაში. შესაძლებელია დაწესდეს საიმპორტო ქვოტები ან მაღალი ტარიფები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტზე.
მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც მოახდენდა სასოფლო-სამეურნეო წამროების სტიმულირებას, იქნებოდა წარმოებული პროდუქციის დაზღვევა. ნათესები ხშირად ნადგურდება გვალვის, სეტყვის თუ სხვა მიზეზთა გამო. სახელმწიფოს მიერ სადაზღვევო პრემიის გარკვეული ნაწილის დაფინანსების შემთხვევაში წახალისდება და ზარალის შიში აღარ ექნება ფერმერს, ასევე სადაზღვევო კომპანიებიც, ზარალის თავიდან ასაცილებლად, დახმარებას გაუწევენ და უზრუნველყოფენ თანამედროვე ტექნოლოგიებით მომარაგებას. სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2010 წლის მდგომარეობით შეადგენს 8,4 %-ს; ხოლო, 2017 წლის მდგომარეობით 8 %-ს (წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური ინფორმაცია, http://www.geostat.ge/).

ფორბს-ბლოგის მონაცემებით სოფლის მეურნეობის დარგში პროდუქციის გამოშვება, უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში, მთლიან შიდა პროდუქტში სეზონურად 7.8%-დან 10.3%-მდე მერყეობს. ასევე, აღსანიშნავია, 2005 წლის მდგომარეობით საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი წარმოდგენილი იყო 17% -ით.

ეკონომიკურ უსაფრთხოებას დიდწილად განაპირობებს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, შესაბამისად მნიშვნელოვანია

ეროვნულ წარმოება. სწორად უნდა განისაზღვროს ექპორტისა და იმპორტის ოდენობა, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით (http://www.geostat.ge) საქართველოს ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი) უცხო ქვეყნებიდან 2018 წლის მდგომარეობით შეადგენს 3,362,082.3 აშშ დოლარს. საქართველოს იმპორტი (ათასი აშშ დოლარი) უცხო ქვეყნებიდან 2018 წლის მდგომარეობით შეადგენს - 9,122,314.5 აშშ დოლარს. ამ ეტაპზე ძალიან დიდი სხვაობაა საქართველოდან ექსპორტირებულ და ქვეყანაში იმპორტირებულ პროდუქციის ღირებულებებს შორის.

ამასთან, თვით ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოგვიდგება რთული შინაგანი სტრუქტურის სახით, რომლის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს წარმოადგენს: ეკონომიკური დამოუკიდებლობა და მისი ლოგიკური შედეგი - პოლიტიკური დამოუკიდებლობა; ეროვნული ეკონომიკის როგორც ერთიანის, მთლიანის სტაბილურობა და ეფექტიანობა - მისი შედეგით - რეგიონების და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მძლავრი, თანაბარი განვითარება; თვითგანვითარებისა და პროგრესისადმი სწრაფვის უნარი, რაც საბოლოო ჯამში აისახება საზოგადოებრივი წარმოების რაოდენობრივად და ხარისხობრივად მუდმივად ზრდაში.
არსებობს უამრავი ფაქტორი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ქვეყნის ეკონომიკას. ეკონომიკურ უსაფრთხოებას შეიძლება საფრთხე შეუქმნას როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორებმა. შიდა ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ პოლიტიკური არასტაბილურობა, სუსტი სახელმწიფო მენეჯმენტი, კორუფცია, სტიქიური მოვლენები, კრიმინოგენული მდგომარეობა ქვეყანაში და ა.შ.

პოლიტიკური არასტაბილურობა ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნისთვის. მთავრობათა ხშირი ცვლა და რევოლუციები არამიმზიდველს ხდის ქვეყანას უცხოელი პარტნიორებისადმი, აფერხებს მის ინტეგრაციას საერთაშორისო სტრუქურებში, ქმნის ბარიერებს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებისათვის, ვერ ხდება გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავება, მუდმივად იცვლება ეკონომიკური პოლიტიკა და მისი ძირითადი პრიორიტეტები და

მიმართულებები, რაც, შესაბამისად, ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას.

პოლიტიკური სტაბილურობა ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. სუსტი სახელმწიფო მენეჯმენტის პირობებში შეუძლებელი იქნება წინსვლაზე ფიქრი. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის შექმნა და განხორციელება. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს ეროვნული ეკონომიკის ძირითადი პრიორიტეტები, ეროვნული მეურნეობის ის დარგები, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

ეკონომიკური უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს უსაფრთხოების მთლიან სისტემასთან. მისი ცალკე გამოყოფა შეუძლებელია. წარმოუდგენელია, ქვეყნის ძლიერი სამხედრო უსაფრთხოების არსებობა არაეფექტური და სუსტი ეკონომიკის პირობებში და პირიქით. ფუნქციური თვალსაზრისით ეკონომიკური უსაფრთხოება არის სახელმწიფოს ეროვნული ეკონომიკის უნარი უზრუნველყოს საზოგადოებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა შიდა და გარე საფრთხეების პირობებში, რესურსების ეფექტური გამოყენება და განაწილება, ასევე სახელმწიფოს ეროვნული პრიორიტეტების დაცვა და რეალიზება. სტრუქტურული თვალსაზრისით, ეკონომიკური უსაფრთხოება არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობას, სტაბილურობას და მუდმივი განახლების უნარს.

ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობა, ჩვენი შეფასებით, გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ეროვნული რესურსების მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებისადმი კონტროლის მექანიზმების არსებობას, ამ მექანიზმების ქმედითუნარიანობის მუდმივად შენარჩუნებას, საზოგადოებრივი წარმოების, მისი ეფექტიანობისა და ხარისხის ისეთი დონის მიღწევას და შემდგომ განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიო ბაზრებზე

პროდუქციისა და მომსახურების მაღალ კონკურენტუნარიანობას, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში თანაბართა შორის თანაბარ მონაწილეობას.
ეროვნული ეკონომიკის როგორც ერთიანის, მთლიანის სტაბილურობა და ეფექტიანობა გულისხმობს საკუთრების ყველა ფორმის დაცულობას, სამეურნეო საქმიანობისათვის ისეთი პირობებისა და გარანტიების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას, მეწარმეობრივი უნარის გამოვლენის მოტივაციური ფაქტორების გაძლიერებას, „ეკონომიკური თამაშის" ცივილური წესების დამკვიდრებას და შემოსავლების სამართლიან განაწილებას, რომელიც გამორიცხავს ეკონომიკის კრიმინალიზაციას, სოციალურ დაძაბულობას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს.
თვითგანვითარებისა და პროგრესისადმი სწრაფვის უნარის შენარჩუნება და მაღალ ხარისხში აყვანა საჭიროებს ინვესტიციურ-ინოვაციური პროცესების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, საწარმოო აპარატის მუდმივ განახლებას, მოდერნიზაციას, სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების პროფესიულ-საგანმანათლებლო და ზოგადკულტურული დონის ამაღლებას, მოსახლეობის ფართო ფენებში ეკონომიკური ცოდნის გავრცელებას („ერის ეკნომიკურ აღზრდას" - ფ. ლისტი) და სხვა.
ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ეკონომიკური დემოკრატიის განვითარება.

ძალაუფლების ხალხისადმი კუთვნილება, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ინდივიდები, სხვა ჩამოთვლილი სუბიექტები თანაბარი და თავისუფალი არიან თავიანთ მოქმედებაში, თვითონ განსაზღვრავენ საზოგადოებრივ მოწყობას, საზოგადოების განვითარების გზებს და საშუალებებს და თვითონვე განკარგავენ მათ ხელთ არსებული რესურსების გამოყენების ბედს.

დემოკრატია გულისხმობს პიროვნების პატივისცემას, ანუ ადამიანის შეხედულებებისა და მიდრეკილების აბსოლუტური სუვერენიტეტის აღიარებას, თავისუფლებას, ყოველმა ადამიანმა განავითაროს

მისთვის დამახასიათებელი თვისებები, მასში არსებული ნიჭი, გონებრივი და ფიზიკური უნარი.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ეკონომიკური დემოკრატია არის ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაბმული სუბიექტების სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების და მისი მართვის ორგანიზაციის ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც შეზღუდული რესურსების პირობებში მიიღწევა პიროვნების, კოლექტივის, მთელი საზოგადოების, სახელმწიფო და სამეურნეო ინსტიტუტების მიერ ეკონომიკური არჩევანის თავისუფლება, თუ ეს არჩევანი არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს და არ ემუქრება ქვეყნის უსაფრთხოებას. ამგვარად, ეროვნული უსაფრთხოების არსი შეიძლება განხილულ იქნას როგორც ეკონომიკისა და ხელისუფლების მალაუფლების ერთიანი სისტემა, რომლის ფარგლებშიც დაცულია ეროვნული ინტერესები შიდა და გარე საფრთხეების პირობებში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ნატროშვილი გიორგი. ეროვნული უსაფრთხოების მიზნები, ფაქტები და მაჩვენებლები // ახალი აზრი, №8 (14),– დეკემბერი;
2. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში (ზაურ თეთრუაშვილი, მაია–თეთრუაშვილი–ქარდავა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი-2006 წელი);
3. საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ (04/03/2015);
4. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სტატისტიკური ინფორმაცია (www.napr.gov.ge).
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მსოფლიო ბანკის "Doing Business 2019 " რეიტინგი (2018 წლის 31 ოქტომერი);
6. სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს და მსოფლიო ეკონომიკაში (13 თებერვალი, 2018, ნინო კვინტრაძე, http://forbes.ge/news/

# ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობა ჯანდაცვაში

## Effectiveness of the financial resource usage in health care system

**ხათუნა ბარბაქაძე** - ასოცირებული პროფესორი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**შორენა ჭელიძე** - მაგისტრანტი
სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“
**Khatuna Barbakadze** - Associate Professor
Tbilisi State University
**Shorena Chelidze** - Master Candidate
Teaching University "Geomedi"

**რეზიუმე:** ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარება მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობის კეთილდღეობისა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებისთვის. ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ფუნქციონირების ეკონომიკური და სოციალური შედეგები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ამ სფეროს მართვის ეფექტიანობით. ჯანმრთელობის დაცვის სექტორში განსახორციელებელი ღონისძიებების მიზანია მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. ამიტომ, ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის გატარების დროს, მის ამოქმედებამდე გათვალისწინებული უნდა იყოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, ასევე სოციალური და კულტურული წინააღმდეგობები. სახელმწიფოს მიერ უნივერსალური ჯანდაცვის მშენებლობა, რომლითაც ყველა ადამიანს ექნება საშუალება ისარგებლოს, საკმაოდ კარგი ნაბიჯია, თუმცა, საჭიროა თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელება სამედიცინო მომსახურების ხარისხის და მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით, რომელიც გააუმჯობესებს ჯანმრთელობის საერთო მაჩვენებლებს არსებული რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების მეშვეობით.

**Abstract:** Development of the health care system at the modern stage of development of the country is vital for the welfare of the population and for the development of the country's economic situation. The economic and social consequences of the functioning of the health care system is conditioned by the efficiency of this sphere. The aim of the activities to be implemented in the healthcare sector is to increase the life expectancy of the population and improve

the health condition. Therefore, during the implementation of health care reform, political and economic interests, as well as social and cultural contradictions should be taken into account before its enactment. Construction of universal healthcare system by the state, which will be available for everyone, is the step forward; however, it is necessary to implement consistent policy for improvement of medical care quality and financial access to medicine. Above mentioned will improve overall health indicators through effective use of existing resources.

**საკვანძო სიტყვები:** ჯანმრთელობის დაცვა, ფინანსური რესურსები, ეფექტიანი მართვა.
**Key Words:** Healthcare, Financial Resources, Effective Management.

**შესავალი:** საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემამ განვითარების რამოდენიმე ეტაპი გაიარა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შედეგად ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში დაირღვა ცენტრალიზებული სისტემები, შესაბამისად, ყველგან გაჩნდა სერიოზული პრობლემები მათ შორის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სფეროებში. ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარება მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობის კეთილდღეობისა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებისთვის. აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი და გამართული ფუნქციონირება. ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარება უშუალო კავშირშია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასთან. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ჯანმრთელობის დაცვის სექტორის ორგანიზაციული მოწყობის, მართვისა და დაფინანსების მეთოდები რამდენიმეჯერ შეიცვალა ხელისუფლების პოლიტიკის შესაბამისად.

**ძირითადი ტექსტი:** ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ფუნქციონირების ეკონომიკური და სოციალური შედეგები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ამ სფეროს მართვის ეფექტიანობით. ჯანმრთელობის დაცვის სფერო მუდმივად

განიცდის მმართველობითი ფაქტორის ზემოქმედებას, როგორიცაა: მოსახლეობის ჯანმრთელობის შესაბამისი დონის უზრუნველყოფა; სამედიცინო პროდუქციისა და მომსახურების მოთხოვნის შეცვლა; ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში; ინფლაცია და ა.შ.

ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ფასეულობა ადამიანის ჯანმრთელობაა. ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ნაკისრი ვალდებულებები, ჯანმრთელობის დაცვის მიზნები, ამოცანები, მოქმედების გეგმა და საქმიანობის პროცედურები. აღნიშნული მიმართულების სწორად წარმართვა საბოლოოდ მოგვცემს შედეგს და ეფექტიანობას [2, გვ. 79].

საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა აქტუალური საკითხია, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, ვინაიდან მისი მიზანი საქართველოს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ეფექტიანი და სტაბილური დაფინანსების უზრუნველყოფაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს ჯანმრთელობის დაცვის ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვა და გამოყენება. ფინანსური რესურსების მართვა გულისხმობს ჯანმრთელობის დაცვის ფინანსური რესურსების მართვას ჯანმრთელობის დაცვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა, რაც აისახა ჯანდაცვის სექტორისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ასიგნებების მოცულობის უპრეცედენტო გაზრდით. თუმცა, საქართველოს მაჩვენებლები კვლავ დაბალია ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის ეფექტიანობის საერთაშორისოდ აღიარებულ მონაცემებთან მიმართებით. 2015 წლის მონაცემებით, ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები მშპ-სთან მიმართებით 2.9% შეადგენდა (ევროპის რეგიონის საშუალო მაჩვენებელია 5.7%); ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ხვედრითი წილი სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებაში კი — 8.6%. კლების მიუხედავად, კვლავ მნიშვნელოვნად მაღალი რჩება მთლიან

დანახარჯებში ჯანდაცვაზე ჯიბიდან გადახდების (OOP) წილი (57,3%), რაც მძიმე ტვირთად აწვება შინამეურნეობებს. ჯანდაცვაზე ეროვნულ დანახარჯებში კრიტიკულად მაღალია ამბულატორულ მედიკამენტებზე გაწეული ხარჯების წილი (38%), რომელიც ძირითადად ჯიბიდან ფინანსდება. ჯერ კიდევ მწირია და არამდგრადი პრევენციული და პირველადი ჯანდაცვის სერვისებზე დანახარჯები (19%) ჰოსპიტალურ ხარჯებთან მიმართებით (31%).

საქართველოს მთავრობამ, ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების სისტემის ეფექტიანობის გაზრდისთვის მიზნად დაისახა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ჯანმრთელობის დაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ეტაპობრივი გაზრდა და ოპტიმიზაცია;

- ერთიანი სტანდარტიზებული პაკეტის შემოღება, რომელსაც სახელმწიფო სრულად დააფინანსებს დაბალშემოსავლიანი ჯგუფებისთვის, ნაწილობრივ დააფინანსებს საშუალოშემოსავლიანი ჯგუფებისათვის, ხოლო მაღალშემოსავლიან მოსახლეობას კერძო სადაზღვევო ინდუსტრია დაფარავს;

- ჰოსპიტალური და გადაუდებელი სერვისების (სტაციონარი) გლობალური ბიუჯეტის ანაზღაურებაზე გადასვლა, რომელიც გაანგარიშებული იქნება დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების (DRG) მეთოდის გამოყენებით;

- პრევენციული და პირველადი ჯანდაცვის სერვისების კაპიტაციური/ფიქსირებული დაფინანსებიდან შედეგზე ორიენტირებულ დაფინანსებაზე გადასვლა; გარდამავალ პერიოდში შესაძლებელია შერეული მექანიზმის გამოყენება;

- სახელმწიფოს მხრიდან ამბულატორიული მედიკამენტების დაფინანსება ქრონიკული ავადმყოფებისათვის (მოწყვლადი ჯგუფებიდან მოსახლეობის მოცვის ეტაპობრივი ზრდა);

- აქტიური შესყიდვისა და სელექციური კონტრაქტირების მექანიზმების დანერგვა და სრულყოფა;

• სახელმწიფოს მიერ გლობალური ფონდის გარდამავალი გეგმით ნაკისრი ვალდებულებების ფინანსური უზრუნველყოფა.

ჯანმრთელობის დაცვის სექტორში განსახორციელებელი ღონისძიებები მიზნად ისახავს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. საქართველოს მოსახლეობა უფრო მეტად იქნება დაცული ჯანდაცვაზე კატასტროფული დანახარჯების და გაღარიბების რისკებისაგან; გაუმჯობესდება ხელმისაწვდომობა ხარისხიან სამედიცინო მომსახურებასა და სამკურნალო საშუალებებზე; გაიზრდება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობა ადმინისტრირების გაუმჯობესებისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე მეტი ძალისხმევის მიმართვის გზით. აღნიშნული კი დადებითად აისახება ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის განვითარების, ეკონომიკური ზრდის და სიღარიბის მაჩვენებლებზე.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების ზრდა ყოველთვის არ იწვევს მის ეფექტიანობის ზრდას. თუმცა, აქვე, აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ზრდა არ არის ჯანდაცვის დაფინანსების პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა. სახელმწიფო დაფინანსების ზრდა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ ჯანდაცვის სისტემის მიერ ამოცანების უფრო ეფექტიანად მიღწევის, არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენების შემთხვევაში.

ამიტომ, ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის გატარების დროს, მის ამოქმედებამდე გათვალისწინებული უნდა იყოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, ასევე სოციალური და კულტურული წინააღმდეგობები. ჯანდაცვის ბევრი სისტემა და მათ შორის ქართულიც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, ვინაიდან ხშირად ვერ ხერხდება დანახარჯების შემცირება [3, გვ. 23]. დანახარჯები უმეტესად მოდის მიმწოდებლებზე, ეს არის მკურნალობის ახალი მეთოდები, ტექნოლოგიები და ადამიანების მოლოდინი, რომ ჯანდაცვის რისკებისგან დაცვა და მაღალი ხარისხის ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ, მაგრამ ეს არ

გამორიხცავს იმ ფაქტს, რომ რესურსების ეფექტიანი განაწილება ზოგავს დანახარჯებს.

სახელმწიფოს მიერ უნივერსალური ჯანდაცვის მშენებლობა, რომლითაც ყველა ადამიანს ექნება საშუალება ისარგებლოს, საკმაოდ კარგი ნაბიჯია, თუმცა, საჭიროა თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელება დაფინანსების ხარჯთეფექტური მეთოდების, სამედიცინო მომსახურების ხარისხის და მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით, რომელიც გააუმჯობესებს ჯანმრთელობის საერთო მაჩვენებლებს არსებული რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების მეშვეობით.

**დასკვნები:** ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარება მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობის კეთილდღეობისა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებისთვის. აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი და გამართული ფუნქციონირება, რომელიც უშუალო კავშირშია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასთან. ჯანმრთელობის დაცვის სექტორში განსახორციელებელი ღონისძიებები მიზნად ისახავს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. საქართველოს მოსახლეობა უფრო მეტად იქნება დაცული ჯანდაცვაზე დანახარჯებისა და გაღარიბების რისკებისაგან; გაუმჯობესდება ხელმისაწვდომობა ხარისხიან სამედიცინო მომსახურებასა და სამკურნალო საშუალებებზე; გაიზრდება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობა ადმინისტრირების გაუმჯობესებისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე მეტი ძალისხმევის მიმართვის გზით. აღნიშნული კი დადებითად აისახება ჯანმრთელობის საერთო მაჩვენებლებზე არსებული რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების მეშვეობით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ვერულავა თ., ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა, თბილისი 2009.

2. მოწონელიძე ე., „სამედიცინო მომსახურების, დაფინანსებისა და მართვის თავისებურებები“. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა: XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“. №3, 2015 წ.
3. Koblianidze T., Kochlamazashvili L., Chakhunashvili T., “Healthcare System and Problems of Medical Personnel in Georgia” “Ovidius” University Annals, Economic Sciences Series Volume XVIII, Issue №1. 2018
4. ჯადუგიშვილი შ. ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება საქართველოში, http://www.insurance.org.ge/admin/editor/uploads/files/shorena%20jadugishvili.pdf გადამოწმებულ იქნა: 30.01.2019
5. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020. http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf გადამოწმებულ იქნა: 28.01.2019
6. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების გეგმა 2030 წლისთვის http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/81367/Health_Strategy_geo?fbclid=IwAR1PtBAgcl0MyvV4uhdlXabb1lbahXMhkYS7et-2P4C8sHN9ONh3fcHyCDc გადამოწმებულ იქნა: 25.01.2019
7. ვერულავა თ., „ჯანდაცვის დანახარჯები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებით და საქართველოს ჯანდაცვის დაფინანსება“ https://idfi.ge/ge/health-care-expenditure-who-recommendations-georgia გადამოწმებულ იქნა: 29.01.2019.

# ლოგიკური მეთოდების ადგილი ბიზნესის კვლევის მეთოდთა სისტემაში

# The place of logical methods in the method of business research methods

**მერაბ ვანიშვილი** - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**ვალერი მოსიაშვილი** - ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

**Merab Vanishvili** – PhD of Economics. Professor,
Georgian Technical University
**Valeri Mosiashvili** - PhD of Economics. Professor,
Georgian National University

**რეზიუმე.** კვლევითი პროექტის ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს ფართო თვალსაწიერს და სამეცნიერო კვლევის მეთოდების ღრმა ცოდნას. ამ შემთხვევაში კვლევის ლოგიკა, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღმოვფხვრათ სუბიექტივიზმი არაფორმალური მეთოდების გამოყენებისას, დავაბალანსოთ თეორიული და ემპირიული მეთოდების გამოყენება და განვახორციელოთ მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია, მეცნიერული შემეცნების პირველი რიგის ამოცანაა.

ლოგიკური მეთოდების ჯგუფს ქმნიან მეთოდები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ლოგიკური დასკვნების, წესებისა და გამოცდილების საფუძველზე მივაღწიოთ პრობლემის გადაჭრას და მივიღოთ მეცნიერული შედეგები. იგი, უწინარეს ყოვლისა, მოიცავს შემეცნების ისეთ მეთოდებს, როგორიცაა კლასიფიკაცია, ტიპოლოგიზაცია, განზოგადება, ანალიზი და სინთეზი, შედარება და შეფარდება, დედუქცია და ინდუქცია, ფორმალიზაციისა და მათემატიზაციის მეთოდი, ლოგიკური ინტერპრეტაციის მეთოდი, ანალოგიის მეთოდი, მტკიცებულების მეთოდი, ლოგიკური დასაბუთებისა და სხვა მეთოდები.

წინამდებარე სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, განხილული იქნება ლოგიკური მეთოდების ადგილი და როლი ბიზნესის კვლევის მეთოდთა სისტემაში. გამოყენებული მეთოდოლოგიის თანახმად, ცალ-ცალკე გაანალიზ-დება ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მეთოდის (კლასიფიკაციისა და ტიპო-

ლოგიზაციის, ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, ანალოგიისა და შედარების ) როლი ბიზნესის კვლევებში.

**საკვანძო სიტყვები:** კლასიფიკაცია, ტიპოლოგიზაცია, ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია, დედუქცია, ანალოგია, შედარება.

**Abstract.** Effective implementation of the research project requires a wide range of knowledge and deep knowledge of scientific research methods. In this case the research logic that allows us to eliminate subjectiveism while using informal methods can balance the theoretical and empirical methods and implement the results of interpretation, the first task of scientific cognition.

The logical method group creates methods that allow us to solve the problem and get scientific results based on logical conclusions, rules and experiences. It consists primarily from the methods of classification such as classification, typology, generalization, analysis and synthesis, comparison and implications, deduction and induction, method of formalization and mathematization, logical interpretation method, method of analogy, proof of evidence, logical reasoning and other methods.

In the present article, based on the latest literary sources, the logical and the role of logical methods will be discussed in the system of business research methods. According to the methodology used, the individual analyzes the role of some of the most important methods (classification and type-logology, analysis and synthesis, induction, and analogy, analogy and comparison) in business studies.

**Keywords:** classification, typology, analysis, synthesis, induction, deduction, analogy, comparison.

**შესავალი:** კვლევითი პროექტის ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს ფართო თვალსაწიერს და სამეცნიერო კვლევის მეთოდების ღრმა ცოდნას. ამ შემთხვევაში კვლევის ლოგიკა, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღმოვფხვრათ სუბიექტივიზმი არაფორმალური მეთოდების გამოყენებისას, დავაბალანსოთ თეორიული და ემპირიული მეთოდების გამოყენება და განვახორციელოთ მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია, მეცნიერული შემეცნების პირველი რიგის ამოცანაა.

სამეცნიერო კვლევის ლოგიკური მეთოდების კლასიფიკაციას ხშირად ახდენენ იმის თანახმად, თუ დასაბუთების როგორი სისტემა (თვისებრივი თუ რაოდენობრივი) გამოიყენება პრობლემის განხილვისას. ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს მეთოდები დავყოთ რაოდენობრივად და თვისებრივად.

კვლევის რაოდენობრივი მეთოდები ეფუძნება გაზომვადი სიდიდეების გამოყენებას და განაპირობებს გაზომვის ოპერაციების (პროცედურების) შესრულებას. თვისებრივი მეთოდები გაზომვის ოპერაციებს ფაქტობრივად არ იყენებს და კონცენტრირებულია საკვლევი ბიზნეს-ობიექტის სიტყვიერ აღწერაზე, მისი თვისებების ინტერპრეტაციასა და ახსნაზე, რომლის შედეგადაც მიიღწევა ძირითადი მიზანი - ობიექტის საკვლევი თვისებების (ხარისხის) არსის გაგება და ინტერპრეტაცია.

წინამდებარე სტატიაში მიღებული კლასიფიკაციის თანახმად, ზემოაღნიშნული მეთოდები გამოყენების სფეროს მიხედვით წარმოადგენს ზოგადს და მიეკუთვნება შემეცნების როგორც ემპირიულ, ისე თეორიულ მეთოდებს. ლოგიკური მეთოდების გამოყენების ერთ-ერთ მახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს სუბიექტივიზმი, მაგრამ მისი გავლენა თანდათან მცირდება კვლევის ტექნიკის განვითარების კვალობაზე, რაც ამ მეთოდებს ხდის მეტად მნიშვნელოვანს ახალი ჭეშმარიტების გაგების პროცესში.

**ძირითადი ტექსტი:** ლოგიკური მეთოდების ჯგუფს ქმნიან მეთოდები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ლოგიკური დასკვნების, წესებისა და გამოცდილების საფუძველზე მივაღწიოთ პრობლემის გადაჭრას და მივიღოთ მეცნიერული შედეგები. იგი, უწინარეს ყოვლისა, მოიცავს შემეცნების ისეთ მეთოდებს, როგორიცაა კლასიფიკაცია, ტიპოლოგიზაცია, განზოგადება, ანალიზი და სინთეზი, შედარება და შეფარდება, დედუქცია და ინდუქცია, ფორმალიზაციისა და მათემატიზაციის მეთოდი, ლოგიკური ინტერპრეტაციის მეთოდი, ანალოგიის მეთოდი, მტკიცებულების მეთოდი, ლოგიკური დასაბუთებისა და სხვა მეთოდები. განვიხილოთ მათგან ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.

*კლასიფიკაციისა და ტიპოლოგიზაციის მეთოდები:* კლასფიკაციას უწოდებენ ობიექტთა სიმრავლიდან კლასების

გამოყოფის მეთოდს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ელემენტთა სიმრავლიდან თითოეული მივაკუთნოთ ერთ-ერთ გამოყოფილ კლასს. კლასიფიკაციის მეთოდი შესაძლებლობას გვაძლევს გამოვავლინოთ კვლევის ობიექტების მრავალფეროვნება, თვისებები, კავშირები და დამოკიდებულებები, საერთო და სპეციფიკური ნიშნები, ჩავწვდეთ მათ არსს. ამ მიზნით კლასიფიკაცია ხორციელდება ობიექტის გარკვეული ნიშნის ან თვისების შესაბამისად, რომელსაც ეწოდება საკლასიფიკაციო ნიშანი ან კლასიფიკაციის საფუძველი.

არსებობს კორექტული და ეფექტური კლასიფიკაციის რიგი პრინციპები, რომელთა გათვალიწინების გარეშე კვლევითი სამუშაო ვერ იქნება წარმატებული. უპირველეს ყოვლისა, დაცული უნდა იქნეს *კრიტერიუმების ერთიანობის პრინციპი* ერთი რიგის კლასების გამოყოფისათვის და კრიტერიუმები არ უნდა იცვლებოდეს კლასიფიკაციის პროცესში. მაგალითად, არ უნდა მივუთითოთ, რომ კვლევაში გამოიყენება ემპირიული და ლოგიკური მეთოდები, რამდენადაც პირველი ასახავს მეთოდების კუთვნილებას კლასზე „შემეცნების დონის“, ხოლო მეორე - „ლოგიკის გამოყენების ხარისხის“ კრიტერიუმის მიხედვით.

*თანაზომვადობის პრინციპი* წარმოადგენს კლასიფიკაციის მეთოდის გამოყენების კორექტულობის შემდეგ პრინციპს, რომელიც ნიშნავს, რომ თითოეული ობიექტი კლასიფიკაციას დაქვემდებარებულ სხვათა სიმრავლიდან უნდა შევიდეს ერთ-ერთ ჩამოყალიბებულ კლასში. ამ წესის დარღვევას მივყავართ კვლევის ობიექტის შესახებ წარმოდგენის დამახინჯებასთან. ცხადია, რომ კორექტული კლასიფიკაცია არ უშვებს საკლასიფიკაციო ობიექტის მიკუთვნებას ერთდროულად რამდენიმე კლასზე, როგორც ეს ხშირად ხდება საკლასიფიკაციო ნიშნების შერევისას.

საკლასიფიკაციო ნიშანი შესაძლებელია იყოს როგორც მარტივი, ისე რთული და მოიცავდეს საკვლევი ობიექტის რამოდენიმე პარამეტრს.

კლასიფიკაციის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს ტიპოლოგიზაცია. ტიპოლოგი-ზაციის განსხვავება კლასიფიკაციისაგან მდგომარეობს იმაში, რომ ტიპოლოგიზაცია უშვებს ისეთ მოვლენების არსებობას, რომლებიც არ შეესატყვისება

არცერთ გამოყოფილ კრიტერიუმს. ტიპოლოგიზაცია აღემატება კლასიფიკაციას თავისი უნივერსალურობით და წარმოადგენს ნებისმიერი სისტემატიზაციის საწყის ოპერაციას.

*ანალიზი და ანალიზური მეთოდი ბიზნესის კვლევებში:*

„ანალიზის“ ცნებას, როგორც მინიმუმ, განიხილავენ სამი ძირითადი ასპექტით: (1) როგორც სინთეზის საწინააღმდეგო მეთოდს, რომლის მიზანია მთელის დაშლა და მისი დანაწევრება ნაწილებად; (2) როგორც გაანგარიშების მათემატიკური მეთოდების დამუ-შავებას და მათ გამოყენებას მათემატიკური სიდიდეების შესახებ სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტად, ვიწრო გაგებით, დიფერენციალური და ინტეგრალური გამოთვლების განსახორციელებლად; (3) როგორც მეცნიერულ კვლევას, ანუ რაიმეს შესწავლას.

ბიზნესის კვლევისას შეიძლება მხოლოდ მისი ერთი მნიშვნელობით შემოვიფარ-გლოთ - ანალიზი, როგორც სინთეზის საწინააღმდეგო მეთოდი, რომელიც ნიშნავს მთლი-ანის აზრობრივად (ან რეალურად) დაშლასა და დანაწევრებას. ადამიანი, მართალია, თავდაპირველად ცდილობს ზებუნებრივი გარემო და სოციალური რეალობა აღიქვას როგორც ერთობლივი მთლიანობა იმისათვის, რომ ეს რეალობა გამოიკვლიოს ფუნდა-მენტურად, მაგრამ ასეთი აღქმა იქნება ძალიან ზედაპირული. მთელის შეცნობას უფრო ხშირად წინ უძღვის მისი ნაწილების შეცნობა, ანუ მთლიანის დაშლა-დანაწევრება ცალკეულ ნაწილებად და მათი შესწავლა.

ანალიზი, როგორც ნაწილებად დაშლა მჭიდრო კავშირშია სხვა მნიშვნელოვან მეთოდებთან, მაგალითად - აბსტრაგირებასთან. *აბსტრაგირების* ქვეშ იგულისხმება საგნის მეორეხარისხოვანი ნიშნებისა და თვისებებისაგან აზრობრივი განყენება მისი არსებითი თვისებების გამოყოფისა და შესწავლის მიზნით. აბსტრაგირების პროცესის შედეგია – აბსტრაქცია.

ანალიზი და აბსტრაგირება მთლიანობაში ასრულებენ მსგავს შემეცნებით ფუნქციებს: ორივე მეთოდი მიმართულია კვლევის ობიექტში არსებითი და მნიშვნელოვანის გამოყოფისაკენ. ამასთან, ანალიზი, განსხვავებით აბსტრაგირებისაგან, იკვლევს არსებით და მნიშვნელოვან თვისებებს სხვა თვისებებთან ერთად და, საბოლოო ანგარიშში, აკეთებს სინთეზს. აბსტრაგირება, მართალია, ასრულებს

მნიშვნელოვან გნოსეოლოგიურ ფუნქციას არსებითის გამოყოფაში, მაგრამ ამის იქით არ მიდის.

ანალიზის ერთ-ერთ მიზნად გვევლინება კერძოსა და ზოგადს შორის კავშირების აღმოჩენა და ზოგადში კერძოს მიზეზების დადგენა. „კვლევის საგნის (მოქმედება, მიზეზები და ა.შ.) ცალკეულ ნაწილებად დანაწევრებისა და მათი გამოკვლევის გზით ანალიზი აღმოაჩენს მათ შორის საერთოსა და განსხვავებებს, საკვლევ მიზეზებს, სინთეზი კი აკავშირებს მოცემულ მიზეზებს ამა თუ იმ მოქმედებასთან“ [4, გვ. 37].

ანალიზის მეთოდი მკაცრ მოთხოვნებს უყენებს მკვლევარის ენას: ის მოითხოვს ცნების დაზუსტებას და კონკრეტიზაციას, კვლევის კატეგორიალურ აპარატში განუსაზღვრელობის აღმოფხვრას.

დაბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ: „ანალიზი, იძლევა რა საგნის ცალკეული მხარეების შესწავლის შესაძლებლობას, არღვევს მის მთლიანობას და მივყავართ ცალკეულ აბსტრაქციამდე. ამიტომ, მხოლოდ მას არ შეუძლია მოგვცეს სინამდვილის თანამედროვე სურათი. აზრობრივად ვანაწევრებთ რა საგანს შემადგენელ ნაწილებად, მიღებული ცალკეული აბსტრაქციები, ცნებები ჩვენ უნდა გავაერთიანოთ, აღვადგინოთ მოვლენის ერთიანობა, შევქმნათ მთლიანი სურათი. ამიტომ, მთლიანის დაშლა ნაწილებად და ამ ნაწილების შესწავლა (ანალიზი) უნდა შეივსოს მისი საპირისპიროთი - სინთეზით. სინთეზი - ეს აზრობრივი (რეალური) შეერთებაა მოვლენის ნაწილებისა, მისი შეცნობაა როგორც მთელისა“ [7, გვ. 221-222].

*სინთეზი და სინთეზური მეთოდი ბიზნესის კვლევებში:*

„სინთეზის“ ცნებაც ასევე მრავალმნიშვნელოვანია, მაგრამ ბიზნესის კვლევისას შეიძლება მხოლოდ მისი ერთი მნიშვნელობით შემოვიფარგლოთ - სინთეზი, როგორც ანალიზის საწინააღმდეგო მეთოდი; იგი ნიშნავს წინათ გამოცალკავებული თვისებების, ნაწილების, ურთიერთობების და ა.შ. ერთ მთელად გაერთიანების პროცესს.

თუ ანალიზი შლის ნაწილებად, სინთეზი, პირიქით, ნაწილებს აერთიანებს ერთ მთლიანობად, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ასინთეზირებს მათ. წინათ დანაწევრებული ნაწილები

წარმოგვიდგებიან ახალი თვალსაზრისით, ახალი ასპექტით, ან ახალ ჭრილში. სინთეზს, განსხვავებით ანალიზისაგან, აქვს უნარი მოიცვას კვლევის საგანი მთლიანობაში და გამოავლინოს მისი წინააღმდეგობანი (თუ ასეთს აქვს ადგილი). მართალია, მეცნიერების ისტორიაში ანალიზი, როგორც წესი, წინ უსწრებს სინთეზს, თუმცა არის შემთხვევები, როცა გლობალური სინთეზური თეორიები იქმნება მანამ, სანამ მიღწეული იქნება მთელის ნაწილების ღრმა ანალიზური შეცნობა.

ყოველივე ზემოაღნიშნული შეიძლება გავრცელებულ იქნას ბიზნესის სფეროზეც. სინთეზი, როგორც ბიზნესის კვლევის მეთოდი ბიზნეს-საქმიანობის მონაცემების სახით არსებული კვლევის მასალების წინათ დანაწევრებულ ფრაგმენტებს აერთიანებს მთელ-ში; ის ასინთეზირებს ახალ ცნებებს, პრინციპებს, კონცეფციებს და სინთეზური მსჯელობების დახმარებით ახორციელებს გადასვლას ბიზნესის ახალ ცოდნაზე. სინთეზური მეთოდი, იყენებს რა სინთეზურ მსჯელობებს, საშუალებას იძლევა საბაზო პრინციპებიდან გამოვიყვანოთ ბიზნესის ახალი ცოდნა[9].

---

[9] საიტის - http://ecouniver.com/1070-analiz-isintez.html - მასალებში ანალიზისა და სინთეზის გამოყენების დემონსტრირებისათვის განიხილება შემდეგი მაგალითი. საქონელთა სამყაროში პური, ღვინო, კოსტიუმი, ფეხსაცმელი და სხვა საქონელი ჩვენ გვაინტერესებს როგორც ობიექტები იმის ასახსნელად, თუ რა უდევს საფუძვლად მათ გაცვლას. ანალიზის გზით, ე.ი. ყოველი კონკრეტული დოვლათის შემადგენელ ნაწილებად დანაწევრების მეშვეობით შესაძლებელია აიხსნას შემდეგი. პირველი მხარე - ყველა დოვლათი შეიძინება იმიტომ, რომ მათ გააჩნიათ ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილების უნარი. შედეგად - ვღებულობთ კატეგორიას - სახმარი ღირებულება, რომელიც წარმოადგენს საქონლის თვისებას დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნილება. ამრიგად, შესაძლოა გავაკეთოთ პირველი დასკვნა იმის თაობაზე, რომ ყოველი საქონელი ფლობს სარგებლიანობას, ანუ სახმარ ღირებულებას. თუ განვიხილავთ საცვლელ პროპორციებს გაცვლის პროცესში, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ექვსი პური იცვლება ღვინის ერთ ბოთლზე, ერთ კოსტიუმზე, ორ წყვილ ფეხსაცმელზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ყველა საქონელი ფლობს საცვლელ ღირებულებას, ანუ გარკვეული პროპორციით ურთიერთშორის გაცვლის უნარს. ამდენად, ანალიზის დონეზე

*ინდუქციური და დედუქციური მეთოდები ბიზნესის კვლევებში:*

ინდუქცია როგორც შემეცნების მეთოდი მეცნიერების არსენალში დამკვიდრდა მე-16 საუკუნეში და ამიერიდან პრაქტიკულად ყველა საბუნებისმეტყველო ცოდნა შეიძლება ჩაითვალოს როგორც „ინდუქციური“, რადგან ინდუქციის მეთოდის გარეშე ვერ მივიღე-ბდით საბუნებისმეტყველო მეცნიერების ვერცერთ მცირე თუ მნიშვნელოვან დასკვნას.

*ინდუქცია* - ეს არის აზროვნება, რომელშიც ხორციელდება კერძო ფაქტებიდან და დებულებებიდან ზოგად დასკვნებსა და განზოგადებებზე გადასვლა; ესაა მსჯელობა კერძოდან ზოგადისაკენ, საერთო პრინციპების გამოყვანა კერძო წესებიდან.

მეცნიერულ შემეცნებაში ინდუქცია ასრულებს ოთხ ძირითად შემეცნებით ფუნქციას: 1. ემსახურება როგორც ემპირიული, ისე თეორიული ცნებების ჩამოყალიბებას; 2. გამოდის ჰიპოთეზის ჩამოყალიბებისა და მეცნიერული თეორიების შექმნის მეთოდად; 3. გვევლინება სხვადასხვა კლასიფიკაციის აგების წესად; 4. გამოდის ემპირიული კანონების განმტკიცების (ვერიფიკაციის) მეთოდად.

ინდუქცია შემეცნების მეტად პროდუქტიული მეთოდია, განსაკუთრებით კვლევის პირველ სტადიაზე, როცა ხდება ემპირიული მონაცემების განზოგადება, მათი კლასიფიკაცია და ტიპოლოგია. შემდგომში ინდუქციური აზროვნების პროდუქტიულობა განისაზღვრება მისი დედუქციური აზროვნებით

---

გამოვლენილია ორი კატეგორია: სარგებლიანობა (სახმარი ღირებულება) და საცვლელი ღირებულება. ახლა აუცილებელია მოცემული საქონელი მივიღოთ არა როგორც ცალკეულ თვისებებად დანაწევრებული, არამედ როგორც ერთიანი მთლიანი. სწორედ ამ ფუნქციას ასრულებს სინთეზი, ადგენს რა ურთიერთკავშირს სარგებლიანობასა და საცვლელ ღირებულებას შორის. ეს ურთიერთკავშირი გამოიხატება სხვა კატეგორიებში, კერძოდ, ფასეულობასა და ღირებულებაში, რომლებიც ასახავენ დოვლათის სარგებლიანობას და მის საცვლელ ღირებულებას. კატეგორია „ფასეულობა“ მოწმობს საზოგადოებისათვის დოვლათის აუცილებლობასა და სარგებლიანობაზე, ხოლო „ღირებულება“ - საზოგადოების მიერ სხვა დოვლათის ან ფულის მიმართ მის შეფასებაზე.

გამაგრების შესამლებლობაში, ასევე მკვლევარის უნარით ნაყოფიერად შეუხამოს ერთმანეთს შემეცნების ინდუქციური და დედუქციური გზები. აქაც, ასევე ინდუქცია რჩება მეთოდად, რომელსაც აქვს უნარი გაასწოროს შეცდომები და გააკორექტიროს აზრის კვლევის მოძრაობა ჭეშმარიტებისაკენ.

ჭეშმარიტი გარანტია ინდუქციის კანონიერებისა მდგომარეობს იმაში, რომ ის გვევლინება დასკვნის მიღების მეთოდად, რომლებიც, თუ ხანგრძლივად დავეყრდნობით, გრანატირებულად გაასწორებენ მომავალი გამოცდილების ნებისმიერ შეცდომას, რომელზეც მას შეუძლია დროებით მიგვიყვანოს [4, გვ. 160-161].

არსებობს ინდუქციური აზროვნების რამდენიმე ძირითადი სახე. მაგალითად, ობიექტების მომცველობის კლასის მიხედვით: სრული და არასრული ინდუქცია. სრული ინდუქცია ჩამოთვლის ყველა ობიექტს, და თუ რომელიმე დასკვნა სწორია მოცემული კლასის ყოველი ცალკეული საგნის მიმართ, მაშინ ის სწორი იქნება მოცემული კლასის ყველა საგნისათვის. მაგრამ უფრო ხშირად, სრული ინდუქციისაგან განსხვავებით, გვხდება არასრული ინდუქცია – როცა ჩვენ ვერ შევძლებთ მოვიცვათ მოცემული კლასის ყველა საგანი და იძულებული ვართ გავაკეთოთ დასკვნა მისი არასრული ჩამონათვალის საფუძველზე. მიდგომა, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობს მცდელობა დადგინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი გამოსათვლელ ნიშნებსა და თვით საგნების ხარისხს შორის, წარმოგვიდგება როგორც მეცნიერული ინდუქცია.

ინდუქცია შეიძლება იყოს პრობლემური (ფუნქციონალური) და კაუზალური (მიზნობრივი), ენუმერატიული (დასახელებითი) და ელიმინატიური (სტატისტიკური), ექსპერიმენტალური და მათემატიკური და ა.შ. ინდუქციის ყველა ამ სახემ ფართო გამოყენება ჰპოვა ბიზნესის ანალიზში: მაგალითად, მათემატიკურ ინდუქციას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა ფორმალიზებული ეკონომიკური თეორიების ასაგებად ეკონომეტრიკისა და მათემატიკურ ეკონომიკაში.

ინდუქციის მეთოდის მსგავსად, ასევე დიდია დედუქციის მეთოდის მნიშვნელობა. შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ინდუქციური ნააზრევი ასე თუ ისე აპელირებას უკეთებს

დედუქციას და პირიქით, ყოველგვარი დედუქციური დასკვნა ამა თუ იმ ხარისხით ინდუქციურ დასკვნას ეფუძნება. „მსგავსად მარჯვენა და მარცხენა ფეხისა, რომლებიც ერთნაირად ემსახურება სიარულს,ზუსტად ასევე ინდუქცია და დედუქცია ეთნაირ თანაბარუფლებიან მეთოდებად გვევლინებიან“ [4, გვ. 301].

*დედუქცია* - ეს არის აზროვნება, რომელშიც ხორციელდება ზოგადი ფაქტებიდან და დებულებებიდან ცალკეულ დასკვნებამდე და განზოგადებამდე გადასვლა; ესაა მსჯელობა ზოგადიდან კერძოსაკენ, კერძო პრინციპების გამოყვანა ზოგადი წესებიდან.

მთლიანად, დედუქციური მეთოდი შეიძლება დავახასიათოთ როგორც მეცნიერული თეორიის შექმნის მეთოდი, რომლის მთავარი თავისებურება და განმასხვავებელი ნიშანია ლოგიკური დასკვნების დედუქციური პროცედურების გამოყენება. დედუქციური მეთოდის გამოყენებით ახალი ცოდნა მიიღება როგორც აქსიომების - ტერმინების და მტკიცებულებების - ზოგიერთი ამოსავალი ბაზისის ლოგიკური შედეგი; ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ყველა დედუქციური თეორია წარმოადგენს აქსიომატიური თეორიის ნაირსახეობას. თავად ლოგიკური მეთოდი შეიძლება გამომდინარეობდეს ან მათემატიკის, ან ფორმალური ლოგიკის წესებიდან: პირველი შემთხვევაში ის შეიძლება აღინიშნოს როგორც მათემატიკური, ხოლო მეორე შემთხვევაში კი, - როგორც ფორმალურ-ლოგიკური. ასეთი დასკვნების გამოტანის შედეგები შეიძლება წარმოდგენილ იქნას ან როგორც დედუქციის თეორიის შედეგთა ერთობლიობა, ან როგორც ამ შედეგების შესაძლო ინტერპრეტაციების ჯამი.

ბიზნესის სფეროში დედუქტივიზმს[10], ასევე როგორც ინდუქცივიზმს[11] დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია: ბიზნესის ანალიზის ისტორიაში ინდუქცივიზმი, საბოლოო ანგარიშ-ში, ასე თუ ისე

---

[10] დედუქცივიზმი არის მეთოდოლოგიაა, რომელიც ამტკიცებს დედუქციის პრიორიტეტს მეცნიე-რული შემეცნების ყველა დანარჩენი მეთოდის მიმართ.

[11] ინდუქცივიზმი არის კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც ამტკიცებს ინდუქციის პრიორიტეტს მეცნიერული შემეცნების ყველა დანარჩენი მეთოდის მიმართ.

აპელირებს ემპირიზმზე, მიისწრაფვის გააკეთოს დასკვნები ემპირიული, გამოცდილი მსჯელობებიდან. დედუქცივიზმი კი, პრინციპში, უარყოფს იმის აუცილებ-ლობას, რომ თეორია გამოვიყვანოთ ინდუქციურად ემპირიული მსჯელობებიდან.

მაგრამ ბიზნესის სფეროში „ინდუქცივიზმი-დედუქცივიზმის“ დილემის მთლია-ნად გადაჭრა არც ისე მარტივია. ის რომ გვჭირდება ორივე მეთოდი - როგორც ინდუქცია, ასევე დედუქცია, თანხმდებიან ინდუქცივისტები და დედუქცივისტები, მაგრამ ბიზნესის კვლევებში რომელი მათგანია უკეთესი და უფრო პროდუქტიული, აქ უკვე გახსნილია სრული სივრცე მეთოდოლოგიური დისკუსიებისათვის.

*ანალოგიის მეთოდი ბიზნესის კვლევებში:*

სხვადასხვა ლოგიკურ მეთოდებს შორის, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ადამიანის პრაქტიკულ და სამეცნიერო საქმიანობაში, მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ანალოგიას. *ანალოგია* (ბერძნული analogia - მსგავსება, შესატყვისობა) არის მეთოდი, რომლის თანახმადაც რომელიმე ობიექტის განხილვის შედეგად მიღებული ცოდნა გადაიტანება ნაკლებად შესწავლილ, არსებითი თვისებებითა და ხარისხით მსგავს ობიექტზე.

მოცემული მეთოდი წარმოადგენს სამეცნიერო ჰიპოთეზების ერთ-ერთ წყაროს და თამაშობს მნიშვნელოვან როლს სამეცნიერო გამოკვლევების საწყის ეტაპებზე. მაგრამ ამ მეთოდის გამოყენებით მიღებული დასკვნები ყოველთვის არ არის დამაჯერებელი, რადგან შედარებისათვის შერჩეული ნიშნები შესაძლებელია აღმოჩნდეს შემთხვევითი, არაარსებითი ან არასაკმარისი სამეცნიერო დასკვნების მისაღებად.

ანალოგიის მეთოდმა თავისი გამოყენება ჰპოვა საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და ზუსტ მეცნიერებებში, ჰუმანიტარულ სფეროში.

ეკონომიკურ ანალიზში ანალოგია შესაძლებელია გამოყენებული იქნას, მაგალითად, საზოგადოების განვითარების გარკვეული ისტორიული პერიოდის კვლევისას. ქვეყნის განვითარების ხასიათის, ეკონომიკის განვითარების მრავალწყობიანობის, კულტურული თავისებურებებისა და სხვა ნიშანთვისებების გათვალისწინებით მისი განვითარება

შესაძლებელია შევადაროთ ანალოგიური ნიშანთვისებებით სხვა ქვეყნის განვითარებას, რომელმაც თავისი ისტორიის მანძილზე გაიარა მსგავსი პერიოდები. ამ შემთხვევაში ანალოგიის მეთოდი საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ პოზიტიური და უარყოფითი პროცესები საზოგადოების განვითარებაში და თავიდან ავიცილოთ მნიშვნელოვანი შეცდომები.

მართვის თეორიაში ორგანიზაციული სტრუქტურის, მიზნობრივი მოდელის ან სისტემური ფუნქციის მოდელის აგების ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია ანალოგიის მეთოდის გამოყენებით.

ბიზნესის კვლევაში ანალოგიის მაგალითად გამოდგება *სპორტინგი* (sporting) - თანამედროვე მეცნიერული მიმართულება მენეჯმენტში, რომელიც დაფუძნებულია ბიზნესში სპორტული იდეოლოგიის, პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებაზე. სპორტინგი არის სპორტის თეორიისა და პრაქტიკის გამოკვლევა და პრაქტიკული გამოყენება ბიზნესსა და მენეჯმენტში[12]. ასეთია შეხედულება ბიზნესზე სპორტის თვალსაზრისით, ანუ სპორტის ლოგიკა ბიზნესში. სპორტინგში კვლევის ძირითადი მეთოდია სორტისა და ბიზნესის ანალოგიის მეთოდი. ანალოგიის მეთოდი საშუალებას იძლევა ჩვეულ ნივთებს შევხედოთ სხვა მხარიდან, გაიხსნას ახალი საზღვრები, თვისებები და შესაძლებლობები. ანალოგია გამოდის სამყაროს შეცნობის, ახალი ცოდნის შეძენის, ახალი აღმოჩენების მძლავრ ინსტრუმენტად.

თანამედროვე ბიზნესის მართვის თეორიასა და პრაქტიკაში ფართო განვითარება ჰპოვა *ბენჩარკინგმა* - საკუთარი კომპანიის ეფექტიანობის ამაღლების მეთოდი საუკეთესო კომპანიების საქმიანობისა და მათ მიერ გამოყენებული მართვის მეთოდების შესახებ ინ-ფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე. რამდენადაც კომპანიის საქმიანობის მახასიათებელი მაჩვენებლები შესაძლებელია იყოს მრავალფეროვანი, ამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მაჩვენებლების ერთობლიობის შედარებას განმაზოგადებელ

[12] სპორტინგის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანეს ფრენკ გილბრეტმა, ჯეკ უელჩმა, ტიმ გოლვინმა [3], რობერტ ევანგელისტამ [6] და ბევრმა სხვამ.

მაჩვენე-ბელთან, ე.ი. მოცემული ერთობლიობის შედარებას ერთიან მახასიათებელთან.

*შედარება ბიზნესის კვლევებში:*

*შედარება* არის შემეცნების მეცნიერული მეთოდი, რომლის დროსაც უცნობი (შესასწავლი) მოვლენა, ობიექტი ან მისი მახასიათებლები შეუდარდება უკვე ცნობილ, ადრე შესწავლილს, მათ შორის არსებული საერთო და განმასხვავებელი ნიშანთვისებების დასადგენად. ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ საკვლევი ობიექტის (მოვლენის) სპეციფიკური თავისებურებანი, მიმდინარე ცვლილებები და განვსაზღვროთ მისი განვითარების ტენდენციები.

შედარების მეთოდებიდან გამოიყოფა: (1) ჰორიზონტალური შედარებითი ანალი-ზი - გამოიყენება საკვლევი მაჩვენებლების ფაქტობრივი დონის საბაზისოდან აბსოლუ-ტური და შეფარდებითი გადახრების განსაზღვრისათვის; (2) ვერტიკალური შედარებითი ანალიზი - გამოიყენება პროცესებისა და მოვლენების სტრუქტურის შესასწავლად; (3) ტრენდული შედარებითი ანალიზი - გამოიყენება ზრდის ფარდობითი ტემპების დასად-გენად, ე.ი. დინამიკის მწკრივების კვლევისას.

შედარების მეთოდი ეფექტურად გამოიყენება ბიზნესსა და მენეჯმენტში. ბიზნესის სფეროში შედარებით ანალიზს ყველზე ხშირად იყენებენ ისეთი ამოცანების გადასაჭრელად, როგორიცაა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის რეალიზაციისას გეგმიურ მაჩვენებელთა შესრულების დონის შეფასება, მიმდინარე მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი განვლილი პერიოდის მაჩვენებლებთან, სხვადასხვა მმართველობითი გადაწყვეტილებების შედარება ოპტიმალურის ასარჩევად, დინამიკური მწკრივების შედარება საკვლევ მაჩვენებლებს შორის საერთო კავშირების დასადგენად და ა.შ.

შედარებითი ანალიზის გამოყენების ძირითად პირობას წარმოადგენს შესასწავლი მაჩვენებლების შესადარისობა. ამ შემთხვევაში შესადარისი გაზომვადი ან გამოთვლადი მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს ღირებულებითი, მოცულობითი, ხარისხობრივი, სტრუქტურული მაჩვენებლების ერთიანობის პრინციპს, უნდა განეკუთვნებოდნენ დროის ერთ პერიოდს, უნდა

იყვნენ შესადარისი წარმოების პირობებითა და გაზომვის/გამოთვლის მექანიზმებით.

კვლევის მიზნებიდან და შედარებითი ანალიზის მეთოდებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს საბაზისო მაჩვენებლების შერჩევა, რომლებიც გამოყენებული იქნება შედარებისას. საბაზისო მაჩვენებლებად გამოიყენება საგეგმო მაჩვენებლები რეგიონების, საწარმოების, საწარმოთა ქვედანაყოფების მიხედვით, წინა წლების და რიგი წლებისათვის საშუალო წლიური მაჩვენებლები, ლიდერი დარგებისა და კომპანიების მაჩვენებლები, ნორმატიული მაჩვენებლები.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Business research Methods. Donald R. Cooper; Pamela S. Schindler, Mc Graw Hill, ISBN 0-07-249870-2003.
2. Бесплатные видеолекции: Методыи исследования в бизнесе: http://edumarket.ru/library/consulting/12990/
3. Голви У. Тимоти. Работа как внутренняя игра: Фокус, обучение, удовольствие и мобильность на рабочем месте (The Inner Game of Work: Focus, Learning, Pleasure, and Mobility in the Workplace). — М.: «Альпина Бизнес Букс», 2005.
4. Логические методы и формы научного познания. - Киев, 1984.
5. Орехов А. М. Методи экономических исследований: Учебное пособие. – М.: ИНФРА-М, 2009.
6. Роберт Эвангелиста. Бизнес победы: Руководство для менеджера по созданию команды победителей на работе: Практическое пособие (The Business of Winninig: A Manager`s Guide to Building a Championship Team at Work) /пер. с англ., под ред. Колесника А. П. - М.: Финансы и статистика, 2005.
7. Суслов И.П. Методология экономического исследования. - М., 1974.

# ინოვაციური სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის მეთოდები

## Innovative insurance products selling methods

**ნატო კაკაშვილი** - ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
**ნათია კახნიაშვილი** - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**Nato Kakashvili** - Doctor of Economics, Assistant Professor,
Academic Tbilisi State University
**Natia Kakhniashvili** - Doctor of Business Administration
Tbilisi State University

**რეზიუმე:** მრავალფეროვანი ტექნოლოგიური ინოვაციები ხელს უწყობს სადაზღვევო ინდუსტრიას განიცადოს ფუნდამენტური ტრანსფორმაციები, საშუალებას იძლევა შეიქმნას ახალი სადაზღვევო პროდუქტები, მომსახურეობა და ბიზნესმოდელები. განვითარებული ტექნოლოგია უზრუნველყოფს ტრადიციული სადაზღვევო სისტემის მოდერნიზებას. სადაზღვევო ბაზრის გლობალური განვითარება პირდაპირაა დამოკიდებული ინოვაციური ტექნოლოგიების და ახალი პროგრამების სწრაფ ზრდაზე. სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვაზე მოქმედი ფაქტორებია: კრიზისული მოვლენები ფინანსურ სფეროში, სავალუტო რყევები, ფასების ცვლილება, ბუნებრივი კატასტროფები, კლიმატის ცვლილება პლანეტაზე, საავტომობილო ინდუსტრიის განვითარება, სხვადასხვა დაავადებების აღმოჩენა. აღნიშნულ ტენდენციებს ცვლილება შეაქვს გლობალური სადაზღვევო ბაზრის ფუნქციონირებაში. სადაზღვევო კომპანიების წარმატებული საქმიანობა განპირობებულია მომხმარებელთა კმაყოფილებით, ამიტომ წამყვანი სადაზღვევო კომპანიები ძირითად აქცენტს აკეთებენ მომხმარებლებზე და მათ მოთხოვნილებებზე, რაც ეხმარება მათ წარმატების მიღწევაში და სადაზღვევო ბაზარზე თავისი წილის გაზრდაში. აუცილებელია სადაზღვევო კომპანიებმა მომხმარებელს შესთავაზოს ინოვაციური პროდუქტები, სწორად შერჩეული მარკეტინგული კომუნიკაციების საშუალებით.

ამდენად, მნიშვნელოვანია მომხმარებელთა მოთხოვნილებების სიღრმისეული კვლევა სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის მეთოდების დახვეწის ან ახლის შეთავაზების მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის მეთოდები; მობილური აპლიკაცია; სმარტფონები; ხელოვნური ინტელექტი; ჩატბოტები; კიბერდაზღვევა.

**Abstract:** Various technological innovations facilitate the insurance industry to experience fundamental transformation, enabling new insurance products, services and business models to create.Developed technology provides modernization of traditional insurance system. The global development of the insurance market is directly dependent on the rapid growth of innovative technologies and new programs.Factors involved in selling insurance products are: crisis events in the financial sector, currency fluctuations, price changes, natural disasters, climate change on the planet, development of the automobile industry, discovering various diseases.These trends change the functioning of the global insurance market. Successful activities of insurance companies are due to customer satisfaction, leading insurance companies focus on customers and their needs that help them to succeed and increase their share in the insurance market. Insurance companies need to offer innovative products by means of properly selected marketing communications.

Thus, it is important to analyze the needs of consumers in order to improve the methods of selling insurance products or to offer new ones.

**Keywords:** Insurance products selling methods; Mobile application; Smartphones; artificial intellect; Holders; Cyberinsurance.

**შესავალი:** მრავალფეროვანი ტექნოლოგიური ინოვაციები ხელს უწყობს სადაზღვევო ინდუსტრიას განიცადოს ფუნდამენტური ტრანსფორმაციები. ახალი ტექნოლოგიები, საგნების ინტერნეტი (lOT), გლობალური პოზიციონირების სისტემა (GPS), სმარტფონები, ციფრული პლატფორმები, ბლოკჩეინი და ხელოვნური ინტელექტი უზრუნველყოფს სადაზღვევო ინდუსტრიაში ინოვაციური პროდუქტების ძიებას, მომხმარებლების ჩართულობას, ხარჯების შემცირებას და ეფექტიანობის გაუმჯობესებას. აღნიშნული

ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა შეიქმნას ახალი სადაზღვევო პროდუქტები და მომსახურება, ბიძგს აძლევს ინოვაციური სადაზღვევო პროდუქტების, მომსახურეობის და ბიზნესმოდელების შექმნას.

**სადაზღვევო ტექნოლოგიის ინდუსტრია.** მსოფლიოში დაზღვევის და სადაზღვევო ტექნოლოგიის ინდუსტრიის მხრივ ყველაზე აქტიურ ქვეყანად ითვლება აშშ, გაერთიანებული სამეფო და ინდოეთი. IOT - წარმოადგენს იმის კარგ მაგალითს, თუ როგორ აძლევს ახალი მონაცემთა წყაროები სადაზღვევო კომპანიებს ჰქონდეთ რისკის აცილების ეფექტური მოდელები. IOT - კვანძების და მოწყობილობების ქსელია, რომელიც აგროვებს, მონიტორინგს უკეთებს და ავრცელებს ინტერნეტის საშუალებით. აღნიშნული მოწყობილობები და "სმარტ" ტექნიკა მორგებულია ავტომობილებზე, სახლის უსაფრთხოების დაცვის სისტემაზე, ჯანმრთელობის მონიტორინგის სისტემებზე, სამზარეულო ტექნიკაზე, ენერგეტიკასა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე. გლობალური IT კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ ახლო მომავალში მილიონობით საგანი დაუკავშირდება ინტერნეტს. 2020 წლისთვის ნავარაუდევია რომ ეს რიცხვი 20.8 ბლნ-ს მიაღწევს [4].

ციფრული ტექნოლოგიის განვითარებამ მომხმარებლთან ურთიერთობის მრავალი შესაძლებლობა შექმნა, თუმცა ციფრული მოთამაშეები სადაზღვევო ბაზრის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენენ. მათ განსხვავებული ბიზნესმოდელები და ტექნოლოგიები აქვთ. ისინი შემოსავალს და მოგებას იღებენ პროფესიონალიზმში, რისკის უკეთ განსაზღვრასა და სისწრაფეში. სტარტაპები იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს, რათა შეამცირონ საოპერაციო ხარჯები და გაზარდონ თავიანთი მომხმარებლები სადაზღვევო პროცესების გაუჯობესებით, გამჭვირვალობით, დროულობით, სიმარტივით და მომხმარებელთა ჩართულობით [1].

**სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის მეთოდები.** სადაზღვევო კომპანიები იყენებენ საკუთარ პროდუქტების გაყიდვის პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. სადაზღვევო პროდუქტების გამყიდველი შესაძლებელია იყოს საკუთრივ სადაზღვევო კომპანიის სტრუქტურული ნაწილი, გაყიდვების განყოფილება, რომლებიც ეხმარებიან კლიენტებს გარკვეული სახის სადაზღვევო

ხელშეკრულებების დადებაში. გაყიდვების წარმომადგენელი უშუალოდ უკავშირდება შესაძლო მომხმარებელს, სთავაზობს სადაზღვევო პროდუქტს, აცნობს პოლისის პირობებს და ცდილობს მაქსიმალურად მოიზიდოს კლიენტი [2. გვ. 60].

სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის მნიშვნელოვანი არხია ''ონლაინ გაყიდვები'', ამ გზით მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა სასურველ დროს, სახლიდან გაუსვლელად მიიღოს ინფორმაცია სადაზღვევო პოლისის პირობებთან დაკავშირებით და შეიძინოს სასურველი სადაზღვევო პოლისი, რომელსაც კურიერი გადასცემს სასურველ დროს, სასურველ მისამართზე.

სადაზღვევო პროდუქტის ონლაინ შეძენის დროს თანხის გადახდა წარმოებს საკრედიტო ბარათის მეშვეობით, რაც ტექნოლოგიურ ინოვაციურ ეპოქაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მომხმარებელში.

სმარტფონების და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა გვაძლევს აპლიკაციებს, რომელიც გამოირჩევა სიმარტივით, აქვს გარკვეული ფუნქციონალი, ნებისმიერ მსურველს შეუძლია მისი გადმოწერა და ზოგადი ინფორმაციის მიღებასადაზღვევო პროდუქტებისა თუ სხვა მომსახურების შესახებ. ამას გარდა, დაზღვეულ მომხმარებლებს შეუძლიათ საჭირო მომსახურების ერთ სივრცეში მიღება უმოკლეს დროში, მართონ საკუთარი ანგარიში ნებისმიერი ადგილიდან, განახორციელონ სადაზღვევო გადახდები, აკონტროლონ დაზღვევის ვადები და სტატუსები. მობილური აპლიკაციის უპირველესი დანიშნულებაა დაეხმაროს და არ ჩამორჩეს თანამედროვე ცხოვრების სწრაფ ტემპს, დაზოგოს - დრო.

საქართველოში არსებული სადაზღვევო კომპანიები მომხმარებლებს სთავაზობს აპლიკაციების გამოყენების შესაძლებლობას. ერთ-ერთ მობილურ აპლიკაციას სთავაზობს მომხმარებლებს ''ჯიპიაი ჰოლდინგი'' [6]. აპლიკაცია MYGPI წარმოადგენს ზარალის გაცხადების და დარეგულირების სტანდარტული პროცედურის ალტერნატივას. კლიენტი კომპანის ცხელ ხაზზე დარეკვისა და სტანდარტული პროცედურის ნაცვლად, ზარალს აცხადებს აპლიკაციის საშუალებით; მომხმარებელი ინფორმაციას ზარალის შეფასებასთან და ზარალის მოცულობასთან დაკავშირებით იღებს აპლიკაციის საშუალებით; აპლიკაცია

საშუალებას იძლევა მცირე ზარალების შეფასება და ანაზღაურება გარკვეულ შემთხვევებში მოახდინოს დისტანციურად; დისტანციურად ანაზღაურების შესაძლებლობის შემთხვევაში თანხმობა აუცილებელია განაცხადოს დამზღვევმა. მობილური აპლიკაცია მომხმარებელს საშუალებას აძლევს: სწრაფად, მარტივად და დისტანციურად შეავსოს ზარალის განაცხადი; გამოაგზავნოს დაზიანებული ავტმობილის სურათები შეფასებისთვის; განაცხადის შევსებისას და შევსების შემდეგ დაუყონებლივ მიიღოს მარტივი ინსტრუქცია შემდგომ ქმედებებთან დაკავშირებით;ავტომატურ რეჟიმში მიაწოდოს მისი ადგილმდებარეობა (GPS-ის საშუალებით)მისთვის სასურველი ადგილიდან დასასურველ დროს; ეკონტაქტოს ავტო ზარალების სერვის მენეჯერს. სურვილის შემთხვევაში მოახდინოს უშუალოდ კონკრეტულ სერვის მენეჯერთან სატელოფონო კომუნიკაცია; შეამოწმოს მის მიერ გაცხადებული ზარალები;მუდმივ რეჟიმში აკონტროლოს მის მიერ გაცხადებული ზარალის სტატუსი და მიიღოს შეტყობინებები მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით;თავად აკონტროლოს ზარალის დარეგულირების ყოველი ეტაპი, დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს შეფასებას; თანხმობის შემთხვევაში ასევე აპლიკაციის საშუალებით მიუთითოს მისი საბანკო ანგარიში და მიიღოს ანაზღაურება დამატებითი პროცედურების გავლის გარეშე.

სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდიახელოვნური ინტელექტი. ხელოვნური ინტელექტის წარმომადგენელია ‘’ბოტ ტექნოლოგია’’ [3]. ბოტი კომპიუტერული პროგრამაა,ჩატვირთულია ინფორმაცია პოპულარული საიტებზე, რომელიც წარმართავს დიალოგს აუდიტორიასთან მიმოწერის საშუალებით.

სადაზღვევო ბიზნესი აქტიურად იყენებს ახალ ინოვაციურ მეთოდს, როგორიცაა ჩატბოტი, რომლის გამოყენება ბოლო დროს განსაკუთრებით გაიზარდა. ძირითადად საუბრები ხდება სოციალურ ქსელ Facebook-ის მესინჯერში. სადაზღვევო სფეროში ჩატბოტს რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს: მომხმარებლის ინფორმირებულობა საჭირო ინფორმაციით, მზღვეველებისთვის საუკეთესო ვარიანტის არჩევა და - 24/7 დახმარება. სადაზღვევო ბოტებს არ აქვთ შეზღუდული სამუშაო

საათები, მომხმარებლებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ჩატის გამოყენება. ჩატბოტს საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრიაში კომერციული ბანკი - ''თიბისი ბანკი'' იყენებს [5]. თიბისი დაზღვევის ბი ბოტი - დაზღვევის პირველი ბოტია საქართველოში. მისი დახმარებით შესაძლებელია შევიძინოთ სამოგზაურო დაზღვევა. სამოგზაურო დაზღვევის პოლისი კი ელექტრონულ ფოსტაზე და სმს-ის სახით გაიგზავნება. ბი ბოტით ავტოპასუხისმგებლობის დაზღვევის შესაძენად მხოლოდ რამდენიმე წუთია საჭირო. ბი ბოტით ავტოპასუხისმგებლობის დაზღვევის სამი პაკეტია ხელმისაწვდომი, რომლებიც წლიური გადასახდელი თანხით და ასანაზღაურებელი ლიმიტით განსხვავდება.

სადაზღვევო ბიზნესი აქტიურად იყენებს კიბერდაზღვევას, რომელიც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში უკვე დანერგილია. საფრთხის წინაშე იდგა ბევრი გლობალური კორპორაცია, მაგალითად, ჰაკერებმა ჩერნობილის ატომური რეაქტორის კონტროლი გათიშეს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში მომხდარი კიბერ დანაშაულებიც ხშირია. კიბერდაზღვევა მოიცავს ორგანიზაციის თანამშრომლებიდან შეცდომის დაშვების რისკებსაც. კიბერდაზღვევის ანაზღაურება სხვადასხვა მონაცემზე დაყრდნობით ხდება. აქ უნდა იყოს გაანალიზებული რა სახის რისკი მიადგა კომპანიას და რამდენად დიდია ზარალი. საქართველოში პირველად მსგავსი დაზღვევა, სადაზღვევო კომპანია უნისონმა შემოიტანა. საჭიროა მომხმარებელმა ზუსტად იცოდეს, რა რისკების წინაშე დგას. მაგალითად ჰაკერული თავდასხმის დროს ორგანიზაციის ფინანსური მონაცემები შეიძლება მოიპარონ ან სულაც წაშალონ. ასეთ დროს არამარტო კომპანია, კლიენტებიც ზიანდებიან. მათ შესაძლებელია იჩივლონ პირადი მონაცემების გასაჯაროვების გამო.

ზემოთ აღნიშნულ მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სადაზღვევო კულტურის ჩამოყალიბებიდან დღემდე, მიღებული გამოცდილების მიხედვით, სადაზღვევო კომპანიებმა დახვეწეს სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის მეთოდები და მაქსიმალურად ცდილობენ მომხმარებელს შესთავაზონ მომსახურების მაღალი დონე, მოქნილი და მარტივი სისტემა. ვფიქრობთ, გაიზრდება კონკურენცია და პარტნიორობა ტექნოლოგიურ და ინოვაციურ სადაზღვევო კომპანიებსა და

ტრადიციულ სადაზღვევო კომპანიებს შორის. საქართველოს სადაზღვევო კომპანიებს ბევრი სამუშაო აქვთ ჩასატარებელი მარკეტინგული თვალსაზრისით, რადგან გარკვეული სადაზღვევო კომპანიისა და სადაზღვევო პროდუქტის ცნობადობა წარმოადგენს პრობლემას.

**დასკვნა:** სადაზღვევო ბაზრის გლობალური განვითარება პირდაპირაა დამოკიდებული ინოვაციური ტექნოლოგიების და ახალი პროგრამების სწრაფ ზრდაზე. სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვაზე მოქმედი ფაქტორებია: კრიზისული მოვლენები ფინანსურ სფეროში, სავალუტო რყევები, ფასების ცვლილება, ბუნებრივი კატასტროფები, კლიმატის ცვლილება პლანეტაზე, საავტომობილო ინდუსტრიის განვითარება, სხვადასხვა დაავადებების აღმოჩენა. აღნიშნულ ტენდენციებს ცვლილება შეაქვს გლობალური სადაზღვევო ბაზრის ფუნქციონირებაში. სადაზღვევო კომპანიების წარმატებული საქმიანობა განპირობებულია მომხმარებელთა კმაყოფილებით, ამიტომ წამყვანი სადაზღვევო კომპანიები ძირითად აქცენტს აკეთებენ მომხმარებლებზე და მათ მოთხოვნილებებზე, რაც განაპირობებს სადაზღვევო ბაზარზე წილის გაზრდას. აუცილებელია სადაზღვევო კომპანიებმა მომხმარებელს შესთავაზოს ინოვაციური სადაზღვევო პროდუქტები, სწორად შერჩეული მარკეტინგული კომუნიკაციების საშუალებით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. კაკაშვილი ნ. სადაზღვევო პროდუქტების ინოვაციური სახეები. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. III საერთაშორისო კონფერენცია.26-27 ოქტომბერი, 2018
2. შათირიშვილი ჯ. კაკაშვილი ნ. სადაზღვევო საქმე თბ., 2012
3. Technologyand innovation in the insurance sector https://www.oecd.org/finance/Technology-and-innovation-in-the-insurance-sector.pdf
4. Forbes' article https://www.forbes.com/sites/robertpearl/2013/11/28/6-simple-facts-about-health-insurance-reform/#1b87a48420f8

# ეფექტური მომსახურების მნიშვნელობა კერძო სტრუქტურისთვის

# The importance of effective service for private structure

**თამარ კანაშვილი** - დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**ტატიანა ლიპაი** - პროფესორი
განათლების განვითარების ინსტიტუტი (მინსკი)
**ტატიანა ბიელსკა** - ასისტენტ პროფესორი
ურბანული ეკონომიკის ეროვნული უნივერსიტეტი (ხარკოვი)

**Tamar Kanashvili** – PHD Student
Georgian Technical University
**Tatyana Lipai** - Professor
Institute for the Development of Education (Minsk)
**Tetiana Bielska** - Associate Professor
National University of Urban Economy (Kharkiv)

## Abstracts-Theses

1. According to the World Trade Organization (WTO), the service on the international market is divided into 12 sectors. By the Zendesk's Benchmark survey, which has been conducted in 2013 in 125 countries and 16,000 companies in the world of services- has revealed the best countries with its customer service such as: New Zealand 92%; Canada is 91%; Australia 89%; Norway 89%; Denmark 89%; UK 87%; Czech Republic 87%; Finland 86%; Russia 86%; Mexico 85%.
2. Attracting a new buyer for companies is more expensive than to sustain current consumer. Consequently, one of the strong strategy for the business sector could be considered maintains of existing customers.
3. Modern technologies play a huge role in the effective customer service process. With the development of long-term lucrative relationships with customers, the information system is designed to provide users with the maximum information and the right decision. The information which consists data on customers system is known as CRM, or Customer

Relationship Management. Technological evolution and the use of this system has involved financial, sales, contacts data and other information and have been able to present an integrated image (ERP - Enterprise Resource Planning).

4. Effective customer service and its systemic improvement is crucial for the business sector in order to keep customers in the market and increase the profitable in terms of competition.

5. By research, the customer is ready to pay 12-15% more for the better customer service (for own comfort). As a result, it is evident how an effective could be an orientation on high customer service and on high quality.

**Literature:**

1. Naira Gvadashvili, Management in Social-Cultural Services and Tourism, Tbilisi, 2009
2. Partners Georgia, 2001, "How to turn a client to a loyal buyer"
3. Rosetta Asatiani, 1993, Service and Market System, Tbilisi

# სადაზღვევო ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში

# Trends of The Development of Insurance Business In Georgia

**ხათუნა ხარხელაური** - ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**თამარი ქაჯაია** - ასისტენტ პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**ალექსი ქურდოვანიძე** - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Khatuna Kharkhelauri** - Associate Professor
Georgian Technical University
**Tamari Kajaia** - Assistant Professor
Georgian Technical University
**Aleqsi Qurdovanidze** - Student of PhD
Georgian Technical University

## თ ე ზ ი ს ე ბ ი

ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში კერძო დაზღვევის განვითარებაზე იმოქმედია ისეთი ფაქტორებმა როგორიცაა: დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის შექმნა და დაზღვევის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღება და სრულყოფა. რამაც გამოიწვია საიმედო, გადახდისუნარიანი სადაზღვეო კომპანიების საქმიანობის უზრუნველყოფა.

მოხდა სადაზღვევო ბაზრის მოცულობის ცვლილება, რომელიც გამოწვეულია როგორც ახალი კომპანიების გამოჩენით, ასევე არა ერთი შერწყმისა ან საერთოდ ლიკვიდაციით. საქართველოში დაზღვევამ მიიღო ცივილიზებულ სახე, რაც განპირობებულია სადაზღვევო კომპანიების პროფესიონალიზმის ზრდით.

შეინიშნება სადაზღვევო ბაზრის ათვისების როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მახასიათებლების ზრდის

დადებითი ტენდენცია, რომლის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ სადაზღვევო ორგანიზაციები კარდინალურად აუმჯობესებენ მენეჯმენტს. ამასთან თანდათან იზრდება, როგორც ორგანიზაციების ისე მოსახლეობის სადაზღვევო კულტურის დონე, რაც აუცილებელი წინაპირობაა ქვეყნის სადაზღვევო სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის.

## Theses

For two decades, the development of private insurance in Georgia was created by such factors as the creation of an insurance supervision service and the adoption and improvement of regulatory legislation. What ensured the reliability of reliable and affordable insurance companies.

Changes in the volume of the insurance market have led to the emergence of new companies, as well as to mergers or liquidation. Insurance in Georgia has become a civilized person, which is associated with the growth of insurance companies' professionalism.

There is a positive growth trend in the qualitative and quantitative characteristics of the insurance market, which is a significant factor in the fact that insurance companies are drastically improving management. At the same time, the level of insurance culture and organization of the population is increasing, which is a prerequisite for the effective functioning of the country's insurance system.

# თანამედროვე სპორტული მარკეტინგი და მისი პრობლემები საქართველოში
# Modern Sports Marketing and its challenges in Georgia

**თენგიზ კუპრაშვილი** - ეკონომიკის დოქტორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**ეკა ლეჟავა** - დოქტორანტი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Tengiz Kuprashvili** - Doctor of Economics
Akaki Tsereteli State University
**Eka Lejava** PhD student,
Akaki Tsereteli State University

**რეზიუმე:** ადამიანის ცხოვრებაში სულ უფრო მეტად შემოდის ფიზიკური აქტივობა და სპორტი, მსოფლიოში ყოველდღიურად იზრდება სპორტული კლუბებისა და იორგანიზაციების რაოდენობა, იზრდება იმ ხალხის რაოდენობა რომლებსაც სპორტით დაკავების სურვილი აქვთ. ამავე დროს იზრდება მასობრივ საინფორმაციო სასუალებებში სპორტული ღონისძიებების რაოდენობა და გადმოცემის ხარისხი. ყოველივე ამან გამოიწვია სპორტსა და ჯანსაღი ცხოვრების სტილის დამკვიდრების საკითხებში საბაზრო ურთიერთობებისა და მარკეტინგის კანონებისა და კატეგორიების დამკვიდრება. სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებამ გამოიწვია სპორტული მარკეტინგის გაჩენა, რაც წარმოადგენს მეცნიერების, შემოქმედებისა და ინდუციის ნაზავს.

**საკვანძო სიტყვები:** სპორტი, სპორტული მარკეტინგის ამოცანები, შემოსავალი, დაწინაურება

**Abstract:** Nowadays, Interest towards physical activity and sport is increasing all around the world. The number of sports clubs and organizations grows rapidly. At the same time, the number of sporting events and the quality of broadcasting in mass information is increasing. This has led to the establishment of laws and categories of market relations and marketing in the issues of sports and healthy

lifestyle. The establishment of sports and healthy lifestyle has led to the emergence of sports marketing, which is a mixture of science, creativity and induction.

**Keywords:** sports, sports marketing tasks, income, promotion.

**ძირითადი ტექსტი:** მსოფლიოში სპორტული მარკეტინგის ასაკი დაახლოებით 35-40 წელია, საქართველოში კი ყოველივე ამან დაახლოებით 10 წლის წინ დაიწყო განვითრება. იმ მომენტიდან როდესაც ჩამოყალიბება დაიწყო პროფესიონალურმა სპორტულმა კლუბებმა. რეალურად კი სპორტის მარკეტინგით მართვამ მხოლოდ ახლახან დაიწყო ფორმირება.

ზოგადად მენეჯერის მოვალეობაა - ინვესტორებისათვისა და ინვესტიციებისათვის სასურველი გარემო პირობებისა და ატმოსფეროს შექმნა. მარკეტოლოგის ამოცანა კი - ამ პირობების გამოყენება და მათ საფუძველზე შემოსავლის მიღება, სტადიონზე მაყურებლის, სპორნსორებისა და მასმედიის საშუალებების მოზიდვის ხარჯზე. მართვის ამოცანას კი წარმოადგენს მიღებული საშუალებების სწორად გამოყენება.

აუცილებელია ერთმანეთისაგან გავარჩიოთ ტერმინები „სპორტის მარკეტინგი" და „მარკეტინგის სპორტში", რომლის ქვეშაც იგულისხმება მარკეტინგის უკვე ცნობილი და აპრობირებული ინტრუმენტების გამოყენება სპორტში. სპორტის მარკეტინგის სპეციალისტები თანხმდებიან, რომ ტრადიციული მარკეტინგული მეთოდებისა და ინტრუმენტების გამოყენება სპორტში, იძლევა ძალიან ცუდ შედეგებს, ამიტომაცაა აუცილებელი, რომ ეს მიმართულება განხილულ იქნას ცალკე სპეციფიკურ და ამასთანავე პრაქტიკულ მიმართულებად. მთვარი განსხვავება „სპორტის მარკეტინგისა" და ტიპიურ მარკეტინგს შორის არის ის ძირითადიწესები რომლებსაც უნდა დაემორჩილოს ეს მიმართულება, რამდენადაც აქ „დაგეგმილი იმპროვიაზაცია" და ექსპერიმენტი ძალიან დიდ როლს თამაშობს.

გარდა ამისა „სპორტის მარკეტინგს" გააჩნია რიგი სპეციფიკური ამოცანები;

- მაყურებელზე, გულშემატკივარზე შთაბეჭდილების მოხდენა, მათთვის განსაკუთრებული სანახაობის მიწოდება, მისი პროვოცირება, რათა სანახაობასი შეარჩიოს ერთერთი მხარე

უგულშემატკივროს მას, დაინტერესდეს მოვლენათა შემდგომი განვითარებით;

- პროცესებში სპონსორების ჩართვა, მასში ლოიალურობის გრძნობის ჩამოყალიბება, კლუბისადმი ერთგულება. აუცილებელია ვაჩვენოთ გულშემატკივარს, რომ სპონსორი კლუბში „შინაურია“. უნდა შეიქმნას მყარი კავშირი, ან ასოციაცია კლუბის ბრენდსა და სპონსორის ბრენდს შორის;
- შექმნას საინფორმაციო სიახლეები, რომლითაც არა მარტო მოამარაგებენ მასმედიის საშუალებებს, არამედ მოახდენენ მათ პროვოცირებას დაიკავონ კლუბის ან მისი მოწინააღმდეგეების მხარე და ჩართოს ისინი დრამატულ დიალოგში;
- მიიღოს სპორტული ღონისძიებებიდან შემოსავალი, როგორც კლუბმა, ასევე სპონსორმა და ამასთანავე მოახდინოს მაყურებლის შთაბეჭდილებების მართვა;
- სხვადასხვა კულტურულ ორგანიზაციებთან ურთიერთქმედება, „მათი მუდმივად ადგილზე ყოფნის ეფექტის" ილუზიის შექმნა.

ხშირად „სპორტულ მარკეტინგს“ ადარებენ შოუ-ბიზნესის მარკეტინგს, რაც არასწორია, რამე თუ ისინი ქმნიან აბსოლუტურად განსხვავებულ პროდუქციას. შოუ-ბიზნესის წარმომადგენელთა თაყვანისმცემლებს სურთ მათ გვერდით ყოფნა, მაშინ როცა სპორტის ვარსკვლავების თაყვანისმცემლებს, კი სურთ გავდნენ მათ. ამიტომაც განსხვავებულია მათი მარკეტინგული სტრატეგიები და ქმედებები. გარდა ამისა თაყვანისმცემლები ცდილობენ დატკბნენ შოუბიზნესის წარმომადგენელთა შემოქმედებით. მაშინ როცა გულშემატკივრები ამბობენ „ჩვენ გავიმარჯვეთ“, როცა შედეგი დადებითია და „ჩვენ დავმარცხდით“, როცა შედეგი უარყოფითია.

აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ შოუ-ბიზნესში მნიშვნელოვანია სახე, რომლის ყურებაც სასიამოვნო და საინტერესოა. სპორტში კი მნიშვნელოვანია სახე, რომლის გულშემატკივრობაა შესაძლებელი, რომელსაც ადვილია თვალყური ადევნო. სხვა სიტყვებით კლუბის „ისტორია“ უნდა იყოს დრამატული, ხოლო დრამატურგიული მიდგომა იდეალურია დასმული ამოცანების გადასაჭრელად.

რას გვაძლევს ასეთი მიდგომა?

1. მაყურებელი იღებს შესაძლებლობას უფრო ღიად და ემოციურად დაუჭიროს მხარი საკუთარ გუნდს, არა მხოლოდ გამარჯვებების აღსანიშნავად, არამედ მათთან ერთად გადაიტანოს დამარცხება.
2. კლუბის იღებს ყველაზე ერთგულ ფანებს, წარუდგენს მათ საკუთარ ისტორიას ისეთი სახით, რომ ახერხებს ახალი გულშემატკივრების მოზიდვას ნაკლები ძალისხმევით.
3. სპონსორის იღებს თაყვანისმცემლებზე ეფექტური ზემოქმედების შესაძლებლობას, რომლებიც წარმოადგენენ მისი პროდუქციის პოტენციურ მომხმარებელს.
4. ეს მიდგომა იზიდავს მედიის ყურადღების, რომლებისთვისაც ასევე მომგებიანა სპორტული ღონისძიების გაშუქება,

მიმზიდველი სახის შექმნის პროცესის დასაწყებად, ყურადღება უნდა უნდა მიექცეს მნიშვნელოვან ასპექტებს:

- პროფესიონალური კლუბს თავისი არსებობის მანძილზე აქვს მიღებული რეპუტაცია, რომელიც უნდა იქნას განვითარებული და გამოყენებული.
- ნებისმიერი სარეკლამო და მარკეტინგული კომპანიის გმირია - მომხმარებელი.

ამიტომ, სპორტული ღონისძიებებზე დასწრება შესაძლოა იყოს, მაგალითად:

- სოციალური კლასის დემონსტრირება (VIP-ადგილი ბარსელონას მატჩზე);
- მათ შვილებზე შეშფოთების დემონსტრირება (დროის ერთობლივად გატარება, საოჯახო სექტორის გამოყოფა სტადიონზე);
- საზოგადოების გარკვეული ჯგუფისადმი, რომელსაც საერთო ინტერესები გააჩნიათ, კუთვნილება (ფანკლუბში შესვლა);
- მოგზავრობის, მსოფლიოს გაცნობის, ახალი ინფორმაციის მოპოვების სურვილი (მგზავრობა კლუბთან ერთად გასვლით მატჩებზე)

- დაგროვილი ემოციური დაძაბულობის განმუხტვაა (გულშემატკივრობის პროცესში).

ამდენად, პროფესიული სპორტული კლუბის დრამატული სახის შექმნის ყველაზე მოსახერხებელი სტრატეგია - „ატრიბუტების" მეთოდი. ის ეფუძნება მარკეტინგის იმ კანონებს, რომელიც ჩამოაყალიბა ჯეკ ტრაუტმა , საკუთარ შრომებში.

ნებისმიერი პროდუქტის პოზიციონირების კონცეფციის ძირითადი ცნებაა მისი "ატრიბუტი". ატრიბუტი - ესაა ხარისხის აღმნიშვნელი სიტყვა, ფრაზა (შესაძლოა გამოხატვა), რომელიც მომხმარებელში ასოცირდება პროდუქტის (პროფესიული კლუბის) სახელწოდებასთან.

სპორტულმა მარკეტინგმა უნდა გაითვალისწინოს სპორტის მრავალი თავისებურება. არსებობს სპორტული თამაშები, სადაც მონაწილეებისრიცხვია 30 - 40, და ინდივიდუალური 2-3-დან 10-მდე, რაც ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. არსებობს უფრო დინამიური და უფრო მოხდენილი სპორტი. ეს მახასიათებლები და ნიუანსებით უნდა არა მხოლოდ ვიცოდეთ, არამედ უნდა შეგვეძლოს მაქსიმალური შედეგის მისაღებად მათი ოსტატურად მანიპულირება.

გასათვალისწინებელია ისიც რომ, ფიზიკური კულტურა და სპორტი ყოველდღიურად უფრო მეტად იჭრება ადამიანის ცხოვრებაში, იზრდება, როგორც სპორტული კლუბებისა და ორგანიზაციების, ასევე სპორტში ჩართულია ადამიანების რიცხვი, ასევე იზრდება სპორტული დანიშულების მასმედიის საშუალებების რაოდენობა და ხარისხი. ეკონომიკური ურთიერთობების გლობალიზაციის, ადამიანების თავისუფალი გადაადგილების და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლის პირობებში, მუდმივად იზრდება გულშემატკივრების რაოდენობა, რომლებიც ან უშუალოდ ესწრებიან სპორტულ ღონისძიებას, ან თვალყურს ადევნებენ მის მიმდინარეობას, ტელევიზიით, რადიოთი თუ კომპიუტერული და სოციალური ქსელების საშუალებით.

დღესდღეისობით, ბევრ ქვეყანაში მოდაშია ჩაცმისა და ცხოვრების სპორტული სტილი.. ადამიანების მოთხოვნილებებზე შესაბამისად რეაგირებს ბაზარი: სპორტული საქონლისა და

მომსახურების მწარმოებელი კომპანიები აფართოებენ მომხმარებლისათვის მისაწოდებელი პროდუქციის ასორტიმენტს, აუმჯობესებენ მის ხარისხს, ამასთანავე ხელს უწყობენ ახალი მოთხოვნის ჩამოყალიბებას. მაღალ მოთხოვნებს უყენებენ სპორტულ საქონელსა და მომსახურებას პროფესიონალი სპორტსმენები, კლუბები, მწვრთნელები და სხვადასხვა ტიპის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპანიები. სამომხმარებლო მოთხოვნილების ეს სეგმენტი საკმაოდ სპეციფიკურია, ისინი განსაკუთღებულ მოთხოვნებს უყენებენ სპორტული პროდუქციის ხარისხს, მოხერხებულობას და საიმედოობას. თანამედროვე მსოფლიო ბაზარზე არსებული ტენდენციები, გაზრდილ მოთხოვნილებებთან ერთად სპორტული საქონლისა და მომსახურების მწარმოებელი კომპანიებისათვის უზრუნველყოფს დიდ შემოსავალს, ამ შემოსავლის გადანაწილებიუსათვის კი ბაზარზე მიმდინარეობს ძალიან დიდი ბრძოლა.

კონკურენცია ნათლად ჩანს ბიზნესის ყველა კომპონენტში, და დადებით თუ უარყოფით სედეგს იძლევა ნებისმიერი წარმოატებული სვლის თუ შეცდომის შემთხვევაში: იქნება ეს რეკლამა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგების დანერგვა წარმოებაში, ფასწარმოქმნა, მოთხოვნილების პროგნოზირება-ფორმირება, გაყიდვა და ა.შ. კონკურენტულ ბრძოლაში, რომელიც მიმდინარეობს მწარმოებელ ფირმებსა და სპორტულ ორგანიზაციებს შორის, წარმატების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მარკეტინგის, რომელიც წარმოადგენს ბაზარზე და საბაზრო ურთიერთობებზე სამეცნიერო პრაქტიკული ხასიათის ინსტრუმენტების კომპლექსს, გამოყენებით. მარფკეტინგის უფრო ზუსტი ფორმულირება - ესაა ფირმის საწარმოო და მმართველობითი საქმიანობის კოორდინირებული სისტემა, რომელიც მიმართულია პროდუქციის გასაღებაზე და შემოსავლის მაქსიმიზაციისაკენ. სპორტული მარკეტინგი თავის მხრივ წარმოადგენს მარკეტინგის ნაწილს, რომელსაც გააჩნია სპეციფიკური მახასიათებლები და თავისებურებები. კერძოდ, სპორტული მარკეტინგის ყურადღების ქვეშ ხვდებაისეტი ობიექტები და ურთიერთობები, როგორიცაა გულშემატკივრები, სპორნსორები, სპორტსმენების ყიდვა-გაყიდვა, მასობრივი სპორტი, სპორტული ბიზნესი, ჯანმრთელი ცხოვრების

წესი, მისი ხელშეწყობა და სხვა. სპორტის მარკეტინგმა, როგორც მეცნიერებამ და პრაქტიკულმა ინსტრუმენტმა მოფლიოსი ფორმირება დაიწყო XX საუკუნის შუახანებში, როცა მნიშვნელოვნად დაიწყო გაფართოება სპორტული საქონლისა დამომსახურების წარმოებამ და მოხმარებამ, ხოლო კლიენტურისათვის და გასაღებისათვის ბრძოლა გამძაფრდა. მომხმარებლებისათვის ბრძოლამ მიაღწია სტადიას, როცა საკუთარი საქონლის გასაღება შესაძლებელი იყოი მხოლოდ მარკეტინგული ღონისძიებების გამოყენების ხარჯზე. მომხმარებელი, რომელსაც გაუჩნდა საქონლისა და მომსახურების დიდი არჩევანი, გახდა უფრო გარკვეული და მომთხოვნი, სწორედ მათ დაუწყეს პირობების დაყენება მწარმოებლებს, და არა პირიქით. ამგვარად XX საუკუნის 80-იანი წლებიდან სპორტული პროდუქციისა და მომსახურების მწარმოებელი კომპანიების დიდი ნაწილი აღიარებდნენ ფაქტს, რომ მომხმარებლები და გულშემატკივრები წარმოადგენენ წარმატებული ბიზნესის ერთერთ ფუნდამენტალურ კომპონენტს, ხოლო მათი მოზიდვისა და შენარჩუნებისათვის მარკეტინგი და მისი ინსტრუმენტები უბრალოდ აუცილებელია.

ბაზრის პირობებში მომუშავე ნებისმიერი კომერციული საწარმოს თუ პროფესიონალური სპორტული ორგანიზაციის ძირითადი მიზანი - მოგების მიღებაა. ძირითად ამოცანას და კითხვას კი წარმოადგენს - როგორ მოვახდინოთ მოგების მაქსიმიზირება და რა უნდა გააკეთოს კომპანიამ ამისათვის. როგორც ეკონომიკური თეორიიდანაა ცნობილი, მოგება წარმოადგენს სხვაობას პროდუქტის გასაყიდ ფასსა და მასზე დანახარჯებს შორის. მოგების მაქსიმიზაციისათვის კი აუცილებელია ან გავზარდოთ გასაყიდი ფასი, ან შევამციროთ მისი თვითღირებულება, მასზე დანახარჯები. მაგრამ აქ არის ორი ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება:

1. კონკურენცია არ იძლევა ფაისი მნნიშვნელოვნად ზრდის შესაზლებლობას (თუკი საუბარი არ არის ღაღაც განსაკუთღებულ ახალ საზონელზე, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება);
2. წარმოებაზე დანახარჯების შემცირება ფირმა-მწარმოებელს შეუძლია მხოლოდ გარკვეულ დონემდე.

ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ პწარმოებელმა კომპანიამ ან სპორტულმა ირგანიზაციამ არ იზრუნოს ფასწარმოქმნის ადექვატურ სისტემაზე, ან დანახარჯების შემცირებაზე. ამასთანავე თანამედროვე ეკონომიკის პირობებში, გასაღების ძალიან დიდი ბაზრების და ამ ბაზრებზე მრავალი სხვადასხვა მოთხოვნილებების არსებობის პირობებში არსებობს მოგების მაქსიმიზაციის ალტერნატიული გზები. მაგალითად, სტადიონს საერთო შემოსავლის ზრდის მინიმუმ ორი გზა გააჩნია, პირველი, გაზარდოს ბილეთის ფასი, და მეორე, გაზარდოს გაყიდვების მოცულობა. გარდა ამისა გაყიდვების მოცულობის ზრდა შესაძლებელია სწორად დაგეგმილი რეკლამის, საქონლისა და მომსახურების მაღალი ხარისხის, აგრეთვე მიწოდებული საქონლისათვის ახალი განსხვავებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებების (უფრო სრულყოფილი დიზაინი, უფრო გრძელვადიანი გარანტია, უფრო მოდური და უფრო პრესტიჟული) ხარჯზე. რეკლამის ინტენსივობის ზრდა ან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, მექანიკურად, შემოსავლების ზრდას არ უზრუნველკყოფს. რამდენადაც როგორც ახალ რეკლამას, ასევე საქონლის ან მომსახურების ხარისხის ზრდას ესაჭიროება მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებები, რომლებიც შესაძლებელია არაადექვატურად დიდი იყოს და მის მეშვეობით გაზრდის გადააჭარბოს შესაძლო შემოსავალს. მოკლედ, თითქოს ნათელ გზას, რომელსაც ჩვეულებრივი ბიზნესი მიჰყავს წარმატებისაკენ, სპორტული ორგანიზაციები და მასთან დაკავშირებული ბიზნესი, შესაძლოა წაიყვანოს გაბანკროტებისაკენ.

როგორ ავარიდოთ თავი მოვლენების ასეთი არასასურველო სცენარით განვითარებას? სამწუხაროდ, ასეთი უნივერსალური წესი ბუნებაში არ არსებობს. არსებობს მხოლოდ შემუშვებული თეორიები და მარკეტინგის პრაქტიკა, რომელშიც ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის უნდა მოხდეს გარკვეული დოზით ცვლილებების შეტანა, შემოქმედებითობის და ექსპერიმენტების სახით. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს რომ, სპორტული მარკეტინგი ეს არის მეცნიერების, შემოქმედებითობის და ინტუიციის ნაზავი. ყველანაირი მცდელობას ამ ტრიადის დარღვევისა და ერთი რომელიმე მიმართულებით მოძრაობას მივყავართ წარუმატებლობისაკენ.

სწორედ ამ პრინციპებით დაიწყეს მოძრაობა საერთაშორისო სპორტულმა კომპანიებმა, რომლებიც დაკავებული არიან სხვადასხვა სპორტული პროდუქციის წარმოებით. ისინი ცდილობენ „თავიანთ“ გუნდში თავი მოუყარონ სპორტსმენებს და უწევენ მათ სპონსორულ დახმარებას. სპორტსმენებმა კი თავის მხრივ უნდა მოახდინონ მათი საქონლის აქტიური რეკლამირება. ვეიკბორდინგისათვის საჭირო პროდუქციის მწარმოებელი კომპანიები (ვეიკბორდინგი - ექსტრემალური სპორტის სახეობა, რომელიც მოცავს წყალსათხილამურო სლალომს, აკრობატიკასა და ხტომებს. ერთგვარი სნოუბორდის, სკეიტბორდის და სერფინგის ნაზავი) სთვაზობენ საჭირო ინვენტარს სპორტსმენებს, უზრუნველყოფენ მათ მოგზაურობას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, რომ ადადმიანებმდა უშუალოდ იხილონ თუ რას წარმოადგენს ვეიკბორდინგი, ნახონ როგორ ხდება ამ პროდუქციის მომხარება, უშუალოდ სპორტსმენებისაგან გაიგონ ტუ რა არის მნიშვნელოვანი სპორტის ამ სახეობაში და მომავალში დიდი ალბათობით დაკავდნენ სპორტის ამ სახეობით. ასეთი ურთიერთობა ყველა მხარისათვის სასარგებლოა, სპორტსმენი იმაღლებს საკუთარ კლასს, ეცნობა ახალ ადამიანებს და ყოველივე ამასი იღებს ანაზღაურებას, კომპანია-სპონსორი კი ახდენს საკუთარი პროდუქციის რეკლამირებას, ხოლო კომპანია-მწარმოებელი გადის ახალ ბაზრებზე და ზრდის გაყიდვების მოცულობას. ასეთი მიდგომის შედეგად კმაყოფილია მოცემულ ბიზნესში ჩართული ყველა მხარე.

გააჩნია რა სპეციფიკური თვისებურებები, სპორტული მარკეტინგი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს გარკვეული ამოცანების მიხედვით, გააჩნია ძალიან ფართო პრაქტიკული ბაზა, მისი ფორმირება ხდება მუდმივად ცვალებად გარემოში, ადვილად ინტეგრირდება მსოფლიო საზოგადოებაში და ორიენტირებულია მომავალზე, ადვილად დაიმკვიდრა ადგილი მასმედიასი, საზოგადოების შეგნებასი და ზოგადად როგორც ცალკე სუბიექტმა, რომელსაც თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განვითარების წესები და სტრატეგიები გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. Маркетинг спорта / Под ред. Джона Бича и Саймона Чедвика; Пер.с англ. — М.: Альпина Паблишерз, 2010. — 706 с.
2. Спэлстра Й. Агрессивный маркетинг. Как увеличить свой доход, расправившись с затратами / Перев. с англ. Под ред. А. Буланова. – СПб.: Питер, 2005, С – 51
3. Fisher, R. Factors leading to group identification: A field study of winners and losers R. Fisher, K. Wakefield // Psychology and Marketing . — 1998. — 15 (January)

# გლობალური საფინანსო ბაზრებზე არსებული რისკების სისტემა

# Risk system at global financial markets

**ეთერ მამაცაშვილი** - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Eter Mamatsashvili** - Phd student
Georgian Technical University

**რეზიუმე.** გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე მოთამაშე სუბიექტები, როგორც წესი ყოველთვის დგანან რისკის წინაშე, რაც მდგომარეობს მომავლის ბუნდოვნებაში რამაც, თავისთავად შესაძლოა გამოიწვიოს გამოიწვიოს დანაკარგები. ბოლო ათწლეულების მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციებს თუ გადავხედავთ, შესამჩნევია, რომ რისკის დონე გაიზარდა გლობალური ეკონომიკის ყველა სეგმენტში. ეს დაკავშირებულია განვითარებული ქვეყნების კანონების ლიბერალიზაციასთან, გლობალური ფინანსური ბაზრის სწრაფ ზრდასთან და ფინანსურ გლობალიზაციასთან. ეს ყველაფერი გამოიწვია ფინანსური ბაზრის ძირითადი ფასების მაჩვენებლების (გაცვლითი ტარიფები, საპროცენტო განაკვეთები, ფასიანი ქაღალდების ციტირება და ა.შ.) არასტაბილურობის სწრაფმა ზრდამ, რაც ფინანსური რისკების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს 2007-2009 წლების მსოფლიო გლობალური ფინანსური კრიზისის დროს, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებებმა და ფასიანი ქაღალდების კოტირებამ გამოიწვია კომპანიებისა და ბანკების მნიშვენლოვანი ოდენობის გაკოტრება.

ფინანსური რისკების კომპლექსური კვლევა, განსაკუთრებით მწვავდება მიმდინარე ეტაპზე, რამდენადაც მათ უკვე ახასიათებთ სისტემური ხასიათი, ანუ ხდება რისკების ურთიერთთანხვედრა, რის შედეგადაც სავარაუდო დანაკარგების ალბათობა იზრდება. საკითხი კიდევ მეტი სიმწვავით დგას ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის, რამდენადაც მათი სამიანობა უფრო კომპლექსურია, ვიდრე საქმიანობა, რომელიც მოქმედებს მხოლოდ ეროვნულ ბაზარზე. ასეთი კომპანიები გამოირჩევიან დიდი რაოდენობის მომწოდებლებით, კონტრაქტორებით და კლიენტებით,

დაფინანსების წყაროები და საინვესტიციო ფონდის სფეროები, გამოიყენებენ ფინანსური ინსტრუმენტების ფართო სპექტრს და ანგარიშსწორების მექანიზმებს. აქედან გამომდინარე, ტრანსნაციონალურ კომპანიებს უფრო პოტენციური წყაროები აქვთ. მეორე მხრივ, მსხვილი კომპანიები როგორც წესი ხასიათდებიან კომპლექსური მართვის სტრუქტურით. მრავალრიცხოვანი ფილიალები, წარმომადგენლობითი ოფისები, შვილობილი კომპანიები და ფილიალები გარკვეულწილად ავტონომიას ფინანსურ, მარკეტინგულ და სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებაში ატარებენ. ეს მნიშვნელოვნად ართულებს რისკების მენეჯმენტს, შეზღუდოს აქტივებისა და ვალდებულებების ცენტრალიზებული მართვის შესაძლებლობები.

**საკვანძო სიტყვები:** ფინანსური კრიზისი, ფინანსური რისკი, სისტემური რისკი, რისკების მართვა, სავალუტო რისკი, საბაზრო რისკი.

**Abstract:** In the global financial markets, players' subjects are usually always at risk, which in the vagueness of the future, which may itself cause losses. If you look at trends in the development of the world economy over the past decade, it is clear that the risk level has increased in all sectors of the global economy. This is related to liberalization of laws of developed countries, rapid growth of the global financial market and financial globalization. All this is caused by the growth of instability of the main market price index (exchange rates, interest rates, securities quotes, etc.) This is particularly evident during the global financial crisis of 2007-2009 when the exchange rate changes and the quotation of securities led to the bankruptcy of companies and banks.

Complex research of financial risks is particularly complicated at the current stage, since they are characterized by systemic characterization, ie, there are mutual consolidation of risks, as a result, the likelihood of potential losses increases. The issue is even more serious for transnational companies, since their integrity is more complex than the activity that operates in the national market. Such companies are distinguished by a large number of suppliers, contractors and clients, financing sources and investment fund fields will use a wide range of financial instruments and settlement mechanisms. Consequently, transnational

companies have more potential sources. On the other hand, large companies are typically characterized by complex management structure. Numerous branches, representative offices, subsidiary companies and brunches, in some areas, carry out autonomy in financial, marketing and trade policy. This significantly complicates risk management, limiting the centralized management capabilities of the assets and liabilities.

**Key words:** financial crisis, financial risk, system risk, risk management, currency risk, market risk.

**ძირითდი ტექსტი:** საერთაშორისო საფინანსო ბაზრის ნებისმიერი მონაწილე დგას რისკის წინაშე- მომავალი მოვლენების გაურკვევლობით რამაც შეიძლება გამოიწვიოს დანაკარგები. ბოლო ათწლეულებში, რისკის დონე გაიზარდა გლობალური ეკონომიკის ყველა სეგმენტში. ეს დაკავშირებულია განვითარებული ქვეყნების კანონების ლიბერალიზაციასთან, გლობალური ფინანსური ბაზრის სწრაფ ზრდასთან და ფინანსურ გლობალიზაციასთან. ეს ყველაფერი გამოიწვია ფინანსური ბაზრის ძირითადი ფასების მაჩვენებლების (გაცვლითი ტარიფები, საპროცენტო განაკვეთები, ფასიანი ქაღალდების ციტირება და ა.შ.) არასტაბილურობის სწრაფმა ზრდამ, რაც ფინანსური რისკების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის დროს, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებებმა და ფასიანი ქაღალდების კოტირებამ გამოიწვია კომპანიებისა და ბანკების მრავალრიცხოვანი გაკოტრება.

რისკებისა და მათი მართვის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა საერთაშორისო ბაზარზე მოქმედი უმსხვილესი კომპანიებისა და ბანკებისათვის. პირველ რიგში, ტრანსნაციონალურ კომპანიებს საქმიანობა მნიშვნელოვნად უფრო კომპლექსურია, ვიდრე საქმიანობა, რომელიც მოქმედებს მხოლოდ ეროვნულ ბაზარზე. ასეთი კომპანიები გამოირჩევიან დიდი რაოდენობის მომწოდებლებით, კონტრაქტორებით და კლიენტებით, დაფინანსების წყაროები და საინვესტიციო ფონდის სფეროები, გამოიყენებენ ფინანსური ინსტრუმენტების ფართო სპექტრს და ანგარიშსწორების მექანიზმებს. აქედან გამომდინარე, ტრანსნაციონალურ კომპანიებს უფრო პოტენციური წყაროები აქვთ.

მეორე მხრივ, მსხვილი კომპანიები როგორც წესი ხასიათდებიან კომპლექსური მართვის სტრუქტურით. მრავალრიცხოვანი ფილიალები, წარმომადგენლობითი ოფისები, შვილობილი კომპანიები და ფილიალები გარკვეულწილად ავტონომიას ფინანსურ, მარკეტინგულ და სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებაში ატარებენ. ეს მნიშვნელოვნად ართულებს რისკების მართვას, შეზღუდოს აქტივებისა და ვალდებულებების ცენტრალიზებული მართვის შესაძლებლობები.

საბოლოოდ, მსხვილი კომპანიები კონკრეტულ რისკებს ატარებენ, რომლებიც თავიანთი საქმიანობის საერთაშორისო ბუნებასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ეროვნული კანონმდებლობის თავისებურებამ შეიძლება გამოიწვიოს ორმაგი დაბეგვრა და ქონების ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსავლები, ხოლო საბაჟო რეჟიმების შეცვლა ან კაპიტალის გადაადგილების შეზღუდვა შეიძლება თან ახლდეს სასაქონლო-ფულადი ნაკადების დეზორგანიზაცია.

საერთაშორისო ბაზარზე მოქმედი მსხვილი კომპანიების რისკების მართვის მექანიზმები ასევე განსხვავდება რამდენიმე სპეციფიკური მახასიათებლით. ეს გამოწვეულია იმდენად, რამდენადაც ასეთი კომპანიებისთვის რისკების უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს და მსხვილი კომპანიებისთვის ხელმისაწვდომი რისკის მართვის ინსტრუმენტების ფართო არჩევანი. ასეთ კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ ეროვნული ბაზრის მრავალი ფინანსური ინსტრუმენტები, ისევე როგორც კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ძირითადად საერთაშორისო ბაზარზე ვრცელდება. ამ ინსტრუმენტების კომბინაციით, მათ შეუძლიათ გამოიყენონ რისკების მართვის სტრატეგიის ფართო სპექტრი.

თანამედროვე ეკონომიკის სირთულე, ფინანსური ინსტრუმენტების მრავალფეროვნება, ანგარიშსწორების სქემები და სადისტრიბუციო არხები, წარმოების და სატრანსპორტო ტექნოლოგიების სირთულე წინასწარ განსაზღვრავს გაურკვევლობის მრავალი წყაროს არსებობას და, შესაბამისად, სხვადასხვა ფორმებისა და რისკის ტიპებს. მათი ანალიზისთვის გამოიყენება სხვადასხვა კლასიფიკაცია. კერძოდ, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის

კომიტეტის კლასიფიკაცია, რომელიც მოიცავს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს, ფართოდ გავრცელებულია. ამ კლასიფიკაციის ფარგლებში გამოიყოფა შემდეგი რისკ-ჯგუფები: საკრედიტო რისკი; ბაზრის რისკი; საოპერაციო რისკი; ლიკვიდურობის რისკი.

საკრედიტო რისკის ჯგუფში შედის რისკი (ცრედიტ რისკ), რომელიც დაკავშირებულია კონტრაგენტთან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან. ყველაზე გავრცელებული ეს არის საკრედიტო რისკი სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ანუ, მსესხებლის მიერ სესხის არასწორი, არასრული ან დაგვიანებული დაფარვის რისკი. ეს ჯგუფი ასევე მოიცავს რისკების დეპოზიტებზე დეპოზიტების, სავალუტო ოპერაციების ვალდებულებების შეუსრულებლობას და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და რიგი სხვა რისკები. საკრედიტო რისკები, რომლებიც უკავშირდება საკუთარი აქტივებისა და სესხების ფინანსურ აქტივებში განთავსებას. მსესხებლების ან გამომცემლების კრედიტუნარიანობის ნაკლებობა იწვევს ამ აქტივების ნაწილის დაკარგვას და მათი შემდგომი საქმიანობა შეუძლებელია. საკრედიტო რისკები უკავშირდება არა მარტო ინდივიდუალური პარტნიორების საიმედოობას, არამედ მაკროეკონომიკურ, კლიმატურ თუ პოლიტიკურ ფაქტორებს. მაგალითად, ნავთობის ფასების მკვეთრი შემცირება საწვავის და ენერგეტიკულ კომპლექსში კომპანიების კრედიტუნარიანობას ამცირებს და ბუნებრივი კატასტროფა მკვეთრად გააუარესებს ყველა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას კონკრეტულ რეგიონში.

ბაზრის რისკების ჯგუფი (საბაზრო რისკი) მოიცავს საერთაშორისო საფინანსო ბაზრის მონაწილეთა აქტივებისა და ვალდებულებების ფასის მახასიათებლების ცვლილებების რისკებს. კონკრეტული ფასის მახასიათებლების მიხედვით, ბაზრის რისკების ოთხი ძირითადი ტიპია: ვალუტა, ინტერესი, საფონდო და სასაქონლო რისკი.

სავალუტო რისკი (სავალუტო რისკი) - სავალუტო კურსის უარყოფითი ცვლილების რისკი. ეს ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც საერთაშორისო ფინანსური ბაზრის მონაწილეთა აქტივებისა და ვალდებულებების სავალუტო სტრუქტურა

განსხვავებულია. ამ შემთხვევაში მონაწილეები განიცდიან დანაკარგებს, როდესაც გაიზრდება გაცვლითი კურსი, სადაც მათ აქვთ გრძელ პოზიციები და გაცვლითი კურსი გახსნილია მოკლე პოზიციებზე. მაგალითად, ბანკში განთავსებული დეპოზიტების მოზიდვა და დოლარებში დენომინირებული ფასიანი ქაღალდების ინვესტირება, დანაკარგები იწვევს, როდესაც დოლარი ევროს მიმართ არეგულირებს. ბოლო ათწლეულში გაცვლითი კურსის მზარდი მერყეობა თანამედროვე ბანკებისა და კომპანიებისთვის ამ რისკის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იწვევს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი (საპროცენტო განაკვეთის რისკი) - საპროცენტო განაკვეთების არასასურველი ცვლილებების რისკი. შეიძლება რამდენიმე წყარო ჰქონდეს. ყველაზე თვალსაჩინო ის არის ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება (ობლიგაციები, სესხები და დეპოზიტები), საპროცენტო გადასახადები, რომლებიც ასოცირდება მცურავი მაჩვენებლებით (LIBOღ, EUღIBOღ). საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე მონაწილეები, რომლებიც ასეთ ინსტრუმენტებში ინვესტიცირდნენ, ზარალდებიან საპროცენტო განაკვეთების დონის შემცირებისას. საპროცენტო განაკვეთების ზრდასთან დაკავშირებული მონაწილეების რისკი, ფულის გათვლის მქონე ინსტრუმენტების გამოყენებით თანხების გაზრდას უკავშირდება.

საპროცენტო რისკის კიდევ ერთი პოტენციური წყარო არის საპროცენტო განაკვეთების მქონე საბანკო აქტივებისა და ვალდებულებების პირობების შეუსრულებლობა. მაგალითად, თუ ბანკი აფინანსებს გრძელვადიანი აქტივების ინვესტირებას განახლებადი მოკლევადიანი სესხების მეშვეობით, მისი საპროცენტო რისკი უკავშირდება მომავალში საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ზრდას. ამ შემთხვევაში სესხის აღების ღირებულება გაიზრდება, ხოლო აქტივების შემოსავალი უცვლელი რჩება. ბანკი, რომელიც იყენებს გრძელვადიან ვალდებულებებს მოკლევადიან ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტიციების დასაფინანსებლად, პირიქით, ზარალდება ქვედა განაკვეთებში.

კაპიტალის რისკი(ექუიტყ პოსიტიონ რისკ) დაკავშირებულია ფასიანი კვოტების ცვლადთან. იგი დაკავშირებულია საერთაშორისო საფინანსო ბაზრის მონაწილეთა საკუთრებაში არსებული ფასიანი

კოტირებების შემცირებასთან, აგრეთვე დეპოზიტების ძირითადი აქტივებისა და სტრუქტურული ფინანსური ინსტრუმენტების ნაწილის ფასიანი ქაღალდების ფასებში ცვლილებები. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მზარდი როლი თანამედროვე გლობალურ ფინანსურ სისტემაში გამოიწვია ბაზრის მონაწილეებისთვის ამ რისკის გაზრდის მნიშვნელობამ. ეს დამახასიათებელია 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის პერიოდში. რიგი მსხვილი ბანკები თავიანთი ფასიანი ქაღალდების დევალვაციის გამო განიცდიდნენ უფრო მეტ დანაკარგს, ვიდრე მათი მსესხებელთა გადახდისუუნარობის გამო.

სასაქონლო რისკი (ცომმოდიტყ რისკ)უკავშირდება სასაქონლო ფასების ცვლილებებს, რის გამოც ეს რისკი ხშირად იძენს ფასების რისკს. ის დამახასიათებელია კომპანიებისთვის, ვიდრე ბანკებისთვის. თუმცა, ბანკები მათ საქმიანობაში არიან. უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ძვირფასი ლითონების(ოქრო, ვერცხლი, პალადიუმი და ა.შ.) ფასების დინამიკასთან, რომლებიც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ფინანსურ პრაქტიკაში. გარდა ამისა, 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის განმავლობაში, საქონლის ფასებში ინტენსიური ზრდის პერიოდში, საწარმოო ნედლეულზე ინვესტიციების (ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ფერადი მეტალების და სხვა) განხორციელების პრაქტიკა ფართოდ გავრცელდა.

ფასების ცვლილების ძირითად ფორმასთან ერთად - ფასების ცვლილების (გარიგების რისკის) გამო, ზარალის წარმოქმნის რისკი, რისკის კიდევ ორი სახეობაა (პირველ რიგში სავალუტო რისკი): საბუღალტრო და მაკროეკონომიკური. საბუღალტრო (მთარგმნელობითი) რისკი უკავშირდება ფინანსური ანგარიშგებაში ცვლილებებს ცვლილებების განაკვეთებისა და ფასიანი ქაღალდების ციტატების ცვლილების გამო. მაგალითად, საერთაშორისო საფინანსო ბაზრის მონაწილეთა ვალდებულებების გრძელვადიანი აქტივების შემცირება, მათ შორის ფინანსური მდგომარეობის რეალურ გაუარესებას არ ექვემდებარება, ვინაიდან ამ ვალუტის გაცვლითი კურსი შეიძლება ბევრჯერ შეიცვალოს ამ აქტივების გაყიდვაში. თუმცა, მონაწილეთა საბუღალტრო ანგარიშები კვლავ გაუარესდება. ანალოგიურად, ფასიანი ქაღალდების ციტატების

მერყეობებში, რომლებიც ფინანსურ ბაზარზე მონაწილეები უახლოეს მომავალში გაყიდვას არ გეგმავენ, გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ არა ამ ფასიანი ქაღალდების მფლობელების რეალური ფინანსური მდგომარეობა. მას შემდეგ, რაც ბევრი ბაზრის მონაწილეები იყენებენ ფინანსურ ანგარიშგებას, როგორც კონტრაქტორების ფინანსური მდგომარეობის ანალიზს, ანგარიშგების გაუარესებას; არსებული ზარალის გამო, შეიძლება გამოიწვიოს საკმაოდ რეალური დანაკარგები: საფონდო ფასები, ფულის გადინება და დაბალი საკრედიტო ლიმიტები.

მაკროეკონომიკური რისკი უკავშირდება იმ ფაქტს, რომ გაცვლითი კურსის დინამიკა და საპროცენტო განაკვეთი გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის ცალკეულ სექტორებზე, ამ სექტორებთან დაკავშირებული კომპანიებისა და ბანკების ფინანსურ მდგომარეობაზე. მაკროეკონომიკური სავალუტო რისკის თვალსაჩინო მაგალითია რუსეთში 1998 წლის მოვლენები, როდესაც რუბლი მკვეთრად დაეცა. შედეგად, იმპორტირებული სამომხმარებლო საქონლის ღირებულება რამდენჯერმე გაიზარდა და რუსმა მომხმარებლებმა დაიწყეს იმპორტირებული პროდუქტის მასიურად უარყოფა, რუსეთის სასარგებლოდ. რუსეთში ევროპული საქონლის ექსპორტის უარყოფით გერმანული, ფრანგული და ფინეთის საექსპორტო კომპანიები რუსეთის ბაზრის დაკარგვის გამო დაზარალდა. გარკვეულწილად, ევროპული საექსპორტო კომპანიების მომწოდებლები და კონტრაქტორები დანაკარგებს განიცდიდნენ. ეს არის მაკროეკონომიკური სავალუტო რისკის უნიკალურობა. უცხოური ვალუტის აქტივებისა და ვალდებულებების მქონე კომპანიებს შეუძლიათ გაუმკლავდნენ ტრანსაქციური და საბუღალტრო ვალუტის რისკებს, მაგრამ მხოლოდ შიდა ბაზარზე მოქმედი კომპანიები შეიძლება განიცდიდნენ მაკროეკონომიკურ სავალუტო რისკს.

საოპერაციო რისკების ჯგუფი (ოპერატიონალ რისკ) მოიცავს საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე მონაწილეთა საქმიანობის პროცესების არაპროგნოზირებად დარღვევასთან დაკავშირებულ უამრავ რისკს. ამ ჯგუფში შედის დარღვევები, რომლებიც გამოწვეულია როგორც შიდა მიზეზებით (პერსონალის შეცდომები ან დარღვევები, დანადგარების ჩავარდნები და ა.შ.) ასევე გარე

ფაქტორები (ბუნებრივი კატასტროფები, საბაზრო მანიპულირება, მთავრობის რეგლამენტში ცვლილებები). კომპლექსური სტრუქტურის გამო, საერთაშორისო ფინანსურ ბაზარზე მონაწილეები იყენებენ საოპერაციო ტექნოლოგიებს. აქედან გამომდინარე, ისინი ექვემდებარებიან საოპერაციო რისკს უფრო მეტად, ვიდრე ორგანიზაციები, რომლებიც მხოლოდ შიდა ბაზარზე მუშაობენ.

ლიკვიდურობის რისკი (ლიკვიდურობის რისკი) - გარიგების მონაწილე მხარის არარსებობის რისკი. გასული ათწლეულების მანძილზე, ის სათანადოდ ვერ შეაფასა. თუმცა, 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი. გამოავლინა საერთაშორისო საფინანსო ბაზრის მონაწილეთა მაღალი რისკი ამ რისკზე. ასე რომ, ბევრმა იმედი გამოთქვა, რომ ნებისმიერ დროს შეძლებენ ბანკთაშორის საკრედიტო ბაზრებზე მოზიდვას ან გაყიდონ ფასიანი ქაღალდები. მაგრამ ბაზრის მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულების შემცირების პერიოდში, რომელმაც საერთაშორისო ფინანსური ბაზრის რიგი სეგმენტების პარალიზება მოახდინა, ეს ბანკები სერიოზულ პრობლემებს განიცდიდნენ თავისუფალი ფონდების მოზიდვასა და მნიშვნელოვან დანაკარგებს.

ბაზელის კომიტეტის კლასიფიკაცია არ არის მათი რისკის წყაროების მიხედვით რისკების მხოლოდ კლასიფიკაცია. თუმცა, ალტერნატიული კლასიფიკაციების დიდი უმრავლესობა განსხვავდება მისგან. მაგალითად, GA GAღP-ის (Gენერალლყ Aცცეპტედ ღისკ Pრინციპლეს) კლასიფიკაცია, რომელიც ფართოდ გამოიყენება აუდიტორული კომპანია ჩოოპერს &ამპ; Lყბრანდ - ის მიერ შემუშავებული არასაბანკო კომპანიების რისკის ანალიზში, ზემოთ აღნიშნული ოთხივე ჯგუფთან ერთად, განასხვავებს ბიზნესის მოვლენების რისკებს ცალკეულ ჯგუფებად (მაგალითად, გარედან წარმოქმნილი საოპერაციო რისკები ფაქტორები) და კონცენტრაციის რისკი (ანუ საკრედიტო და საბაზრო რისკები, რომლებიც უკავშირდება აქტივებისა და ვალდებულებების კონცენტრაციას).

რისკის წყაროების კლასიფიკაციის გარდა, რისკის კლასიფიკაცია ფართოდ გამოიყენება თანამედროვე პრაქტიკაში. კერძოდ, შესაძლო განხორციელების პერიოდში, რისკები იყოფა მოკლე, საშუალო და

გრძელვადიან პერსპექტივაში. დანაკარგების პოტენციური მასშტაბით, რისკები დაყოფილია (მოგებათა მცირე ნაწილის დაკარგვისკენ), კრიტიკული (ლიდერობით მკვეთრი შემცირება) და კატასტროფული (გაკოტრებისკენ მიმავალი გზა). პროგნოზირების ხარისხის მიხედვით, რისკები იყოფა პროგნოზირებად და არაპროგნოზირებად რისკებად. მსხვილი კომპანიებისთვის რისკის კლასიფიკაცია მათი ძირითადი წყაროდან ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. რისკის მიხედვით, რისკები იყოფა ინდივიდუალურ (კონკრეტულ კონტრაგენტთან ან ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული მახასიათებლებით), ქვეყანა (კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკასთან ასოცირებული), ინდუსტრია (კონკრეტული ინდუსტრიის სპეციფიკის გამო) ან გლობალური (დაკავშირებულია გლობალურ ეკონომიკასთან დაკავშირებულ ფაქტორებთან). ბოლო სამი ჯგუფის კუთვნილი რისკები ეწოდება სისტემურ რისკებს (სისტემური რისკი).

ეს კლასიფიკაციები დიდწილად გადახურვაა. რისკი ერთ კლასიფიკაციაშია, რომელიც მიეკუთვნება იმავე ჯგუფს, სხვა კლასიფიკაციაში შეიძლება განსხვავდებოდეს განსხვავებულს. მაგალითად, მსესხებლის გაკოტრების საფრთხე ყოველთვის ეხება საკრედიტო რისკებს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, თუ რა ფაქტორებმა გამოიწვია ეს გაკოტრება, ეს შეიძლება ეხებოდეს ინდივიდუალურ (ცუდი მენეჯმენტის ხარისხს), ქვეყანას (საგადასახადო რეჟიმის შეცვლას ქვეყანაში), ინდუსტრია (კომპანიის მიერ წარმოებული საქონლის ფასების გლობალური კლება) ან გლობალური (გლობალური ფინანსური კრიზისი).

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ხიდირბეგშვილი ნ., ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები, თბილის გამომცემლობა „დანი“ 2017.
2. საერთაშორისო ბიზნესი (ლექციების კურსი), ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა უნივერსალი თბილისი 2016;
3. ცაავა გ., და სხვ. რისკოლოგია, თბილისი გამომცემლობა „დანი“ 2017.

4. Чиченов М.В., Основы международного бизнеса: учебное пособие.-М.: КНОРУС, 2009;
5. Шевчук Д.А., Международная финансовая система: учебное пособие.-Ростов н/ Д: Феникс, 2012.
6. http://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/debulebariskebis_martva.pdf გადამოწმებულია 16.12.2018.
13. http://www.myforex.ge/?p=184 გადამოწმებულია 14.12.2018.
7. http://www.risk24.ru/valriski.htm გადამოწმებულია 16.12.2018.
8. http://www.bibliotekar.ru/finance-7/40.htm გადამოწმებულია 14.06122018.
9. www.worldbiz.ru/analytics/detail.php?ID გადამოწმებულია 22.10.2018.

# იმერეთის რეგიონში წარმოებული პროდუქცია ბაზარზე მოთხოვნადია

# The products produced in Imereti region are in demand on the market

**გოდერძი შანიძე** - ბიზნესისა და მართვის დოქტორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
**Goderdzi Shanidze** - Doctor of Business and Management
Akaki Tsereteli State University

**რეზიუმე:** ბიზნესის განვითარება ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არსებობს წარმოებული პროდუქციის რეალური მოთხოვნა ბაზარზე. ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტად იკვეთება მოთხოვნის გაზრდა ადგილობრივ პროდუქციაზე და რიგ შემთხვევებში მოთხოვნა აღემატება კიდევაც მიწოდებას.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდა საფაკულტეტო საგრანტო პროექტის ფარგლებში 2018 წელს განხორციელდა კვლევა იმერეთის რეგიონში არსებული ბიზნესისათვის, განვითარების პოტენციალის გზების ძიების მიმართულებით. კვლევა შეეხებოდა იმის დადგენას, თუ რამდენად მოიხმარს იმერეთის რეგიონში წარმოებულ პროდუქციას ქ.ქუთაისის სასტუმროები კვებითი მომსახურებისას. ყოველივე ამის დასადგენად თავდაპირველად მოვახდინეთ იმერეთის რეგიონში წარმოებული პროდუქციის ნიმუშების გაცნობა და შევთავაზეთ სასტუმროებს კვებით მომსახურებისათვის.

კვლევისათვის გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები: საველე კვლევა, კაბინეტური კვლევა, რომელიც დაფუძნებული იყო კომპლექსურ, ინტერდისციპლინარულ მიდგომებზე, ანალიზი და სინთეზი. აღნიშნული კვლევების ერთობლივმა გამოყენებამ საშუალება მოგვცა მიგვეღო უფრო ამომწურავი ინფორმაცია და დაგვესახა არსებული პრობლემების გადაჭრის გზები და შეგვემუშავებინა რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება დაეხმარება რეგიონის საწარმოებს მომავალში წარმატების მიღწევაში.

კვლევამ აჩვენა, რომ მეწარმეები მზად არიან სასტუმროებს კვებითი მომსახურეობისათვის სასურველ ფასად მიაწოდონ პროდუქცია თუკი მათ ექნებათ მყარი გარანტია ურთიერთ თანამშრომლობისა.

დასკვნის სახით კი შეიძლება ვთქვათ, რომ იმერეთის რეგიონში, ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში არსებობს ბიზნესის განვითარების პოტენციური შესაძლებლობები. იმერეთის რეგიონში წარმოებული პროდუქცია მოთხოვნადია და მომხმარებელს სურვილი

აქვს, რომ შეიძინოს აღნიშნული პროდუქცია, ხშირ შემთხვევებში მოთხოვნა აღემატება კიდევაც მიწოდებას.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნესი; იმერეთის რეგიონი; სასტუმრო; ბიზნესის განვითარების პოტენციალი; მომხმარებლები;

**Abstract:** Business development mainly depends on how much real demand is there of the produced products on the market. In recent years, there has been more and more increasing demand on domestic production and in some cases the demand even exceeds the supply.

In the framework of Internal Faculty Grant Project in Akaki Tsereteli State University, in 2018 a research was conducted in Imereti region for the search of the ways of development potential for the existed business. The survey was aimed at assessing how much the products produced in Imereti region are used by Kutaisi hotels in food services. In order to find all this out, we first introduced the samples of the products produced in Imereti Region and offered them to the hotels for the food service.

While doing the research I used the following methods: a field research, a study research, based on complex, interdisciplinary approaches, analysis and synthesis. The joint use of these studies has enabled us to get more comprehensive information and to find ways to solve the existing problems and to work out recommendations that will enable the region's enterprises to succeed in the future.

The study has shown that entrepreneurs are ready to provide the hotels with food in desired prices if they have a solid guarantee of mutual cooperation.

In conclusion, we can say that in Imereti region, as well as in whole Georgia there are prospective opportunities for business development, the products produced in Imereti Region are in demand and customers have a desire to buy these products, in most cases the demand is higher than the supply.

**Key words:** business; Imereti region; hotel; Business development potential; customers;

ბიზნესის განვითარება ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არსებობს წარმოებული პროდუქციის რეალური მოთხოვნა ბაზარზე. ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტად იკვეთება მოთხოვნის გაზრდა ადგილობრივ პროდუქციაზე და რიგ შემთხვევებში მოთხოვნა აღემატება კიდევაც მიწოდებას.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდა საფაკულტეტო საგრანტო პროექტის ფარგლებში 2018 წელს

განხორციელდა კვლევა იმერეთის რეგიონში არსებული ბიზნესისათვის, განვითარების პოტენციალის გზების ძიების მიმართულებით. კვლევა შეეხებოდა იმის დადგენას, თუ რამდენად მოიხმარს იმერეთის რეგიონში წარმოებულ პროდუქციას ქ.ქუთაისის სასტუმროები კვებითი მომსახურებისას. ყოველივე ამის დასადგენად თავდაპირველად მოვახდინეთ იმერეთის რეგიონში წარმოებული პროდუქციის ნიმუშების გაცნობა და შევთავაზეთ სასტუმროებს კვებით მომსახურებისათვის.

კვლევისათვის გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები: საველე კვლევა, კაბინეტური კვლევა, რომელიც დაფუძნებული იყო კომპლექსურ, ინტერდისციპლინარულ მიდგომებზე, ანალიზი და სინთეზი. აღნიშნული კვლევების ერთობლივმა გამოყენებამ საშუალება მოგვცა მიგვეღო უფრო ამომწურავი ინფორმაცია და დაგვესახა არსებული პრობლემების გადაჭრის გზები და შეგვემუშავებინა რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება დაეხმარება რეგიონის საწარმოებს მომავალში წარმატების მიღწევაში.

**დიაგრამა 1**




**წყარო: პროექტის „ბიზნესის განვითარების პოტენციალის შესწავლა იმერეთის რეგიონში არსებული ბიზნესისათვის“ კვლევის შედეგები. 2018 წელი**

კვლევამ აჩვენა, რომ იმერეთის რეგიონში წამოებული პროდუქცია საკმაოდ ხარისხიანია და მოთხოვნადი გახდა. ჩვენ ამ ეტაპზე ყურადღებას გავამახვილებთ ქ. ქუთაისში ჩატარებულ კვლევაზე და გამოვყოფთ რამდენიმე პროდუქტს (კვლევა ჩატარდა ქ.

ქუთაისის 20 სასტუმროში). კითხვა დასმული იყო შემდეგნაირად: რა ფასად ყიდულობთ აღნიშნულ პროდუქტს, რა ფასად ისურვებდით, რომ შეიძინოთ და გსურთ თუ არა შეიძინოთ იმერეთის რეგიონში წამოებული აღნიშნული პროდუქცია.

**დიაგრამა 2**




წყარო: პროექტის „ბიზნესის განვითარების პოტენციალის შესწავლა იმერეთის რეგიონში არსებული ბიზნესისათვის" კვლევის შედეგები. 2018 წელი

**დიაგრამა 3**




წყარო: პროექტის „ბიზნესის განვითარების პოტენციალის შესწავლა იმერეთის რეგიონში არსებული ბიზნესისათვის" კვლევის შედეგები. 2018 წელი

როგორც დიაგრამიდან ჩანს, გამოკითხულთა 55 % ყველს ყიდულობდა 6-7 ლარად, ხოლო 75 %-ს სურვილი აქვთ ის შეიძინოს 4 – 5 ლარამდე ფასში. ფერმერებთან საუბრის დროს კი გამოიკვეთა, რომ თუკი სასტუმროები იქნებიან მათი მუდმივი მომხმარებლები ისინი მზად არიან მათთვის სასურველ ფასში (5 ლარი სეზონურობის გათვალისწინებით) მიაწოდონ აღნიშნული პროდუქცია.

**დიაგრამა 4**




**წყარო:** პროექტის „ბიზნესის განვითარების პოტენციალის შესწავლა იმერეთის რეგიონში არსებული ბიზნესისათვის" კვლევის შედეგები. 2018 წელი




**დიაგრამა 5**

**წყარო:** პროექტის „ბიზნესის განვითარების პოტენციალის შესწავლა იმერეთის რეგიონში არსებული ბიზნესისათვის" კვლევის შედეგები. 2018 წელი

**დიაგრამა 6**




**წყარო: პროექტის „ბიზნესის განვითარების პოტენციალის შესწავლა იმერეთის რეგიონში არსებული ბიზნესისათვის" კვლევის შედეგები. 2018 წელი**

როგორც დიაგრამიდან ჩანს, გამოკითხულთა 80 % კვერცხს ყიდულობდა 0,30-0,35 ლარად, ხოლო 75 %-ს სურვილი აქვთ ის შეიძინოს 0,28-0,30 ლარამდე ფასში. ფერმერებთან საუბრის დროს კი გამოიკვეთა, რომ თუკი სასტუმროები იქნებიან მათი მუდმივი მომხმარებლები ისინი მზად არიან მათთვის სასურველ ფასში (0,30 ლარი სეზონურობის გათვალისწინებით) მიაწოდონ აღნიშნული პროდუქცია.

**დიაგრამა 7**




**წყარო: პროექტის „ბიზნესის განვითარების პოტენციალის შესწავლა იმერეთის რეგიონში არსებული ბიზნესისათვის" კვლევის შედეგები. 2018 წელი**

დიაგრამა 8




წყარო: პროექტის „ბიზნესის განვითარების პოტენციალის შესწავლა იმერეთის რეგიონში არსებული ბიზნესისათვის“ კვლევის შედეგები. 2018 წელი

დიაგრამა 9



წყარო: პროექტის „ბიზნესის განვითარების პოტენციალის შესწავლა იმერეთის რეგიონში არსებული ბიზნესისათვის“ კვლევის შედეგები. 2018 წელი

როგორც დიაგრამიდან ჩანს, გამოკითხულთა 60 % ქათამს ყიდულობდა 5-6 ლარად, ხოლო 70 %-ს სურვილი აქვთ ის შეიძინოს 5 – 5,5 ლარამდე ფასში. ფერმერებთან საუბრის დროს კი გამოიკვეთა, რომ თუკი სასტუმროები იქნებიან მათი მუდმივი მომხმარებლები ისინი მზად არიან მათთვის სასურველ ფასში (5,5 ლარი სეზონურობის გათვალისწინებით) მიაწოდონ აღნიშნული პროდუქცია.

ანალოგიური შედეგები ფიქსირდება სხვადასხვა პროდუქტებზე ( კიტრი, პომიდორი, მწვანილები, მინერალური წყალი „საირმე“, ღვინო „ხარება“, თაფლი, ჩაი და სხვა პროდუქტები) თითქმის ყველა პროდუქტზე არის შესაძლებლობა, რომ სასტუმროებისთვის სასურველ ფასად მეწარმეებმა მიაწოდონ აღნიშნული პროდუქცია თუკი მათ ექნებათ მყარი გარანტია ურთიერთ თანამშრომლობისა.

ბიზნესის წამომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ თუკი სახელმწიფოს მხრიდან იქნება უფრო მეტი მხარდაჭერა ბიზნესისადმი (იგულისხმება ხემისაწვდომი კრედიტები, ახალი ტექნოლოგიების შემოტანაში ხელშეწყობა, სახელმწიფო შესყიდვები და ა.შ.), უფრე მეტად შეძლებენ სასტუმროების და ადგილობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთის რეგიონში ბიზნესის განვითარებას ხელი მნიშვნელოვან წილად შეუწყო სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულმა პროგრამებმა („აწარმოე საქართველოში“, „მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერა“, „სასტუმრო ინდუსტრია“, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება“ და სხვა). ამ მიმართულებით იმერეთის რეგიონი ერთ-ერთი მოწივანეთაგანია ბიზნეს სუბიექტების რეგისტრატიის მიხედვით.

დასკვნის სახით კი შეიძლება ვთქვათ, რომ იმერეთის რეგიონში, ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში არსებობს ბიზნესის განვითარების პოტენციური შესაძლებლობები. იმერეთის რეგიონში წარმოებული პროდუქცია მოთხოვნადია და მომხმარებელს სურვილი აქვს, რომ შეიძინოს აღნიშნული

პროდუქცია, ხშირ შემთხვევებში მოთხოვნა აღემატება კიდევაც მიწოდებას.

## დასკვნები და რეკომენდაციები:

1. იმერეთის რეგიონში წარმოებული პროდუქცია საკმაოდ ხარისხიანია, მოწონება დაიმსახურა და გამოითქვა სურვილი სასტუმროებში უფრო მეტი რაოდენობით გამოიყენონ კვებითი მომსახურეობისას.
2. იმისათვის, რომ სასტუმროებს სასურველ ფასად მიაწოდოს ფერმერებმა პროდუქცია, საჭიროა მყარი გარანტიები ურთიერთ თანამშრომლობითი ხელშეკრულების საფუძველზე.
3. სასურველია, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი პროგრამები უფრო გამჭირვალე და ხელმისაწვდომი გახდეს დაინტერესებული ბიზნეს სუბიექტებისთვის.
4. რძის მიმღებმა კომბინატებმა უნდა მოახდინოს მეტი რძის შესყიდვა მიმდებარე სოფლების მოსახლეობიდან, ან გააკეთოს მცირე ფერმა, რათა გაზარდოს ყველის წარმოება და პროდუქცია მიაწოდოს არა მხოლოდ ერთი რეგიონის ბაზარს, არამედ სხვა რეგიონებსაც, სადაც საკმაოდ დიდია მოთხოვნა.
5. მეფრინველეობის მიმართულებით ფერმერებმა უნდა გააფართოვოს წარმოება, უფრო ჯიშიანი ქათმების მოშენების ხარჯზე. ამით საშუალება ექნებათ დააკმაყოფილონ სამომხმარებლო ბაზრის გაზრდილი მოთხოვნები, როგორც კვერცხით ისე ქათმის ხორცით.

## გამოყენებული მასალები:


1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შიდა საფაკულტეტო გრანტის ფარგლებში განხორციელებული პროექტის „ბიზნესის განვითარების პოტენციალის შესწავლა იმერეთის რეგიონში არსებული ბიზნესისათვის“ კვლევის შედეგები. 2018 წელი

# სოფლის მეურნეობის როლი საქართველოს ცხოვრების დონის ხარისხის ამაღლებაში
# The role of agriculture in improving the living standards in Georgia

**შორენა მეტრეველი** - ასოცირებული პროფესორი
ბიზნეს ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

**Shorena Metreveli** - Associate Professor
Business and Technology University

**რეზიუმე:** საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე საკუთარი ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის პასუხისმგებლობა ცენტრალურმა და რეგიონულმა ხელისუფლებამ აიღეს. დღეს არსებით მნიშვნელოვანია რეგიონების როლის გაზრდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ქვეყნის ეკონომიკიაში მრავალსაფეხურიან სისტემაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია რეგიონებს, ხოლო მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით უზრუნველყოფა.

დღევანდელ საქართველოში მნიშვნელოვნად წინ დგას სოფლის მეურნეობს განვითარება, რის საფუძველზეც მოხდება ეკონომიკის გაძლიერება და, შესაბამისად, ცხოვრების დონის გამოთანაბრება. ამისათვის საჭიროა მოხდეს მოცემული რეგიონალური ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური, მეცნიერული, რესურსული და ქონებრივი პოტენციალის შეფასება. ეს კი შეუძლებელია ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების მატერიალური წარმოების დარგების, ინფრასტრუქტურის, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და პირობების საფუძვლიანი შესწავლისა გარეშე, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს ანალიზის სხვადასხვა მიდგომები. სოფლის მეურნეობების განვითარებაში სოლიდური ადგილს ფერმერული მეურნეობების განვითარება იკავებს. ერთიანობაში აქცენტი უნდა გაკეთდეს რეგიონების დონეზე ეკონომიკის და ფინანსური პოტენციალის მართვისა და გაძღოლის თვისებრივად ახალ გზებსა და მეთოდებზე. სამწუხაროდ საქართველოს რეალობაში სახეზეა გარკვეული კოლიზია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვიათარების სურვილებსა და მათი ფინანსური პოტენციალით უზრუნველყოფის საკითხებს შორის. ფინანსური

საგადასახადო პოლიტიკა ქვეყანაში მოწყობილია „ზემოდან ქვემოთ“ პრინციპით. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე აღებულია კურსი მმართველობის ფუნქციები გადანაწილდეს რეგიონალურ წარმონაქმნებზე.

ფერმერული მეურნეობები (მწარმოებული შინამეურნეობები) ეკონომიკის ხუთი ინსტიტუციური სექტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია. ფერმერული მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით კოოპერირებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ფერმერული მეურნეობების შემდგომ განვითარებას, რისი მონიტორინგიც შესაძლებელია განხორციელდეს ცხოვრების ხარისხის სტატიაში მოტანილი ინოვაციური ინდიკატორებით.

**Abstract:** As soon as Georgia gained independence, the responsibility for the development of the country's economy was assumed by the central and regional governments. Today, strengthening the role of the regions in the economic development of the country is essential. The regions play one of the leading roles in the many-step system of the country economy, and the provision of the population with agricultural products is particularly important.

In present-day Georgia, the development of agriculture should be prioritized and it should serve as a basis to strengthen economy and equalize the living standards in the country as a result. For this purpose, it is necessary to evaluate the social-economic, scientific, resource and proprietary potential of the regional areas what is impossible without a thorough study of the branches of material production, infrastructure, people's living standards and conditions in the territorial units of Georgia, and various analytical approaches must be used for this purpose. A solid function in the agricultural development is assigned to the development of farming. All in all, the qualitatively new ways and methods of management and regulation of the economy and financial potential at the regional level must be emphasized. Unfortunately, in Georgia, there is a certain collision observed between the wishes of the regions to reach social-economic development and the financial potential made available to them. The financial tax policy in the country is organized with an "upside down" principle. The course realized at the present stage of the social-economic development of Georgia implies the distribution of the managerial functions among the regional formations.

Farming (household production) is one of the most important sectors of five institutional sectors of economy. Further development of farming may contribute much to the cooperation of the individual branches of farming and improvement of the people's living standards. This can be monitored by using the novel indicators given in the article dedicated to the living standards.

**საკვანძო სიტყვები:** სოფლის მეურნეობა, ცხოვრების დონე, ინოვაციური ინდიკატორები.

**Key Words:** Agriculture, Life level, innovative indicators.

**შესავალი:** „ერის ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ივვებება“[13]. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 28-წლის თავზე ქვეყანა ეკონომიკის და მათ შორის სოფლის მეურნეობის მუდმივი ტრანსფორმაციის რეჟიმში ცხოვრობს. გაჭიანურებულია გარდამავალი პერიოდი, მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების მიუხედავა ქვეყანას უჭირს სოფლის მეურნეობაში ჩამოყალიბებული სისტემური ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა. მოსახლეობის კვების პროდუქტებით ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უმეტესად ეგზოგენურ ფაქტორებზეა მინდობილი. სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების მკვეთრმა დაქვეითებამ ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოება სერიოზული რისკის ქვეშ დააყენა.

სტატიაში ეროვნული ეკონომიკის უმნიშვენელოვანესი დარგის - სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული სხვა დარგების განვითარების თავისებურებანი, ტენდენციები და კრიზისის გამომწვევი მიზეზებია წარმოდგენილი.

პირველი წლებიდანვე დაიწყო ეკონომიკის ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში. საჭირო გახდა საკუთარი ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის თავისი წილი პასუხისმგებლობა აეღო როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ ხელისუფლებას.

---

[13] Н. Свирейко. Продовольственная безопастность: методы исследования, пути достижения. Белорусский журнал международного права и международных отношений. 2004 – N 4.

ამჟამად, აღებულია კურსი გაიზარდოს რეგიონების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ქვეყნის ეკონომიკის მრავალსაფეხურიან სისტემაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია რეგიონებს, ხოლო რეგიონებში განსაკუთრებით მოსახლეობის სასოფლო სამეურნეო პროდუქტებით უზრუნველყოფაში დიდი როლის შესრულება შეუძლია ფერმერულ მეურნეობებს. ფერმერული მეურნეობების განვითარების პირობები არაერთგვაროვანია ქვეყნის რეგიონების მიხედვით. ცხოვრების დონისა და მოსახლეობის დასაქმების მხრივ არსახარბიელო მდგომარეობაა ჩამოყალიბებული მაღალმთიან რეგიონებში. ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მოსახლეობის ფერმერულ მეურნეობათა ბიზნესის განვითარებას მნიშვნელოვანწილად შეუძლია ხელი შეუწყოს მოსახლეობის კვების პროდუქტებზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და კოოპერაციული მოძრაობის გააქტიურებით წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლებას.

უშუალოდ სოფლის მეურნეობების როლის განხილვამდე ეკონომიკაში, განვიხილოთ ისეთი საერთაშორისო სტანდარტი, როგორიცაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. მოცემული სისტემის თანახმად საქართველოში ეკონომიკური ოპერაციები ნაწილდება ხუთ ინსტიტუციურ სექტორად: არაფინანსური კორპორაციები და კვაზიკორპორაციები; ფინანსური კორპორაციები და კვაზიკორპორაციები; სახელმწიფო მართვის ორგანოები; შინამეურნეობები და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორაგანიზაციები.

შინამეურნეობების სექტორი მოიცავს რეზიდენტ შინამეურნეობებს. ყველა მათგანი ეას-ში მომხმარებლის სტატუსით განიხილება, მაგრამ ისეთები, რომლებიც მწარმოებლური ფუნქციის მატარებელია და გააჩნია მცირე არაკორპორირებული საწარმოები (სახერხები, წისქვილები და სხვა ტიპის მცირე საწარმოები) გათანაბრებული არიან ფერმერულ მეურნეობებთან. ამდენად მომავალში იქ სადაც შინამეურნეობებზე იქნება საუბარი ვგულისხმობთ ფერმერულ მეურნეობებს. შინამეურნეობა არის ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება ერთ სახცოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტით (მისი ნაწილით),

ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობებით.[14] შინამეურნეობის უმეტესი ნაწილი საქართველოში დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით, ღვინის და სხვა სახის ალკოჰოლური სასმელების ჩამოსხმით. მესაქონლეობითა და რძის პროდუქტების გადამუშავებით და ა.შ. ზემოაღნიშნული აქტივობებით უპირველეს ყოვლისა ხდება შინამეურნეობების წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ჭარბი პროდუქტების ბაზარზე გაყიდვა.

სტატისტიკური ინფორმაციის ძირითადი წყარო შინამეურნეობების შემოსავლებსა და დანახარჯებზე ასახულია შინამეურნეობების ბიუჯეტებზე განხორციელებული სპეციალურად ორგანიზებული შერჩევითი სტატისტიკური დაკვირვების მასალებში. საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 16% სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგია. აგრარული მეურნეობების უმეტესობა მცირე ზომისაა და ისინი ადამიანურ შრომაზეა დამოკიდებული. ამჟამად სქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა საკმაოდ დაბალია. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოში აღიწერა 1109 ათასი კერძო შინამეურნეობა. აქედან ქვეყანაში დაფიქსირდა 642.2 ათასი მეურნეობა, მათ შორის 640.0 ათასი - შინამეურნეობა და 2.2 ათასი - იურიდიული პირი. რეგიონების მიხედვით, მეურნეობების ყველაზე მეტი რაოდენობა იმერეთში (19.6%), კახეთსა (15.1%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (13.3%) დაფიქსირდა. მეურნეობების მთლიანი რაოდენობიდან 574.1 ათასს სარგებლობაში აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწა, ხოლო დანარჩენ 68.1 ათასს - არ აქვს. მეურნეობების უდიდესი ნაწილი მცირემიწიანია. კერძოდ, მეურნეობების სამ მეოთხედზე მეტს (77.1%) სარგებლობაში აქვს 1 ჰა-ზე ნაკლები სასოფლო-სამეურნეო მიწა და მათზე სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების 21.5% მოდის.

სოფლად არსებული რეალური სიტუაციის გათვალისწინებით და არასახარბიელო მიგრაციული პროცესების გასაუმჯობესებლად საქართველოს ახალმა მთავრობამ ეკონომიკის განვითარების

[14] www.geostat.ge

პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნია სოფლის მეურნეობისა და შინამერუნეობათა განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

ისევე როგორც მთლიანად ეკონომიკაში, აგრარულ ეკონომიკაშიც ყოველგვარი წარმატება მისი ორი მხარის საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობათა ერთიანობაა, თუმცა სამწუხაროდ, იგი ჩვენთან სწორი მიმართულებით დღემდე არ რეგულირდება. მაგალითად, უცხოეთის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოება წარიმართება ფერმერული მეურნეობების განვითარების საფუძველზე და ეფუძნება მსხვილი მეურნეობის უპირატესობის კანონს. სხვაგვარად რომ ითქვას, წვრილი სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლისაგან არ შეიძლება წარმოების ისეთი ორგანიზაცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბაზრის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება. ბაზარზე უნდა არსებობდეს 13 მსხვილი საქონელმწარმოებლები, ისინი კი სრულად უზრუნველყოფენ ბაზარს სასურსათო პროდუქტებით. ამასთან, განვითარებულ ქვეყნებში სასურსათო ბაზარზე საქონელმწარმოებლებს თავისუფალი შესვლა და გასვლა აქვთ გარანტირებული, მოქმედებს კარგად ორგანიზებული მიწის ბაზარი, ფართოდ გავრცელებულია მიწის იჯარა, არსებობს იპოთეკური კრედიტი, ფერმის შესყიდვისთვის ხელშემწყობი პირობები.

ყველაფერი ეს მიანიშნებს, რომ ყველა პირი, რომელსაც სურს დაიწყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მას წარმოების აწყობისათვის სჭირდება საწარმოო საშუალებები, იმყოფებიან თანაბარ პირობებში. საქართველოში კი, დამწყები მეწარმეებისათვის დღემდე არ არის შექმნილი ის საბაზრო გარემო პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნამდვილი მეწარმეობრივი საქმიანობის დაწყებასა და ბაზარზე თავისუფალ გასვლას.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, ჩვენი წარსული მემკვიდრეობაც, რომ ჩვენ საბჭოთა პერიოდში არ ვიყავით საბოლოო პროდუქციის მწარმოებელი ქვეყანა, რომლის დიდი ნაწილ პროდუქციის ქვეყნის გარეთ გადიოდა და სამაგიეროდ ჩვენთვის საჭირო მზა პროდუქციასთან ერთად, დიდი რაოდენობით დამხმარე მასალები და ნედლეული შემოდიოდა. აქედან გამომდინარე გამოდის, რომ ერთის მხრივ, წარმოება შეზღუდულია, არ არის მისი ზრდის საშუალება ნედლეულისა და სხვა მასალების სიმცირისა და

არსებულზე მაღალი ფასების გამო, ხოლო მეორეს მხრივ, მსოფლიო ბაზარი გაჯერებულია ყველა სახის პროდუქციით და იგი მზად არის დაიკავოს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ამა თუ იმ მიზეზით გამოთავისუფლებული ადგილი. შექმნილი მდგომარეობა იწვევს არა მარტო საწარმოების გაჩერებას, არამედ ეფექტური წარმოების გამო, არამედ მათი უცხოურ საწარმოებთან შედარებით ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის ზრდას.

დღეს, როდესაც ქვეყანაში აღებულია კურსი გაიზარდოს რეგიონების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის საერთო და ფინანსურ პოტენციალში, აუცილებელია მეცნიერულად განისაზღვროს საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეგიონალური წარმონაქმნების ადმინისტრაციის ადგილი და როლი, მოხდეს მოცემული ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური, მეცნიერული, რესურსული და ქონებრივი პოტენციალის შეფასება. ეს კი შეუძლებელია ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების მატერიალური წარმოების დარგების, მომსახურების, ინფრასტრუქტურის, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და პირობების საფუძვლიანი შესწავლისა და შეფასების გარეშე, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს მათი ცვლილებების ანალიზის და შეფასების ტრადიციული და არატრადიციული თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები. მთლიანობაში აქცენტი უნდა გაკეთდეს რეგიონების დონეზე ეკონომიკის და ფინანსური პოტენციალის მართვისა და გაძღოლის თვისებრივად ახალ გზებსა და მეთოდებზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარების აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა საერთო-სახელმწიფოებრივი და რეგიონალური ინტერესების დაბალანსება. „ჩვენი აზრით, „სახელმწიფო-რეგიონის“ ურთიერთობების სრულყოფის საერთო აუცილებელ პირობად უნდა მივიჩნიოთ მათი კომპლექსურობა. დღევანდელ სიტუაციაში უპირატესობა ენიჭება ქვეყნის ტერიტორიაზე თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბებას და ეროვნული მეურნეობის ეფექტიანი

ფუნქციონირების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ორგანიზაციული წანამძღვრების მომზადებას“.[15]

საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან არაეფექტური ეკონომიკური გადაწყვეტილებები იქნა მიღებული, რამაც დაღი დაასვა როგორც მთელი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ისე მისი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. სხვადასხვა მეცნიერები ეკონომიკური განვითარების ოთხ ეტაპს მიმოიხილავენ. ასე მაგალითად, პროფესორი ნოდარ ჭითანავა 90-იანი წლებიდან პირველ ეტაპს ახასიათებს 1991-1995 წ.წ. პერიოდად, მეორე ეტაპია 1996-2003წ.წ., მესამე 2004-2012 წ.წ. და მეოთხე ეტაპი 2013-დღემდე.[16]

ეკონომიკური განვითარების თითოეული ეტაპი გარკვეული სპეციფიკით ხასიათდებოდა. ასე მაგალითად, პირველ ეტაპზე მოხდა ეკონომიკის ცალკეული დარგების მყისიერი განსახელმწიფოებრიობა. არასრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზის და უარყოფითი კრიმინოგენული ვითარების შედეგად პრობლემები შეექმნა ეკონომიკის ხუთივე ინსტიტუციურ სექტორს ( არაფინანსური კორპორაციები, ფინანსური კორპორაციები, სახელმწიფო მართვის ორგანოები, შინამეურნეობები და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები). შედეგად სახელმწიფო მოიცვა სისტემურმა კრიზისმა და ეკონომიკის განვითარების მოცემულ ეტაპზე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) შედაგინა 1990 წლის დონის მხოლოდ 25 %. დაქვეითება აღინიშნა ეკონომიკის ისეთ დარგებში როგორიც არის სამრეწველო პროდუქციის წარმოება, სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის

---

[15] ნ.ჭითანავა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი და ტენდენციები ეკონომიკური გლობალიზაციის კონტექსტში (თვისებრივ-ეკონომიკური მიდგომა),კრ. „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში“, ბათუმი-თბილისი, ესპსკი, 2001.გვ.16-17.

[16] ნ.ჭითანავა. საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები პერსპექტივები. გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი 2015 წ. გვ. 160.

წარმოება, კაპიტალური დაბანდებები, სატრანსპორტო მომსახურება და ა.შ.

ეკონომიკის განვითარების მეორე ეტაპზე აღინიშნა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის რამდენადვე გამოცოცხლება. მიუხედავად ამისა, ეკონომიკის ისეთი დარგები როგორიცაა მრეწველოსა და სოფლის მეურნეობა კვლავაც აგრძელებდა წარმოების მოცულობის შემცირებას. მეორე ეტაპზე აღინიშნა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების რამდენადმე გაუმჯობესება, კერძოდ გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი და შემცირდა მოცემული პროდუქციის იმპორტი. მოხდა მოსახლეობის ცხოვრების დონის პოლარიზაცია, გაიზარდა ჩრდილოვანი ეკონოომიკის მასშტაბები.

ეკონომიკური განვითარების მესამე ეტაპზე ქვეყანაში ბრძოლა გამოეცხადა კორუფციას, მოიმატა უცხოურმა ინვესტიციებმა, გამოცოცხლდა უცხოელი ტურისტებით ჩვენი ქვეყნის დაინტერესება, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში აქცენტები გაკეთდა იმპორტირებულ სასურსათო საქონელზე.

ეკონომიკის განვითარების მეოთხე ეტაპზე პრიორიტეტი მიეცა სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამ მიზნით ხორციელდება მრავალი სამთავრობო პროგრამა, თუმცა მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის მაჩვენებლები კვლავას არასახარბიელოა.

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები ზუსტად ვერ ახასიათებენ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეს. ცხოვრების დონე გულისხმობს ადამიანების უზრუნველყოფას მატერიალური, სულიერი რესურსებით, სოციალური და საცხოვრებელი პირობებით. იგი დამოკიდებულია მრავალ განსხვავებულ გარემოებაზე: ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, ისტორიულ, ეროვნულ თავისებურებებზე, ბუნებრივ პირობებზე. მთავარ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკური პირობები, ანუ მოსახლეობის შემოსავლები, დანახარჯები, ინფლაციის ტემპი და ა. შ.

ამდენად ცხოვრების დონის დახასიათებისათვის მთლიან შიდა პროდუქტთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი კეთილდღეობის ახალი ინდიკატორების შემოღებას. ეს საკითხი დღის წესრიგში დააყენა 2008 წლის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკაში ნობელის

პრემიის მფლობელს, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორს ჯოზეფ სტიგლიცის ხელმძღვანელობით შექმნილმა კომისიამ, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერების მონაწილეობით კრიზისიდან ერთი წლის თავზე წარმოადგინა მეტად საინტერესო მოხსენება „ეკონომიკური შედეგებისა და სოციალური პროგრესის შეფასება“, რომელიც ცხოვრების ხარისხის ინოვაციურ ინდიკატორებს შეიცავს. მოცემული ინდიკატორები კომპლექსური ხასიათისაა და შედგება როგორც ღირებულებითი, ასევე ისეთი ფაქტორებისაგან, რომლებიც არამონეტარული ხასიათისაა. ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებით საინტერესოა მოქალაქეთა საკუთარი კეთილდღეობის ისეთი ახალი მახასიათებლები, როგორიცაა ადამიანთა ცხოვრების კოგნიტური შეფასებები. კერძოდ, დადებითი ემოციები (სიხარული, სიამაყე) და ნეგატიური ემოციები (ავადმყოფობა, წუხილი). ასეთი სახის კვლევებით მოქალაქეებს ეკითხებიან რამდენად კმაყოფილები არიან საკუთარი ცხოვრებით. ყველაზე კარგი ცხოვრების ხარისხი ფასდება 10 ქულით, ხოლო ყველაზე ცუდი 0 ქულით.

ცხოვრების ხარისხის ინოვაციურ ინდიკატორებზე მსჯელობისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია რიგი დეფინიციების ჰარმონიზება ქვეყნების მიხედვით. ასე მაგალითად, თუ არ ვიცით რა არის ბედნიერება, რომელზეც ამჟამად მეცნიერებს შორის საკმაოდ ცხარე დისკუსიები მიმდინარეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ძნელია შევუდგეთ მის სტატისტიკურ დახასიათებას.

ცხოვრების ხარისხი ტევადი ცნებაა და მისი დახასიათება როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის მიხედვით შესაძლებელია ისეთი მნიშვნელოვანი ინდიკატორების საშუალებით, როგორიცაა: *ჯამრთელობის მდგომარეობა; განათლების მდგომარეობა; საბინაო და სხვა საყოფაცხოვრებო პირობები; ფინანსური პრობლემები; შრომის პირობები და სტაბილური სამუშაო; ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაშ მონაწილეობა; ეკონომიკური უსაფრთხოება; ფიზიკური უსაფრთხოება; ურთიერთდამოკიდებულება მეგობრებთან, კოლეგებთან, მეზობლებთან, ნათესავებთან.*

ცხოვრების ხარისხის ჩამოთვლილი დეტერმინანტები ძალიან აქტუალურია და მნიშვნელოვანია არა მარტო ქვეყნებს შორის

შესადარისობის ანალიზისათვის, არამედ ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარების პროგრამის შემუშავებისათვის.

საქართველოში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, ერთ-ერთ ძირითად პრობლემად რჩება.

ქვეყნის კომპლექსური განვითარების პრობლემების გადაწყვეტის საკითხებზე მსჯელობისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად მიგვაჩნია საქართველოს რეგიონების მიხედვით დაიწყოს ახალი ინოვაციური ინდიკატორების შემუშავება და დანერგვა, რაც ეფექტურს გახდის რეგიონის დონეზე განსახორციელებელ მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებებს. ასეთი მაჩვენებლებია:

**1. რეგიონის საერთო ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლები:**

1.1 მთლიანი რეგიონალური პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე;

1.2 მთლიანი რეგიონალური პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა;

1.3 მთლიანი რეგიონალური პროდუქტის ზრდის ტემპი;

1.4 სამომხმარებლო ფასების ინდექსი პროცენტობით;

1.5 მწარმოებელთა ფასების ინდექსი პროცენტობით;

1.6 რეგიონში განხორციელებული ინვესტიციების ღირებულება;

1.7 ცენტრალური და ტერიტორიული ერთეულები შემოსავლები და ხარჯები;

1.8 არაფინანსური კორპორაციების ფულადი სახსრები;

1.9 ფინანსური კორპორაციების ფულადი სახსრები;

1.10 საოჯახო მეურნეობების ფულადი სახსრები;

1.11 არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური სახსრები.

**2. ეკონომიკური კეთილდღეობის დაკმაყოფილების მაჩენებლები:**

2.1 კვებით კმაყოფილების დონე;

2.2 კომფორტული საცხოვრისის კმაყოფილების დონე;

2.3 გზების მდგომარეობის კმაყოფილების დონე;

2.4 სოფლის/ქალაქის კეთილმოწყობის კმაყოფილების დონე;

**3. ცხოვრების პირობების დაკმაყოფილების მაჩვენებლები:**

3.1 მოსახლეობის ჯამრთელობის მდგომარეობის კმაყოფილების დონე;

3.2 მოსახლეობის მთლიანობაში ცხოვრებით კმაყოფილების დონე;

3.3 საზოგადოებაში მდგომარეობის კმაყოფილების დონე;

3.4 მოსახლეობის თვითრეალიზების კმაყოფილების დონე;

3.5 სამსახურით კმაყოფილების დონე;

3.6 თავისუფალი დროის გატარების კმაყოფილების დონე;

3.7 დასვენების კმაყოფილების დონე;

4. **ცხოვრების უზრუნველყოფის შესაძლებლობის დაკმაყოფილების მაჩვენებლები:**

4.1 შემოსავლებით კმაყოფილების დონე;

4.2 ოჯახების მატერიალური მდგომარეობით კმაყოფილების დონე;

5. **სოციალური სფეროს განვითარების დაკმაყოფილების მაჩვენებლები:**

5.1 საშუალო სასკოლო განათლებით კმაყოფილების დონე;

5.2 სკოლამდელი განათლებით კმაყოფილების დონე;

5.3 დამატებითი განათლებით კმაყოფილების დონე;

5.4 ჯანდაცვის ორგანიზაციების მუშაობით კმაყოფილების დონე;

5.5 საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობით კმაყოფილების დონე;

5.6 საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციების მუშაობით კმაყოფილების დონე;

5.7 ბანკების მუშაობით კმაყოფილების დონე;

5.8 მაღაზიებში მომსახურების კმაყოფილების დონე;

5.9 მომსახურების სფეროს საწარმოების (ქიმწმენდა, ავტოსერვისი, სილამაზის სალონი, ფიტნეს-ცენტრების და სხვა.) კმაყოფილების დონე;

5.10 კულტურის სფეროს (თეატრები,მუზეუმები, ბიბლიოთეკები) ორგანიზაციების მომსახურების კმაყოფილების დონე;

6. **მოსახლეობის სიცოცხლის უსაფრთხოების დაკმაყოფილების მაჩვენებლები:**

6.1 მოსახლეობის უსაფრთხოების დაკმაყოფილების დონე;

6.2 მოსახლეობაში კრიმინალური შემთხვევების გავრცელების დონე;

6.3 გარემოს მდგომარეობით კმაყოფილების დონე.

ჩამოთვლილი სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორების ანალიზი (ნორმატიული და ფაქტობრივი მაჩვენებლების განხილვა) საშუალებას მოგვცემს რეგიონის დონეზე დავამუშაოთ მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, შესაბამისი მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ამასთან, შესაბამის ინფორმაციებზე დროითი მწკრივების ანალიზისას და შესაბამისი პროგნოზული მაჩვენებლების გაანგარიშებისას მხედველობაში უნდა გავითვალისწინოთ მწკრივების აგების ერთნაირი დროითი პერიოდიზაციის პრინციპის დაცვის აუცილებლობა.

**დასკვნები:** საქართველოს უდიდესი აგრარული პოტენციალის მიუხედავად, მისი სათანადოდ გამოყენება ვერ ხერხდება. მიუხედავად მრავალწლიანი ჩავარდნისა, ბოლო წლებში სოფლის მეურნეობაში დადებითი ძვრები შეინიშნება: იმატებს ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები, პირუტყვის სულადობა, რძისა და კვერცხის წარმოება, რაც სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული დარგებისთვის განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია.

ზოგადად იმისთვის, რომ მოხდეს სასურსათო საქონელზე ფასების კლება, საჭირო ხდება ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განვითარება. თავისთავად, აღნიშნულ პროდუქტს უფრო დაბალი თვითღირებულება ექნება იმპორტულთან შედარებით, თუმცა ამ შემთხვევაშიც საჭირო გახდება მთავრობის ჩარევა, რომ რიგი საშუალებებით უზრუნველყოს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაბალი თვითღირებულება.

ასევე შესაძლებელი ხდება აღნიშნულ დარგში დასაქმებული ადამიანებისთვის ბანკების მიერ დაბალპროცენტიანი სესხების შეთავაზება, რაც მათთის ერთგვარი სტიმული იქნება, რომ უფრო მეტი პროდუქცია აწარმოონ, მეტი ადამიანი დაასაქმონ და შესაბამისად შემოსავალიც გაზარდონ.

ზემოდ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება სიღარებეს შეამცირებს და ეკონომიკას გაამყარებს.

განხილულ საკითხებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფომ კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა გაამახვილოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. საკმაოდ შთამბეჭდავი ბუნებრივი რესურსების ფონზე უცნაურია ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობის მრავალი სახის პროდუქცია საქართველოში უცხო ქვეყნებიდან შემოდის.

თავისთავად, ეს ბევრად ძვირი ჯდება და ისედაც ღარიბ მოსახლეობას კიდევ უფრო ბევრ სირთულეს უქმნის. რაციონალური იქნება, თუ ქვეყანაში სოფლის მეურნეობას მეტი ყურადღება მიექცევა, რადგან მოცემული დარგის განვითარება შექმნის ბევრ სამუშაო ადგილს. გახდება შესაძლებელი დიდი რაოდენობის

პროდუქციის არა მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე მოხმარების, არამედ ექსპორტზე გატანისაც. აღნიშნული ფაქტორები საქართველოს ეკონომიკაზე დადებითად იმოქმედებან და გარდა ამისა, ღარიბი ადამიანების რაოდენობაც მნიშვნელოვნად შემცირდება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ჭითანავა ნ., საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები პერსპექტივები. გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი 2015
2. ბიწაძე ჯ. მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ზოგიერთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის ურთიერთკავშირის შესახებ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. "გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა". თბ, 2009. გვ. 31
3. მეტრეველი შ., კბილაზე დ. სურსათის წარმოებისა და მოხმარების ისტორიულ-სტატისტიკური ასპექტები საქართველოში. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული. N 7 გამომცემლობა: "უნივერსალი" თბილისი - 2017 წ. გვ. 117-127.
4. მეტრეველი შ. შინამეურნეობის ინსტიტუციური სექტორის როლი ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებაში. INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE INTEGRATION OF BUSINESS STRUCTURES: STRATEGIES AND TECHNOLOGIES . Tbilisi – Odessa. 2017. გვ. 103-107.
5. ჭითანავა ნ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი და ტენდენციები ეკონომიკური გლობალიზაციის კონტექსტში (თვისებრივ-ეკონომიკური მიდგომა), კრ. „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში“, ბათუმი-თბილისი, ესპსკი, 2001

# კომერციული ბანკების არასაბანკო აქტივები და საქართველოს ეკონომიკა

# Non-Banking Assets of Commercial Banks and Georgian Economy

**მაია თეთრუაშვილი** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.
თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი
**გელა წიკლაური** -ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.
თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი

**რეზიუმე:** ნაშრომი ეხება საქართველოში კომერციული ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობას, ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ შეზღუდვებსა და რეგულირების მექანიზმებს.

განხილულია უცხოეთის ქვეყნების მსგავსი პრაქტიკა საქართველოში და ზემოაღნიშნული რეგულაციების შემოღებამდე არსებული რეალობა.

**საკვანძო სიტყვები:** კომერციული ბანკის არასაბანკო აქტივი; ეროვნული ბანკის რეგულაციები; არაჯანსაღი კონკურენცია

**შესავალი:** კომერციული ბანკების მიერ არაპროფილური, არასაბანკო აქტივების ფლობის საკითხი აქტუალური არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ეს ქვეყნები უკვე ბევრი წელია აწარმოებენ მონიტორინგს-თუ რამდენადაა კომერციული ბანკი ჩართული არასაბანკო საქმიანობაში და ამ მხრივ სხვადასხვა დოზით შეზღუდვებსაც აწესებენ. ჩვენს ქვეყანაში არსებული პრობლემის მოგვარების მიზნით ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვა ქვეყნების გამოცდილებაც და გავაანალიზოთ, დღეს საქართველოში ეკონომიკის მდგომარეობაც მსოფლიო ბანკი სხვადასხვა ეტაპზე ატარებს „ბანკის რეგულირების და ზედამხედველობის კვლევას''. ამ კვლევის მიხედვით:

- 135 ქვეყნიდან 63 ქვეყანაში კომერციული ბანკებისთვის ფასიანი ქაღალდების ფლობა - შეუზღუდავია (ბანკს უფლება აქვს აღნიშნული საქმიანობა განახორციელოს სრული სპექტრით);
- 46 ქვეყანაში ნებადართულია (ბანკს უფლება აქვს ეს საქმიანობა განახორციელოს, მაგრამ მთლიანად ან მისი გარკვეული ნაწილი მხოლოდ მისი შვილობილი ან მფლობელი/ჰოლდინგის სხვა საწარმოების მიერ უნდა განხორციელდეს);

- 17 ქვეყანაში შეზღუდულია (საქმიანობის მხოლოდ ნაწილის განხორციელებაა შესაძლებელი ბანკის, მისი შვილობილის ან მფლობელის/ჰოლდინგის სხვა საწარმოების მიერ);
- 9 სახელმწიფოს შემთხვევაში კი აკრძალულია (აღნიშნული საქმიანობა არ შეიძლება განხორციელდეს არც ბანკის, არც მისი შვილობილის ან მფლობელის/ჰოლდინგის ან სხვა საწარმოების მიერ).

რაც შეეხება სადაზღვევო საქმიანობას:

- 137 ქვეყნიდან 7 ქვეყანაში შეუზღუდავია;
- 72 ქვეყანაში ნებადართული;
- 36 ქვეყანაში შეზღუდული;
- ხოლო 22-ში კი აკრძალულია.

უძრავ ქონებაში საქმიანობის წარმოება:

- 134 ქვეყნიდან 20 ქვეყანაში შეუზღუდავია;
- 29 ქვეყანაში ნებადართული;
- 35-ში შეუზღუდავი;
- ხოლო 50 ქვეყნისთვის კი აკრძალული.

რაც შეეხება არასაფინანსო საქმიანობას:

- 136 ქვეყნიდან 16 ქვეყანაში ის შეუზღუდავია;
- 24-ში ნებადართული;
- 48-ში შეზღუდული;
- ხოლო დარჩენილ 48 ქვეყანაში კი აკრძალული. [17]

ეს მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ ბანკებს არასაბანკო სფეროდან, ყველაზე მეტად უძრავი ქონების ბაზარზე ოპერირება ეკრძალებათ. ბანკების არასაბანკო სფეროში ოპერირების საქმიანობის მსოფლიო პრაქტიკიდან
შეგვიძლია მოვიყვანოთ ამერიკის შეერთებული შტატები. კომერციული ბანკების არასაბანკო აქტივებში ინვესტირების შეზღუდვები და აკრძალვები ამ ქვეყანაში 2000 წლამდე მოქმედებდა და ის მხოლოდ ბილ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში გაუქმდა, მაგრამ, სულ რაღაც, ექვს წელიწადში კომერციული

---

[17] ა.(ა) ი.პ. "საზოგადოება და ბანკები" 2013-2019 -კვლევა -კომერციული ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობის საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა.

ბანკებისადმი ასეთმა ლიბერალურმა მიდგომამ ქვეყანაში საბანკო კრიზისი გამოიწვია. ამ მწარე გამოცდილების შემდგომ, ამერიკაში შეზღუდვები -კომერციული ბანკების არაპროფილური აქტივებისათვის კვლავ აღადგინეს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული რეგულაციებითა და კანონმდებლო-ბით კომერციულ ბანკებს არაპროფილური საქმიანობა ეკრძალებათ და მათ, ტრადიციულად მხოლოდ საფინანსო საქმიანობის განხორციელების უფლება აქვთ.

გარდა ამისა, 2015 წლიდან ამ რეგულაციებით გამკაცრებულია არასაფინანსო საქმიანობაზე ნებართვის გაცემის პირობებიც.

სებ-ის პრეზიდენტის მიწერილობას, რომელიც ბანკებისთვის არაპროფილური საქმიანობის რეგლამენტაციას ახდენს, საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ბანკები მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ ბიზნესის სხვადასხვა სფეროში შესვლასთან დაკავშირებით. ამას კი უდაოდ მოყვებოდა კომერციული ბანკების ან მათი შვილობილი კომპანიების მიერ დომინანტური მდგომარეობის დაკავება სხვადასხვა ბიზნესში. ძირითადი სფეროები იყო: სამშენებლო ბაზარი და დეველოპმენტი, ჰოსპიტალური სექტორი, სადაზღვევო ინდუსტრია, საცალო სავაჭრო ქსელები და სხვა.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს სებ-ის მიერ ზემოაღნიშნული რეგულაციების შემოღებამდე არსებული რეალობიდან.

ეროვნული ბანკის მონაცემებით:

- "საქართველოს ბანკი" 100%-ს ფლობდა სადაზღვევო კომპანია„ალდაგი ბისიაი"-ში, შპს "თელიან ველში" - 51,23%-ს, შპს"ინტერტურში" - 99,99%-ს, შპს "ჩემ კლინიკაში" - 51%-ს, შპს "რეგიონის კავკაზუს ავტოჰაუზში" - 100%-ს, პროფესიული კალათბურთის კლუბ "დინამოში" - 100%-ს და ა.შ. ბანკს ასევე ქონდა წილობრივი მონაწილეობა საქართველოს რეგიონებში განთავსებულ 11 სამედიცინო კლინიკაში.
- "თი ბი სი ბანკი" ფლობდა სალიზინგო კომპანია "თიბისი ლიზინგის" 89%-ს, არასაბანკო საკრედიტო დაწესებულება "თიბისი კრედიტის" 75%-ს, საბროკერო კომპანია "თიბისი ბროკერის" 100%-ს, "გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის" 93%-ს, "უძრავი ქონების მართვის ფონდის" 100%-ს, საბანკო სისტემების მომსახურების კომპანიის 100%-ს, "თიბისი ფეის"

100%-ს, ასევე ისრაელში დარეგისტრირებულ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის კომპანია "თიბისი ინვესტს".

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების აქტიურობაზე დაწესებული

შეზღუდვები დიდწილად შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო პრაქტიკასთან. საბანკო ინსტიტუტებისათვის შეუზღუდავია ფასიანი ქაღალდების ფლობა და ნებადართულია სადაზღვევო პროდუქტების შეთავაზება. თუმცა, არა უშუალოდ ბანკის, არამედ შვილობილი საწარმოების მიერ. კომერციულ ბანკებს, ასევე არ აქვთ უფლება თავად განახორციელონ არასაბანკო საქმიანობა. ინვესტიციები ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ ლიმიტებს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ საოპერაციო ლიზინგის განხორციელების უფლებამოსილება, რაც გარკვეულწილად, საერთაშორისო პრაქტიკაში

ბანკების მიერ. თუმცა, ითვალისწინებს მთელ რიგ შეზღუდვებს, მათ შორის, ნებართვებს, ლიმიტებს ბანკის კაპიტალთან მიმართებაში და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის დასარე-გულირებლად დაწესებულ შეზღუდვებს. ბანკებს ეკრძალებათ ინსაიდერებთან შეღავათიანი პირობებით ნებისმიერი ტრანზაქციის განხორციელება. ამასთანავე, შვილობილი საწარმოების კაპიტალში ინვესტიციები იქვითება საზედამხედველო კაპიტალიდან. საბანკო სისტემის ინვესტიციების ჯამური მოცულობა, რაც აქტივების მხოლოდ 2,6 პროცენტს წარმოადგენს თითქმის სრულადაა დაქვითული საზედამხედველო კაპიტალიდან. დაგეგმილია დაქვითვის მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი ცვლილება ბაზელ II/III კაპიტალის ადეკვატურობის წესების შესაბამისად. თუმცა, უახლოეს მომავალში ინვესტიციების განხორციელებაზე შეზღუდვებისა და ლიმიტების პოლიტიკის ცვლილება არ იგეგმება.[18]

სამართლებრივად თითქოს ყველაფერი დალაგდა -უშუალოდ ბანკები აღარ მონაწილეობენ არაპროფილურ ბიზნესში. თუმცა ეს შეზღუდვა არ გავრცელდა საბანკო ჯგუფებსა და ბანკებთან ასოცირებულ პირებზე. მაგალითად, როგორებიც არიან: ბანკების მფლობელები, საბჭოს წევრები და ტოპ-მენეჯმენტი. შესაბამისად,

---

[18] აგლაძე გიორგი; შარუმაშვილი ნინო- ჟ. ეკონომიკა და საბანკო საქმე -2018

მოიძებნა სამართლებრივი “გამოსავალი”, როგორ უნდა შენარჩუნდეს არაპროფილურ ბიზნესზე კომერციული ბანკების გავლენები და კორპორაციული ინტერესები. მით უმეტეს, რეგულაციების ასახვა საკანონმდებლო აქტში, როგორც აღვნიშნეთ, პრინციპში არც განხორციელებულა. დღეს, უშუალოდ ბანკები პირდაპირ აღარ არიან სამშენებლო-დეველოპერული და სადაზღვევო კომპანიების, ჰოსპიტლებისა თუ სხვა არაპროფილური ბიზნეს-სტრუქტურების დამფუძნებლები და უშუალო მართვაშიც არ იღებენ მონაწილეობას, თუმცა რეალობა სხვაა და პრობლემების ნაწილი კვლავ გადაუჭრელი რჩება.

**დასკვნა:** ბიზნესის სხვადასხვა სექტორში კომერციულ ბანკებთან ასოცირებული (დაკავშირებული) კომპანიების მიერ კვლა იქმნება არაჯანსაღი კონკურენცია, რაც რეალური ეკონომიკის ზრდას და განვითარებას უშლის ხელს. დღეს, როცა საქრთველოში, თავისუფალი ფინანსური რესურსის მოზიდვის ალტერნატიული წყარო არ არსებობს, გარდა კომერციული ბანკების სასესხო კაპიტალისა, საჭიროა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საჭირო ქმედითი ღონისძიებების გატარებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ა.(ა) ი.პ. “საზოგადოება და ბანკები“ 2013-2019 -კვლევა - კომერციული ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობის საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა.
2. აგლაძე გიორგი; შარუმაშვილი ნინო- ჟ. ეკონომიკა და საბანკო საქმე -2018
3. Laeven, L & Levine, R 2005, Is there a diversification discount in financial conglomerates?, NBER Working Papers 11499, National Bureau of Economic Research, Inc.
4. World bank 2011, Bank regulation and supervision survey, viewed April 2013,

# Финансы некоммерческих организаций в Грузии

# Finance of non-profit institutions in georgia

**Медея Челидзе** - Ассоц. профессор,
Грузинский технический университет
**Нино Хидирбегишвили** - Ассистент-профессор,
Грузинский технический университет
**Гоча Абутидзе** - Докторант,
Грузинский технический университет

**Medea Chelidze** - Associate Professor,
Georgian Technical University
**Nino Khidirbegishvili** - Assistant Professor,
Georgian Technical University
**Goha Abutidze** - Doctoral Student,
Georgian Technical University

**Аннотация:** Некоммерческие организации представляют собой производящие товары и услуги юридические лица или общественные организации, которые не ориентированы на получение прибыли или финансового благополучия.

По мнению большинства экспертов, законодательная среда некоммерческих организаций в Грузии довольно либеральна и, по существу, не препятствует созданию и функционированию организаций гражданского общества. Однако следует отметить, что существуют проблемы с точки зрения развития. Действующее законодательство в этом отношении еще не полностью соответствует международной передовой практике и стандартам.

Национальная служба статистики Грузии проводит ежегодные исследования некоммерческих организаций (фонды, союзы, политические, религиозные, благотворительные и другие подобные организации). Национальная служба статистики Грузии последнее исследование некоммерческих организаций произвела в 2018 году.

**Ключевые слова:** общественная организация, некоммерческая организация, благотворительная организация, грант, государственный контроль.

**Abstract:** Non-profit institutions are legal entities or public organizations that produce goods and services and are not focused on making profit or financial well-being. According to most experts, the legislative environment of non-profit institutions in Georgia is quite liberal and, in fact, does not prevent the creation and functioning of civil society organizations. However, there are problems in terms of development. Current legislation in this regard does not fully comply with international best practice and standards.

National Statistics Office of Georgia conducts annual studies of non-profit institutions (foundations, unions, political, religious, charitable, and other similar organizations). National Statistics Office of Georgia the last study of non-profit institutions was conducted in 2018.

**Key words:** Public organization, Non-profit organization, Charity organization, Grant, State control.

**Введение:** В Грузии деятельность гражданских общественных организаций в основном регулитует конституция Грузии, Гражданский кодекс Грузии (1997 г. в который в 2006 году внесли существенные изменения), Налоговый кодекс Грузии (сентябрь 2010 г.) и закон «О грантах» (июль 1996 г.).

Конституцией Грузии обеспеченны права личности – создать или стать членом общественных объединений, в том числе профессиональных союзов. Приостановить деятельность или запретить общественные объединения возможно лишь в определённых случаях решением суда, на основании Органического закона Грузии «О приостановлении деятельности и запрете общественных объединений» (ноябрь 1997 г.). Гражданский кодекс определяет организационно-правовую форму общественных организаций и процедуру их регистрации. Вопросы регистрации некоторых общественных организаций регулируются специальным законами: закон «О грантах» регулирует правовые основы получения и выдачи грантов - основных источников финансирования

общественных организаций; закон «О государственной поддержке детских и молодежных организаций» из общественных организаций выделяет детские и молодежные организации, дает соответствующие дефиниции и с целью государственной поддержки создает реестр подобных союзов; соответствующие законы регулируют профессиональные союзы; закон «О спорте» регулирует вопросы создания и функционирования спортивных федераций; закон «О творческих работниках и творческих союзах» определяет правила создания и функционирования творческих союзов; Налоговый кодекс Грузии определяет механизмы налогообложения деятельности общественных организаций, также вопросы предоставления статуса благотворительной организации.

**Основной текст:** Основной правовой базой для создания, регистрации и деятельности общественных организаций является Гражданский кодекс Грузии, согласно которому юридические лица, занимающиеся некоммерческой деятельностью, называются некоммерческими юридическими лицами и более не происходит деление этих лиц на союзы и фонды.

Некоммерческие юридические лица не ориентируются на прибыль и занимаются некоммерческой деятельностью. Тем не менее, следует отметить, что они имеют право заниматься предпринимательской деятельностью вспомогательного характера, прибыль из которой должна быть использована для реализации целей некоммерческой организации. Распределение полученной в результате данной деятельности прибыли между учредителями, членами, донорами и руководством этого юридического лица не допускается. [1]

Учредителем некоммерческого юридического лица может быть как физическое, так и юридическое лицо. Учредителем некоммерческого юридическое лица может быть даже одно лицо. Регистрацию некоммерческого юридического лица осуществляет налоговая инспекция (вместо суда и Министерства юстиции) по месту нахождения юридического лица. Регистрация включает в себя как государственную, так налоговую регистрацию. [4]

В новой редакции Кодекса появилась статья, согласно которой собственность некоммерческого юридического лица может быть отчеждена, если это служит деятельности и организационному развитию некоммерческого юридического лица, содействует достижению поставленных целей или служит благотворительным целям. [2]

Согласно общему правилу, в результате ликвидации некоммерческого юридического лица, уполномоченных на получение оставшегося имущества лиц определяют учредители. В случае несуществования таковых, оставшееся после ликвидации имущество, решением суда передается одному или нескольким некоммерческим юридическим лицам, которые занимаются той же или аналогичной деятельностью, что и ликвидированная некоммерческая организация. В случае не существования или не выявления таких некоммерческих юридических лиц, может быть принято решение о передаче оставшегося имущества государству.

Государственный контроль деятельности некоммерческих юридических лиц ограничивается решением о приостановлении деятельности или их запрещении, которое принемает суд в определенных Органическоим законом Грузии «О приостановлении деятельности и запрете общественных объединений» случаях и в соответствии с установленным порядком. Согласно закону, суд может приостановить деятельность общественного объединения на срок до трех месяцев, который по существу перешел в предпринимательскую (коммерческую) деятельность. Суд также может запретить деятельность общественного объединения, целью которого является свержение или смещение насильственным путем конституционного строя Грузии, утрата независимости страны, нарушение территориальной целостности или пропаганда войны и насилия, разжигание национальной, расовой, религиозной или социальной вражды, которое создало или создает вооруженные формирования, или возобновило предпринимательскую деятельность, приостановленное судом. [5]

Закон «О грантах» практически создает правовые основы для попадания под специальный налоговый режим доходов, полученных ввиде грантов.

Логически эти нормы должны быть включены в налоговый кодекс, но существование отдельного закона обусловлено историческим фактором. В 1996 году, когда был принят закон «О грантах», налоговые льготы утверждались отдельными законами. Позже, при принятии первого налогового кодекса, льготы на гранты попали под действие кодекса, а другие регуляции по сей день остаются ввиде отдеотного закона. [3]

Между донором и получателем гранта заключается письменный договор, который должен включать в себя цель и объем гранта, конкретное направление использования средств, сроки их использования и те основные требования, которые донор предъявляет получателю гранта. Одной из особенностей гранта является его целевой характер, то есть он выдается для достижения определенной общественно полезной цели. Следует отметить, что с согласия донора можно изменить предназначение гранта и использовать его в других целях. [4]

Отметим, что форма некоммерческого юридического лица автоматически не подразумевает освобождание от всех налогов. Освобождение некоммерческих юридических лиц от определенных налогов связано с осуществлённой им деятельностью и источниками дохода. Если некоммерческие организации осуществляют экономическую деятельность, полученные доходы подлежит налогообложению также, как доходы других экономических субъектов. Если доходы некоммерческих юридических лиц получены от некоммерческой деятельности (гранты, пожертвования, членские взносы), то такого рода доходы подлежат освобождению от определенных налогов.

В налоговый кодекс заложен один из важных механизмов стимулирования благотворительной деятельности, в частности, из совокупного дохода предприятия вычитается сумма пожертвований, но не более 8% от суммы, оставшейся после вычетов налогов, предусмотренных Налоговым кодексом Грузии. [2]

Следует также отметить, что для того, чтобы юридическое лицо пользовалось данными льготами, оно должно иметь статус благотворительной организации, для чего необходимо пройти

соответствующие процедуры и взять на себя дополнительные обязательства и ответственность.

Согласно налоговому кодексу Грузии благотворительной деятельностью считается оказание помощи тем лицам, которые в ней нуждаются, напрямую и либо через третьих лиц, добровольно и бескорыстно. Кодекс также благотворительностью признает общественно полезную деятельность, которую организация осуществляет в таких сферах, как: защита прав человека, защита окружающей среды, развитие гражданского общества и демократии, культура, образование, наука, искусство, физческое воспитание и любительский спорт, здравоохранение и социальная защита. [2]

Благотворительной организации статус предоставляет налоговая инспекция по месту нахождения организации. Вместе с принятием статуса благотворительной организации на неё возлагаются дополнительные обязательства. Благотворительная организация должна обеспечить публикацию в периодической печати программного отчёта и финансовых документов последнего года и их доступность для всех заинтересованных лиц.

Благотворительная организация будет лишена статуса в случае нарушения требований Налогового кодекса Грузии или прекращения гражданской (государственной) регистрации.

Основная часть продукции некоммерческих организаций реализуется бесплатно или по экономически незначительным ценам. Данные некоммерческие организации находятся на самофинансировании и средства главным образом получают в виде пожертвований и взносов своих членов. Они доходы могут получать из материальных и финансовых активов организации. [1] Как мы уже отмечали, некоммерческие организации имеют право также на вспомогательную коммерческую деятельность.

Национальная служба статистики Грузии проводит ежегодные исследования некоммерческих организаций (фонды, союзы,

политические, религиозные, благотворительные и другие подобные организации).

По состоянию на 1 января 2019 года, в Грузии было зарегистрировано 26692 некоммерческих юридических лиц (3,7% от общего количества субъектов); из них активными субъектами являются 3939 субъектов (2,1% от количества активных субъектов)[19].

Последние результаты исследования некоммерческих организаций Национальной службой статистики Грузии были опубликованы 1 октября 2018 года[20].

Согласно декларированным данным, в 2017 году объем оборота сектора некоммерческих организаций из вспомогательной коммерческой деятельности составил 101,6 млн. лари, что на 3,0 процента выше соответствующего показателя предыдущего года (98,6 млн. лари), но значительно ниже показателей 2012 и 2013 годов (соответственно 198,7 и 123,8 млн. лари).

Наибольшая доля в объёме оборота приходится на отрасли здравоохранения и социальных услуг (25,5 процента), так же образования (24,8 процента), искусства, развлечений и отдыха (21,5 процента), профессиональной, научной и технической деятельности (11, 1 процент) и на организации, предоставляющие другие виды услуг (10,8 процента).

Примерно в 2,6 раза вырос объём оборота в отрасли транспортирования и складирования, в 2,4 раза в строительстве, в 2,2 раза в сфере информации и коммуникации, на 22,3 процента в сфере здравоохранения и социальных услуг, на 13,4 процента в сфере образования и на 10,6 процента в сфере профессиональной, научной и технической деятельности.

---

19 https://mof.ge/images/File/biujeti%2022.03.2018/TAVI%20VII%2022.03.2018.pdf

20 http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/business/Press%20Release_arakomerciuli_2017.pdf

В 2017 году объем продукции (товаров и услуг) в секторе некоммерческих организаций составил 973,1 млн. лари (по сравнению с предыдущим годом показатель выше на 4,4 процента).

Наибольшую долю в выпуске продукции имели организации работающие в сфере: другие виды услуг (27,3 процента), здравоохранение и социальные услуги (24,9 процента), искусство, развлечение и отдых (17,4 процента), образование (11,8 процента), профессиональная, научная и техническая деятельность (10,3 процента).

В 2017 году количество служащих в некоммерческих организациях составило 52,9 тыс. человек, из которых 53,7 процента составляли женщины и 46,3 процента мужчины. Этот показатель (количество служащих) по сравнению с 2016 годом снизился на 0,1 процент.

Наибольшая доля занятых - 29,2 процента - приходится на организации отрасли образования, 24,1 процент - искусства, организации развлечения и досуга, 14,5 процента приходится на деятельность организаций сектора здравоохранения и социальных услуг, 12,9 процента – на организации отрасли других видов услуг, 7,2 процента – на организации водоснабжения, канализации, управления отходами и очистки от загрязнений, 6,0 процента – на организации профессиональной, научной и технической деятельности, а остальные 6,0 процента распределены между другими отраслями.

Из всех работников наёмные сотрудники составляют 52,0 тыс. человек (среди них женщин - 53,8 процента). По сравнению с 2016 годом количество наёмных сотрудников в 2017 году увеличилось на 0,5 процента.

**Выводы:** По мнению большинства экспертов, законодательная среда некоммерческих организаций в Грузии довольно либеральна и, по существу, не препятствует созданию и функционированию организаций гражданского общества. Однако следует отметить, что существуют проблемы с точки зрения последующего развития.

## Использованная литература:

1. Ванишвили М., Парулава Д. Основы финансов. Учебное пособие. Издательство «Общество знаний». Тбилиси, 2015.
2. Закон Грузии «Гражданский кодекс Грузии». Тбилиси, 26 июня 1997 г.
3. Закон Грузии «О грантах». Тбилиси, 28 июня 1996 г.
4. Мосиашвили В., Челидзе М. Финансы. Учебное пособие. Издательство «Дани». Тбилиси, 2016.
5. Органический закон Грузии «О приостановлении деятельности и запрете общественных объединений». Тбилиси, 14 ноября 1997 г.

## Интернет-ресурсы:

1. Национальная служба статистики Грузии. Предпринимательство в Грузии, http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/Mewarmeoba%20saqartveloshi%202017.pdf, обращение: 23.01.2019

2. Министерство финансов Грузии. Консолидированный баланс юридических лиц публичного права и некоммерческих юридических лиц, https://mof.ge/images/File/biujeti%2022.03.2018/TAVI%20VII%2022.03.2018.pdf, обращение: 18.01.2019

# საქართველოს საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ანალიზი და ბიზნეს რისკები მსოფლიო ბაზარზე

# Analysis of georgia's competitiveness and business risks on the world market

**ინგა გიგაური** - ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Inga Gigauri** - Doctor of Business Administration, Associate Professor

Georgian Technical University

**რეზიუმე:** გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც ჩვენს ეროვნულ საწარმოებს ფირმებს, ფუნქციონირება უხდებათ ერთობ არასტაბილურ და მოულოდნელობებით მოცულ ბიზნესგარემოში, სულ უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებს მათი კონკურენტუნარიანობის, ფინანსური მდგრადობის და ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის ფაქტორები როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე,კომპანიების, საწარმოების მხრიდან მუდმივად უნდა ხდებოდეს ფოკუსირება ბიზნეს რისკების გამოვლენის, მათი იდენტიფიცირებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე, რათა მათი მინიმუმამდე დაყვანით კომპანიებს მიეცეთ შესაძლებლობა განვითარდნენ ფინანსურად, ტექნოლოგიურად და გახდნენ უფრო მეტად სიცოცხლისუნარიანნი. საზოგადოება, ხელისუფლება და ბიზნესი არის ის აუცილებელი ქვაკუთხედი, რომელთა ერთიანი, კოორდინირებული, შეთანხმებული მოქმედება და სამართლებრივი რეგულაციები ასრულებს უპირობო ფუნქციას ბიზნეს გარემოს გამოცოცხლებისა და საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების ასპექტში. კომპანიებმა არა მხოლოდ უნდა უზრუნველყონ რენტაბელობის მაღალი დონე, ასევე უნდა შეძლონ რისკით გამოწვეული ნეგატიური შედეგების მინიმიზაცია ყველაზე მოულოდნელ შემთხვევაშიც კი. ამისათვის ფირმების რისკ-მენეჯერებმა უნდა შეიმუშაონ შესაძლო ბიზნეს-რისკების მართვის, მათი იდენტიფიცირების და სკანირების სპეციალური პროგრამა, რომლითაც შეფასდება რისკ-ფაქტორების წარმოქმნის საშიშროება და ამ რისკებით გამოწვეული დანაკარგები. ამასთან ერთად მოცემულ ნაშრომში აქცენტები დასმულია სწორედ მსოფლიოში აპრობირებული ანტიმონოპოლიური

კანონმდებლობის პრინციპების, სახელმწიფო დახმარებებისა და კონკურენციული პოლიტიკის განხორციელებაზე,მოცემული კანონმდებლობით გათვალისწინებულ აღსრულების მექანიზმზე, რომელიც გახლავთ ჩვენი ეროვნული კომპანიების რეპუტაციისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის აუცილებელი პირობა მსოფლიო ბაზრებზე.

**საკვანძო სიტყვები:** კონკურენტუნარიანობის სტრატეგიები, ბიზნეს რისკები, კონკურენციის პოლიტიკა; მსოფლიო ბაზარი

**Abstract:** In the epoch of globalization, when our national enterprises have to function in a rather non-stable and unexpected business environment, more and more attention is needed to increase their competitiveness, more attention is required to the financial sustainability and economic efficiency in local as well as international markets.

Depending on the above mentioned, by the companies and enterprises should constantly would be focused on revealing of business risks, their identifying and carrying out the preventing measures in order to their minimize to gives the possibility to the companies to be developed financially, technologically and become more viable. The society, government and business are the essential cornerstones on the united, coordinated, concreted action and legal regulations fulfilling the unconditional function of the business environment, as well as the enhancement of competitiveness in the enterprises. The companies should not only ensure high levels of profitability and should be able to minimize the negative consequences of the risk even in the most unlikely cases. For this purpose, risk managers of firms should develop a special business-risk management, identification and scanning special program that will assess the risk factors and losses caused by these risks. In addition, the presented work emphasized the proven worldwide principles of antitrust law, state aid and competition policy, the law enforcement mechanism that are necessary conditions of our national reputation and improvement of competitiveness of companies in the world markets.

**Key Words:** Competitiveness strategies; Business risks,Politics of concurations; Antimonopoly legislation; World market

**შესავალი:** მოგეხსენებათ, რომ საქართველო - ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების თანახმად გახდა გლობალური ეკონომიკისა და ბიზნესის ნაწილი, ამიტომ ეროვნულ ფირმებს( საწარმოებს) მოუწევთ კონკურენცია არა მარტო საშინაო ბაზრებზე,

არამედ მსოფლიო ბაზარზეც საერთაშორისო ფირმებთან. აღნიშნული ფაქტორი საქართველოს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს, რომ სამეწარმეო პოლიტიკის ცენტრალური ამოცანა გახდეს სწორედ იმ წარმოებების მხარდაჭერა, რომლებსაც შესწევთ უნარი, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალტექნოლოგიური და დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქტები აწარმოონ გრძელვადიან პერიოდში, მითუმეტეს, რომ ქვეყანაში არსებული ეროვნული, ბუნებრივი, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გონივრული და ნაყოფიერი გამოყენება გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გავზარდოთ პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, გავაფართოოთ ექსპორტის მიმართულებები პროდუქციის დივერსიფიკაციის გზით, უცხოურ ფირმებთან და სავაჭრო ქსელებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

სასურველია არსებული სამეწარმეო პოტენციალისა და მაღალი ტექნოლოგიების ბაზაზე განხორციელდეს იმ სამეწარმეო პროდუქტის ახალი სახეობების წარმოებების შექმნა, რომელთაც მაღალი საექსპორტო პოტენციალი გააჩნიათ მსოფლიო ბაზრებზე.
როგორც მიუნხენის მენეჯმენტის ინსტიტუტის გამოკვლევებმა აჩვენა, საწარმოების რენტაბელურად მუშაობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინოვაციური პროდუქტების წარმოება და მიზნობრივ საბაზრო სეგმენტებზე ორიენტაცია. კრიზისისაგან მინიმალური ზიანის მისაღებად საჭიროა კომპანიას გააჩნდეს მართვის სისტემებისა და პროცესების გამართული მექანიზმი. იხ. ცხრილი 1

რომელიც ხასიათდება პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომებით, მობილობით, გადაწყვეტილებათა ხარისხის კრიტერიუმით. იგი საშუალებას იძლევა წინასწარ განვჭვრიტოთ კრიზისის გამომწვევი სიმპტომები და თავიდან ავიცილოთ კრიზისის უარყოფითი შედეგები.

საქართველოს კონკურენტუნარიანობის საკითხმა ერთიან გლობალურ სივრცეში ორმაგად აქტუალური როლი შეიძინა.ქვეყანაში მოსახლეობის დასაქმება, შემოსავლების დონე, წარმოების პოტენციალი პირდაპირაა დაკავშირებული იმაზე, თუ რა

დონეზე ფლობს უპირატესობებს ეროვნული ეკონომიკის ცალკეული დარგები და საწარმოები მეტოქეებთან შედარებით.

| **მაჩვენებლები** | **სტრატეგიები** | |
|---|---|---|
| | **საერთო** | **ანტიკრიზისული** |
| **მიზნები** | დაბალანსებული პროგნოზირებადი ფუნქციონირება | არასტაბილური მდგომარეობიდან სწრაფი გამოსვლა |
| **ძირითადი ყურადღება** | გრძელვადიანი პროგრამებით | სექტორებისა და ეტაპების მიხედვით პრობლემების გადალახვა |
| **საშუალებები** | ძირითადად გარე რესურსებით | ძირითადად შიდა რესურსებით |
| **ბიზნესი** | მაგისტრალური წარმოება, რომელიც ორიენტირებულია მსხვილ სეგმენტზე | დივერსიფიცირება, მცირე საწარმოების ბაზრის პატარა სეგმენტში შექმნა. |
| **სამეცნიერო და საცდელ–საკონსტრუქტორო სამუშაოები** | ფუნდამენტური კვლევები და შემუშავებები | ჩქარი უკუგება, მცირე დამატებითი დანახარჯებით |
| **წარმოება** | მასობრივი და მსხვილი სერიულობის გაფართოება, ლიდერობა დანახარჯების მიხედვით | დივერსიფიკაცია,სტრატეგიული ნაკეთობების ხარისხის ამაღლება,ორიენტაცია საქონელ–დიფერენცირებულ მარკეტინგზე |

**ცხრილი 1**. საერთო და ანტიკრიზისული სტრატეგიის ნიშნები

ესაა ახალი ტექნოლოგიები და ცოდნა, ინოვაციები ყველა სტადიაზე: საქონლის დიზაინიდან მომხმარებლამდე მისი მიტანით, ადამიანური კაპიტალის მაღალი ხარისხი, მათ შორის შრომითი რესურსების კვალიფიკაცია და ა.შ. მართალია საქართველოს გააჩნია რამდენიმე ბუნებრივი უპირატესობა, უპირველეს ყოვლისა მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები, მაგრამ განვითარებული უპირატესობებით ქვეყანა ჯერ კიდევ შორსაა მსოფლიოში წამყვანი პოზიციებისაგან. ასევე საინტერესოა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საკითხი მაკრო და მიკროდონეზე (ცალკეული ფირმების დონეზე). მსოფლიო ბაზარზე, გარკვეულ საზღვრებში საქართველო კონკურენტუნარიანია ნედლეულის ექსპორტით, რაც ნაკლებად სტაბილურია, ამიტომ ქვეყნის მათავარი ორიენტირი უნდა გახდეს მზა ნაკეთობების კონკურენტუნარიან, მაღალტექნოლოგიურ წარმოებაზე გადასვლა, სადაც პირველ პლანზე წამოიწევა საქონლისა და მომსახურების ხარისხი და სიახლე. აღნინიშნულის ხელშესაწყობად შესაძლებელია სახელმწიფომ შექმნას სუვერენული ექსპორტ-იმპორტის ბანკი.მას შეუძლია მსხვილი საფინანსო დონორი ორგანიზაციებისაგან აიღოს დაბალ პროცენტიანი კრედიტი 1-დან 2% მდე და მისცეს ადგილობრივ სამეწარმეო სექტორს გრძელვადიანი საინვესტიციო სესხი.....

**ძირითადი ტექსტი:** დღეს, გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო საექსპორტო ბაზრების ათვისებისათვის კონკურენტული ბრძოლა გახდა უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რაც ბევრი ფირმისათვის (საწარმოსათვის) ხდება გადარჩენის შესაძლებლობა. ძალიან რთული იქნება ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და კომპანიების საექსპორტო პოტენციალის განვითარება, თუ არ იქნა შერჩეული კონკრეტული მიმართულებები და პროდუქტები. ეკონომიკური ზრდა უნდა ემყარებოდეს წინასწარ გააზრებულ კონკურენტულ უპირატესობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა აღმოჩნდება ,,რეტროეკონომიკის მდგომარეობაში, როდესაც მისი ეკონომიკა ორიენტირებულია მომაკვდავ დარგებზე და ხელოვნურად ცდილობს მის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას, ხოლო მისი საწარმოები (კომპანიები) იყენებენ მოძველებულ ტექნოლოგიებს, მაგრამ მათ პროდუქციაზე მაინც არსებობს გარკვეული მოთხოვნა“[1,p. 455]

საქართველოში ჩატარებულმა რეფორმებმა მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ვერ უზრუნველყო ქვეყნის ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში. ასეთ პირობებში ალბათ უპრიანია ვეძებოთ

მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და მათი აღმოფხვრის გზები. პირველ რიგში აუცილებელია დავადგინოთ კავშირი ქვეყნის კონკურენტუნარიანობასა და საექსპორტო პოტენციალს შორის. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის

**ცხრილი 2. წამყვანი ქვეყნებისა და საქართველოს საექსპორტო მაჩვენებლები მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსში**

| სახელმწიფო | ექსპორტი ათას აშშ დოლარში | სავაჭრო ბალანსის სალდო ათასს აშშ დოლარში | ექსპორტის % მსოფლიო ექსპორტში | იმპორტის % წილი მსოფლიო იმპორტში | სამი პროდუქტის წილი მთელ ექსპორტში | სამი ბაზრის წილი მთელ ექსპორტში |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 304688646 | 35533861 | 1.89 | 1.64 | 46.2 | 37.2 |
| აშშ | 1453169633 | -796491086 | 9.00 | 13.73 | 15.6 | 42.2 |
| სინგაპური | 329868096 | 46862251 | 2.04 | 1.73 | 25.2 | 36.2 |
| ჰოლანდია | 569376621 | 65196526 | 3.53 | 3.08 | 18.0 | 41.5 |
| გფრ | 1340751954 | 280079536 | 8.3 | 6.47 | 13.3 | 24.3 |
| საქართველო | 2113469 | 5121169 | 0.01 | 0.04 | 0.9 | 26.0 |

წყარო: www.WTO.org.com

2017-2018 წლების მონაცემებზე დაყრდნობით მოხდა კონკრეტული ქვეყნებისა და საქონლის შედარება სავაჭრო ბალანსისა და საექსპორტო მაჩვენებლების ჭრილში. იხ. ცხრილი 2

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელში წამყვანი ქვეყნების საექსპორტო პროდუქტების რაოდენობა საქონლის ჰარმონიზაციის

სისტემის 4 ნიშნა დონეს უტოლდება და მერყეობს 4541 დან - 5168-მდე. მხოლოდ აშშ-ს აქვს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, რაც აიხსნება ამ ქვეყანაში უფრო მეტად მომსახურების ექსპორტზე ორიენტირებულობით. მარტივი ანალიზი გვიჩვენებს , რომ საექსპორტო ზრდა მიიღწევა საექსპორტო პროდუქციის მრავალფეროვნებით.

ამას მოწმობს მეორე მაჩვენებელიც, სადაც მითითებულია სამი წამყვანი საექსპორტო პროდუქტის წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში. ფაქტია, რომ წამყვანი ქვეყნები უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებენ დაბალ საბაზრო კონცენტრაციას და საექსპორტო პროდუქტების მრავალფეროვნებას. ანუ ისინი ინტენსიურად ვაჭრობენ მცირე რაოდენობის სავაჭრო პარტნიორებთან. საქართველოს მაგალითზე სურათი აბსოლიტურად განსხვავებულია: საექსპორტო პროდუქტების დაბალი რაოდენობა; მაღალი საბაზრო კონცენტრაცია. ცალსახაა, რომ საქართველოს შემთხვევაში პრობლემის გადაჭრის ძირითადი გზა უნდა იყოს საექსპორტო პროდუქტების რაოდენობის ზრდა, რომელსაც ხელი უნდა შეუწყოს სამრეწველო და მეცნიერებატევადი დარგების აღორძინებამ, ანუ ზოგადად სახელმწიფოს მხრიდან გააზრებულმა ინდუსტრიულმა პოლიტიკამ.

საინტერესოა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტთა მოსაზრებები საქართველოდან ექსპორტის ზრდის ხელისშემშლელ ფაქტორებზე, კერძოდ მიზეზებად მათ დაასახელეს:

- პოტენციური ბაზრებისა და მყიდველების იდენტიფიცირება;
- პროდუქციის ტექნოლოგიასა და მის შექმნაში შეუსაბამო უნარები;
- საზღვარგარეთ არსებული ტექნიკური მოთხოვნები და სტანდარტები;
- სავაჭრო ფინანსების დაბალი ხელმისაწვდომობა
- მყიდველთა რაოდენობრივი/ ხარისხობრივი მოთხოვნების უზრუნველყოფა
- აუცილებელ საიმპორტო მასალებზე კონკურენტულ ფასებში წვდომის სირთულეები.

სამწუხაროდ, აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად ძალიან ცოტა რამ გაკეთდა და პროგნოზირებაც ძნელია, რამდენად სწრაფად მოგვარდება მათი თუნდაც ნაწილი უახლოეს მომავალში. კვლევის ანალიზისათვის აუცილებელია ერთმანეთს შევუდაროთ საქართველოს ექსპორტის , იმპორტის და მშპ-ს ზრდის ტემპები, რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ექსპორტის ზრდის შემდგომი პერსპექტივები. იხ. ცხრილი 3 და 4 როგორც 2-ე ცხრილის მონაცემებიდან დავინახეთ, საექსპორტო პროდუქციის დაბალი ნომენკლატურა ექსპორტის ზრდის ამოცანას ორ ქვეამოცანად აყალიბებს. კერძოდ, მოკლევადიან პერიოდში ექსპორტის ზრდა უნდა განხორციელდეს არსებული საექსპორტო პროდუქტებით, ხოლო ხანგრძლივვადიან პერიოდში ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნის გზით პირველი ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს:

**ცხრილი 3. მშპ-ს; ექსპორტისა და იმპორტის დინამიკა საქართველოში**

| წლები | მშპ მიმდინარე | ექსპორტი ათასს აშშ დოლარში | იმპორტი ათასს აშშ დოლარში |
|---|---|---|---|
| 2011 | 14.435 მლრდ | 2186 | 7072 |
| 2012 | 15.846 მლრდ | 2377 | 8056 |
| 2013 | 16.14 მლრდ | 2910 | 8023 |
| 2014 | 16.509 მლრდ | 2861 | 8602 |
| 2015 | 13.994 მლრდ | 2205 | 7300 |
| 2016 | 14.333 მლრდ | 2113 | 7295 |
| 2017 | 14.959 მლრდ | 2736 | 7940 |
| 2018 | 11.255 მლრდ | 3363 | 9123 |

წყარო: www.geostat.ge

1) ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისებას; 2) არსებული საექსპორტო პროდუქციის უფრო მაღალ საფასო ნიშაში გაყიდვას. ორივე ამ ამოცანის განხორციელება უნდა მოხდეს კარგად ცნობილი სტრატეგიული მიმართულებების საფუძველზე, როგორიცაა: დანახარჯებით ლიდერობა; დიფერენციაცია; კონგლომერაციული დივერსიფიკაცია (ახალი პროდუქციის,ან მომსახურების დამატება); რეგენირებადი ზრდის სტრატეგია (რომელიც ხორციელდება მცირე

ვენჩურული ფირმების შემენის ან კომპანიაში ახალი ქვეგანაყოფების ორგანიზაციით). პირველი მოითხოვს მასობრივ წარმოებას გლობალური ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად, რაც ქართულ რეალობაში რესურსული სიმწირით ლიმიტირებულია. მეორეს შემთხვევაში ეს ნიშნავს შეთავაზებული პროდუქციის უნიკალური თვისებების ხაზგასმას და ხარისხს, რომელზეც მომხმარებელი ფსიქოლოგიურად მზად იქნება გადაიხადოს მაღალი ფასი.

**ცხრილი 4. მშპ, ექსპორტისა და იმპორტის ზრდა წინა წელთან შედარებით**

| წლები | მშპ მიმდინარე, % | ექსპორტი,% | იმპორტი,% |
|---|---|---|---|
| 2012 | 9.7 | 8.7 | 13.9 |
| 2013 | 1.8 | 22.4 | -0.5 |
| 2014 | 2.3 | -1.7 | 7.2 |
| 2015 | -15.3 | -23.0 | -15.2 |
| 2016 | 2.4 | -4.2 | -0.01 |
| 2017 | 4.3 | 29.5 | 8.9 |
| 2018 | -24.7 | 22.0 | 14.9 |

წყარო: www.geostat.ge

როგორც წესი, კომპანიების (ფირმების) ფინანსური მდგრადობა და ეფექტურად მართვა შეუძლებელია რისკების თავისებურებათა შესწავლისა და მათი საწარმოო-ეკონომიკურ ბრუნვაში ოპტიმალურად მორგების გარეშე. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: მიუხედავად იმისა, რომ რისკები თავისი შინაარსისა და თავისებურებებიდან გამომდინარე, მრავალგვარია, (მაკროეკონომიკური,მიკროეკონომიკური, ფინანსური, საბანკო,სავალუტო, საპორტფელო და ა.შ) მათი უარყოფითი გავლენა საბოლოოდ ფინანსურ შედეგებში იყრის თავს. რისკი, სხვა

არაფერია, თუ არა ნებისმიერი საშიშროება ქონების, ფულადი და სხვა ფასეულობათა გაუთვალისწინებელი დანაკარგებისა, რომლებიც ფინანსურ დანაკარგებში კონცენტრირდება.
კომპანიაში რისკით გამოწვეული უარყოფითი შედეგები შეიძლება იყოს დიდი ან მცირე ზომის, მაგრამ მისი მთლიანად თავიდან აცილება შეუძლებელია, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ პრევენციული ღონისძიებებით, ან სხვა მეთოდებით მისი შერბილება, ისე, რომ დამანგრეველი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის საქმიანობის მიზნებსა და შედეგებზე. ანუ ჩვენ შეგვიძლია რისკების მართვის სტრატეგიას მივუდგეთ შემდეგი პრინციპებით:

1. კაპიტალის დაბანდების ისეთი ვარიანტი შევიმუშაოთ, რომელიც კაპიტალუკუგების მაქსიმუმს მოგვცემს.
2. უზრუნველყოპილ იქნეს მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგების მიღების ოპტიმალური ზომა.
3. მიღწეულ იქნეს მოგებისა და რისკის სიდიდის ოპტიმალური შეთანწყობა.

გაკოტრებული საწარმოების მაგალითზე ჩატარებულმა კვლევამ დაგვანახა ფინანსური, საინვესტიციო და სხვა სახის რისკების წარმოქმნის, მათი შემცირების ან უკეთეს შემთხვევაში თავიდან აცილების აუცილებლობა. ვიცით რომ საფინანსო რისკების წარმოქმნა უკავშირდება კომპანიაში დებიტორულ დავალიანებათა ზრდას, გადამხდელუნარიანობის მაჩვენებლებს, რომელიც გამოიხატება მიმდინარე ლიკვიდობის და საკუთარი კაპიტალით საბრუნავი აქტივების უზრუნველყოფის მაჩვენებლებით. საინვესტიციო რისკი დაკავშირებულია ფინანსური პორტფელის გაუფასურებასთან. ისმის კითხვა, როგორ ავიცილოთ მოსალოდნელი რისკები ფირმაში (კომპანიაში) და ვის ეკისრება პასუხისმგებლობა კრიზისული სიტუაციების დადგომის შემთხვევაში. რა თქმა უნდა ანტიკრიზისულ ღონისძიებათა მართვის სისტემის უზრუნველყოფა გენერალური დირექტორის კომპეტენციაა, მაგრამ იგი ამ
ფუნქციას ასრულებს მმართველ გუნდთან ერთად, სადაც საპასუხისმგებლო საქმის შემსრულებელი არის ფინანსური მენეჯერი. კომპანიის ფინანსური მენეჯერის ხედვის არეში

მუდმივად უნდა კონტროლირდებოდეს ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც პროგნოზირებენ საწარმოში(ფირმაში) არასასურველი ფინანსური მდგომარეობის დადგომის ალბათობას. კერძოდ, როგორიცაა: ძირითადი საქმიანობის ზარალი; საბრუნავი სახსრების ნაკლებობა; სამეურნეო ოპერაციებიდან ფულადი ნაკადების შემოსავლის შემცირება; ფირმის ფასიანი ქაღალდების ფასის დაცემა; ვადიანი ვალდებულებების დაფარვის შეუძლებლობა;

**დასკვნა:** ბიზნეს რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით აუცილებელია დროულად განხორციელდეს რისკების შემცირების კონტროლისა და ტექნიკის საიმედო პროცესები და საწარმოს სხვადასხვა დონეებზე მოვახდინოთ რისკის მართვის სტრუქტურირება, რათა უზრუნველვყოთ საწარმოთა რენტაბელურად მუშაობის სასურველი დონე და ნორმატიულ-სამართლებრივი მოთხოვნები.

საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ქვეყანაში გატარებული ეკონომიკური რეფორმები მსოფლიო სავაჭრო სივრცეში ადგილის დასამკვიდრებლად კონკურენციის ეფექტიანი პოლიტიკის გარეშე წარუმატებელი იქნება. კონკურენციის საერთაშორისო წესები და პრინციპები დღის წესრიგში აყენებს კონკურენციული პოლიტიკის შექმნისა და გაჯანსაღების ამოცანას საქართველოშიც. აღნიშნული საკითხის აქტუალიზაცია გამოწვეულია ჩვენი ქვეყნის სასაქონლო ბაზრების მონოპოლიზაციისა და კარტელური შეთანხმებების გაძლიერებული ტენდენციებით. დასახელებული ფაქტორები ქვეყნის ხელისუფლებას აკისრებს შესაბამის ვალდებულებებს კონკურენციის პოლიტიკის ისეთი ელემენტების უზრუნველყოფაზე, როგორიცაა:

- კონკურენციის სათანადო, ცხადი და პროგნოზირებადი წესების ერთობლიობა
- ეფექტური სახემწიფო ზედამხედველობა და მათი დაცვა
- აღსრულების სანდო და გამჭირვალე პრაქტიკა

კონკურენციის კანონები უნდა ქმნიდეს საფუძველს მონოპოლიური ქცევისა და ისეთი შეთანხმებების თავიდან აცილებისათვის, რომლებიც ზიანს აყენებს ბიზნეს სუბიექტების და მომხმარებლების

ინტერესებს. ამ კანონებმა უნდა შექმნას ქმედითი, სტაბილური პირობები ახალი კომპანიების ბაზარზე გამოსასვლელად და მათ შორის ჯანსაღი კონკურენციის დასაცავად. საქართველოში ბოლო წლების მანძილზე გატარებულმა რეფორმებმა შექმნა ხელსაყრელი პირობები საგარეო სავაჭრო რეჟიმის ჩამოყალიბებისათვის. სწრაფი ტემპით წარიმართა ექსპორტის ლიბერალიზაციის პროცესი, თუმცაღა ამ მიმართულებით პრობლემების აღმოსაფხვრელად გასაკეთებელი კიდევ ბევრია. საქართველოს ექსპორტის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით საჭიროა:

_ სისტემატურად იქნეს შესწავლილი ქვეყნის საექსპორტო და კონკურენტული პოტენციალი, აგრეთვე მსოფლიო ბაზრის სავაჭრო პოლიტიკური სიტუაცია და კონიუნქტურის დინამიკა

_ ექსპორტის ხელშეწყობის დარგობრივი და რეგიონალური პროგრამების ღონისძიებათა შეთანხმება-კოორდინაცია ბიზნეს სუბიექტებთან ერთად

იქიდან გამომდინარე რომ ჩვენ ვართ ოდითგანვე აგრალური ქვეყანა, საექსპორტო საექსპორტო სტრატეგიის პრიორიტეტი უნდა იყოს გადამუშავების მაღალი ხარისხის მქონე საქონლის-აგროსამრეწველო პროდუქციის ექსპორტი და მისი სახელმწიფო მხარდაჭერა, რაც საწინდარი გახდება ეკონომიკის, მოსახლეობის დასაქმების ზრდისა და მსოფლიო ეკონომიკაში ჩვენი ქვეყნის პოზიციების გაძლიერებისა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Papava, Vladimer, Retroeconomics-Moving from Dying to Brisk Economy, Journal of Reviews on Global economics, 2017,6, pp 455
2. Evolution of Competition Lew in the world. Competition Regimes in the World- A Civil Society Report (2006). India.(www.cuts.org)
3. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe? გადამოწმებულ იქნა 02.02.2019
4. www.geostat.ge გადამოწმებულ იქნა 02.02.2019

# ადამიანური რესურსების მართვის თავისებურებები საქართველოს საბანკო სექტორში

# Human Resource Management Peculiarities In the banking sector of Georgia

**ნანა შონია** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების მიმართულების პროფესორი
**ნუნუ ქიქოძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
**სოფიკო მიქაბაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტის მიმართულების ასისტენტ პროფესორი

**Nana Shonia** – Professor in finances,
Akaki Tsereteli State University
**Nunu Kikodze** – Associated professor in Management,
Akaki Tsereteli State University
**Sopiko Mikabadze** – Assistant Professor in Management,
Akaki tsereteli State University

**რეზიუმე:** ადამიანური რესურსების მართვა თანამედროვეობის ერთ-ერთი მეტად აქტუალური პრობლემაა, განსაკუთრებით საბანკო სექტორში, სადაც კონკურსით შერჩეული კადრების სხვადასხვა მიმართულებით გადამზადება უწევთ. ის თუ რამდენად ეფექტურად მოახერხებს მენეჯერი მასთან მომუშავე ადამიანების შესაძლებლობების გამოვლენას და ორგანიზაციის საკეთილდღეოდ მათ გამოყენებას, ამაზე დიდათაა დამოკიდებული მისი ფირმის მომავალი და წარმატება. გარდა აღნიშნულისა, საბანკო სექტორში დასაქმებული კადრების ხშირ ცვლილებას აქვს ადგილი, უფასო სამთვიან სტაჟირებებს და ა.შ.

კვლევის შედეგად გამოვლინდა რიგი პრობლემები, რომლებიც დღეისათვის არის საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში პერსონალის მართვის კუთხით, კერძოდ:

– ანაზღაურების სისტემა - მტკივნეული საკითხი, რომელის უპირველეს პრობლემას წარმოადგენს ბანკის პერსონალისათვის, რადგან არ ხდება შესრულებული სამუშაოს და დახარჯული დროის შესაბამისად ანაზღაურება;

- მოტივაციისა და წახალისების სისტემების ნაკლებობა, რა თქმა უნდა ბანკში მოქმედებს მოტივაციის სხვადასხვა მეთოდები, მაგრამ როგორც თანამშრომლებმა კვლევისას აღნიშნეს უმეტესი მათგანი მხოლოდ თეორიულ სახეს ატარებს და პრაქტიკაში არ მიუღიათ ბევრი მათგანი.
- ბანკში დასაქმების საკითხი - ხშირია სხვა პროფესიის კადრების დასაქმება ნეპოტიზმის დახმარებით.
- სტაჟირების საკითხი - უფასო სტაჟირება 3 თვის განმავლობაში.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საბანკო სექტორმა შეიმუშაოს ადამიანური რესურსების შერჩევის ისეთი პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება სამართლიანი შერცევის პრინციპებზე დაყრდნობით მხოლოდ შესაბამისი სპეციალობის კურსდამთავრებულებით დააკომპლექტოს ვაკანტური ადგილები, სტაჟირება ყველა ბანკში იყოს ანაზრაურებადი, მოტივაციის სისტემა იყოს რეალური და არა მხოლოდ ქაღალდზე დაფიქსირებული, არანორმირებული სამუშაო საათებში სესრულებული სამშაოს ანაზრაურება მოხდეს შესაბამისად.

**საკვანძო სიტყვები:** ადამიანური რესურსები, საბანკო სექტორი, მართვა, მოტივაცია, ერთობლიობა.

**Abstract:** Human resource management is one of the most problematic issues of modernity, especially in the banking sector where the selected staff are trained in different directions. The effectiveness of exposing employee's capabilities by manager for the benefit of the organization is essential part of organization's future success. Besides, there are frequent changes in staffing in the banking sector, free internships and etc.

the survey indicated a number of problems in terms of management of personnel in commercial banks operating in Georgia, namely:

- Payment system - A painful issue that is a primary problem for the bank personnel, as there is no appropriate compensation paid for the work done and the time spent;

- Lack of motivation and encouragement systems, of course the Bank operates different methods of motivation, but as the employees noted in the research, most of them are only theoretical and have not received many of them in practice.
- Employment in the Bank - Frequent employment of other profession representatives by nepotism.
- Internship issue – non-paid internship within 3 months.

Based on the above, we think it is expedient for the banking sector to elaborate a policy of selecting human resources that will be based on the principles of fair selection, only the graduates of appropriate specialty should be given the vacant places.In addition, internships in all banks should be paid , the motivation system should be real and not only theoretical, for additional working hours, the payment should be made accordingly.

**Key words:** human resources, banking sector, management, motivation, unity.

**შესავალი:** ადამიანური რესურსების მართვა თანამედროვეობის ერთ-ერთი მეტად აქტუალური პრობლემაა, განსაკუთრებით საბანკო სექტორში, სადაც კონკურსით შერჩეული კადრების სხვადასხვა მიმართულებით გადამზადება უწევთ. ის თუ რამდენად ეფექტურად მოახერხებს მენეჯერი მასთან მომუშავე ადამიანების შესაძლებლობების გამოვლენას და ორგანიზაციის საკეთილდღეოდ მათ გამოყენებას, ამაზე დიდათაა დამოკიდებული მისი ფირმის მომავალი და წარმატება. გარდა აღნიშნულისა, საბანკო სექტორში დასაქმებული კადრების ხშირ ცვლილებას აქვს ადგილი, უფასო სამთვიან სტაჟირებებს და ა.შ.

ნებისმიერი წარმატებული ორგანიზაციის მთავარი დასაყრდენი მასში დასაქმებული ადამიანია. სწორედ ისინი ქმნიან იმ პროდუქტს, რომელიც განაპირობებს ორგანიზაციის განვითარებას. ამიტომ მნიშვნელვანია, რომ ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები შეიარაღებულები იყვნენ თანამედროვე მეთოდოლოგიითა და მიდგომებით. ადამიანური რესურსები წარმოადგენს ორგანიზაციაში დასაქმებულ პირთა ერთობლიობას. ადამიანებს, რომლებიც ინდივიდუალურად ან ჯგუფურად მუშაობენ ორგანიზაციის წინაშე მდგარი სტრატეგიული მიზნების

მისაღწევად. თუმცა, სიტყვა „ერთობლიობა“ მარტივი ჯამის მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ, რადგან თითოეული მათგანი აქ გარკვეული „ბარგით„ მოდის, რომელშიც გაერთიანეულია მისი ცოდნა, გამოცდილება, პიროვნული თვისებები, ინდივიდუალური მისწრაფებები, ინტერესები და ა.შ. შესაბამისად, როცა ვსაუბრობთ ადამიანურ რესურსებზე, ვგულისხმობთ არა ორგანიზაციაში დასაქმებულ პირთა მარტივ სიმრავლეს, არამედ იმ „ბარგს„ იმ უძვირფასეს კაპიტალს, რომელიც თითოეულ თანამშრომელს მოაქვს სამუშაო ადგილზე. ადამიანური რესურსების მართვა კი გულისხმობს ამ კაპიტალის წარმართვას, მის გამოყენებას ორგანიზაციის საკეთილდღეოდ. წარმატების მისაღწევას ორგანიზაციისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, თითოეული თანამშრომლის და მისი მისწრაფების დაკავშირება კორპორატიულ ინტერესებთან. სწორედ ეს არის ადამიანური რესურსების მართვის ფუნქცია. იგი ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდია ორგანიზაციასა და მასში დასაქმებულ ადამიანებს შორის.

**ძირითდი ტექსტი:** ეფექტური საბანკო მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ასპექტია პერსონალის მართვა. საქართველოში კომერციულ ბანკში პერსონალის მართვა მეტად სპეციფიკურია და განპირობებულია თავად საბანკო საქმიანობის თავისებურებებით. ბანკის მიზანია მიაღწიოს დასახულ მიზნებს და მოახდინოს საკუთარი მისიის რეალიზაცია მის ხელთ არსებული რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებით. ადამიანური რესურსების მართვის კონტექსტში რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება გულისხმობს იმის უზრუნველყოფას, რომ თითოეული თანამშრომელი ახერხებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას და ხარისხიანად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს. საბანკო პერსონალისგან მოითხოვება პროფესიონალიზმი, ჩვევები და პიროვნული თვისებები. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ ბანკის პერსონალისგან მოითხოვება არა მარტო უშუალოდ დაკავებული პოზიციის შესაბამისი ფუნქციების, არამედ მომიჯნავე და არამომიჯნავე პოზიციების ფუნქციების ცოდნაც, რაც განპირობებულია იმით რომ კომერციული ბანკი არის მეტად რთული ბიზნესი და მასში მუშაობენ მეტად მრავალფეროვანი პროფესიის ადამიანები.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, კომერციული ბანკის წარმატება დამოკიდებულია მასში მომუშავე ადამიანებზე, ანუ ადამიანურ რესურსებზე. კომერციულ ბანკებში დასაქმებულ ადამიანურ რესურსებთნ დაკავშირებული საკითხები შეიძლება დავყოთ ოთხ კატეგორიად:

– სამუშაოზე პერსონალის მიღება და კადრების შერჩევა;
– ხელფასი და მუშაობის პირობები;
– კადრების მომზადება და პროფესიული განვითარება;
– საწარმოო ურთიერთობები;

ახალი კადრების შერჩევის პროცედურის წარმატება დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს ბანკი საინტერსო კანდიდატებისთვის ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, მათ დაინტერესებას და მოზიდვას კონკურსში ჩასართავად. კარგად წარმართული რეკრუტირების გარეშე ბანკი ვერ შეძლებს მისთვის სასურველი კადრების შერჩევას.




**დიაგრამა 1. საქართველოში მოქმედი ბანკების პერსონალის განათლება ძირითდი სპეციალობის მიხედვით**

**კვლევის შედეგები.** ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევიდან გამოვლინდა როგორც მენეჯერთა მიდგომა და პოზიცია კადრების მიმართ (მათი დანიშვნა–გათავისუფლების შესახებ), ასევე თვითონ პერსონალის მოსაზრებები სამსახურში კადრების მიღების, გადამზადებისა და გათავისუფელბის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ბანკში დასაქმებულთა მხოლოდ 48% არის ბიზნესის ადმინისტრირების

სპეციალობის მქონე, დანარჩენი 52% არის ეკონომიკის, ჰუმანიტარული და ტექნიკური განათლების მქონე თანამშრომლები.

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს კვლევამ აჩვენა, რომ რიგ საკითხებში, როგორიცაა თანამშრომელთა მიღება, გადამზადება, სტაჟირების ანაზღაურება ან დათხოვნა, მოსაზრებები მენეჯერთა და თანამშრომელთა შორის ურთიერთსაწინააღმდეგო აღმოჩნდა, მაგ: ერთ–ერთი საკითხი ჩვენს კვლევაში იყო **სტაჟირების ანაზღაურება,** რომელზეც მენეჯერთა მხრიდან მივიღე პასუხი რომ ანაზღაურებადია იმ კადრის სტაჟირება რომლის მიღებაც ხორციელდება გარკვეულ თანადებობაზე, მაგრამ თანამშრომლეთა უმრავლესობამ განაცხადა რომ სტაჟირება არ არის ანაზღაურებადი, მათი თანამდებობაზე დანიშვნის წინა ეტაპი რა თქმა უნდა სტაჟირება იყო, რომელიც ანაზღაურებადი არ ყოფილა.

**დიაგრამა 2. არის თუ არა ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა კომერციულ ბანკებში**




კონტრასტული აღმოჩნდა ის მოსაზრებები და პასუხები, რომლებიც მოტივაციასა და წახალისებას ეხებოდა, აქაც ძირითადად გაიყო აზრები, მენეჯერებმა აღნიშნეს, რომ რა თქმა უნდა მოტივაციისთვის უამრავი წამახალისებელი საშუალება გამოიყენება როგორიცაა: სამადლობელი სიგელი, ფულადი წახალისება, ბონუსები, საახალწლო საჩუქრები, ლოტოტრონი, წამახალისებელი აქციები,

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ გამოკითხულთა უმრავლესობამ დაასახელა ზემოთ ჩამოთვლილი წამახლისებელი მეთოდები, მაგრამ ასევე აღნიშნეს რომ უმრავლესი ეს მეთოდი თეორიულად არის მოტივაცია და წახალისება, მაგრამ პრაქტიკაში ნაკლებად მიუღიათ ესეთი წახალისებები.




**დასკვნა:** ამრიგად, კვლევის შედეგად გამოვლინდა რიგი პრობლემები, რომლებიც დღეისათვის არის საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში პერსონალის მართვის კუთხით, კერძოდ:

– ანაზღაურების სისტემა - მტკივნეული საკითხი, რომელის უპირველეს პრობლემას წარმოადგენს ბანკის პერსონალისათვის, რადგან არ ხდება შესრულებული სამუშაოს და დახარჯული დროის შესაბამისად ანაზღაურება;
– მოტივაციისა და წახალისების სისტემების ნაკლებობა, რა თქმა უნდა ბანკში მოქმედებს მოტივაციის სხვადასხვა მეთოდები, მაგრამ როგორც თანამშრომლებმა კვლევისას აღნიშნეს უმეტესი მათგანი მხოლოდ თეორიულ სახეს ატარებს და პრაქტიკაში არ მიუღიათ ბევრი მათგანი.
– ბანკში დასაქმების საკითხი - ხშირია სხვა პროფესიის კადრების დასაქმება ნეპოტიზმის დახმარებით.
– სტაჟირების საკითხი - უფასო სტაჟირება 3 თვის განმავლობაში.

**რეკომენდაციები:** გამომდინარე ზემოთქმულიდან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საბანკო სექტორმა შეიმუშაოს ადამიანური რესურსების

შერჩევის ისეთი პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება სამართლიანი შერცევის პრინციპებზე დაყრდნობით მხოლოდ შესაბამისი სპეციალობის კურსდამთავრებულებით დააკომპლექტოს ვაკანტური ადგილები, სტაჟირება ყველა ბანკში იყოს ანაზრაურებადი, მოტივაციის სისტემა იყოს რეალური და არა მხოლოდ ქაღალდზე დაფიქსირებული, არანორმირებულ სამუშაო საათებში შესრულებული სამუშაოს ანაზრაურება მოხდეს შესაბამისად.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბერიძე რ. - საბანკო მენეჯმენტი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2009, 363გვ.
2. პაიჭაძე ნ. - ადამიანური რესურსების მართვა, გამომცემლობა „ახალი ივერიონი“, თბილისი 2007, 287გვ
3. პირადი კვლევის მასალები, ქუთაისი, 2018 წ
4. И.И. ИСАЧЕНКО, О.И. ЕЛИЗАРОВА, Е.А. КОНДРУСЬ, И.С. МАШИНСКАЯ - УПРАВЛЕНИЕ ЧЕЛОВЕЧЕСКИМИ РЕСУРСАМИ, М. 2017
5. http://csb.gov.ge/uploads/civil-service-HR-practice-overview.pdf
6. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000805/n.masuradze%20disertacia.pdf
7. 800&a=d&c=ekonomik&cl=CL4.1&d=HASH015eb8acb0f7cd63f351dee9.3.2
8. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/paymentsysmens/plasticcardsnbg1.4.6.1geo.pdf
9. http://www.csb.gov.ge/uploads/HRM_Systems_in_Civil_Service._geo.pdf
10. http://csb.gov.ge/uploads/civil-service-HR-practice-overview.pdf
11. http://csb.gov.ge/uploads/nawili-III-print-new.pdf
12. https://nsshrm.wordpress.com/2011/06/14/
13. https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2013/n_2/papuashvili.pdf
14. https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/statia5.pdf
15. https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/2014_3/3.pdf

# დეცენტრალიზებული და ცენტრალიზებული ფინანსების თანაფარდობის სამართლებრივი საკითხები
# Legal issues of the decentralized and centralized financing ratio

**ნათია ახალკაცი** - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**Natia Akhalkatsi** - PhD student
Georgian Technical University

**რეზიუმე.** საბიუჯეტო სისტემა წარმოადგენს სახელმწიფოს, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების, საბიუჯეტო ურთიერთობებში დამოუკიდებელი სახელმწიფო დაწესებულებებისა და ფონდების ბიუჯეტების ერთობლიობას, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკურ ურთიერთობებზე, სახელმწიფოებრივ მოწყობასა და სამართლებრივ ნორმებზე. საბიუჯეტო სისტემის ანალიზისთვის აქტუალურია თანაფარდობის დადგენა ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ ფინანსების შორის, რომელიც წარმოდგენილია ჩვენს წინამდებარე სტატიაში.

საქართველოში ფინანსების მართვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს კონსტიტუციისა და პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი კანონების საფუძველზე ხორციელდება. კერძოდ, ფინანსთა სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, სხვა საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებით, საქართველოს მთავრობის და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტებით, სამინისტროს დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა სტრუქტურულად მოიცავს: საქართველოს ნაერთ ბიუჯეტს; საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს; ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს.

საჯარო ფინანსებისთვის, ძირითადი მახასიათებლებია: თანმხლები ეკონომიკური ურთიერთობების ფულადი ბუნება, ეკონომიკური

სუბიექტებისა და მოსახლეობის მიერ სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტებისა და არასაბიუჯეტო დამატებითი თანხების გადახდაზე უარის თქმა, უპასუხისმგებლობა და ფულადი ურთიერთობების ვალდებულება და იძულება ორგანიზაციებთან და მოსახლეობასთან.

**Abstract.** Budget system represents a combination of state, administrative-territorial entities, budgets of independent state institutions and funds, which are based on economic relations, state arrangement and legal norms. An analysis of the budget system is important to determine the ratio between centralized and decentralized finances represented in our present article.

Finance in Georgia is implemented by the Ministry of Finance of Georgia on the basis of the Constitution of Georgia and the relevant laws adopted by Parliament. Namely, the Ministry of Finance is headed by the Constitution of Georgia, international treaties and agreements, the Law of Georgia on the Structure, Authority and Activity Rule of the Government of Georgia, the Budget Code of Georgia, the Tax Code of Georgia, Other Legislative Acts, President of Georgia The acts of the Government of Georgia and the Prime Minister of Georgia, with the provisions of the Ministry and other legal acts.

The budget system of Georgia includes structurally: Georgia's compound budget; The state budget of Georgia; Republican budgets of autonomous republics; Local self-government units budgets.

For public finances, the main characteristics are: the monetary nature of the accompanying economic relationship, the economic subjects and the population, refusal to pay state and municipal budgets and non-budgetary amounts, irresponsibility and obligation of monetary relations and compulsion with organizations and population.

**საკვანძო სიტყვები:** საჯარო ფინანსები, ცენტრალისებული ფინანსები, რისკები, დაზღვევა, გადასახადები, საბიუჯეტო დაგეგმვა.

**Keywords:** public finances, centralized finances, risks, insurance, taxes, budget planning.

**შესავალი.** ფინანსები (ლათ. Financia - ფულადი სახსრები, შემოსავლები) - სახსრების ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდების ფორმირების, განაწილების და

გამოყენების პროცესში წარმოქმნილი ეკონომიკური ურთიერთობების კომპლექტია. საზოგადოებაში არსებული კერძო და საჯარო ფინანსების განსხვავებულობის შესახებ ცნობილი ფრანგი ფინანსური სამართლის თეორეტიკოსი პოლ მარი გოდმე შემდეგნაირად აღნიშნავდა: "საჯარო ფინანსები რეგულირდება სპეციალური სახელმწიფო ნორმებით, რაც საშუალებას მოგვცემს, ფულადი სახსრების მართვა შეძლოს საკმარისი რაოდენობით (შემოსავლის რეგულირების წესები); ფულადი სახსრების მოძრაობის ზუსტად გათვალისწინებით; უზრუნველყონ მათი გამოყენება (ბიუჯეტის წესები). "

**ძირითადი ნაწილი.** თანამედროვე ფინანსური სამართლისთვის მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ კერძო ფინანსები შეიძლება გადაიზარდოს ფულადი სახსრების სახით და პირიქით. როგორც კი კერძო სახსრები სახელმწიფოს ძალაუფლებას მოიპოვებს, ისინი გარდაიქმნებიან სახალხო ფინანსებში, რაც ნიშნავს ფინანსურ და სამართლებრივ რეგულირებას. ეს მოხდება კანონმდებლის პირდაპირი მითითებების შემდეგ. მაგალითად, როდესაც იურიდიული პირების ფინანსები საჯარო ფინანსებია, სახელმწიფო და მუნიციპალური ერთიანი სახელმწიფო, მათ შორის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები შეიძლება იყოს. ზოგიერთი მეცნიერი ასახავს სახელმწიფო და მუნიციპალურ ერთეულთა საწარმოების დაფინანსებას იურიდიული პირების ორგანიზაციების დაფინანსებაში. კერძო ფინანსებს.

საჯარო (ცენტრალიზებული) დაფინანსებაა სახელმწიფოსა და მუნიციპალური ხელისუფლების საქმიანობის მხარდასაჭერად განკუთვნილი სახსრების ჩამოყალიბებისა და გამოყენების სისტემა. საჯარო ფინანსები მოიცავს:

- სახელმწიფო ფინანსები
- მუნიციპალური ფინანსები.

საჯარო ფინანსები წარმოადგენს ფულადი ურთიერთობების ორგანიზაციის ფორმას, რომელშიც სახელმწიფო მონაწილეობს ერთი ფორმით ან სხვა ფორმით. საჯარო ფინანსები წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობებს, განათლების და ფულადი ფონდის განაწილება, სახელმწიფოს ჭირდება, რათა შეინარჩუნოს მისი ორგანოები და შეასრულოს მისი თანდაყოლილი ფუნქციები. საჯარო

ფინანსები ფინანსური სისტემის ნაწილია, იმ ნაწილში, რომელიც ეხება ცენტრალიზებულ (სახალხო) ფინანსებს. საჯარო ფინანსების ძირითადი მიზანია უზრუნველყოს სახელმწიფოსგან ფინანსური რესურსების ფორმირება და გამოყენება, რაც აუცილებელია მისი ფუნქციების რეალიზაციისათვის.

საჯარო ფინანსებს, ისევე როგორც სხვა საფინანსო კატეგორიებს აქვს ფუნქციები:

- გადანაწილება;
- კონტროლი;
- რეგულირება.

*თუ პარალელს გავავლებთ საქართველოში ფინანსების მართვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს კონსტიტუციისა და პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი კანონების საფუძველზე ხორციელდება.* კერძოდ, ფინანსთა სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, სხვა საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებით, საქართველოს მთავრობის და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტებით, სამინისტროს დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

*საქართველოს საბიუჯეტო სისტემა სტრუქტურულად მოიცავს:*

- საქართველოს ნაერთ ბიუჯეტს;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს;
- ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს[21];
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს[22].

საჯარო ფინანსებისთვის, ძირითადი მახასიათებლებია: თანმხლები ეკონომიკური ურთიერთობების ფულადი ბუნება,

---

[21] მოიცავს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს.

[22] მოიცავს 12 თვითმმართველი ქალაქის ბიუჯეტს და 67 მუნიციპალურ ბიუჯეტს.

ეკონომიკური სუბიექტებისა და მოსახლეობის მიერ სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტებისა და არასაბიუჯეტო დამატებითი თანხების გადახდაზე უარის თქმა, უპასუხისმგებლობა და ფულადი ურთიერთობების ვალდებულება და იძულება ორგანიზაციებთან და მოსახლეობასთან.

კერძო ფინანსები ფინანსებია, რომლებიც შემოსავალს ქმნიან. ახლა ან მომავალში კერძო ფინანსური გადაწყვეტილებები მიდის პირადი ბიუჯეტის დაგეგმვისკენ, საბიუჯეტო პერიოდის ყველა სავარაუდო შემოსავალი ბიუჯეტის ნაწილშია შეტანილი, მათ შორის:

- ხელფასი (გამომუშავებული ანაზღაურება);
- პენსიები და კომპენსაცია;
- საბანკო დეპოზიტების შემოსავალი;
- უძრავი ქონების გაქირავებით მიღებული შემოსავალი.

შემდეგი არის ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილი, რომელიც მოიცავს:

- საცხოვრებელი და კომუნალური გადასახადები
- კვების ხარჯი;
- სამედიცინო დაზღვევა;
- სესხის გადახდა;
- გრძელვადიანი საქონლის შეძენა;
- რისკების დაზღვევა (ქონება, ჯანმრთელობა და ა.შ.);
- საპენსიო დანაზოგები;
- ინვესტიციები.

ფინანსური ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში ფინანსური გადაწყვეტილებები ხშირად არ არის გართულებული - მთავარია, რომ შემოსავლის შესაძლო წყარო არ დაკარგოს. ფინანსური გადაწყვეტილების ძირითადი პრინციპი: "კაპიტალმა უნდა მოიტანოს კაპიტალი".

თუ არსებობს თავისუფალი წარმოების საშუალებები, მაშინ უნდა ამოქმედდეს. თუ არსებობს უმოქმედო გამოუყენებელი ქონება, მაშინ უნდა გაიცეს იჯარით, თუ თავისუფალი რესურსი არ არის შემოსავლის წყარო და არ არის მომგებიანი საინვესტიციო, (ანუ ის არ გაიზრდება ფასებით), მაშინ უნდა გაიყიდოს და ფული უნდა ჩაიდოს ინვესტიციებში.

ფინანსები - ეს არის ის, რისი განკარგვაც შესაძლებელია. ფინანსური მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა ყველაზე ეფექტურად (ანუ, ყველაზე დიდი მოგებით) განკარგოს არსებული ფინანსები. სესხის თანხის ამჟამინდელი პირობები, სესხის სახით დამატებითი ფინანსური რესურსების მიღება არ წარმოადგენს პრობლემას.

არასასურველი სეკვესტრის თავიდან ასაცილებლად, ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში შემოსავლები არ უნდა იყოს ჩართული, თუ მათი მიღების ალბათობა 90% -ზე ნაკლებია. იმავდროულად, თუ დაუგეგმავი შემოსავალი ჩნდება, მისი გამოყენების გზები უნდა დადგინდეს დაუყოვნებლივ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გვახსოვდეს, როდესაც დაგეგმილი შემოსავლები ისაა, რომ პენსიები და კომპენსაცია უნდა გამოითვალოს ყველა შესაძლო სქემის ყველაზე მომგებიანობის საფუძველზე.

ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის ფარგლებში უნდა გაკეთდეს უფრო რთული ფინანსური გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილში. აქ არის ბევრი მნიშვნელოვანი რჩევა:

პირველი, როდესაც დიდი ხნის ბიუჯეტის პერიოდის გაანგარიშებისას (6 თვე ან მეტი), ნუ დაივიწყებთ ინფლაციის შესახებ. თუ რაღაც ღირს გარკვეული თანხა  წლის დასაწყისში, მაშინ ეს არ ნიშნავს იმას, რომ წლის ბოლომდე ფასი იგივე დარჩება. გამოიყენეთ ინფლაციის პროგნოზი საიმედო  წყაროებიდან და ამ პროგნოზს ხარჯების გეგმაში.

საქონლისა და მომსახურების ფასებში ფასებს ზრდის მონეტიზაცია. თუ გამოცხადდა, რომ ელექტროენერგია გარკვეულ პროცენტზე გაიზრდება, ეს პროცენტული მაჩვენებელი ბიუჯეტში უნდა აისახოს.

რა თქმა უნდა, ყოველთვის უნდა მოძებნოთ ბაზარზე არსებული იაფი პროდუქტები და მომსახურება. წინააღმდეგ შემთხვევაში საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპი - კონკურენცია - საერთოდ არ იმუშავებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროდუქციის ხარისხი შეიძლება უგულებელყოფილი იყოს. არ ჩადო ბიუჯეტში დაბალი ხარისხი ან საეჭვო ხარისხის პროდუქცია და მომსახურება. აუცილებელია აირჩიოს იაფი, მაგრამ მხოლოდ

მისაღები ხარისხის კატეგორიიდან. ეს განსაკუთრებით ეხება საკვებს, სამედიცინო და საფინანსო მომსახურებას.

სესხი უნდა დაბრუნდეს, რათა არ გააფუჭოს მათი "საკრედიტო ისტორია" და შეძლონ სესხის აღება მომავალში. აქედან გამომდინარე, საკრედიტო შენატანს უნდა ჰქონდეს მაღალი პროცენტი დანახარჯის სიაში.

დასკვნა. რისკის დაზღვევა არის კარგი ფინანსური მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი. ყველა პირადი ხარჯების არანაკლებ 5% (ან უკეთესი, 8-12%) რეკომენდირებულია მიმართული სხვადასხვა სახის რისკების დაზღვევაზე. ეს არის საერთო საერთაშორისო პრაქტიკა.

გადახდილი გადასახადების შემცირების სამართლებრივი სქემის მოძიება არის ხარჯების შემცირების მეთოდი, რომელიც დასავლეთში არის გავრცელებული. თუ საგადასახადო გამოქვითვების შემცირებაც კი არსებობს, მაშინ აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული. თუ გადასახადის თანხა ძალიან დიდია (და შესაძლო დანაზოგები შეიძლება გადაიხადოს სპეციალისტის მომსახურებისთვის), მაშინ სასურველია რჩევა მოიძიოს ფინანსური კონსულტანტისგან (ან პირად ბუღალტერს ). საპენსიო ფონდში რეკომენდირებულია შემოსავლების 7-10% -იანი გადარიცხვა. საპენსიო ფონდი პრინციპულად არის გრძელვადიანი დეპოზიტი, მაგრამ მინიმალური რისკი.

საინვესტიციო არის ყველაზე რთული ფინანსური გადაწყვეტილებების ფართობი. ხშირად ამბობენ, რომ ამ კუთხით წარმატებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა "განსაკუთრებული განცდა". თუმცა, თუ ჩვენ ყველა სახის ცრურწმენას უარყოფ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარგი საინვესტიციო გადაწყვეტილება არის საინვესტიციო ბაზრის ღრმა, ყოვლისმომცველი, არაემოციური ანალიზი.

საჯარო (ცენტრალიზებული) დაფინანსებაა, სახელმწიფოსა და მუნიციპალური ხელისუფლების საქმიანობის მხარდასაჭერად განკუთვნილი სახსრების ჩამოყალიბებისა და გამოყენების სისტემა. საჯარო ფინანსები მოიცავს სახელმწიფო ფინანსებსა და მუნიციპალურ ფინანსებს. ცენტრალიზებული დაფინანსება

წარმოდგენილია საბიუჯეტო სისტემის, ასევე სახელმწიფო და მუნიციპალური სესხების მიხედვით.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ხანთაძე გ.; ცაავა გ.; - საჯარო ფინანსები, თეორია და მეთოდები, სახელმძღვანელო, თბ, დანი, 2013, 430 გვ.
2. მესხია ი., ჭიოტაშვილი დ. საჯარო ფინანსები: გადასახადები და ბიუჯეტი. სახელმძღვანელო, თბ., 2012, 618 გვ.
3. ფინანსები. ინვესტიციები. საბანკო საქმე, ენციკლოპედიური ტერ-მინოლოგია (ინგლისურ-რუსულ-ქართული), შემდგ. რედ. ლ. ქოქიაური; თბ., უნივერსალი, 2009, XXII, 1080 გვ.
4. ჩხაიძე ი., ქუთათელაძე ა. საბიუჯეტო პროცესში ფინანსური მენეჯმენტის გამოყენების მეთოდოლოგიური ასპექტები. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები. 2013 წ., # 3. გვ. 58–61.
5. საქართველოს კანონი _ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი. 18.12.2014.
6. საქართველოს კანონი _ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 17.09.2018.
7. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის შესახებ. 16.12.2005.
8. Tanzi, Vito, “Tax Reform and the Move to a market Economy. Overview of the Issues” , in the Rote of Tax Reform in Contval and Eastern European Economixs, Paris. PECD, 2011.
9. www.parliament.ge გადამოწმებული იქნა 24.12.2018.
10. www.government.ge გადამოწმებული იქნა 20.12.2018.
11. www.mof.ge გადამოწმებული იქნა 18.12.2018.
12. www.geostat.ge გადამოწმებული იქნა 20.12.2018.

# უცხო ენის საჭიროება ტურიზმის განვითარებაში
# Foreign Language Demand in Tourism

**მაია ნატროშვილი** - ფილოლოგიის დოქტორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

**Maia Natroshvili** - PhD Philology
Georgian National University

**Abstract:** Language and tourism have always been closely linked. From the point of view of the tourist who is seeking to discover other landscapes and cultures, the linguistic difference is almost a prerequisite of the travel experience. Tourism makes multilingualism compulsory and the tourist gets all information, solves his/her basic needs and argent problems mostly by speaking languages.

It's estimated that over 7,000 different languages are spoken around the world. The world's most widely spoken languages by number of native speakers and as a second language, according to figures from UNESCO, are: Mandarin Chinese, English, Spanish, Hindi, Arabic, Bengali, Russian, Portuguese, Japanese, German and French. Of course, the demand for certain languages will vary across the world and it is mostly depended on the global trends in tourism.

European experience shows that despite the teaching of a few foreign languages the numbers of people who study other foreign language (not English) are less and less. English really is the prior, progressive, global language nowadays in the world.

**Key Words:** Foreign Language; linguistic difference; global language; UNESCO; Tourism Strategy; tourism development; high quality; European Commission; European experience; Demand; international tourism; language services; language skills; global GDP(Gross Domestic Product); multilingual;

**რეზიუმე:** უცხო ენის საჭიროება უმნიშვნელოვანესია ტურიზმის განვითარებაში. ენა და ტურიზმი მუდმივ კავშირშია ერთმანეთთან. ტურისტი, რომელიც ახალი კულტურის, ტრადიციისა თუ გარემოს აღმოჩენას ლამობს ქვეყანაში რომელსაც ეწვია, ენა მისთვის ამ ყველაფრის უკეთ გაცნობისა და სწორად აღქმის წინაპირობაა. ტურიზმის განვითარება იწვევს ქვეყანაში მრავალი ახალი ენის შესვლის შესაძლებლობასა და

საჭიროებასაც, ამავდროულად, რადგანაც ტურისტისთვის მეტად კომფორტულია მისთვის სასურველ ენაზე ინფორმაციის მიღება.

დღეს მსოფლიოში დაახლოებით 7000 სხვადასხვა ენაზე საუბრობენ. UNESCO-ს მონაცემთა მიხედვით მშობლიურ და მეორე ენად ყველაზე ფართოდ გამოიყენება შემდეგი ენები: ჩინური, ინგლისური, ჰინდუ, არაბული, ბენგალური, რუსული, პორტუგალიური, იაპონური, გერმანული და ფრანგული. ამ ენების ფართო მოხმარება, თავისთავად, გამოიწვევს მათ ქვეყანაში შესვლას და მათი გამოყენების დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის თანამედროვე ტენდენციების დამკვიდრებას.

ევროპული კვლევები გვიჩვენებს, რომ რამდენიმე უცხო ენის სწავლების მიუხედავად, სხვა უცხო ენაზე(ინგლისურის გარდა) სწავლის მქონე ადამიანების რიცხვი ნაკლებია. დღესდღეობით, ინგლისური მართლაც არის პროგრესული, პრიორიტეტული, გლობალური ენა მსოფლიოში.

**საკვანძო სიტყვები:** უცხო ენა; ლინგვისტური განსხვავებანი; გლობალური მნიშვნელობის ენა; ტურიზმის სტრატეგია; ტურიზმის განვითარე;ბა; მაღალი დონე; ევროკომისია; ევროპული გამოცდილება; მოთხოვნა; საერთაშორისო ტურიზმი; ენობრივი მომსახურეობა; ენობრივი კომპეტენციები; მრავალენობრივი;

Tourism is an activity which cuts across the conventional sectors in the economy. It requires inputs of an economic, social, cultural, educational and environmental nature. In this sense it is often described as multi-faceted. Tourism is not only the world’s largest trade, but a phenomenon of great social as well as economic importance. It is a mass movement of people impacting on a large number of destinations visited and many service

trades, with major consequences.

Tourism is, however, a recent invention. The word was unknown in the English language until the last century, and increasingly came to have a somewhat suspect meaning, describing group travel of the cheaper kind, with an element of an insular dislike of strangers and foreigners. In contrast, the words travel and the travelers were respected, reflecting the quality of the earlier travelers who were associated with the rich, educated

people or aristocratic and society leaders. Thus travel for recreation and as an enjoyable activity was a relatively new concept.

According to Merriam-Webster Dictionary the word “tourism” was first used in 1811 and its full definition covers three different points.

They are: 1) The practice of travelling for recreation;

2) The guidance or management of tourists;

3) a: The promotion or encouragement of touring;

b: The accommodation of tourists.

Nowadays tourism is a key economic sector which has grown almost uninterruptedly since 1950. According to the UNWTO Tourism Highlights report for 2017, "international tourist arrivals have increased from 25 million globally in 1950, to 278 million in 1980, 527 million in 1995, and 1133 million in 2016. Likewise, international tourism receipts earned by destinations worldwide have surged from US$2 billion in 1950 to US$104 billion in 1980, US$ 415 billion in 1995 and US$1245 billion in 2016" (UNWTO, 2017: 2). This report indicates that in 2016 France, the USA, Spain and China were the top destinations in the rankings of international arrivals and receipts, and China definitely became the main outbound tourism source. Following the UNWTO, a growth of 3% to 4% in international overnight visitors is expected in 2016, and by 2030 the total number may be 1.8 billion. As for the reasons why people travelled in 2016, 53% of the total number of international tourist arrivals were motivated by holidays, recreation and other forms of leisure, while 14% were due to business and professional reasons, 27% to other purposes such as visiting friends and relatives, religious or health-related issues, and the travel motivations for the rest (6%) were unknown (UNWTO, 2017). An increasing volume of trips have been undertaken for the past decades owing to educational purposes, spurred by pleasure, self-realization or learning needs caused by different shortcomings. In today's globalised world learning a foreign language abroad is usually perceived by some population segments as a professional or personal needs. On the other hand, language travel is in the business spotlight of local economies. Surveys, analyses and reports are regularly carried out by different agents, and yet it has raised surprisingly little scholarly interest.

The language learning market is changing at rapid pace due to the globalization of the economy and the adoption of cost-efficient technology-based products. The worldwide language learning market (all languages combined) generated a hefty $58.2 billion in 2016. When combined with revenues from language services such as localization, interpretation, and translation, this figure jumps to $82.6 billion. It is estimated that over 7,000 different languages are spoken around the world. The world's most widely spoken languages by number of native speakers and as a second language, according to figures from UNESCO, are: Mandarin Chinese, English, Spanish, Hindi, Arabic, Bengali, Russian, Portuguese, Japanese, German and French. Of course, the demand for programs in certain languages will vary across the world.

The US Council on Foreign Relations asserts that the promotion of foreign language instruction should be a national priority: "The global economy is shifting away from the English-speaking world. According to some research, the English-speaking share of global GDP has fallen significantly and will continue to fall. The Chinese economy will surpass the US economy in size soon after 2030. Latin America (Spanish- and Portuguese-speaking) and South Asia (Hindi- and Urdu-speaking) are growing strongly as well. Exports have accounted for half of post-recession US economic growth, and future US growth will increasingly depend on selling US goods and services to foreign consumers who do not necessarily speak English." As each economy around the world becomes increasingly international, the need and demand for foreign languages continues to grow. And the importance of foreign language proficiency for graduates cannot be underestimated, as a recent report from the influential Economist Intelligence Unit underlined: "Even when recruiting for jobs in their home market, almost one-half of all companies say that prospective candidates need to be fluent in a foreign language, and a further 13% say that multilingual ability is a key selection criterion (based on a 2016 survey targeted at 572 executives in Europe, Asia Pacific, North America and Latin America).

Additionally, a European Commission study showed that more than half of Europeans (53%) use languages at work and 45% think they got a better job in their own country thanks to their foreign language skills. The

ability to speak a foreign language can often boost earnings, sometimes adding as much as 15% to a person's salary in the US, 34% in India, and 55% in Thailand. Of course, the incentive for learning a foreign language isn't always money motivated. The benefits of a bilingual or multilingual education are well documented, such as: aids cross cultural understanding and global awareness; enhances academic progress in other subjects; narrows achievement gaps; benefits higher order, abstract and creative thinking; enriches and enhances cognitive, skills, and emotional development; enhances a student's sense of achievement; helps students score higher on standardized tests; improves chances of college acceptance, achievement and attainment; enhances career opportunities; benefits understanding and security in community and society.

Likewise, governments around the world are implementing new mandates for their school systems designed to increase proficiency in the English language. The governments of Rwanda, South Sudan, Turkey, the Russian Federation, South Korea, Japan, Malaysia, Vietnam, China, Thailand, Brazil, Chile, and Argentina have all instituted broad-reaching federal programs designed to increase English proficiency. For example, in China and Dubai, children start to learn English as early as kindergarten. And reforms to British curriculum (due to take effect in 2016) include all children in Britain being taught a foreign language from the age of seven. Furthermore, Scotland announced last year that within a decade all pupils will start learning other languages from the first year of primary school.

There is no secret that Europeans take language learning seriously, as the "Eurobarometer Survey on Europeans and their Languages" carried out showed. Based on the responses of almost 27,000 people in 27 countries, the results showed that in accordance with the EU population, the most widely spoken mother tongue is German (16%), followed by Italian and English (13% each), French (12%), then Spanish and Polish (8% each). The five most widely spoken foreign languages remain English (38%), French (12%), German (11%), Spanish (7%) and Russian (5%). Two thirds of Europeans (67%) consider English as one of the two most useful languages for themselves. The next languages perceived as the most useful are German (17%), French (16%), Spanish (14%) and Chinese (6%).

Just over half of Europeans (54%) are able to hold a conversation in at least one additional language, a quarter (25%) are able to speak at least two additional languages and one in ten (10%) are conversant in at least three. Almost all respondents in Luxembourg (98%), Latvia (95%), the Netherlands (94%), Malta (93%), Slovenia and Lithuania (92% each), and Sweden (91%) say that they are able to speak at least one language in addition to their mother tongue. Countries where respondents are least likely to be able to speak any foreign language are Hungary (65%), Italy (62%), the UK and Portugal (61% in each), and Ireland (60%).Despite the rise of non-Western nations in today's global economy, English is still the language most commonly used as the lingua franca of business, science, research, and politics.

A small amount of domestic market needs English as an international "Lingua Franca". Language for the press, literature, television and other media outlets use small budgets in small countries and have no financial and human resources of translating foreign languages. It is really problem when it comes to scientific literature or other less-selling translation of media products. Because of this, in the Netherlands and Scandinavian countries English is a prerequisite for higher education and finding qualified jobs.

The whole territory of the EU decreases not only the Russian but also the knowledge of German and French, which is not accidental. Globalization in all areas of life requires knowledge of one international language to enable people to communicate with the world outside the boundaries of their country. Such language is English all over the world, and the knowledge of other foreign languages is less practical. European experience shows that despite the teaching of a few foreign languages in schools, the numbers of people who study other foreign language (not English) are less and less. English really is the prior, progressive, global language nowadays in the world.

According to English Proficiency Index and Eurobrometer researches, it is interesting to note that the countries with well-educated population who speak foreign languages too are better developed than their neighbors. English is an important instrument of economic development, as it attracts investments, promotes tourism development and promoting trade relations

with the rest of the world. Good knowledge of English or increasing the level of English language in Georgia will also have a positive effect on the prospects of economic development of the country. Attracting tourists and investors will be easier if you have an English-speaking service in the country. If Georgian public officials, lawyers, doctors, hotels and restaurants serving personnel, etc. They will be able to establish contacts easily with guests from abroad who are interested in starting a business or even relaxing interest in our country.

To achieve this goal it is necessary not only to watch English-language movies with subtitles on television encouragement, but also a clear and realistic education policy, enough resources, and it is better to concentrate on the language of global communication. For several years, the international non-governmental organization EF Education First examines the spread of English language in the world. Research - whose methodology is controversial - according to the results, the highest level of English is in the smaller countries of Western Europe and the former British colonies of Asia.

In Georgia you often hear the notion of necessity of knowledge of English and other foreign languages. The teaching of foreign languages in the Georgian educational system is based on the same presumption. Most public and private schools teach children two or three foreign languages, even though the level of language knowledge is quite low in our country and the vast majority of pupils are unable to study any foreign language at school.

During this study I surveyed the needs, functions, problems and knowledge of English language among my 50 A.2 and starting B.1level tourism students from my groups. A questionnaire was used and data were analyzed by frequency, percentage and standard mean. Findings revealed that speaking is the most important but very difficult task for the students of B1 level who has just started learning or improving their language skills, then listening and reading. Writing, mostly in an academic style, stays the most difficult tasks among all skills. Letter writing, making notes or advertisements is easily achievable task. The three most relevant functions in using English language were given them for this experiment. These tasks were: receiving or giving information, followed by providing services, and

offering help. English use problems included: lack of vocabulary, inability inappropriate words and expressions, inadequate lexis, and lack of grammar knowledge.

Results based on the research shows that in order to develop intercultural competence, students should not only learn a foreign language, but such a process should also include intercultural training and intercultural exchange of ideas. It is evident that the knowledge and the skills acquired in this learning process will highly contribute to the development of tourism and hospitality services in general. Students of tourism, hospitality and management also have to acquire theoretical and practical cultural knowledge, which can be gained through intercultural communication and the development of intercultural competence. Although their grammatical and their lexical competence of a foreign language may be outstanding. It can cause cultural misunderstanding, or a final failure in communication with native speakers.

Georgia has developed tourism strategy for ten years period and, if necessary, to make some changes to an annual revision and renewal of the set goals for implementation. Strategy and Action Plan will be renewed in terms of market demand and peculiarities, it will fit changes in market conditions and will be improved as a result of joint efforts in accordance with the achieved results. National Tourism Strategy, National Tourism of Georgia and the administration will regularly work with governmental agencies Municipal authorities, various documents of public policy to harmonize with tourism strategy.

Our country is distinguished by its resorts, attractive nature and relaxation in the resorts mostly is important for medicinal purposes too. There should be noted mineral water sources, the number of which is more than 2000. Georgia has the largest potential to attract tourists in all spares. Country has mountains, icy mountains, sea, desert, canyons, lakes, rivers, caves and a lot interesting places for tourists. The above factors are of great importance for tourism development, since the purpose of traveling to visas is not just a holidays, they often travel to the destination for recreation or recovery, so we can say that in this respect Georgia is distinguished by great diversity.

The goal of "Georgian Tourism Strategy 2025" is to create a guide, which will facilitate sustainable development of tourism and increase the importance of the field. In order to achieve the objectives, it is necessary for travelers to have high quality service and to stimulate domestic demand the country needs some challenges to overcome. By 2025 Georgia will be known as an advanced, all-season, a high quality tourist country, distinguished by its cultural and Natural heritage, world-class services and welcome to the ancient tradition of hospitality. Strategic investments implemented in infrastructure, education, securities, marketing, and worldwide high pay. By offering unique Georgian impressions for tourists Georgia in the leading competitions in the field of tourism.

To achieve the goal, in accordance with initiated legislative amendments, country needs new professional standard programs, projects and trained modular programs for developing teaching English and other foreign languages. It will be better to have more practice-based teaching models. A lot should be invested in studies to revise definitions and methodologies to modernize existing systems that would make rapid progress possible. According to the results of system market research it will be better to have more accumulation and transfer system in vocational education. All levels of education system needs to be institutionalized step by step to imply result-oriented assessment and quality in effective teaching/learning foreign languages.

**Bibliography:**


1. Jacqueline Kassteen; "Global Trends in Foreign Language Demand and Proficiency"; The Dean; Madrid; 2014
2. Leonard J. Lickorish; Carson L. Jenkins; "An Introduction to Tourism"; Oxford; 2010
3. Travel and Tourism, Progress and Priorities, World Travel and Tourism Council, Brussels WTTC ;1995
4. https://gnta.ge
5. https://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01
6. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.
7. https://georgia.travel/

# The need for Great teachers

**Samed Samedov** - Managing director of SR TEACHING AND LEARNING

Cambridge Exam Preparation Centre

**Abstract:** The only way to provide access to quality education is to prepare Teachers. We need great and qualified teachers. The mission of SR Teaching and Learning is to provide quality language education with reliability allowing students to achieve their academic goals and to integrate excellent and innovative approach in language. Language teaching practice has seen the emergence of various diverse and in some respects divergent-threads in the last three or four decades, and it is by no means easy to design a coherent course for teachers which encompasses differing ways of analyzing the language to be learned, differing views of the language learning process, differing ideas on language skills and so on.

**Key words:** interaction, exploration of change, interdependence, identity and diversity, sustainability, global justice

People around the world are more connected with each other today than ever before. There is need of understanding of interaction of human society and environment all the more. Liberalization and privatization has changed the education scenario of today. In global society exploration of change, interdependence, identity and diversity, rights and responsibilities, peace building, poverty and wealth, sustainability and global justice are the areas where education has to play a vital role. And the education has greater responsibility of shaping preferred futures of the students. There are more than 531 million secondary school students in the world. And every one of them deserves to get a good education. And the only way to provide access to quality education is to prepare Teachers.

What are the roles of teachers at the era of globalization today? What kind of teacher does the modern society need?

Learning starts with teaching, and effective learning requires effective teachers. Contemporary teachers have difficulties in catching up with the challenges of the modern and fast developing world. The

globalization process coerces societies into taking specific actions and introducing some changes – changes in the way of thinking and mentality in order to adjust to the changing reality. These processes require the society to introduce such mechanisms that will allow adaptation to the new situation in the best possible way. From the social point of view, the best and the simplest way to face such challenges is to invest in education and train teachers who will be able to meet the demands - teachers who will be genuine guides for the students and who will support the parents and the local community, teachers who will manage the student's individual development, who will take into account the students' individual expectations, their potential, capabilities and predispositions., teachers who understand the parents, who get them involved into a direct cooperation with the school and, finally, teachers who provide the students not only with physical, but first of all emotional and mental safety. So those teachers are called Great Teachers, because only Great Teachers can carry this precious burden on their shoulders.

I take immense pleasure in introducing to you SR Teaching and Learning, a five years old multinational company in the business of offering teacher development courses for teachers of different languages. We have 3 prime offices in Baku, Azerbaijan. We are in the process of expansion internationally.

One of our chief missions is to provide a platform for teachers from schools, institutions or universities around the world to bring out the best of students everywhere.

Since the birth of the company, SR has invested a lot of time and effort to ensure it continues to deliver high-quality yet affordable education to learners from diverse backgrounds.

SR Teaching and Learning integrates excellent and innovative approach in language with a curriculum that incorporates culture, world languages and area studies. We also hope to offer students the opportunities to identify the right pathway for further studies abroad.

Our mission is to provide quality language education with reliability allowing students to achieve their academic goals as well as to be a competitive and progressive language teaching organization aiming to maintain a creative and organized work flow.

**Bibliography:**


1. Samed Samedov- Basis of English Grammar, 2012;
2. Samed Samedov- IELTS Academic Reading Vocabulary, Nur publishing, Baku, Azerbaijan;
3. Berg B. L.- Qualitative research methods for the social sciences, 1995;
4. Jean Clandinin, Jukka Husu- SAGE Handbook of Research on Teacher Education, 2017.

# ინგლისურენოვანი ნეოლოგიზმების სიტყვათწარმოების საშუალებები თანამედროვე ინგლისურ ენაში

# The Ways of English Neologisms World Building in Modern English

**ქეთევან ტაბუცაძე** - ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
**Ketevan Tabutsadze** - Associated professor
Georgian National University

**Abstract:** The main target of this work is the research of the 50 the most popular published in 2011 and frequently used neologisms in different aspects, for example: the word popularity the tendencies to take place in society and cultural acknowledge, the date of making the word the fields and word building. According to the research from 50 neologism was created in to 2011, 20-2000-2010, 16-1990-1999, and 10- 1980-1989, as we can see from the research 50 neologisms are nouns which consisted two or three parts and mostly with nouns, verbs and adjectives.

There is also given the results of studying young generation's speech in Georgian social cultural environment. We have already researched Georgian Natizens or to the aim of computer users speech. This is discussed the varieties of textual speech spreading by internet which are realized only in English.

To draw conclusion Georgian Natizems are used English terminologies during the communication in Georgian. In general they know the meaning of the corresponding phrase, but some words are often unclear for them. We can research that English language is developing very fast and there are a lot of neologisms – newspeak, coined words.The process to get this neologisms in dictionaries is difficult and long and actual as well. Every new word is considered as a neologism before it gets in a dictionary.

**Key words:** Neologisms, Natizens, World Building, Cyberspace

სიტყვათწარმოება არის სიტყვების შექმნის პროცესი გარკვეული სტრუქტურული და სემანტიკური მოდელების გამოყენებითა და მათზე დაყრდნობით. მეცნიერები იკვლევენ იმ გზებსა და საშუალებებს, რომელთა მიხედვითაც იქმნება და

იწარმოება სიტყვა. სიტყვათწარმოების საგანს წარმოადგენს პირველადი, ძირეული სიტყვები და მათგან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები - დერივაციული და რთული სიტყვები. სიტყვათწარმოება იხმარება ორი ძირითადი მნიშვნელობით, რომელიც განსხვავებას საჭიროებს. პირველი მნიშვნელობით ის გამოიყენება ენაში ახალი სიტყვების წარმოშობის მუდმივი პროცესის გამოსახატავად. ენა მუდმივად ცვლილებისა და განვითარების პროცესშია, რაც გულისხმობს გარკვეულ ენობრივ პროცესებს, მათ შორის არის ახალი ლექსიკური ერთეულების შექმნის პროცესს, რომელმაც მიიღო სახელწოდება "სიტყვათწარმოება". მეორე მნიშვნელობით ტერმინი „სიტყვათწარმოება", აღნიშნავს ენათმეცნიერების ნაწილს, რომელიც შეისწავლის ლექსიკური ერთეულების წარმოშობის პროცესს.

ბევრ ავტორს სიტყვათწარმოების საკითხები ლექსიკოლოგიაში შეაქვს რამდენადაც სიტყვათწარმოება მიაჩნია ლექსიკური სისტემის ერთ-ერთ მომენტად მაგ. რ. ს. გინსბურგი და მისი თანაავტორები ( გინსბურგი: 1979: 200-202). სხვა მეცნიერებს სიტყვათწარმოება ასევე შეაქვთ ლექსიკოლოგიაში იმ საფუძვლით, რომ იგი არ შემოისაზღვრება მხოლოდ ლექსიკური შემადგენლობით, არამედ ლექსიკის გამდიდრების, შევსების წყაროდ. ფოჩხუა (ფოჩხუა 1974: 204) ნაშრომში "სიტყვათწარმოება და ლექსიკოლოგია", თავის მოსაზრებას ასე ასაბუთებს: „ ეს ვარაუდი XX საუკუნის 50-70-იან წლებში არსებობდა. დღეს კი სიტყვათწარმოების ადგილი ნამდვილად ლექსიკოლოგოიაშია. ამ დაკავშირებას ის გამართლებაც აქვს, რომ ორივეს შესწავლის ობიექტი სიტყვაა, მაგრამ ზოგჯერ მას მორფოლოგიაშიც განიხილავენ, რადგანაც იგი სიტყვების აგებულებასაც სწავლობს". აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგი მეცნერი არნოლდი ( არნოლდი 1986: 97) ამ საკითხის განხილვას საერთოდ თავს არიდებს.

დღეს სიტყვათწარმოებას განიხილავენ როგორც ლინგვისტიკის დამოუკიდებელ სფეროს. ამგვარად სიტყვათწარმოება არის ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც შეისწავლის სიტყვების წარმოების პროცესებს, ხერხებს, ტიპებსა და წესებს, მათ პროდუქტულობას, აქტიურობასა და სიტყვათწარმოების საშუალებებისა და მოდელების გამოყენების კანონიერებას. ამას მჭიდრო კავშირი აქვს ლინგვისტიკის სხვა

დისციპლინებთან. სიტყვათწარმოება აწარმოებს კვლევებს მორფოლოგიაში, სინტაქსში, ლექსიკოლოგოაში, სოციოლინგვისტიკაში, ტექსტის ლინგვისტიკაში. ეს ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთკავშირი განისაზღვრება ენის სისტემური თვისებებით.

ენის ლექსიკის განვითარებში ყველაზე მკაფიოდ განსაზღვრულ პროცესად ითვლება ენის მუდმივი და ინტენსიური შევსება ახალი, ადრე უცნობი ძირითადად სასაუბრო რეგისტრის სიტყვებით ( შანსკი 1968: 252) რაც მუდმივად ხორციელდება, ჩვენს გარემომცველ სამყაროში მომხდარი ცვლილებებისა და ენის მატარებელთა მოთხოვნების შესაბამისად. სწორედ ამიტომ აქვს ასეთი დიდი მნიშვნელობა ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოების პროდუქტული მოდელებისა და მათი ტიპების შესწავლას, რომელთა მეშვეობით გახდა მათი წარმოება შესაძლებელი. საკვლევ მასალა წარმოადგენს ასევე ამ მოდელების აქტიურობის, პროდუქტიულობისა და გამოყენების ხარისხების შესწავლა. ცნობილია, რომ ახალი სიტყვების წარმოება იმ მოდელების სიტყვამაწარმოებელი ტიპების მიხედვით ხდება, რომლებიც უკვე დადგენილია ან ასევე შესაძლოა განხორციელდეს ახალი ფუძეების გამოყოფით და ახალი აფიქსალური ელემენტების გამოყენებით, რაც სიტყვათწარმოების სისტემის განვითარებასა და სრულყოფას უკავშირდება ( ვინოგროდოვი 1977).

სიტყვათწარმოების პროცესში ხდება სიტყვის ფორმალურ-სემანტიცკური გარდაქმნა, რომლესაც ადგილი აქვს, როგორც მაწარმოებელ სიტყვებს შორის, ასევე მაწარმოებელ ფუძეებსა და სიტყვამაწარმოებელ ელემენტებს შორის. სიტყვათსაწარმოებელი ანალიზი შედგება წარმოებული სიტყვების მორფოლოგიური სტრუქტურის ანალიზისაგან ( მორფემული ანალიზი). როგორც ცნობილია ეტიმოლოგიურ ანალიზს მიმართავენ, როდესაც კვლევა წარმოებს დიაქრონულ პლანში და ასევე სინქრონული აღწერის დროს ასახსნელია სიტყვების გარკვეული სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებები.

იმისათვის, რომ გავიგოთ თუ როგორ იწარმოება ლექსიკა, უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვა არის ენის მთავარი ძირითადი ერთეული, ენა კი სისტემა, და რომ ამ სისტემაში ერთდროულად თანაარსებობენ ხმარებიდან გამოსული ( არქაული) და ახლად

წარმოქმნილი სიტყვები ( ნეოლოგიზმები), რაც აძლევს საზოგადოებას იმის შესაძლებლობას, რომ ენის სტრუქტურაზე მოახდინოს ზემოქმედება. როგორც ცნობილია სიტყვას აქვს დენოტატიური ( აღსანიშნი) და კონოტატიური ( დამატებითი) მნიშვნელობა, რომლის მიხედვითაც ახალი სიტყვები ენაში შეიძლება წარმოიშვნენ:

1) ახალი რეალიებისა და გარესამყაროში მომხდარი მოვლენების აღსანიშნავად, რომლებიც იქმნება მეცნიერებისა და ტექნიკის საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად.

2) სიტყვათწარმოების საშუალებით მოსაუბრისა თუ მწერლის ექსპრესიულ-შეფასებითი მიმართების გამოსახატავად რაიმე საგნის, მოვლენისა თუ ადრესატისადმი.

იმის გათვალისწინებით, თუ რა მიზნით არიან შექმნილი ახალი სიტყვები ენაში არსებული მოდელების გამოყეებით, ასევე მათი ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით ენასა და მეტყველებასთან, ენის ლექსიკურ მარაგთან, შეგვიძლია ისინი დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

1) უზუალური სიტყვები, რომლებიც მყარად შევიდნენ რეგისტრირებულ ლექსიკონებსა და ენის ლექსიკურ მარაგში.

2) ოკაზიონალური სიტყვები, რომლებიც საუბრის მომენტში იქმნება. მათი წარმოების მექანიზმი მრავალმხრივია და მეტად რთული. თამაზ გამყრელიძე შემდეგნაირად განმარტავს არსს: ენობრივი ნიშანი რომელიმე მოლაპარაკემ შეიძლება შექმნას გარკვეულ პირობებში, კონკრეტულ კონტექსტში ერთჯერადი გამოყენებისათვის. ამგვარ ინდივიდუალურ-საავტორო გამონათქვამებს, რომლებიც არ შედიან ენობრივ სისტემაში ოკაზიონალიზმები ეწოდება. ისინი გხვდება პოეზიაში, ბავშვის მეტყველებაში, “ ლინგვისტურ თამაშებში”. ოკაზიონალიზმები შემოფარგლულია მოცემული გამონათქვამების ჩარჩოებით, მოულოდნელია, ახალია და ძალიან ექსპრესიული. ( გამყრელიძე, კიკნაძე 2003: 387). რეალურად მოსაუბრე თუ მწერალი თავად ქმნის თავის საკუთარ სიტყვებს არსებული მოდელებით, ჩვეულებრივ, განსაზღვრული სტილისტური მიზნისათვის.

მსგავსი სიტყვები ჩნდებიან და ქრებიან და შესაბამისად ყოველთვის არ რეგისტრირდებიან ლექსიკონებში. ამიტომ სიტყვამაწარმოებელი ელემენტები, რომლებიც მათ შესაქმნელად გამოი-

ყენეს, ლექსიკონებში ცალკე ქვეთავად არის მოცემული და თან ახლავს ნაწარმეობი სიტყვის მნიშვნელობა.

ინგლისური ენის სიტყვათწარმოების პროცესში ლინგვისტები გამოყოფენ შემდეგ ხერხებს: აფიქსაცია (პრეფიქსაცია და სუფიქსაცია) ანუ პროგრესული დერივაცია, კონვერსია, კომპოზიცია შემოკლება (აბრევიაცია, აკრონიმია, მოკვეცა, შეზრდა). ასახელებენ სიტყვათწარმეობის საშუალებებსაც, ესენია: უკუწარმოება, პოსტპოზიტივაცია, ბგერის მიმსგავსება, გარემოება, ლექსიკურ-სემანტიკური სიტყვაწარმოება, ბგერათა მონაცვლეობა, მახვილის მონაცლეობა. ჰ. მარშანდმა ჩამოაყალიბა სიტყვათწარმოების მეტედ საინტერესო კლასიფიკაცია. იგი საკუთრივ ლინგვისტურ ნიშნებს შემდეგნაირად განასხვავებს. ( მარშანდი 1969: 64)

1. სიტყვები, რომლებიც იწარმოება, როგორც გრამატიკული სინტაგმები. ისინი მორფოლოგიურად მოტივირებულნი არიან. ო-ერ, რაინ-ბოწ;

2. სიტყვები, რომლებიც არა არიან გრამატიკული სინტაგმები, სრული ლინგვისტური ნიშნებისაგან არ არიან ნაწარმოები. მაგ: ბაბყნაპ. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება კონვერსია, სუფიქსაცია, აბრეივაცია და უკუდერივაცია, მეორეს- შეზრდა, მოკვეცა. მაგრამ ორივე ჯგუფს ახალი სიტყვების წარმოებას საფუძვლად უდევს მორფემებს შორის სინქრონული ურთიერთობა.

ინგლისური ენის სიტყვათწარმოების ძირითად ტიპებად, როგორც ვიცით ითვლება მორფოლოგიური ან ფონეტიკურ-მორფოლოგიური, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური ტიპები. მორფოლოგიური ან ფონეტიკურ-მორფოლოგიური სიტყვათწარმოების საშუალებით ახალ სიტყვას ვღებულობთ ფონეტიკური და/ან მორფემული შემადგენლობის სახესხვაობით, ცვლილებით სიტყვამაწარმოებელ ფუძეში, მახვილის ადგილის შეცვლით. სიტყვათწარმეობის ამ ტიპს მიეკუთვნება აფიქსაცია, კომპოზიცია, შემოკლება, უკუდერივაცია, პოსტპოზიტივაცია, ბგერთა დანაწევრება და მახვილის მონაცვლეობა სიტყვაში.

მორფოლოგიურ-სინტაქსური სიტყვათწარმოების ტიპს მიაკუთვნებენ კონვერსიას, ხოლო ლექსიკურ-სემანტიკურ ომონიმების შექმნის პროცესს ენაში. სიტყვათწარმოების ზემოთჩამოთვლილი საშუალებებიდან ზოგი პროდუქტულია, ზოგი არა. ახალ სიტყ-

ვების საწარმეობლად ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საშუა-ლებად ითვლება აფიქსაცია. თვით აფიქსებს შორის გამოიყოფა:

1. მაღალპროდულქტული აფიქსები, რომლებიც განუსაზღვრელი რაოდენეობის სიტყვებს აწარმოებენ.
2. შედარებით ნაკლებადპროდუქტული აფიქსები.
3. არაპროდუქტული აფიქსები.

აფიქსის მაღალპროდუქტულობა განისაზღვრება, არ იმით თუ რა სიხშირით გვხვდება საუბრისას ამ აფიქსით ნაწარმოები სიტყვა არამედ იმით, თუ რა რაოდენობის ახალ სიტყვებს აწარმოებს იგი ენის განვითარების მოცემულ ეტაპზე. შესაბამისად, პროდუქტუილად ის მოდელები ითვლება, რომლებიც ენის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე გამოიყენება ახალი სიტყვების წარმოების ნიმუშად.

შემოკლებული სიტყვა ძირეულთან შედარებით მოკლეა, ერთმნიშვნელოვანი, მარტივი. სინტაქსური ფუნქცია გაფართოებული აქვს. ამიტომაც სიტყვაწარმოების ეს ხერხი მეტად ხელსაყრელია. საინტერესოა აგრეთვე ფონეტიკური მიმიკრიის ფენომენიც: სიტყვა წარმოების ეს ხერხი ეფუძნება ერთ ენაში სემანტიკურად განსხვავებული, მაგრამ ფონეტიკურად იდენტური სიტყვების მისადაგებას მეორე ენაში არსებულ სიტყვებასა თუ პროფესიულ ტრემინებთან. მაგ: ბუტტონ - батон, კეყბოარდ - киборг, სჰარეწარე - шаровар, ბრეაკპოინტ - брякпоинт. ამ მოვლენას ძალიან ჰგავს ბგერათა მიმსგავსება, მაგ: ინტრპრეტატორ – интертрепатор.

სიტყვათწარმოების თვალსაზრისით საინტერესოა ბოლო პერიოდში ახალგაზრდობის მეტყველებაში შემოსული სიტყვები, რომლებიც ზოგიერთი ლინგვისტის თქმით აშკარად მეტყველებენ თინეიჯერთა მიერ ენის მიზნობრივ შეცვალზე, მის “დამხობაზე”. ენაში დაიწყო ე.წ. დიგლოსია ორენოვნება, რაც ამ შემთხვევაში გამოიხატება ერთ ენაში ამავე ენის ორი ფორმის თანაარსებობით მის სხვადასხვა სფეროში.

კვლევის თანახმად 50 ნეოლოგიზმიდან ოთხი 2011წ. არის შექმნილი, 20- 2000-2010წლებში, 16- 1990-1999წწ, ხოლო 10- 1980-1989წწ. როგორც კვლევიდან ჩანს, 50 ნეოლოგიზმიდან 35 სიტყვა არსებითი სახელია, აქედან 14 შედგენილი არსებითი სახელი, რომელიც ძირითადათ ორ ან ხშირად სამი მეტყველების

ნაწილისაგან შედგება და უმეტეს შემთხვევაში შემადგენელი მეტყველების ნაწილები, ისვ არსებითი სახელებია ან არსებითი სახელი და ზმნა ან ზედსართავი სახელი. ორი არსებითი სახელი შენაზარდის საშუალებით არის ნაწარმოები. აგრეთვე მოცემულია ახალგაზრდული მეტყველების თავისებურებების შესწავლის შედეგები ქართულ სოციალურ-კულტურულ გარემოში. ვაწარმოეთ კვლევა ქართველი ნეტიზენების ანუ კომპიუტერის მომხმარებელთა მეტყველების თავისებურებების გარკვევის მიზნით. ნაშრომში გაანალიზებულია ინტერნეტ სივრცის საშუალებით გავრცელებული ტექსტური მეტყველების თავისებურებები ქართულ სივრცეში, რომელიც ძირითადათ ხორცილედდება ინგლისურ ენაზე.

ქართულ კიბერსივრცეში განხორციელებული კვლევის თანახმად, შეგვიძლია დავასკვანათ, რომ ქართველი ნეტიზენები ინგლისურენოვან ტერმინებს ფართოდ იყენებენ ქართულ ენაზე კომუნიკაციის დროს. ძირითადში მათ იციან რას ნიშნავს მოცემული ფრაზა კონტექსტში, მაგრამ ცალკე აღებული სიტყვა ხშირად გაუგებარი რჩებათ. ინგლისურენოვან აბრევაიტურებს ქართულ ენაში იყენებენ ძირითადად ზმნის ფუნქციით და ქართული გრამატიკიდან გამომდინარე ურთავენ ზმნისწინებს.

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინგლისური ენა საოცარი სისწრაფით ვითარდება, გამუდმებით ხორციელდება ახალი ნეოლოგიზმების, წარმონაქმნების ე.წ. ნეწსპეაკ, ცოინედ წორდ – ების წარმოება. მსგავს წარმონაქმნებს ენა ხშირად ითვისებს და მის შემადგენელ ნაწილად აქცევს, ზოგჯერ კი მთლიანად გადიან ხმარებიდან.

ნეოლოგიზმების ენის შემადგენელ ნაწილად ქცევა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია აღიარება საზოგადოების მიერ, ლინგვისტ – ექსპერტების მიერ მათი ცნობა და მოგვიანებით ლექსიკონებში მოხვედრა. ეს პროცესი რთულია და ხანგრძლივი. დაინარჩუნებს აქტუალურობას. ყოველი ახლად შექმნილი სიტყვა იქამდე ითვლება ნეოლოგიზმად, სანამ ლექსიკონში არ დაიმკვიდრებს ადგილს.

კვლევის საგანს წარმოადგენს 2011 წლის 50 ყველაზე პოპულარული და ხშირად გამოყენებული ნეოლოგიზმების

კვლევა სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ: სიტყვის პოპულარულობა, საზოგადოებაში დამკვიდრების ტენდენცია და კულტურული აღიარება, სიტყვის შექმნის თარიღი, გამოყენების სფეროები, სიტყვათწარმოების ხერხები. 50 ნეოლოგიზმიდან ოთხი 2011წ. არის შექმნილი, 20- 2000-2010წლებში, 16- 1990-1999წწ, ხოლო 10- 1980-1989წწ. როგორც კვლევიდან ჩანს, 50 ნეოლოგიზმიდან 35 სიტყვა არსებითი სახელია, აქედან 14 შედგენილი არსებითი სახელი, რომელიც ძირითადათ ორ ან ხშირად სამი მეტყველების ნაწილისაგან შედგება და უმეტეს შემთხვევაში შემადგენელი მეტყველების ნაწილები, ისვ არსებითი სახელებია ან არსებითი სახელი და ზმნა ან ზედსართავი სახელი. ორი არსებითი სახელი შენაზარდის საშუალებით არის ნაწარმოები. აგრეთვე მოცემულია ახალგაზრდული მეტყველების თავისებურებების შესწავლის შედეგები ქართულ სოციალურ-კულტურულ გარემოში. ვაწარმოეთ კვლევა ქართველი ნეტიზენების ანუ კომპიუტერის მომხმარებელთა მეტყველების თავისებურებების გარკვევის მიზნით.

ქართულ კიბერსივრცეში განხორციელებული კვლევის თანახმად, შეგვიძლია დავასკვანათ, რომ ქართველი ნეტიზენები ინგლისურენოვან ტერმინებს ფართოდ იყენებენ ქართულ ენაზე კომუნიკაციის დროს. ძირითადად, მათ იციან რას ნიშნავს მოცემული ფრაზა კონტექსტში, მაგრამ ცალკე აღებული სიტყვა ხშირად გაუგებარი რჩებათ. ინგლისურენოვან აბრევაიტურებს ქართულ ენაში იყენებენ ზმნის ფუნქციით და ქართული გრამატიკიდან გამომდინარე ურთავენ ზმნისწინებს. აღსანიშნავია, რომ ინგლისური ენა საოცარი სისწრაფით ვითარდება, გამუდმებით ხორციელდება ახალი ნეოლოგიზმების, წარმონაქმნების ე.წ newspeak, coined word – ების წარმოება. მსგავს წარმონაქმნებს ენა ხშირად ითვისებს და მის შემადგენელ ნაწილად აქცევს, ზოგჯერ კი ისინი მთლიანად გადიან ხმარებიდან.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Арнольд И. В. The English Word. Москва: Высщая Школа, 1973 г.
2. Freeman D.E., Freeman Y.S. Essential Linguistics: what you need to know to teach reading, ESL, spelling, phonics, grammar. Heineman. Portsmouth, NH, 2004.
3. Jackson H. Etinne Ze Amvela. Words, Meaning and Vocabulary. ( An introduction to modern Englsh lexicology). London. 2007.
4. Ginzburg R.S., Khidekel S.S., Knyazeva G. Y., Sankin A.A. A Course in Modern English Lexicology. M. " Vishaya Shkola". 1979. 271p
5. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი. 2003.
6. ნოზაძე ლ.მ. ქართული ენის ლექსიკოლოგიის პრობლემები. თბილისი. 2008
7. ფოჩხუა ბ. ქართული ენის ლექსიკოლოგა. თბილისი. 1974.
8. Marchand H. The Catagories and Types of Present- Day English Word Formation. Munchen. 1969
9. გონაძე გ., ძაგნიძე ძ., შემოკლებული ჩაწერის სისტემა. 1981.
10. Виноградов В. В. Лексикология и Лексикография . М . Изврannйе Труди. 1977
11. Щанский Н. М. Очерки по Русскому Словоовразованию. 1968.
12. Бортничук Э.Н., Василунко И . В. , Пастушенко. Л. П . Словоовразование в Современном Английском Язйке 1988

# The mission of Multilateral Investment Guarantee Agency

**Shorena Beruashvili** - PhD student
Georgian Technical University
**Liana Kalichava** - Profesora
Facultad de Informática y Sistemas de Control.
Universidad tecnica georgiana

**Resume:** The article is about Multilateral Investment Guarantee Agency. It is a partner organization (the newest member ) of the World Bank Group. It was established in 1988. MIGA's mission is to promote foreign direct investment into developing countries to support economic growth, reduce poverty and improve people's lives. In order to achieve this, the Agency needs a clear understanding of the development outcomes of the projects it supports. The article clearly shows development results and financing in different regions. MIGA's $3.2 billion issuance in fiscal year 2014 was expected to catalyze an additional $2.6 billion in public and private co-investment. MIGA's $5.3 billion issuance in fiscal year 2018 was expected to support total project financing of $17.9 billion in public and private co-investment. Some 65.5 million people will be reached through infrastructure services (new or improved electricity, air and public transport passengers, and new subscribers to telecommunications services) supported by MIGA.

**Keywords:** Multilateral Investment Guarantee Agency, Basel Committee, financing, different regions, IBRD.

## 1. The creation and history of Multilateral Investment Guarantee Agency

The idea for a multilateral political risk insurance provider was floated long before MIGA's establishment—in fact as far back as 1948. But it was not until September 1985 that this idea started to become a reality. On April 12, 1988 an international convention established MIGA as the newest member of the World Bank Group. The agency opened for business as a legally separate and financially independent entity. Membership was open to all IBRD members, and the agency began with capital stock of $1

billion. MIGA's original 29 members were: Bahrain, Bangladesh, Barbados, Canada, Chile, Cyprus, Denmark, Ecuador, Egypt, Germany, Grenada, Indonesia, Jamaica, Japan, Jordan, Korea, Kuwait, Lesotho, Malawi, Netherlands, Nigeria, Pakistan, Samoa, Saudi Arabia, Senegal, Sweden, Switzerland, United Kingdom, and United States.[23]

MIGA was created to complement public and private sources of investment insurance against non-commercial risks in developing countries. MIGA's multilateral character and joint sponsorship by developed and developing countries were seen as significantly enhancing confidence among cross-border investors.

Today, MIGA's mission is straightforward: To promote foreign direct investment into developing countries to support economic growth, reduce poverty and improve people's lives.

Here is MIGA's history from its establishment up to now:

- 1988-MIGA is established,Mr. Yoshio Terasawa appointed the first Executive Vice President Foreign Investment Advisory Services (FIAS) established as a joint venture of MIGA and IFC;
- 1990-MIGA issues its first investment guarantee contracts supporting four projects representing a total of $1.04 billion in direct investment; First reinsurance contracts signed with national agencies: the Export Credit Agency of Canada and the Overseas Private Investment Corporation of the United States;MIGA holds its first investment promotion conference— in Ghana;
- 1991-Membership tops 100 countries;
- 1992-Mr. Akira Iida appointed Executive Vice President;
- 1994-MIGA focuses its technical assistance activities exclusively on investment promotion;
- 1996-MIGA launches IPAnet—a global internet-based information exchange, communications network, and marketplace;

[23] www.worldbank.org last modified 01.14.2019.

- 1997-First contract issued under MIGA's Cooperative Underwriting Program (CUP) for a power project in Indonesia; EU Investment Trust Fund for Bosnia and Herzegovina: $12 million investment guarantee fund established in partnership with MIGA; The West Bank and Gaza Investment Guarantee Trust Fund: $20 million in capacity established in 1997;
- 1998-Mr. Motomichi Ikawa takes office as Executive Vice President; MIGA marks its 10th anniversary; The Council of Governors adopts a resolution for a general capital increase of approximately $850 million, accompanied by a grant of $150 million transferred from the World Bank's IBRD to MIGA. The doubling of MIGA's capital resources to $2 billion enables the agency to deliver and expand its services to developing-member countries; MIGA holds first symposium with Georgetown University on international political risk—the symposium remains an influential, biannual event;
- 1999-MIGA for the first time issues guarantees exceeding $1 billion in a single year, reaching a total of 1.3 billion; MIGA approves Environmental Assessment and Disclosure Policy and implements environmental standards for all new MIGA-insured projects;
- 2000-First MIGA/IFC Compliance Advisor/Ombudsman appointed; The Government of Ethiopia appoints MIGA as mediator for the resolution of the disputes between the Ethiopian government and foreign investors for projects not guaranteed by MIGA; Country membership tops 150; MIGA pays first claim;
- 2001-New issuance reaches $ 2 billion; Four MIGA-supported projects, including a telecommunications project in Brazil and a mining project in Russia, receive industry awards from major publications; Investment Promotion Toolkit launched;
- 2002-MIGA conducts investor survey in the wake of September 11, 2001 attacks; Project Finance Magazine names the MIGA-supported Manila North Tollways Corporation project the "Asia-Pacific Transport Deal of the Year 2001";

- 2003-Two MIGA-supported projects, a power project in Turkey and hospital renovation project in Romania financed by Volksbank Romania S.A., receive “Deal of the Year” awards
- 2004-Ms.Yukiko Omura takes office as Executive Vice President;
- 2005-MIGA launches Small Investment Program to encourage investment in small and medium-size enterprises; MIGA launches Afghanistan Investment Guarantee Facility to support foreign direct investment into that country; MIGA-backed projects receive five “Deal of the Year'” awards;
- 2006-MIGA supports project in El Salvador that sells carbon credits gained by reducing greenhouse gas emissions; MIGA supports first project under the new facility for Afghanistan to promote development in the cotton sector;
- 2007-MIGA supports its first project funded through an Islamic financing structure, issuing guarantees for a port in Djibouti; MIGA launches PRI-Center.com, a political risk management and insurance portal, and consolidates its existing investor information services into FDI.net, providing a single entry point for investors seeking information on foreign direct investment;
- 2008-MIGA celebrates 20th anniversary; Issued guarantees reach historic $2.1 billion; Four MIGA-supported projects—in Uganda, Djibouti, Costa Rica, and Kazakhstan—win top industry honors; MIGA’s technical assistance services integrated with FIAS, a multi-donor funding platform for World Bank Group investment climate reform programs; Ms. Izumi Kobayashi named Executive Vice President;
- 2009-MIGA’s Board of Directors approves substantial changes to the agency’s operational regulations encompassing a number of measures including one new type of coverage: non-honoring of sovereign financial obligations. The changes represent the largest and most significant expansion of MIGA’s business toolkit since 1988; MIGA’s support to investors this year includes $1.2 billion in guarantees to support the real economy in the Europe and Central Asia region, which was hit particularly hard by the financial crisis;

MIGA launches World Investment and Political Risk as an annual "flagship" publication;

- 2010-Basel Committee on Banking Supervision classifies MIGA as a "highly-rated multilateral," a treatment that recognizes the special value of MIGA's insurance to banks; MIGA launches Asia hub to expand physical presence in the region;
- 2011-Council of Governors approves amendments to MIGA's convention to enhance MIGA's effectiveness as a multilateral provider of political risk insurance;
- 2013-MIGA celebrates 25th anniversary; Ms. Keiko Honda named Executive Vice President; MIGA extends non-honoring of financial obligations cover to include financial obligations from state-owned enterprises;
- 2014-MIGA issues a record $3.2 billion in new guarantees while gross exposure reaches $12.4 billion;
- 2015-MIGA introduces a new model for blended financing in Brazil; MIGA provides its first guarantee in support of the pension funds sector in El Salvador;
- 2016-Of a record $4.3 billion in guarantees issued, 53 percent of investments insured by MIGA are in poverty-afflicted areas; MIGA launches its first Gender CEO Award; MIGA opens its first Africa regional hub in Dakar, Senegal;
- 2017-MIGA issues a record $4.8b in guarantees to private sector investors and lenders; MIGA brings to the market an innovative project bond, in support of Turkey's ambitious 'Health Public-Private Partnership' program, that segregates project risk from sovereign risk. A 20-year MIGA guarantee and an EBRD liquidity facility allow an infrastructure bond to obtain a credit rating two notches above the sovereign rating;

## 2. MIGA's support for economic growth

MIGA's mission is develop foreign direct investment into developing countries to support economic growth, reduce poverty and improve people's lives. MIGA's financing has a following look:

## Table#1 Amount of financing[24]

| Years | Amount of financing (in millions of dollars) |
|---|---|
| 2010 | 1,464 |
| 2011 | 2,099 |
| 2012 | 2,657 |
| 2013 | 2,781 |
| 2014 | 3,155 |
| 2015 | 2,828 |
| 2016 | 4,258 |
| 2017 | 4,842 |
| 2018 | 5,251 |

The picture below shows the distribution of projects in different regions of the world in 2014.




## Table#2 Number of projects in 2014

[24] www.miga.org last modified 01.14.2019.

8 % of MIGA's projects goes to Latin America and Caribbean, 33%-in Europe and Central Asia, 29% in Sub-Saharan Africa, 17 % in Middle East and North Africa and 13 % in Asia and the Pacific.

MIGA's mission is to support economic growth, reduce poverty, and improve people's lives. In order to achieve this, the Agency needs a clear understanding of the development outcomes of the projects it supports. MIGA's $3.2 billion issuance in fiscal year 2014 was expected to catalyze an additional $2.6 billion in public and private co-investment.




Here are highlights of the development results expected from projects supported by MIGA guarantees signed in fiscal year 2014:



MIGA's $5.3 billion issuance in fiscal year 2018 was expected to support total project financing of $17.9 billion in public and private co-investment. Some 65.5 million people will be reached through infrastructure services (new or improved electricity, air and public transport passengers, and new subscribers to telecommunications services) supported by MIGA.[25] There are the highlights of the expected development results below.




In 2018, MIGA issued more than $50 billion in guarantees, in support of over 845 projects in 111 of its member countries. The Agency also supported multiple programs at regional and global levels in member countries.

## Bibliography


1. https://www.worldbank.org/ last modified 21.12.2018.
2. https://www.miga.org/ last modified 01.14.2019.
3. Meskhia I. International Finance, Tbilisi, 2012.


[25] www.miga.org last modified 01.14.2019.

# ახალგაზრდების პროფორიენტაციის ფსიქოლოგიური ასპექტები თანამედროვე შრომითი ურთიერთობების პროცესში
# Psychological Aspects of Young People Professional Orientation in the Modern Labor Activities

**ლია ქურხული** - ფსიქოლოგიის დოქტორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) პროფესორი
**ნათია არჩვაძე** - დოქტორანტი
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA)

**Lia Kurkhuli** - Doctor of Psychology
Professor at Georgian National University (SEU)
**Natia Archvadze** - PhD Student at Social Science Program
Georgian Institute of Public Affairs (GIPA)

**რეზიუმე:** პროფესიის არჩევა არც ერთ ეპოქაში არ წამოადგენდა მარტივ ამოცანას. მით უფრო გართულებულია იგი თანამედროვე პირობებში, როდესაც გლობალიზაცია და საკომუნიკაციო საშუალებების არნახული განვითარება ახალგაზრდებსაც და მათ მშობლებსაც ფართო არჩევანის, შედარებების განხორციელების შესაძლებლობას აძლევს. ფინანსური კომპონენტის შემოტანამ სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროში ადრე არსებულ განმსაზღვრელ ფაქტორებს (მშობლების პროფესია, სოციო-ეკონომიკური სტატუსი, ინტელექტი, სქესი, სპეციფიური უნარები, ფსიქო-ფიზიკური მახასიათებლები, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.) დაუმატა ოჯახის ეკონომიკური შესაძლებლობები. აღნიშნული გარემოება ბევრი ახალგაზრდისათვის ხდება უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორი, იმის პარალელურად, რომ ახალგაზრდას უნდა მოსწონდეს პროფესია და ჰქონდეს ამ პროფესიის დაუფლებისა და შემდგომში წარმატებით მუშაობის მონაცემები.

ამასთან, პროფესიის არჩევისას ძალაში რჩება პრაგმატული, უტილიტარული მოსაზრებები (პრესტიჟული სამსახური, კარგი ანაზღაურება), რომლებიც ხშირად ახალგაზრდის ამა თუ იმ პროფესიის დასაუფლებლად შინაგანი შემოქმედებითი პოტენციალისა და უნარის

მიხედვით სწრაფვას თრგუნავს და აიძულებს, სხვა მიმართულებით წარმართოს თავისი პოტენცია.

მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობა ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი უმწვავესი გამოწვევაა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ეს უკანასკნელნი მაინც ცდილობენ დასაქმებულთა კატეგორიაში თავის დამკვიდრებას. დღეისათვის მაგისტრატურის სტუდენტთა თითქმის მთელი კონტინგენტი და ბაკალავრიატის სტუდენტთა თითქმის მესამედი ეწევა შრომით საქმიანობას.

**საკვანძო სიტყვები:** პროფორიენტაცია, დასაქმება, შრომის ბაზარი, ფსიქოგრამა

**Abstract:** Choosing profession was never an easy task. It is more complicated in the modern world. Globalization and developed communication sources enable youths and their parents' vast possibilities to make comparison. Financial component in educational sphere added to pervious components (parents' profession, socio-economical status, intellect, sex, specific skills, psycho-physical features, health condition and etc.) one factor that is family economy welfare. The mentioned issue is a crucial factor for a lot of young people, alongside with inclination to like profession and to have desire to master it later and use it successfully.

At the same time, choosing profession is still based on pragmatic and utilized attitudes (prestige job, good salary), which oppress in young people desire to select professions by their creative potential and skills and it is diverted to different direction.

Despite that unemployment is one of the main challenges in Georgia, especially among young people, they still try to find their place in the category of employed persons. Nowadays almost all master degree students and the third of bachelor degree students are involved in labor activities.

**Key Words:** Professional Oorientation, Employment, Labor Market, Psychogram

**ძირითადი ტექსტი:** პროფესიის არჩევა არც ერთ ეპოქაში არ წარმოადგენდა მარტივ ამოცანას. მით უფრო გართულებულია იგი

თანამედროვე პირობებში, როდესაც გლობალიზაცია და საკომუნიკაციო საშუალებების არნახული განვითარება ახალგაზრდებსაც და მათ მშობლებსაც ფართო არჩევანის, შედარებების განხორციელების შესაძლებლობას აძლევს. ფინანსური კომპონენტის შემოტანამ სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროში ადრე არსებულ განმსაზღვრელ ფაქტორებს (მშობლების პროფესია, სოციო-ეკონომიკური სტატუსი, ინტელექტი, სქესი, სპეციფიური უნარები, ფსიქო-ფიზიკური მახასიათებლები, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.) დაუმატა ოჯახის ეკონომიკური შესაძლებლობები. აღნიშნული გარემოება ბევრი ახალგაზრდისათვის ხდება უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორი, იმის პარალელურად, რომ ახალგაზრდას უნდა მოსწონდეს პროფესია და ჰქონდეს ამ პროფესიის დაუფლებისა და შემდგომში წარმატებით მუშაობის მონაცემები.

რა თქმა უნდა, პროფესიის არჩევისას ძალაში რჩება პრაგმატული, უტილიტარული მოსაზრებები (პრესტიჟული სამსახური, კარგი ანაზღაურება), რომლებიც ხშირად ახალგაზრდის ამა თუ იმ პროფესიის დასაუფლებლად შინაგანი შემოქმედებითი პოტენციალისა და უნარის მიხედვით სწრაფვას თრგუნავს და აიძულებს, სულ სხვა მიმართულებით წარმართოს თავისი პოტენცია.

ზოგ პროფესიას, გარდა პირადი მოწონებისა და მის დასაუფლებლად მენტალური და ეკონომიკური მზაობისა, სჭირდება სპეციფიკური ფსიქიკური მახასიათებლების თანხვედრაც (ყურადღების სწრაფი გადანაცვლება, სხარტი აზროვნება, რეაქციის სისწრაფე და სხვ.). ამასთან, ყველა პროფესიაში ადამიანს სჭირდება მოვლენის, გარემოების, პროცესის ადექვატური აღქმა, ანალიზის უნარი, მყარი ფსიქიკური რესურსი დასახული მიზნის მისაღწევად (ნებისყოფა) და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა. არსებობს შრომითი საქმიანობის დარგები, რომლებიც ამა თუ იმ ფსიქიკური მახასიათებლის სიჭარბეს მოითხოვს. გასათვალისწინებელია აგრეთვე სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის პროფესიის პერსპექტიულობა. ფსიქოგრამა ადგენს მოცემული სპეციალობით მუშაობის მსურველი პირის სპეციფიურ ფსიქიკური მახასიათებლების ფლობის დონეს (მომავალში სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა, საცხოვრებელი ადგილიდან დაშორებით მუშაობის

შესაძლებლობა, საგანგებო სიტუაციაში მუშაობის უნარი და მრავალი სხვა).

ახალგაზრდების პროფესიულ თვითგამორკვევაზე ზრუნვა სკოლის მაღალი კლასებიდან უნდა ხდებოდეს. დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების დაუინტერესებლობის მიზეზი პროფესიის არჩევის მიმართ, შესაძლოა მათი შრომით საქმიანობაში ჩაბმის მოტივაციის არქონა იყოს. სწორედ ამიტომ სჭირდება ახალგაზრდას მრჩეველი, იქნება ეს მშობელი, პედაგოგი თუ ფსიქოლოგი, რომელიც დაეხმარება მათ შრომისადმი დადებით განწყობის შექმნასა და შრომით პროფესიებში გარკვევის ნიუანსებში. აღნიშნული ორიენტაციების, კონსულტაციების გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია წარმატებული კარიერა, რომელიც ყოველი ადამიანის დაფასების, საზოგადოებრივი აღიარების, მატერიალური და მორალური კმაყოფილების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

პროფორიენტაციამ, როგორც შრომის ფსიქოლოგიის ერთერთმა მნიშვნელოვანმა მიმართულებამ, თავისი არსებობის ასწლეულზე მეტი ხნის მანძილზე შეიმუშავა პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული საგულისხმო რეკომენდაციები. სპეციალისტების აზრით, ფსიქოლოგის პროფორიენტაციულ მუშაობაში გასათვალისწინებელია ორი მნიშვნელოვანი ასპექტი. კერძოდ, *ინფორმაციულ-საგანმანათლებლო მუშაობა,* რომლის მიზანს წარმოადგენს ამ მხრივ მოსწავლეთა ფსიქოლოგიური კულტურის განვითარება და *მოსწავლეთა ინდივიდუალური კონსულტაციები, დიაგნოსტიკური და საკორექციო მუშაობა.*

ხშირია, როდესაც დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა უმრავლესობას არ აქვს გამოკვეთილი პროფესიის არჩევის მოთხოვნილება. არ იცის რომელ პროფესიას დაეუფლოს, რა იქნება მისთვის სიამოვნების მომნიჭებელი. ამ მხრივ საჭიროა მივაწოდოთ ახალგაზრდებს ინფორმაცია ზოგადად პროფესიების შესახებ. მსოფლიოში მრავალი ათეული ათასი პროფესია არსებობს, თუმცა ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარება დროთა განმავლობაში ზევრ მათგანს მორალურად მოძველებულს ხდის, ზოგიერთ მათგანზე კი მოთხოვნილება მნიშვნელოვნად მცირდება. მაგ., XIX ს-ის დასაწყისში მექანიკური საფეიქრო დაზგის გამოგონებამ

მასობრივად შეამცირა მოთხოვნა ფეიქართა შრომაზე, რამაც ამ უკანასკნელთა შორის მასობრივი უმუშევრობა და სოციალური პროტესტი გამოიწვია. უკმაყოფილო ფეიქრები ორგანიზებული ფორმით გამოხატავდნენ თავიანთ ნეგატიურ დამოკიდებულებას შეცვლილი მდგომარეობისადმი, ამტვრევდნენ, აზიანებდნენ დაზგებს, რადგანაც თავიანთი უმუშევრობის მიზეზს ასეთი დაზგების არსებობაში ხედავდნენ. ამგვარი სტიქიური მოძრაობა ისტორიაში „ლუდიტური“ მოძრაობის სახით შევიდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პროფორიენტაციამ, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს კონკრეტული პროფესიით, სპეციალობით, საქმიანობის სახეობით ახალგაზრდის დაინტერესებას, მეორე მხრივ კი, აპრიორი მისცეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების წყალობით, მისი შრომითი კარიერის მანძილზე შეუძლებელია არსებობდეს უცვლელი მოთხოვნილება მის პროფესიაზე, შეიძლება შეიცვალოს საზოგადოებრივი მოთხოვნილებები ამ უკანასკნელის ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების მიმართ. შესაბამისად, ახალგაზრდა შინაგანად მომზადებული უნდა იყოს, რომ თავისი შრომითი კარიერის მანძილზე მას შეიძლება მოუწიოს (თანაც, არაერთგზის) კვალიფიკაციის ამაღლება, გადამზადება და, ცალკეულ შემთხვევაში, მომიჯნავე სპეციალობების ათვისებისა და საქმიანობის პროფილის შეცვლაც კი.

პროფესიული ორიენტაციის პროცესი ახალგაზრდებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელობას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დამამთავრებელ ეტაპზე იძენს, თუმცა იგი არ მთავრდება, არ წყდება სკოლის დამთავრებისას. აქ იგულისხმება არა მარტო ის, რომ სკოლის კედლებში ახალგაზრდა ბოლომდე თავადაც არაა გარკვეული საკუთარ პროფესიულ მიდრეკილებებში, არამედ ისიც, რომ გლობალიზაციასთან დაკავშირებული მეცნიერების, ტექნოლოგიების, ზოგადად ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელების პროცესის დაჩქარებასთან ერთად, ერთი მხრივ, სისტემატურად იცვლება მათი ( ახალგაზრდების) შეხედულებანი, თვალსაწიერი ამა თუ იმ პროფესიულ საქმიანობაზე, მეორე მხრივ კი, როგორც ზემოთ ითქვა, სისტემატურად იცვლება მოთხოვნილებები პროფესიებისადმი და ადგილი აქვს მათ ერთ ნაწილზე მასობრივ

ზრდას, ხოლო მეორე ნაწილზე - შემცირებას. აღნიშნული „პროფორიენტაციული დილემა“, „არჩევანის ზღვარზე“ ყოფნა თითოეული ადამიანის წინაშე თითქმის მთელი შრომითი კარიერის მანძილზე დგას.

მოზარდის მომავალი პროფესიის არჩევანზე მშობლების გავლენა საკმაოდ მაღალია, რაც პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით ვლინდება.

მშობლების გავლენა *პირდაპირია,* როდესაც ისინი აძლევენ შვილს რჩევას, რეკომენდაციას, მიუთითებენ ან აძალებენ, გარკვეულ პირობებსა და მოთხოვნებს უყენებენ და ახალგაზრდაც იძულებულია დაემორჩილოს მისთვის იმ პერიოდში გადაულახავ წინააღმდეგობას. ეს პროცესი შეიძლება ატარებდეს როგორც ავტორიტარულ, დირექტიულ ფორმას, ისე მშობლისათვის მისაღებ პროფესიებზე ამ უკანასკნელთა მიერ შვილებისათვის ინფორმაციის მიზანმიმართულ და დოზირებულ მიწოდებას, რჩევას, რეკომენდაციას და სხვ.

არაპირდაპირია თავად მშობლების ცხოვრების წესი, მათი პროფესია, რაც მოზარდზე მისი პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს და მასაც უყალიბდება გარკვეული სტერეოტიპი, ჩვევა, მოიქცეს, იყოს იმ სფეროში, რომლებშიც მისი იმ მომენტში უმაღლესი ავტორიტეტის მატარებელი პირები - *საკუთარი მშობლები* - საქმიანობენ. ეს არაპირდაპირი გავლენა ზოგჯერ თავად მშობლების ნების საწინააღმდეგოდაც კი ვლინდება. ასეთი შემთხვევები საკმაოდ ბევრია ნებისმიერი სფეროს წარმომადგენლებს შორის - ზუსტი მეცნიერება იქნება ეს, საზოგადოებრივი, მასობრივი პროფესიები თუ სხვა, თუმცა საზოგადოება, როგორც წესი, ძირითადად იცნობს ხელოვნების სფეროს დინასტიურ წარმომადგენლებს. მაგალითად, საქართველოში ყიფშიძეთა და კავსაძეთა ოჯახების უკვე სამ-სამი თაობა მოღვაწეობს თეატრალურ სცენაზე, აშშ-ში კოპოლას ოჯახს უკვე ორი თაობის „ოსკაროსანი“ წარმომადგენლები ყავს და ა.შ.

როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ზემოქმედებისას მთავარია, რომ მშობელმა თვითდინებაზე არ მიუშვას, არ დარჩეს მხედველობის მიღმა ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტი, როგორიცაა მოზარდში

*გადაწყვეტილების მიღების უნარის* განვითარება. ნებისმიერ შემთხვევაში მშობელმა ყველაფერი უნდა იღონოს მოზარდში ამ თვისების განვითარებისათვის, რომელიც მნიშვნელოვანი პირობაა არა მარტო პროფორიენტაციაში, არამედ ზოგადად, ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაში და კარიერულ ზრდაში, სადაც ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს.

ბუნებრივია, პიროვნებად ჩამოყალიბება და კარიერული ზრდის პროცესი ეფუძნება საზოგადოებაში არსებულ ფასეულობათა სისტემას, სამართლიანობას და ყოველგვარი დისკრიმინაციის გამოვლენას ასაკის, სქესისა და რასის მიხედვით.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ საზოგადოებრივმა ინსტიტუტებმა ვერ დაინახონ პროფორიენტაციის სოციალური მნიშვნელობა და აღნიშნული ფუნქცია მთლიანად ოჯახებს გადააკისრონ.

თანამედროვე რეალობიდან თუ ამოვალთ, არჩევანის წინაშე დგანან არა მარტო ის მოზარდები, რომლებიც პროფესიათა ოკეანეში მათთვის ყველაზე ოპტიმალური, მისაღები პროფესია უნდა აირჩიონ, არამედ გარკვეულწილად ის სამსახურებიც, რომლებმაც შესაბამისი კონსულტაცია, პროფორიენტაცია უნდა შესთავაზონ მათ. - ინფორმაციის მრავალფეროვნება, მულტიმედიური სერვისის არსებობა, ინტერნეტი, კონკურენცია, მათაც აიძულებს იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე და შეძლონ რაც შეიძლება მზარდი რაოდენობის და პრეტენზიების მქონე პირების ინტერესების დაკმაყოფილება.

ამ სამსახურების საქმიანობის ფორმატი შეიძლება პირობითად დავყოთ *აქტიურ* და *პასიურ* ფორმატებად.

პირველ შემთხვევაში ისინი თავად უშუალოდ მიმართავენ მოზარდების კონტინგენტს, აქვთ გასვლითი ღონისძიებები სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, აყალიბებენ ფოკუს-ჯგუფებს ცალკეული სპეციალობების მიხედვით, უწევენ რეკლამას კონკრეტულ სპეციალობებს და საქმიანობათა სახეებს.

პასიური ფორმატია, როდესაც მათ მიმართავენ დახმარებისათვის, ითხოვენ რჩევას, კონსულტაციებს. ამ შემთხვევაში სასურველია კონსულტაციებში კონკრეტული სპეციალობის წარმომადგენელთან ერთად ჩართული იყოს ფსიქოლოგიც, რომელიც აღჭურვილი იქნება ჩამონათვალით იმ ფსიქიკური მახასიათებლებისა, რომლებსაც უნდა ფლობდეს მოცემული სპეციალობით მუშაობის მსურველი პირი, ანუ უნდა არსებობდეს ფსიქოგრამა. ზუსტი დიაგნოზის, რეკომენდაციის შემუშავებისთვის მიზანშეწონილია ფსიქოგრამას თან ახლდეს პროფესიული შერჩევისთვის საჭირო ტესტები.

თუმცა დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, უმუშევრობა ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი უმწვავესი გამოწვევაა. შემთხვევით არაა, რომ ბოლო წლებში სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ და სხვადასხვა ფორმატით ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკვლევებში პრობლემათა ჩამონათვალში უმუშევრობა, შესაბამისი პროფესიითა და კვალიფიკაციით დასაქმების შესაძლებლობა, სტაბილურად იკავებს პირველ ადგილს.

დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ახალგაზრდებისათვის, რომელთა შორის უმუშევრობა 2.3-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენ მოსახლეობაში (შესაბამისად: 25 წლამდე ახალგაზრდებში - 28.9%, დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში საშუალოდ - 12.4%), ეს მაშინ, როდესაც მაგისტრატურის სტუდენტთა თითქმის მთელი კონტინგენტი და ბაკალავრიატის სტუდენტთა თითქმის მესამედი ეწევა შრომით საქმიანობას.

ეკონომიკის განვითარებისა და საქართველოს მსოფლიო მეურნეობაში ჩართულობის ხარისხის ზრდის პარალელურად, იზრდება შრომის ბაზრის მოთხოვნები პროფესიულ კადრებზე, ამ უკანასკნელთა კვალიფიკაციაზე, უნარ-ჩვევებზე. ამ ფონზე საქართველოს შრომის ბაზარზე მკაფიოდ ვლინდება *სტრუქტურული უმუშევრობა.* - ერთი მხრივ, დიდია მიწოდება „ტრადიციული" პროფესიებისა და სპეციალობების მიხედვით, რომლებიც მნიშვნელოვნად სჭარბობენ მათზე მოთხოვნას. მეორე მხრივ, აშკარად შეინიშნება დეფიციტი როგორც ზოგადად

პროფესიონალ ტექნიკური და მენეჯერული სპეციალობების მქონე პირებზე, ისე კონკრეტული ვიწრო სპეციალიზაციის მქონე სპეციალისტებზე - დაწყებული პროგრამისტებიდან და დამთავრებული - ელექტროშემდუღებლებით.

აღნიშნულის მიზეზი რამდენიმეა:

- სუსტი კავშირი ბიზნესსა და უმაღლეს სკოლას შორის იმ კონკრეტული სპეციალობების მიხედვით, რომლებზეც საზოგადოებაში არსებობს სტაბილური და მზარდი მოთხოვნა ზოგადად ეკონომიკისა და ტექნოლოგიების განვითარებისა და გლობალიზაციის პროცესის დაჩქარების გამო. ხშირად უმაღლესი სასწავლებლები ვერ ასწრებენ ფეხის აწყობას დროის მოთხოვნებთან, სწავლების მთელი ციკლის მანძილზე შედარებით მეტი დრო აქვთ დათმობილი უკვე დაგროვილი ცოდნის გადაცემას ახალგაზრდებზე და შეუდარებლად ნაკლები - ცოდნის შედარებით ახალი კომპონენტებისა და ზოგადად, ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება-განვითარებას. არა აქვს სისტემური ხასიათი უმაღლესი სასწავლებლების მიერ შრომის ბაზრის კვლევას ცალკეული სპეციალობების მიხედვით ფსიქოლოგიის, ეკონომიკის, ბიზნესის და სხვათა ამჟამინდელი და პერსპექტიული მოთხოვნილებების თაობაზე.

საქართველოში ბიზნესის ლეგალური წარმოება სამ ათეულ წელზე ნაკლებს ითვლის. შესაბამისად, ადგილობრივი ბიზნეს-სტრუქტურების უმრავლესობა „პირველი თაობისაა“, რის გამოც მათ დიდ ნაწილს, როგორც წესი, არა აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული გრძელვადიანი ხედვები, თუ განვითარების რა მასშტაბს და კონფიგურაციას მიიღებს მათი ბიზნესი უახლოესი წლების მანძილზე, რა ადგილს დაიკავებენ ისინი ბაზარზე, შესაბამისად როგორი იქნება მათი მოთხოვნა ამა თუ იმ პროფილის სამუშაო ძალაზე. აქედან გამომდინარე, მათ უჭირთ მკაფიო შეკვეთა, სიგნალები მისცენ საგანმანათლებლო სისტემას მათთვის სპეციალისტების მომზადების თაობაზე. რა თქმა უნდა, ეს „ექსკლუზიურად“ მხოლოდ მათი ბრალი არ არის - თავად ეკონომიკის განვითარებას არა აქვს მდგრადი ხასიათი, რაც საგრძნობლად ზრდის განუსაზღვრელობისა და რისკის ფაქტორს;

- და ბოლოს, ცალკეული პროფესიების მიხედვით ეკონომიკისათვის საჭირო რაოდენობით და ფორმატით სპეციალისტების მომზადებას აფერხებს მომავალ სტუდენტთა (აბიტურიენტთა) მშობლების, უფროსი ოჯახის წევრების  და დიდწილად, მათი გავლენით, სტერეოტიპული და კონსერვატორული შეხედულებანი ცალკეულ პროფესიებზე. მათ, მრავალ ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა გამო არა აქვთ სრული და ზუსტი წარმოდგენა, თუ რომელი პროფესიები შეინარჩუნებენ მომავალში მოთხოვნას, რომლებზე შემცირდება ან საერთოდ გაქრება მოთხოვნილება. მაგალითად, საბჭოთა სისტემის დასრულებისა და საბაზრო სისტემაზე გადასვლის კვალობაზე შეწყდა მოთხოვნილება ისეთ სპეციალობებზე, როგორებიც იყო „პოლიტიკური ეკონომია“ და „მეცნიერული კომუნიზმი“; მოგვიანებით, აიფონების განვითარებამ მინიმუმამდე  შეამცირა მოთხოვნილება ფოტოგრაფებზე. დიდი ხნის მანძილზე (ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული) პრესტიჟულად ითვლებოდა იურისტის პროფესია. დღეისათვის იურისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მათზე საზოგადოების მოთხოვნილებას.

შრომის ბაზარზე ასეთი ასიმეტრია მოთხოვნასა და მიწოდებას შორის იწვევს ცალკეული სპეციალობებისა და პროფესიების მიხედვით  სამუშაო ძალის ანაზღაურების რამდენადმე მაღალ, სხვა სპეციალობების მიხედვით კი - გაუმართლებლად დაბალ დონეს, განსაკუთრებით იმ ტექნიკური სპეციალობების მიხედვით, რომლებიც საჭიროებენ სათანადო ცოდნას თანამედროვე მეთოდების, ტექნოლოგიებისა თუ მასალების შესახებ. პირველს მიეკუთვნება, მაგალითად, პროგრამისტები, მეორეს - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგები. ასეთი ასიმეტრია სერიოზულ პრობლემას უქმნის როგორც ზოგადად ეკონომიკას, ისე საშუალო და მცირე ბიზნესს, რომელთაც, გასაგები მიზეზების გამო, ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა დაიქირავონ მაღალკვალიფიციური (ძვირადღირებული!) სპეციალისტები.

თანამედროვე ქართული შრომის ბაზრის ერთერთი თავისებურება ისიცაა, რომ ეს ბაზარი ტოვებს *ჩაკეტილი სისტემის* (უკეთეს შემთხვევაში, ნახევრადჩაკეტილი სისტემის) შთაბეჭდილებას. - ზოგადად, სამუშაო ძალის მიწოდების

მასშტაბების მეტობის გამო მასზე მოთხოვნასთან შედარებით თითოეული ვაკანსია ატარებს კერძო ფირმისათვის 'სტრატეგიულ" დატვირთვას და მისი „აუქციონის" (კონკურსის) წესით ღია ვაჭრობის ობიექტად გამოტანა წარმოუდგენელ „ფუფუნებად" ითვლება. მაღალანაზღაურებად თანამდებობაზე, იქ სადაც არაა საჭირო ვიწრო სპეციალური ცოდნა და გამოცდილება, როგორც წესი, ხდება შიდა როტაცია ან ნეპოტიზმის ნიშნით „სპეციალისტების" მოწვევა და სამუშაო ადგილზე დამკვიდრება. შესაბამისად, თანამდებობის დაკავება ხდება არა პროფესიონალიზმისა და ოპტიმალობის ნიშნით, არამედ არაფორმალური და პროტექციონიზმის ნიშნით, რაც ხელს უწყობს კორპორაციულ-კლანური ურთიერთობების ფორმირებას და განვითარებას. შიგნით ხდება კადრების როტაცია და არა გარე რესურსებიდან შემოდინება.

ბაზრის მოთხოვნებისადმი ადაპტირების ფორმას წარმოადგენს სპეციალისტების არა მარტო მომზადების, არამედ გადამზადების სტრატეგია, რომლის ფორმატში სახელმწიფო უზრუნველყოფს პირთა გადამზადების მექანიზმის მოქმედებას და ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულებს თავიანთი ეკონომიკურად აქტიური ცხოვრების მთელ მანძილზე უზრუნველყოფენ მათ სტაბილურ დასაქმებას საქმიანობის (და ზოგჯერ, პროფესიის) პერიოდული შეცვლის პირობებშიც კი.

ხშირად ხდება პროფესიების კატეგორიზაცია, პრესტიჟულ და არაპრესტიჟულ პროფესიებად, რაც რა თქმა უნდა არაა სწორი. პროფესიის პრესტიჟულობა კარიერული წარმატების გარანტორი ვერ იქნება. ზოგი პროფესია საზოგადოებისთვის "სასირცხვილოდაა" მიჩნეული, რაც, რა თქმა უნდა, არასწორი და მიუღებელია. საზოგადოებისათვის ნებისმიერი რანგის და სტატუსის სამუშაო საჭირო და მნიშვნელოვანია. მაგალითად, ბევრ დასავლურ ქვეყანაში ისეთი არაპრესტიჟული პროფესია, როგორიცაა დასუფთავების სამსახურის მუშაკი, უფრო მაღალანაზღაურებადია, ვიდრე პრესტიჟული შემოქმედებითი პროფესიები.

მთლიანობაში, ნებისმიერ პირს, რომელიც შრომით ბაზარზე გადის, სურს, რომ ჰქონდეს მისთვის მისაღები სამუშაო პირობები, ნაკლები - სტრესი და მეტი - ანაზღაურება. ეს პირობები

განსაზღვრავენ მისი საქმიანობით კმაყოფილებას და პრესტიჟულობას. - თუ მხოლოდ ანაზღაურებაა მაღალი, ხოლო თავად საქმიანობა არ ითვლება სოციალურად პრესტიჟულად, ანუ სოციალურად არაა მოწონებული, სოციალურ ერთობაში მიღებული ნორმებისა და ღირებულებების სისტემასთან შესატყვისი და მიმზიდველი, სასურველი, მაშინ ამ საქმიანობისადმი ინტერესი და ლტოლვა კლებულობს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბალიაშვილი მ., პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები, გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი 2012, 222 გვ.
2. ბერიძე რ., ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბილისი, 2011, 200 გვ.
3. გაბაშვილი მ., საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო, თბილისი 2014, 92 გვ.
4. ზარანდია მ., პროფესიული ორიენტაცია და პიროვნების ფორმირების ფსიქოლოგიური საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1987, 78 გვ.
5. პაიჭაძე ნ., ადამიანური რესურსების მართვა (ცნებებისა და განსაზღვრებების ლექსიკონი), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, 181 გვ.
6. ყოლბაია მ., სკოლის ფსიქოლოგია, გამომცემლობა "ცის ნამი", თბილისი 2008, 308 გვ.
7. შიხაშვილი გ., ერქომაიშვილი გ., დალაქიშვილი ც., პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2012, 160 გვ.
8. აირჩიე პროფესია, ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრი (პმც), თბილისი, 2013, 219 გვ.
9. Betz, N. E. (2004). Contributions of selfefficacy theory to career counseling: A personal perspective. The Career Development Quarterly, 52(4), 340-353.

10. Germeijs, V., & Verschueren, K. (2009). Adolescents' career decision-making process: Related to quality of attachment to parents? Journal of Research on Adolescence, 19(3), 459-483.
11. Lease, S. H., & Dahlbeck, D. T. (2009). Parental influences, career decision-making attributions, and self-efficacy. Journal of Career Development, 36(2), 95-113.
12. Mortimer, J. T. (2012). The evolution, contributions and prospects of the youth development study: An investigation in life course social psychology. Social Psychology Quarterly, 75(1), 5-27.
13. Petegem, S. V., Beyers, W., Brenning, K., & Vansteenkiste, M. (2012). Exploring the association between insecure attachment styles and adolescent autonomy in family decision making: A different approach. Journal of Youth and Adolescence, 15(5), 427-454.
14. Vignoli, E. (2009). Inter-relationships among attachment to mother and father, selfesteem, and career indecision. Journal of Vocational Behavior, 75, 91-99.

# დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისა და საქმიანობის თავისებურებები საკანონმდებლო ორგანოში

# Characteristics of creation and functioning of Temporary Investigative Commission at the legislative body

**მაკა წულაია** - დოქტორანტი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
**Maka Tsulaia** - Ph.D. Student
Tbilisi State University

**რეზიუმე:** დემოკრატიულ სახელმწიფოებში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების ძირითადი არსი ხელისუფლების ორგანოებს შორის კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში ურთიერთკონტროლისა და ბალანსის უზრუნველყოფაა, რაც საბოლოოდ მათი ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში ქმნის ერთიანი, გააზრებული და დაბალანსებული მმართველობის განხორციელების შესაძლებლობას. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მექანიზმში ურთიერთდაბალანსებისა და შეკავების პირობებში, უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთ ფუნქციას მისი საკონტროლო უფლებების განხორციელება წარმოადგენს. საკანონმდებლო ორგანოების საკონტროლო ფუნქციები მრავალმხრივია, თუმცა მათ შორის განსაკუთრებულია პარლამენტის საგამოძიებო საქმიანობა.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მიერ საგამოძიებო საქმიანობის განხორციელება მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში საპარლამენტო კონტროლის საკმაოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წარმატებული საკონტროლო საქმიანობისთვის ერთი-ერთი არსებითი საკითხი დროებითი საგამოძიებო ორგანოების მნიშვნელობის ზუსტი გააზრება და მათი შექმნისა და საქმიანობის საკითხების სწორი რეგულაციაა.

უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საგამოძიებო კომისიების შექმნისა და საქმიანობის თავისებურებების განხილვისას მნიშვნელოვანია, იმის გარკვევა ითავსებს თუ არა, ან რა მოცულობით, საკანონმდებლო ორგანო საგამოძიებო ან სასამართლო ხელისუფლების გარკვეულ ფუნქციებს, ხდება

თუ არა აღნიშნული ფუნქციით რეალურად საპარლამენტო კონტროლის განხორციელება, თუ იგი მხოლოდ პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენს ოპოზიციური პარტიების ხელში, შექმნისა და საქმიანობის რა თავისებურებები გააჩნიათ საკანონმდებლო ორგანოში საგამოძიებო კომისიებს, რამდენად ძლიერია მათი ძალაუფლება და რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოიტანოს მათმა საქმიანობამ. რა რეგულაციებია საჭირო იმისათვის, რომ ერთი მხრივ უზრუნველყოფილი იყოს საპარლამენტო ოპოზიციის უფლება და მეორე მხრივ ხორციელდებოდეს რეალური საპარლამენტო, როგორც ერთიანი ინსტიტუტის, კონტროლი ხელისუფლების ორგანოებზე, რითიც პარლამენტს მიეცემა შესაძლებლობა მიიღოს ობიექტური, სამართლიანი, დროული და ეფექტიანი გადაწყვეტილება, ხოლო აღნიშნულის საფუძველზე უზრუნველყოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების საგამოძიებო კომისიების მეშვეობით ხარისხიანი და ეფექტური საპარლამენტო კონტროლის განხორციელება.

**Abstract:** In democratic countries, the main idea of the separation of state powers is to ensure mutual control and balance of state organs within the boundaries of the law. In the end, with respect to cooperation of governmental bodies, possibility of a united, premeditated and balanced governance is ensured. In regard to the mechanism of separation of state powers, considering the conditions of mutual balance and deterrence, one of the main functions of the highest representative body is to implement its controlling functions. These controlling functions of legislative bodies are multifaceted, however, the investigative activity of the parliament is of an exceptional importance.

Investigative activity of a legislative body represents a prevalent form of parliamentary control in most of the countries of the world. One of the essential issues concerning successful controlling activity of the highest representative body is to interpret the importance of temporary investigative organs precisely and properly regulate the issues regarding their creation and activity.

While discussing the characteristics of creation and activity of investigative commissions at the highest legislative body, it is important to clarify whether the legislative body shares or not, and to what extent, several functions of investigative or judicial powers. Concerning this function, it is essential to define whether parliamentary control is implemented, or is it just a political tool in hands of

opposition parties. It is also crucial to specify what are the main characteristics of creation and activity of investigative commissions, how strong are its powers and what its legal consequences are. Regarding the issue, it is necessary to define the proper regulations, so that the rights of parliamentary opposition is ensured on one hand and also legitimate parliamentary control over the government bodies is implemented on the other hand. Consequently, the parliament will be entitled to adopt impartial, fair, timely and effective decision and upon this, ensure that a high quality and effective parliamentary control is implemented through the investigative commissions of the highest representative organs.

**საკვანძო სიტყვები:** საკანომდებლო ორგანო, საპარლამენტო კონტროლი, საპარლამენტო გამოძიება, დროებითი საგამოძიებო კომისია.

**Key Words:** legislative body, parliamentary control, parliamentary investigation, temporary investigative commission.

**1. შესავალი:** დემოკრატიულ სახელმწიფოებში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მიზანი ხელისუფლების ორგანოებს შორის ძალაუფლებისა და ფუნქციების გამიჯვნაში მდგომარეობს, რაც საშუალებას აძლევს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს განახორციელონ მათ კომპეტენციას მიკუთვნებული უფლებამოსილებები დამოუკიდებლად. თუმცა, ხელისუფლების დანაწილების ძირითადი არსი მაინც ხელისუფლების ორგანოებს შორის კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში ურთიერთკონტროლისა და ბალანსის უზრუნველყოფაა. „აღნიშნული პრინციპის განხორციელება გულისხმობს სახელმწიფო მექანიზმში შეკავებისა და გაწონასწორების არსებობას. მაშასადამე, ხელისუფლების განაწილება სრულებითაც არ ამოიწურება სახელმწიფო ორგანოთა შორის ფუნქციების გამიჯვნით. მის შინაარსში უცვლელად დევს სახელმწიფო ორგანოების ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების სისტემა“.[26] ხელისუფლების დანაწილების პირობებში პარლამენტის საქმიანობის ერთ-ერთ ფუნქციას მისი საკონტროლო უფლებების განხორციელება

[26] *რუხაძე ზ.*, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი, 1999

წარმოადგენს. უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს საკონტროლო ფუნქციებს მიაკუთვნებენ სწორედ პარლამენტის საგამოძიებო საქმიანობას, რომელსაც იგი, როგორც წესი, ამ კონკრეტული მიზნისათვის შექმნილი ორგანოების მეშვეობით ახორციელებს. „საპარლამენტო გამოძიების სამართლებრივი ბუნება შესაძლებელია დახასიათდეს, როგორც საპარლამენტო კონტროლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და პერსპექტიული ფორმა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე“.[27]

წარმოდგენილი სტატია საკანონმდებლო ორგანოს ისეთ განსაკუთრებულ უფლებას შეეხება, როგორიცაა მის მიერ საპარლამენტო კონტროლის ისეთი ფორმის გამოყენება, რაც საშუალებას აძლევს საკანონმდებლო ორგანოს ფაქტობრივად შეითავსოს საგამოძიებო, სასამართლო ფუნქციები. კერძოდ, საკანონმდებლო ორგანოს შესაძლებლობას, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას პარლამენტის წევრთაგან შექმნას სპეციალური კომისია ან კომიტეტი და მისი მეშვეობით ჩაატაროს ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე გამოძიება, რაც თავისთავში გულისხმობს, როგორც კონკრეტული მტკიცებულებების გამოთხოვას, მოპოვებას და შესწავლას, ასევე შესაბამისი პირების დაბარებასა და გამოკითხვას, რიგ ქვეყნებში კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მოთხოვნის შესაძლებლობას, და მოკვლეული მასალებისა და გამოძიებული საკითხების თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. საკანონმდებლო ორგანოს აღნიშნული ფუნქცია საპარლამენტო პრივილეგიადაც კი შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან იგი აშკარად შეიცავს ხელისუფლების სხვა შტოების, როგორც აღმასრულებელი, ასევე სასამართლო ხელისუფლების ორგანოების გარკვეულ ფუნქციებს.

**2. საკანონმდებლო ორგანოს საგამოძიებო ფუნქცია:** საკანონმდებლო ორგანოს საგამოძიებო ფუნქციას იმპიჩმენტისა და ამნისტიის ფუნქციასთან ერთად საკანონმდებლო ორგანოს სასამართლო

[27] *Гусева Д. Е.*, Современные Институты Парламентского Контроля Европейских Государств (Германия, Франция, Великобритания, Россия), Politbook №3, 2016, С. 176

ფუნქციებს მიაკუთვნებენ. უფრო ზუსტად, კვაზისასამართლო უფლებებს, რადგან „იშვიათია ისეთი მოდელი, რომელშიც პარლამენტს აქვს სრული სასამართლო უფლებამოსილება“.[28] თუმცა, ალბათ იშვიათი კი არა, რაც არ უნდა ფართო გაგებით ვიგულისხმოთ პარლამენტის საგამოძიებო საქმიანობა, საკანონმდებლო ორგანო სასამართლო ფუნქციებს სრული მოცულობით მაინც ვერ შეითავსებს და ამ ტერმინის გამოყენებაც შესაბამისად პირობითია. „მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო გამოძიება ხშირად ისესხებს სასამართლო პროცედურებს, ის უფრო მიზნად ისახავს პოლიტიკურ და არა სამართლებრივ კონტროლს. ამდენად, საპარლამენტო გამოძიება არის არა კვაზი-სასამართლო, ფაქტების მომპოვებელი პროცესი, არამედ უფრო პოლიტიკური მოსაზრებები ამოძრავებს და ცდილობს საკითხი შეიტანოს პოლიტიკურ დღის წესრიგში“.[29] „ასეთი გამოძიების მიმართულება განისაზღვრება პოლიტიკური საჯარო ინტერესით, რაც მას ხარისხობრივად განასხვავებს სასამართლო გამოძიებისგან“.[30] საპარლამენტო გამოძიება „იძლევა რეაგირების საშუალებას სახელმწიფოს ყველაზე მწვავე პრობლემებზე.“[31] საგამოძიებო უფლების განხორციელების ფარგლებში საკანონმდებლო ორგანო უფლებამოსილია დაიბაროს ნებისმიერი პირი, ჩამოართვას მას ახსნა განმარტება ნებისმიერ საკითხზე, მოითხოვოს მტკიცებულებების წარმოდგენა, გამოითხოვოს დოკუმენტები და საქმისათვის მნიშვნელოვანი მასალები. თუმცა, „არ უნდა მოხდეს საგამოძიებო კომისიების არასწორად, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტრუმენტად გამოყენება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს

---

[28] ავტორთა კოლექტივი, ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი *დემეტრაშვილი ა.*, კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, გვ. 210.

[29] *Eva-Maria Poptcheva*, Parliament's Committees of Inquiry and Special Committees, EPRS| European Parliamentary Research Service, June 2016, p. 3.

[30] *Russell Keith*, Judicial Intervention in Parliamentary Proceedings: The Implications of Egan v. Willis, 28 Federal Law Reiew, 2000, p. 571.

[31] *Михалёва Н., Дьякова Т.,* Формы Парламентского Контроля, С. 104.

პარლამენტის როლის აღრევა სასამართლო ხელისუფლებასთან“.[32] საკანონმდებლო ორგანოს საგამოძიებო ფუნქციის სისხლისსამართლებრივი დევნის იარაღად გამოყენების საფრთხე მაღალია ისეთი რეგულაციის პირობებში, თუ საკანონმდებლო ორგანოში საგამოძიებო კომისიის შესაქმნელად დადგენილი იქნება საკმაოდ დაბალი კვორუმი. ასეთ შემთხვევაში ოპოზიციურ ძალებს ექნებათ შესაძლებლობა ნებისმიერ საკითხზე მოახერხონ საგამოძიებო კომისიის შექმნა და რეალურად იგი გამოიყენონ ალტერნატიული სისხლისსამართლებრივი დევნის საშუალებად, თავიანთი პოლიტიკური მიზნების გათვალისწინებით.

**2.1. საპარლამენტო კონტროლი თუ პოლიტიკური იარაღი:** უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებას ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის სხვადასხვა საკითხზე, საჭიროების შემთხვევაში, შექმნას დროებითი საგამოძიებო კომისია და აწარმოოს იმ საკითხის შესწავლა, რომელსაც თავად მიიჩნევს აუცილებლად არის საკანონმდებლო ორგანოს ხელში განსაკუთრებული იარაღი უზრუნველყოს კონტროლის განხორციელება ხელისუფლების ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობაზე. თუმცა საინტერესოა, რეალურად ხომ არ იქცევა იგი პოლიტიკურ იარაღად საპარლამენტო ოპოზიციის ხელში.

ამ მიზნით ალბათ, პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ რა იგულისხმება საპარლამენტო კონტროლის განხორციელებაში. საპარლამენტო კონტროლი წარმოადგენს კონსტიტუციითა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ ფარგლებში, ამავე საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული მექანიზმებისა და ფორმების გამოყენებით უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს შესაძლებლობას განახორციელოს ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის პოლიტიკური თუ იურდიული ხასიათის კონტროლი. „კონტროლის კომპეტენცია აქვს

[32] *ბაბეკი ვ., ფიში ს., რაიჰენბეჰერი ც.*, კონსტიტუციის გადასინჯვა – საქართველოს გზა ევროპისაკენ, თბილისი, 2012, გვ. 128.

ყველა პარლამენტს, მაგრამ მისი ფარგლები დამოკიდებულია მმართველობის ფორმასა და სახეობაზე“.[33]

საპარლამენტო კონტროლის ფორმად განიხილება საპარლამენტო გამოძიება, მაგრამ მას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. „საპარლამენტო პრაქტიკაში დროებითი საგამოძიებო კომისიები, როგორც წესი, საპარლამენტო უმცირესობის დაცვის თვალსაჩინო საშუალებად ითვლება“.[34] როგორც წესი, მმართველი ძალა ძალიან იშვიათად არის დაინტერესებული საპარლამენტო გამოძიების წარმართვით, რადგან მას არ გააჩნია პოლიტიკური ნება მისივე გუნდის ქმედებები შეისწავლოს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო კონტროლი წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოს, როგორც ერთიანი ინსტიტუტის, კონტროლს ხელისუფლების ორგანოებზე, იგი რეალურად იქცევა მხოლოდ მისი ოპოზიციური ნაწილის უფლებად, მისთვის პოლიტიკურად მომგებიან თემებზე მოითხოვოს საგამოძიებო ორგანოების შექმნა პარლამენტში, რაც შესაძლებელია სულ არ გამოხატავდეს პარლამენტის, როგორც ხელისუფლების ორგანოს პოზიციას.

„პარლამენტის საგამოძიებო კომისიასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის გააზრებას, რომ პოლიტიკურ პრაქტიკაში იგი უნდა ემსახურებოდეს საპარლამენტო უმცირესობის უფლებების განხორციელებას, ვინაიდან, როგორც წესი, სწორედ უმცირესობას აქვს ხოლმე ამა თუ იმ საკითხის გამორკვევისა და გამოძიების ინტერესი“.[35] საპარლამენტო

---

[33] ავტორთა კოლექტივი, ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი *დემეტრაშვილი ა.*, კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, გვ. 209.

[34] *გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩხილაძე გ., ჭიღლაძე ნ.,* შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, გვ. 314.

[35] *ბლანკენაგელი ა.*, 2009 წლის 17 დეკემბერს ბერლინში საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიების წარმომადგენლებთან „საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის რეფორმის“ თემაზე გამართული „მრგვალი მაგიდის“ შესახებ. წიგნში: *ბაბეკი ვ., ფიში ს.,*

გამოძიების ინსტიტუტის შემოღების ერთ-ერთი იდეოლოგი მაქს ვებერი აღნიშნავდა, რომ თუ გავითვალისწინებთ საპარლამენტო დემოკრატიის პირობებში ოპოზიციის მეტისმეტად სუსტ შესაძლებლობას გავლენა მოახდინოს სახელისუფლებო უმრავლესობაზე, აუცილებელია ოპოზიციას მიეცეს იარაღი საპარლამენტო გამოძიების სახით, ამ არათანაბარ ბრძოლაში. შესაბამისად, საგამოძიებო კომისიის შექმნა წარმოადგენს უმცირესობის უფლებას.[36] თუმცა, რამდენად რეალურად საპარლამენტო კონტროლის განხორციელებასთან გვექნება საქმე ასეთ შემთხვევაში. მაშინ როდესაც, ოპოზიციური ძალები პარლამენტში ყველა პოლიტიკურ საკითხზე ეცდებიან გამოიყენონ მათ ხელში არსებული ყველაზე მძლავრი იარაღი. რამდენად რეალურად არის დაინტერესებული ოპოზიციური ძალა გამოიძიოს სწორედ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხები და არა კონკრეტული, მათ პოლიტიკურ ინტერესში შემავალი თემები, ხომ არ არის შესაძლებელი აღნიშნული ფორმა იქცეს პოლიტიკური შურისძიების საშუალებად, რომელიც შესაძლოა რიგ შემთხვევებში მხოლოდ ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზანს ემსახურებოდეს და არა რეალურად საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას. „საგამოძიებო კომიტეტები ოპოზიციის სურვილს, მიიპყროს საზოგადოებრივი ყურადღება, ზედმიწევნით ესადაგებიან"[37]. შესაბამისად საპარლამეტო გამოძიება შესაძლოა იქცეს არა საკანონმდებლო ორგანოს, როგორც ერთიანი ინსტიტუტის საკონტროლო ფუნქციის განხორციელებად, არამედ ერთი კონკრეტული ოპოზიციური ძალის ხელში თავმოყრილ პოლიტიკურ იარაღად, თუ ზედმიწევნით ფრთხილად არ მოვეკიდებით მისი

---

*რაიჰენბეჰერი ც.,* კონსტიტუციის გადასინჯვა – საქართველოს გზა ევროპისაკენ, თბილისი, 2012, გვ. 281.

[36] *Якимова Е. М.,* Парламентские Расследования как Форма Парламентского Контроля: Опит России и Германии, Право и Законодательство, 2012, С. 112

[37] *შაიო ა.*, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, *მ. მაისურაძის* თარგმანი, *თ. ნინიძის* რედაქტორობით, თბილისი, 2003, გვ. 178.

შექმნისა და დაკომპლექტების, ასევე საქმიანობის საკანონმდებლო რეგულაციებს.

**3. საგამოძიებო ორგანოს შექმნა:** როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკანონმდებლო ორგანოები საპარლამენტო გამოძიებას ძირითადად თავიანთი კომისიების თუ კომიტეტების მეშვეობით ახორციელებენ. არის ქვეყნები და საკითხები, რომელთა თაობაზეც ინფორმაციის მოგროვებას, საკითხის შესწავლას, გამოძიების ჩატარებას საკანონმდებლო ორგანოში მოქმედი მუდმივი კომიტეტები უზრუნველყოფენ, თუმცა უმეტეს შემთხვევებში საპარლამენტო გამოიძიება ტარდება სპეციალურად, ამ კონკრეტული მიზნით შექმნილი საგამოძიებო ორგანოების მეშვეობით. შესაბამისად, ქვეყნების კანონმდებლობაში უნდა არსებობდეს გარკვეული რეგულაციები, რომელიც უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებში საგამოძიებო კომისიების შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებს განსაზღვრავს და ეს რეგულაციები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.

**3.1. შექმნის საფუძვლები:** საგამოძიებო კომისიების შექმნის საფუძვლები, როგორც წესი, განსაზღვრულია საკანონმდებლო დონეზე, ქვეყნების კონსტიტუციებითა და ძირითადად საკანონმდებლო ორგანოს რეგლამენტებით. თუმცა, უმეტეს შემთხვევებში საკითხების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და შეიცავს ზოგად მითითებებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო და საზოგადოებრივ საკითხებზე. ხოლო თუ რა ჩაითვლება ასეთ საკითხებად და რა საკითხების გამოძიების მიზნით უნდა შეიქმნას კონკრეტული კომისია, ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თავად საკანონმდებლო ორგანო. ასეთი ზოგადი რეგულაციებია მაგალითად, ბელგიის,[38] პოლონეთის[39], სლოვენიის[40] კონსტიტუციებით განსაზღვრული. უფრო კონკრეტულად არის საკითხები გათვალისწინებული შესაბამისი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოების რეგლამენტებით. მაგალითად, რუმინეთის პარლამენტის დეპუტატთა პალატის

---

[38] იხ. ბელგიის კონსტიტუცია, მუხლი 56

[39] იხ. პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი 111

[40] იხ. სლოვენიის რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი 93

რეგლამენტით[41], ლიტვის რესპუბლიკის სეიმის რეგლამენტით,[42] ესტონეთის[43], საქართველოს პარლამენტის რეგლამენტებით[44].

**3.2. შექმნის ინიციატორები:** საგამოძიებო კომისიის შექმნა საკანონმდებლო ორგანოში და საპარლამენტო გამოძიების წარმოება განიხილება, როგორც საპარლამენტო უმცირესობის უფლება. ამ მიზნით საინტერესოა თუ როგორ ხდება იმ სუბიექტების განსაზღვრა ვისაც აქვს უფლება მოითხოვოს საგამოძიებო კომისიის შექმნა. მართლაც, პარლამენტის რამდენი წევრი უნდა იყოს ინიციატორი იმისათვის, რომ ეს უფლება საპარლამენტო ოპოზიციის უფლებად მივიჩნიოთ, ვის უნდა ჰქონდეს საკითხის აღძვრის უფლება და როგორია მსოფლიო ქვეყნების მიდგომები ამ მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების რეგულაციები დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატორების თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანია და იგი მერყეობს დაახლოებით საკანონმდებლო ორგანოს 5 წევრიდან დეპუტატთა 1/3-მდე. „მსგავსი ბარიერის დაწესების მიზეზი უპირველეს ყოვლისა გამომდინარეობს იმ აუცილებლობით, რომ არ იქნეს დაშვებული საპარლამენტო გამოძიების ინსტიტუტის გამოყენება პოლიტიკური დაპირისპირების ინსტრუმენტად, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს სიტუაციის დესტაბილიზაცია პარლამენტში. მეორე მხრივ, აღნიშნული მოთხოვნა არ შეიძლება გახდეს გადაულახავი დაბრკოლება. არ შეიძლება პარლამენტში ხელისუფლების მხარდამჭერმა ძალებმა დაბლოკონ საპარლამენტო გამოძიების ინიციირების ნებისმიერი მცდელობა.“[45] მაგალითად, უნგრეთში, ესპანეთში, ჩეხეთში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის

---

[41] იხ. რუმინეთის პარლამენტის დეპუტატთა პალატის რეგლამენტი, მუხლი 73

[42] იხ. ლიტვის რესპუბლიკის სეიმის რეგლამენტი, მუხლი 72

[43] იხ. ესტონეთის პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 20

[44] იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 61, N3875-რს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14.12.2018

[45] *Якимова Е.М.*, Институт Парламентских Расследований: Общее и Особенное в Практике России и Зарубежных Странах, Вопросы Конституционного Права №2, 2006, С. 63.

საკითხის დასმის უფლება აქვს დეპუტატთა 1/5-ს. ზოგ შემთხვევაში განსაზღვრულია დეპუტატთა კონკრეტული რაოდენობა, ასე მაგალითად, პოლონეთში ინიციატორი შესაძლებელია იყოს 46 დეპუტატი, ავსტრიაში 5 დეპუტატი. ალბანეთსა და ლიტვაში კომისიის შექმნის საკითხის აღძვრის უფლება აქვს დეპუტატთა 1/4-ს, ხოლო ლატვიაში 1/3-ს, ხორვატიაში კი 1/10-ს. უნდა აღინიშნოს, რომ საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატორების ძალიან დაბალი კვორუმი შესაძლოა ოპოზიციური ძალების მიერ გამოყენებული იქნას პოლიტიკურ იარაღად. აღნიშნულზე მიუთითებდა სწორედ ვოლფგანგ ბაბეკი 2010 წელს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებულ იმ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც საგამოძიებო ორგანოს შექმნის ინიციატივის უფლების მქონე პარლამენტის წევრთა რიცხვი 1/4-დან დეპუტატთა 1/5-მდე შემცირდა. „ეს ქმნის რისკს, რომ კომისიები გამოყენებულ იქნება პოლიტიკური ზეწოლის საშუალებად, ან პოლიტიკური ყურადღების მოსაპოვებლად და საზოგადოებაში საკუთარი თავის წარმოსაჩენად.“[46] საპირისპირო მოსაზრებას შეიცავს ვენეციის კომისიის დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ „პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირებამ, რაც აუცილებელია საპარლამენტო კომისიის ჩამოყალიბებისთვის, შესაძლებელია ხელი შეუწყოს მცირე ოპოზიციური პარტიების როლის განმტკიცებას და შესაბამისად მისაღებია.“[47]

**3.3. დაკომპლექტების წესი:** დროებითი საგამოძიოებო კომისიის შექმნის ინიციატორებისა და იმის გათვალისწინებით, რომ საპარლამენტო გამოძიების დაწყების შესახებ მოთხოვნას ძირითადად საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები აყენებენ, საპარლამენტო გამოძიების წარმართვაზე შესაძლოა სერიოზული გავლენა იქონიოს დროებითი საგამოძიებო კომისიების

---

[46] *ბაბეკი ვ., ფიში ს., რაიჰენბეჰერი ც.*, კონსტიტუციის გადასინჯვა – საქართველოს გზა ევროპისაკენ, თბილისი, 2012, გვ. 128.

[47] ევროპის კომისია დემოკრატიისთვის კანონის გზით (ვენეციის კომისია), მოსაზრების პროექტი საკონსტიტუციო კანონპროექტის შესახებ საქართველოს კონსტიტუციაში შესწორებების და ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, მოსაზრება #543/2009, სტრასბურგი, 2010

დაკომპლექტების წესმა. კერძოდ, თუ საკითხი დასმული იქნება ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ, კომისია უნდა იყოს დაკომპლექტებული იმგვარად, რომ მათ ჰქონდეთ გარკვეული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა, რათა კომისიას მიეცეს მუშაობის და კონკრეტულ შედეგებამდე მისვლის საშუალება. „არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შემადგენლობის რიცხოვნობას განაპირობებს საპარლამენტო გამოძიების ქვემდებარე მოვლენათა მასშტაბი, სამუშაო მოცულობა, რომელიც უნდა შესრულდეს და მთელი რიგი სხვა ფაქტორები."[48] აღნიშნულის საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ, როგორც წესი, დროებითი საგამოძიებო კომისიების დაკომპლექტება ხდება საკანონმდებლო ორგანოში საპარლამენტო ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის გათვალისწინებით. საპარლამენტო ფრაქციებისა და ფრაქციებში წევრთა რაოდენობაზეა დამოკიდებული საგამოძიებო კომისიების დაკომპლექტების საკითხთი მაგალითად, ბელგიის, ლატვიის[49], ესტონეთის[50], სლოვენიის, საქართველოს[51] უმაღლეს საკანომდებლო ორგანოებში.

**3.4. შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება:** საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხის ინიციირების შემთხვევაში საჭიროა საკანონმდებლო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღება კონკრეტული საკითხის შესწავლის მიზნით დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ. უმეტეს შემთხვევებში ინიციირების უფლების მქონე პარლამენტის წევრებთან შედარებით უფრო მაღალი კვორუმია დადგენილი შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. მაგალითად, საბერძნეთში საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის სიითი შემადგენლობის 2/5-ის (120 წევრი) მიერ, მაშინ როდესაც შექმნის

---

48 *Трошев Д. Б.,* Возбуждение Парламентского Расследования, Актуальные Проблемы Российского Право №2, 2007, С. 43.

49 იხ. ლატვიის რესპუბლიკის სეიმის რეგლამენტი, მუხლი 149

50 იხ. ესტონეთის პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 26

51 იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 62, N3875-რს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14.12.2018

შესახებ საკითხის დასმის უფლება აქვს პარლამენტის წევრთა 1/5-ს.[52] ესპანეთში და თურქეთში კომისიის შექმნის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ხოლო საკითხის ინიცირების უფლება აქვს ესპანეთის შემთხვევაში პარლამენტის წევრთა 1/5-ს,[53] ხოლო თურქეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საკითხის აღძვრისათვის საკმარისია 20 დეპუტატის ხმა. პოლონეთში კი, 46 დეპუტატის მიერ ინიცირებულ საკითხს სჭირდება აბსოლუტური უმრავლესობა საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად[54]. თუმცა გვხვდება განსხვავებული რეგულაციებიც, როდესაც საკითხის ინიცირებისა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმათა ერთიდაიგივე რაოდენობა. მაგალითად, ჩეხეთის სეიმში, როგორც საკითხის ინიცირებისათვის, ასევე გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია დეპუტატთა 1/5-ის მხარდაჭერა.[55] გერმანიის ბუნდესტაგი წევრთა 1/4-ის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია შექმნას საგამოძიებო კომიტეტი.[56] საქართველოს პარლამენტში გადაწყვეტილება დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერით[57].

**4. საგამოძიებო ორგანოს საქმიანობის თავისებურებები:** „საპარლამენტო გამოძიების ჩატარების უფლება გამომდინარეობს პრინციპიდან, რომლის თანახმად პარლამენტი მთლიანად უნდა იყოს ინფორმირებული აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ ნებისმიერ საკითხზე“.[58] შესაბამისად,

---

[52] იხ. საბერძნეთის პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 144

[53] იხ. ესპანეთის დეპუტატთა კონგრესის რეგლამენტი, მუხლი 52

[54] იხ. პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის რეგლამენტი, მუხლი 136ა

[55] იხ. ჩეხეთის რესპუბლიკის დეპუტატთა პალატის რეგლამენტის, მუხლი 48

[56] იხ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი 44

[57] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42, საპარლამენტო უწყებანი, N31-33, 1995;

[58] მელქაძე ო., სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი IV, თბილისი, 1996, გვ. 48

საკანონმდებლო ორგანო აღჭურვილია უფლებით შექმნას სპეციალური კომისია იმ საკითხის შესასწავლად, რომელსაც ქვეყნისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს. საგამოძიებო კომისია საკანონმდებლო ორგანოში უმეტესად იქმნება განსაზღვრული დროით და კონკრეტული მიზნისათვის, რომელიმე კონკრეტული თემის შესასწავლად. დროებითი საგამოძიებო ორგანოების საქმიანობა საკანონმდებლო ორგანოში გამორჩეულია და მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პარალელები შეიძლება გავავლოთ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს სხვა სუბიექტებთან, მისი საქმიანობა მაინც გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება.

**4.1. გამოსაკვლევ საკითხთა წრე:** დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ გამოსაკვლევ საკითხთა წრე, როგორც წესი, მისი შექმნისას განისაზღვრება. შესაბამისად, გარკვეული მიზნით შექმნილი საგამოძიებო ორგანოს საქმიანობა მისი შექმნისას განსაზღვრული საკითხის შესწავლით შემოიფარგლება და ჩვეულებრივ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სათანადო დასკვნის მიღებისთანავე სრულდება. საგამოძიებო ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთ თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ მიუხედავად მისი საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებისა იგი შეზღუდულია მხოლოდ კონკრეტული საკითხით და ვერ გასცდება მისი შექმნის შესახებ საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებაში მითითებულ თემას.

საგამოძიებო ორგანოების მიერ გამოსაკვლევ საკითხთა წრე, რასაკვირველია პირდაპირ კავშირშია კომისიის შექმნის საფუძვლებთან, რომელიც საკანონმდებლო დონეზეა გაწერილი და უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად საკმაოდ ზოგად დებულებებს შეიცავს. „მაგალითისთვის, კონსტიტუციათა საფუძველზე კომისიები იქმნება „სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე საკითხებზე“, „კონკრეტული ფაქტის გამოსაძიებლად“, „საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხთა გამოძიებისთვის“; „სხვადასხვა პრობლემების შესწავლისა და გამოძიების მიზნით“... ცალკეულ შემთხვევებში კომისიის შექმნის საფუძველი კიდევ უფრო ზოგადია და მინიშნება მხოლოდ „განსაზღვრული საკითხების“

გამოძიებაზეა“[59]. უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო დონეზე ასეთი ზოგადი რეგულირება ერთი მხრივ იძლევა საშუალებას ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ნებისმიერ საკითხზე შეიქმნას საგამოძიებო კომისია და ამ მხრივ არ ზღუდავს მკაცრი ფარგლებით საკანონმდებლო ორგანოს, თუმცა მეორე მხრივ, ასეთი ზოგადი ჩანაწერები შესაძლოა იქცეს პოლიტიკური სპეკულაციის თემად. საგამოძიებო კომისიის შექმნის შემთხვევაში ამ ზოგადი საფუძვლებიდან უნდა განისაზღვროს ერთი კონკრეტული თემა, რომელთან დაკავშირებითაც ექნება უფლება საგამოძიებო კომისიას ჩაატაროს გამოძიება და გამოსაძიებელ საკითხთა წრეც სწორედ იმ კონკრეტული თემით შემოიფარგლება. ვინაიდან საგამოძიებო კომისია კონკრეტული საკითხის შესწავლითაა შეზღუდული ამით აიხსნება მისი დროებითი ხასიათიც. როგორც წესი, მისი უფლებამოსილების ვადა საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების ვადაზე ნაკლებია, ზოგ შემთხვევაში კი საკანონმდებლო დონეზე პირდაპირ არის მითითებული, როგორც შექმნის კონკრეტული ვადა, ასევე ვადის გაგრძელების შესაძლებლობისა და წესის შესახებ, ხოლო ზოგიერთი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოები თვითონ განსაზღვრავენ მის მიერ შექმნილი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილების ვადას საკუთარი გადაწყვეტილებით.

**4.2. უფლებამოსილებები:** დროებითი საგამოძიებო კომისიები საკანონმდებლო ორგანოში საკმაოდ ფართო უფლებებით სარგებლობენ. შეიძლება ითქვას, რომ მათი კომპეტენცია განსაკუთრებულია და ხასიათდება ყველაზე ფართო დისკრეციით უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების სხვა სუბიექტებთან შედარებით. მათი უფლებამოსილება საკანონმდებლო დონეზეა განსაზღვრული, კონსტიტუციით, პარლამენტის რეგლამენტით თუ შესაბამისი სპეციალური საკანონმდებლო აქტებით. უფლებამოსილებების ფარგლებიც განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით, თუმცა ძირითადი მიდგომა ერთია. საგამოძიებო

---

[59] *გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩხილაძე გ., ჭიღლაძე ნ.,* შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, გვ. 313.

ორგანოებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა სრული მოცულობით გამოიძიონ საკითხი. ამისათვის, როგორც წესი, გამოიყენება ისეთი მექანიზმები, როგორიცაა, შესაბამისი თანამდებობის პირებისგან ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნა, მოწმეების გამოძახება და მათთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა, საქმისათვის საჭირო დოკუმენტების მოძიება და გამოთხოვა, სისხლის სამართლის საქმეების გაცნობის შესაძლებლობა, ექსპერტების დანიშვნისა თუ საჭიროების შემთხვევაში  აუდიტორული შემოწმების ჩატარება და ა.შ. მაგალითად, საკმაოდ ფართო უფლებებით გამოირჩევა ბელგიის წარმომადგენლობითი პალატის საგამოძიებო კომისია. მას აქვს იგივე ძალაუფლება როგორც საგამოძიებო მაგისტრატებს სასამართლო გამოძიებისას, კომიტეტი უფლებამოსილია: გამოიძახოს მოწმეები და დაკითხონ ისინი ფიცის ქვეშ, მოითხოვოს საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, გასცენ ჩხრეკის ორდერი, განახორციელონ ვიზიტები ადგილებზე, გამოძიებისათვის ჩასატარებელი საჭირო განსაკუთრებული ღონისძიებებისთვის შეუძლია გაუგზავნოს მოთხოვნა სააპელაციო სასამართლოს პრეზიდენტს.[60] მაშინ როდესაც, ესტონეთის პარლამენტის საგამოძიებო კომისიას ძირითადად ინფორმაციის შეგროვების უფლებამოსილება გააჩნია.[61] არის ქვეყნები, სადაც საკანონმდებლო ორგანოში შექმნილი საგამოძიებო კომისიები თუ კომიტეტები თავიანთ საქმიანობაში სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმებით მუშაობენ.  „თუ გვინდა, რომ ამგვარი კომიტეტების საქმიანობა ნაყოფიერი იყოს, მათი პროცედურული უფლებამოსილებები უნდა განისაზღვროს სისხლის სამართლის საქმეებით დაკავებული მოსამართლეების თანაბრად“.[62] ამგვარი მიდგომაა გათვალისწინებული, მაგალითად გერმანიის კონსტიტუციაში[63], რომლის ანალოგიის გამოყენებასაც

---

[60] იხ, ბელგიის წარმომადგენელთა პალატის რეგლამენტი, მუხლი 145

[61] იხ. ესტონეთის პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 22

[62] *შაიო ა.*, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, *მ. მაისურაძის* თარგმანი, *თ. ნინიძის* რედაქტორობით, თბილისი, 2003, გვ. 178.

[63] იხ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი 44

გეგმავდნენ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის შემუშავებისას. „ნიემივუოს პრობლემურად მიაჩნდა, რომ საგამოძიებო კომისიას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად ემუშავა... საგამოძიებო კომისიას, მისი აზრით, არ უნდა დაეწყო მუშაობა როგორც სასამართლოს და რაიმე მიზნის მისაღწევად არ უნდა შეკრებილიყო როგორც სისხლის სამართლის საგამოძიებო ჯგუფი.“[64]

**4. 3. გამოძიების შედეგი:** საკანონმდებლო ორგანოში დროებითი საგამოძიებო კომისიების შექმნისა და საქმიანობის, მათი ამგვარი ფართო უფლებამოსილებებით აღჭურვის მთავარი მიზანი რა თქმა უნდა გამოსაკვლევ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული დასკვნების გაკეთებაა. თუმცა საინტერესოა რეალურად რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს საკანონმდებლო ორგანოს მიერ ჩატარებულ გამოძიებას. უმეტეს შემთხვევებში დროებითი საგამოძიებო ორგანოების გამოძიების შედეგები აისახება მათ დასკვნებში თუ ანგარიშებში და წარედგინება პარლამენტის პლენარულ სხდომას ან თავმჯდომარეს, რომელიც განიხილება პლენარულ სხდომაზე და აისახება საბოლოოდ პარლამენტის გადაწყვეტილებაში. აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება ჩვეულებრივი წესით.

საპარლამენტო გამოძიება საბოლოოდ მაინც პოლიტიკური ხასიათისაა და გამოძიების შედეგიც შეიძლება იყოს პირის პოლიტიკური პასუხისმგებლობა. ყველაზე გახმაურებული შედეგი 1973 წელს ე.წ. „უოტერგეიტის საქმეზე“ ამერიკის შეერთებული შტატების სენატში შექმნილი სპეციალური საგამოძიებო კომიტეტის საქმიანობას მოჰყვა. გამოძიებამ შედეგად რამდენიმე თანამდებობის პირის პასუხისგებაში მიცემა და თავად პრეზიდენტი ნიქსონის, მოსალოდნელი იმპიჩმენტის თავიდან ასაცილებლად, თანამდებობიდან გადადგომა გამოიწვია. ამ გადაწყვეტილებით ნიქსონი პირველი და ჯერ-ჯერობით ერთადერთი ამერიკის პრეზიდენტი გახდა, რომელიც საკუთარი ნებით გადადგა

---

[64] *ნიემივუო*, მემორანდუმი, 7 თებერვალი, 1995, თავი 3, გვ. 2. წიგნში: *ბაბეკი ვ.*, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995), საერთაშორისო იურიდიული დახმარების შედეგები ტრანსფორმირებად სახელმწიფოში, თარგმანი *კუბლაშვილი კ.*, თბილისი, 2002, გვ. 120.

თანამდებობიდან და ეს ყველაფერი საგამოძიებო კომიტეტის საქმიანობას მოჰყვა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ასევე უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების შესაძლებლობას, რომელსაც თავისი წესი აქვს და საკმაოდ მაღალ კვორუმსაც ითვალისწინებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საპარლამენტო უმცირესობის მიერ წამოწყებულ გამოძიებას საბოლოოდ უმრავლესობის მხარდაჭერა დასჭირდება, რათა გამოძიება კონკრეტული შედეგით დაასრულოს. „თუ საგამოძიებო კომიტეტების შექმნა აუცილებელია, მინისტრთა კაბინეტისადმი ლოიალური საპარლამენტო უმრავლესობა დაინტერესებულია, რომ კომიტეტმა რაც შეიძლება ცოტა რამ გამოიძიოს და მოპოვებული ინფორმაციის სანდოობა ეჭვს იწვევდეს... რაც უნდა გამოიძიოს საგამოძიებო კომიტეტმა ან მისმა უმცირესობამ, დარღვევების გამოსწორება მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობას შეუძლია“.[65] თუ ჩვენ საპარლამენტო გამოძიებას განვიხილავთ, როგორც უმცირესობის უფლებას, მათ ექნებათ შესაძლებლობა შექმნან საგამოძიებო კომისია და ამ დროს საბოლოო გადაწყვეტილება უმრავლესობის მხარდაჭერაზეა დამოკიდებული, საპარლამენტო გამოძიება შესაძლებელია მის საბოლოო მიზნამდე მაინც ვერ მივიდეს, იმ შემთხვევაში თუ მმართველი გუნდი არ გაიზიარებს საგამოძიებო კომისიის დასკვნაში ასახულ საკითხებს.

**დასკვნა:** საპარლამენტო გამოძიება, რომელსაც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ძირითადად სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი დროებითი კომისიების მეშვეობით ახორციელებს, წარმოადგენს საპარლამენტო კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას, თუმცა იგი სრული მოცულობით პარლამენტის, როგორც ხელისუფლების ორგანოს მიერ განხორცილებულ კონტროლის ფორმად არ შეგვიძლია მივიჩნიოთ, კომისიების შექმნისა და საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით. იგი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც საპარლამენტო უმცირესობის

---

[65] *შაიო ა.*, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, *მ. მაისურაძის* თარგმანი, *თ. ნინიძის* რედაქტორობით, თბილისი, 2003, გვ. 179.

უფლება, რომელიც მეტწილად პოლიტიკური ხასიათისაა და რეალურად შესაძლოა იქცეს საპარლამენტო კონტროლის ფორმის გამოყენებად კერძო პოლიტიკური მიზნებისათვის თუ ძალიან ფრთხილად არ მოვეკიდებით მისი შექმნის ინიციატორებისა და შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების კვორუმს. ზედმეტად დაბალი კვორუმი, ვფიქრობ შექმნის პარლამენტში წარმოდგენილი მცირერიცხოვანი პოლიტიკური ჯგუფების მიერ ამ მძლავრი იარაღის პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებისა და შესაძლოა, პოლიტიკური დაპირისპირების რისკს.

საკანონმდებლო ორგანოში საგამოძიებო კომისიის შექმნისა და საქმიანობის მიზანი ქვეყნისათვის იმ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, რომლის შესასწავლადაც შეიქმნა დროებითი საგამოძიებო კომისია, კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე მისვლაა. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა განიხილება, როგორც საპარლამენტო უმცირესობის უფლება, თუმცა გამოძიების საბოლოო შედეგი დამოკიდებულია მაინც უმრავლესობის მხარდაჭერაზე. უმცირესობის ინიციატივით შექმნილმა კომისიამ რომც მოახერხოს საქმის სრულყოფილად გამოძიება და შესაბამისი დასკვნის მიღება, მისი იმპლემენტაცია, გამოძიების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირება მაინც უმრავლესობის გადაწყვეტილებაზე და მათ პოლიტიკურ ნებაზე იქნება დამოკიდებული.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ორგანოს მიერ დროებითი საგამოძიებო კომისიებისა თუ კომიტეტების მეშვეობით საპარლამენტო გამოძიების განხორციელებისათვის, მათი შექმნისა და საქმიანობის წარმოდგენილ სტატიაში განხილული თავისებურებების გათვალისწინებით, ოპტიმალური საკანონმდებლო რეგულაცია იქნება ალბათ ისეთი შესაძლებლობის შექმნა, რომელიც ერთი მხრივ აძლევდეს საშუალებას საპარლამენტო ოპოზიციას მოახდინოს საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციირება, თუმცა მეორე მხრივ საპარლამენტო გამოძიება არ უნდა იქცეს მხოლოდ პოლიტიკურ იარაღად მათ ხელში და იგი უნდა წარმოადგენდეს რეალურად ხელისუფლების ორგანოებზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელების საშუალებას, რასაც დარღვევების აღმოჩენის

შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების ზომები მოჰყვება, რაც მმართველის ძალის მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. *ბაბეკი ვ.,* კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995), საერთაშორისო იურიდიული დახმარების შედეგები ტრანსფორმირებად სახელმწიფოში, თარგმანი *კუბლაშვილი კ.*, თბილისი,

2. *ბაბეკი ვ., ფიში ს., რაიჰენბეჰერი ც.,* კონსტიტუციის გადასინჯვა – საქართველოს გზა ევროპისაკენ, თბილისი, 2012;

3. *გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩხილაძე გ., ჭიღლაძე ნ.,* შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016;

4. *მელქაძე ო.*, სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი IV, თბილის, 1996;

5. *შაიო ა.*, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, *მ. მაისურაძის* თარგმანი, *თ. ნინიძის* რედაქტორობით, თბილისი, 2003;

6. ავტორთა კოლექტივი, ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი *დემეტრაშვილი ა.*, კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005;

7. ევროპის კომისია დემოკრატიისთვის კანონის გზით (ვენეციის კომისია), მოსაზრების პროექტი საკონსტიტუციო კანონპროექტის შესახებ საქართველოს კონსტიტუციაში შესწორებების და ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, მოსაზრება #543/2009, სტრასბურგი, 2010, http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL(2010)062-geo, გადამოწმებულ იქნა 09.02.2019

8. *Eva-Maria Poptcheva*, Parliament's Committees of Inquiry and Special Committees, EPRS| European Parliamentary Research Service, June 2016;

9. *Russell Keith*, Judicial Intervention in Parliamentary Proceedings: The Implications of Egan v. Willis, 28, Federal Law Review, 2000;

10. *Гусева Д. Е.*, Современные Институты Парламентского Контроля Европейских Государств (Германия, Франция, Великобритания, Россия), Politbook №3, 2016;

11. *Михалёва Н., Дьякова Т.*, Формы Парламентского Контроля, https://cyberleninka.ru/article/v/formy-parlamentskogo-kontrolya-1, გადამოწმებულ იქნა 09.02.2019;

12. *Трошев Д. Б.,* Возбуждение Парламентского Раследования, Актуальные Проблемы Российского Право №2, 2007;

13. *Якимова Е. М.,* Парламентские Расследования как Форма Парламентского Контроля: Опит России и Германии, Право и Законодательство, 2012;

14. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, N3875-რს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14.12.2018;

15. Basic Law for the Federal Republic of Germany, 23.05.1949, https://www.btg-bestellservice.de/pdf/80201000.pdf, გადამოწმებულ იქნა: 09.02.2019;

16. The Constitution of the Republic of Slovenia, 25.06.1991, http://www.dz-rs.si/wps/portal/en/Home/PoliticniSistem/UstavaRepublikeSlovenije,გადამოწმებულ იქნა: 09.02.2019

17. The Belgian Constitution, 17.02.1994, https://www.dekamer.be/kvvcr/pdf_sections/publications/constitution/GrondwetUK.pdf, გადამოწმებულ იქნა: 09.02.2019;

18. The Constitution of the Republic of Poland, 02.04.1997, http://www.sejm.gov.pl/prawo/konst/angielski/kon1.htm, გადამოწმებულ იქნა: 09.02.2019;

19. Federal Law on the Rules of Procedure of the Austrian National Council, Federal Law Gazette, No. 410/1975, https://www.parlament.gv.at/ENGL/PERK/RGES/GOGNR/index.shtml, გადამოწმებულ იქნა: 09.02.2019;

20. Standing Orders of the Congress of Deputies of Spain, 10.02.1982, http://www.congreso.es/portal/page/portal/Congreso/Congreso/Hist_Normas/Norm/standing_orders_02.pdf, გადამოწმებულ იქნა: 09.02.2019;

21. Standing Orders of the Parliament of Greece, 22.06.1987, https://www.hellenicparliament.gr/en/Vouli-ton-Ellinon/Kanonismos-tis-Voulis, გადამოწმებულ იქნა: 09.02.2019;

22. The Standing Orders of the Sejm of the Republic of Poland, 30.07.1992, http://oide.sejm.gov.pl/oide/en/index.php?option=com_content&view=article&id=

14798:the-standing-orders-of-the-sejm-of-the-republic-of-poland&catid=7&Itemid=361, გადამოწმებულ იქნა: 09.02.2019;

23. Rules of Procedure of the Saeima of the Republic of Latvia, 18.08.1994, http://www.saeima.lv/en/legislative-process/rules-of-procedure, გადამოწმებულ იქნა 09.02.2019

24. Seimas of the Republic of Lithuania – Statute, 17.02.1994, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/e495a6e2b60611e5be9bf78e07ed6470?jfwid=39x432mh7, გადამოწმებულ იქნა 09.02.2019

25. Regulation of the Chamber of Deputies of the Parliament of Romania, no. 8/1994, republished 12.04.2016, http://www.cdep.ro/pls/dic/site.page?id=240, გადამოწმებულ იქნა 09.02.2019;

26. Rules of Procedure of the Chamber of Deputies of the Czech Republic, 19.04.1995, http://www.psp.cz/en/docs/laws/1995/90.html#s1; გადამოწმებულ იქნა 09.02.2019;

27. Riigikogu Rules of Procedure and Internal Rules Act, 11.02.2003, https://www.riigiteataja.ee/en/eli/528012015007/consolide/current, გადამოწმებულ იქნა 09.02.2019;

28. The Rules of Procedure of the Belgian House of Representatives, 02.10.2003, გადამოწმებულ იქნა 09.02.2019.

# თვითშეფასებაზე მოქმედი ფაქტორები: პერფექციონიზმი, წარუმატებლობის შიში და შფოთვა

# The Factors that Influence Self-Esteem: Perfectionism, Fear of Failure and Anxiety

**ნათია არჩვაძე**
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA)
სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

**Natia Archvadze**
Georgian Institute of Public Affairs (GIPA)
PhD Student at Social Science Program

**რეზიუმე:** ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბება და ფორმირება მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარეობს. აღნიშნულ პროცესში მრავალი მექანიზმია ჩართული, როგორც პიროვნების შიგნით, ასევე პიროვნების გარეთ. „მე"-ს აღქმა და შემეცნება საკუთარი თავისადმი დასმული შეკითხვებით ხორციელდება. ჯერ კიდევ ძველი ფილოსოფოსები პიროვნების თვითშემეცნების პროცესს სამი ძირითადი შეკითხვით ახორციელებდნენ: რა არის სამყარო? ვინ ვარ მე? და რა უნდა ვაკეთო მე ამ სამყაროში? ფსიქოლოგიაშიც თვითშემეცნების პროცესი სწორედ საკუთრი თავისადმი დასმული შეკითხვებით ხორციელდება, როგორებიცაა: ვინ ვარ მე? რატომ ვარ ისეთი როგორიც ვარ? რას მინდა მივაღწიო ცხოვრებაში? და ა.შ. თვითშემეცნება თავის მხრივ თვითშეფასების კომპონენტია. ის თუ როგორ იმეცნებს პიროვნება საკუთარ თავს, როგორ აღიქვამს ის თავის „მე"-ს, როგორი წარმოდგენა აქვს საკუთრი თავის მიმართ, შესაბამისად უყალიბდება მას თვითშეფასება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თვითშებასება საკმაოდ კომპლექსური პროცესია და მასზე მოქმედი ფაქტორებიც სხვადასხვაა. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, ისეთ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება, როგორებიცაა პერფექციონიზმი, წარუმატებლობის შიში და შფოთვა და მათი გავლენა პიროვნების თვითშეფასებაზე. რაც შეეხება პერეფქციონიზმს, ის შეიძლება იყოს ჯანსაღი ან არაჯანსაღი. სწორედ ის თუ რა ტიპის პერფექციონისტია პიროვნება, შესაბამისად იცვლება მისი საკუთარი თავისადმი დამოკიდებულებაც და

თვითშეფასებაც. მნიშვნელოვანია ასევე მშობლების როლზეც ყურადღების გამახვილება, რომლებმაც ბავშვების პერეფექციონისტებად ჩამოყალიბებაში შეიძლება დიდი როლი შეასრულონ.

რაც შეეხბა წარუმატებლობის შიშს და შფოთვას, მათ ასევე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ პიროვნების „მე“-ს შემეცნებაზე. ამ შემთხვევაში საინტერესოა ვისაუბროთ ისეთ გარემოებებზე თუ როგორ აფასებს ადამიანი საკუთარ თავს განცდილი მარცხის შემთხვევაში, რამდენად ადანაშაულებს ის თავის თავს კონკრეტული წარუმატებლობის შემდეგ, ემართება თუ არა მას დეპრესია ან პირიქით შემართებით ცდილობს დაშვებული შეცდომის გამოსწორებას. ყველა პიროვნება წარუმატებლობას განსხვავებულად აღიქვამს, რადგან ყველა ადამიანს განსხვავებული ღირებულებითი და რწმენითი სისტემა აქვს. მაშინ როდესაც ზოგიერთისთვის წარუმატებლობა შეიძლება ცხოვრებისეული გამოცდილება იყოს, ზოგისთვის პირიქით ის შეიძლება შფოთვის მიზეზი გახდეს.

**საკვანძო სიტყვები:** „მე“კონცეფცია, თვითშეფასება, პერფექციონიზმი, წარუმატებლობის შიში, შფოთვა

**Abstract:** Formation of the personality of a person develops during the lifetime. There are a lot of mechanisms involved in this process, as inside the person as outside of him. Perception of “Self” is realized by asking self questions. Even in ancient time philosophers used to ask three major questions for self-concept, such as: What is the Universe? Who am I? What should I do in this Universe?

In psychology self-perception is also conducted by asking different self-questions: Who am I? Why am I such person, as I am? What should I achieve in life? Self-perception, in its turn, becomes the base of self-esteem. The way a person percepts himself, how does he sees himself and what kind of opinion he has about himself, in the end all this forms self-esteem.

Though, it should be mentioned that self-esteem is a complex process and the factors that influence it are various. Therefore, in this case, it would be interesting to pay attention to those points, such as: perfectionism, fear of failure and anxiety.

As to perfectionism, it could be healthy or unhealthy. Accordingly, different types of perfectionist may have different types of self-esteem. The role of parents should also be mentioned in transforming their children as perfectionist individuals.

What about the fear of failure and anxiety, they also have significant influence on self perception. It is also worth to mention the circumstances how a person reacts on his failure and how much blame he puts on himself afterwards. Does he feel depression or on the contrary diligently tries to put his mistakes right. All persons estimate their failure in a different way, because each of them has different system of values and beliefs. When for someone failure becomes a lifetime experience, for others is could be a reason for anxiety.

**Key Words:** Self-Concept, Self-Esteem, Perfectionism, Fear of Failure, Anxiety

პიროვნების ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდან იწყება და ის თუ როგორ იმეცნებს ადამიანი საკუთარ თავს, შესაბამისად ხდება მისი თვითშეფასების ფორმირებაც. ჯერ კიდევ ძველი ფილოსოფოსები პიროვნების თვითშემეცნების პროცესს სამი ძირითდი შეკითხვით ახორციელებდნენ: რა არის სამყარო? ვინ ვარ მე? და რა უნდა ვაკეთო მე ამ სამყაროში? ფსიქოლოგიაშიც თვითშემეცნების პორცესი სწორედ საკუთარი თავისადმი დასმული შეკითხვებით ხორციელდება, როგორებიცაა: ვინ ვარ მე? რატომ ვარ ისეთი როგორიც ვარ? რას მინდა მივაღწიო ცხოვრებაში? და ა.შ. თვითშემეცნება საფუძვლად უდევს პიროვნების თვითსეფასების ჩამოყალიბებას. ეს უკანასკნელი, საკმაოდ კომპლექსური პროცესია და მასზე მოქმედი ფაქტორებიც სხვადასხვაა. ამ შემთხვევაში, საინტერესოა, ისეთ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება, როგორებიცაა პერფექციონიზმი, წარუმატებლობის შიში და შფოთვა და მათი გავლენა პიროვნების თვითშეფასებაზე.

პერეფქციონიზმს რაც შეეხება, ის შეიძლება იყოს ჯანსაღი ან არაჯანსაღი. ის თუ რა სახის პერფექციონიზმი ახასიათებს ადამიანს შესაბამისად იცვლება მისი „მე“ კონცეფცია, ანუ საკუთარი თავის აღქმა და შესაბამისად უყალიბდება მას მაღლი ან დაბალი თვითშეფასება. მნიშვნელვანია ასევე მშობლების როლზეც ყურადღების გამახვილება, რომლებიც ბავშვების პერეფქციონისტებად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს

ასრულებენ. რაც შეეხბა წარუმატებლობის შიშს და შფოთვას, ამ შემთხვევაში საგულისხმოა, ვისაუბროთ ისეთ გარემოებებზე თუ როგორ აფასებს ადამიანი საკუთარ თავს, როდესაც ის მარცხს განიცდის, რამდენად ადანაშაულებს თავის თავს კონკრეტული წარუმატებლობის განცდის შემდეგ, ემართება თუ არა მას დეპრესია ან პირიქით შემართებით თუ ცდილობს დაშვებული შეცდომის გამოსწორებას. ყველა პიროვნება წარუმატებლობას განსხვავებულად აღიქვამს, მაშინ როდესაც ზოგიერთისთვის ის ცხოვრებისეულ გამოცდილებად იქცევა, ზოგისთვის პირიქით წარუმატებლობა შეიძლება შფოთვის მიზეზიც გახდეს.

ზემოთაღნიშნული ფაქტორები გავლენას ახდენენ „მე“-ს კონცეფციის ჩამოყალიბებაზე. „მე“-ს კონცეფცია ტერმინია, რაც თავისთავად პიროვნების თვითშეფასებას გამოხატავს. ლუისის (1990) მიხედვით, „მე“-ს კონცეფციის განვითარება ორ ასპექტს მოიცავს: 1. ეგზისტენციური „მე“- როდესაც „მე“-ს გაცნობიერება იწყება 2-3 თვის ასაკში და ბავშვის სამყაროსთან ურთიერთობის პარალელურად ვითარდება. 2. კატეგორიული „მე“-როდესაც ბავში თავის თავის შეფასებას გარგვეული კატეგორიული ნიშნებით ახდენს, მაგალითად თმის ფერი, სიმაღლე და ა. შ. ხოლო მოგვიანებით „მე“-ს აღწერა მოიცავს პიროვნების შიდა ფსიქოლოგიურ თრეიტებს, შედარებით შეფასებებსა და იმას, თუ როგორ ხედავენ მას სხვები.

კარლ როჯერსი (1959) ფიქრობს, რომ „მე“ კონცეფცია სამი სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება:

- წარმოდგენა საკუთარ თავზე („მე“-ს ხატი);
- რამდენად აფასებს პიროვნება საკუთარ თავს (თვითშეფასება);
- როგორი უნდა პიროვნებას რომ იყოს (იდეალური „მე“);

თვითშეფასება გულისხმობს, თუ რამდენად მოსწონს და აფასებს ადამიანი საკუთარ თავს. როდესაც ადამიანს მაღალი თვითშეფასება აქვს ის პოზიტურად არის განწყობილი საკუთარი თავის მიმართ, ნაკლებად ღელავს თუ რას ფიქრობენ სხვები მასზე და ოპტიმისტია.

დაბალი თვითშეფასების შემთხვევაში პიროვნებას ნეგატიური განწყობა აქვს საკუთრი თავის მიმართ, მას აკლია თავდაჯერებულობა და სურს რომ სხვის მსგავსად გამოიყურებოდეს. ის მძაფრად განიცდის თუ რას ფიქრობენ მასზე სხვები და პესიმისტია.

თვითშეფასების კვლევისას საინტერესოა ვიცოდეთ თუ როგორია პიროვნების იდეალური „მე“. გორდონ ოლპორტი თვლის, რომ ყოველ ადამიანს გააჩნია ხუთი განსხვავებული „მე“.

1. ადამიანის რეალური „მე“;

2. საკუთარი „მე“, ისეთი როგორიც მის წარმოდგენაშია;

3. მისი „მე“ სხვა ადამიანის წარმოდგენაში;

4. ადამიანის წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რისი სურვილი აქვს გახდეს მომავალში;

5. წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორია სხვების სურვილი რომ გახდეს მოცემული ინდივიდი.

ის თუ როგორ ხედავს ადამიანი თავის თავს, შესაბამისად უყალიბდება მას პოზიტიური ან ნეგატიური თვითშეფასება. რამდენაც ადამიანის ბუნება კომპლექსურობით გამოირჩევა, შებამისად კომპლექსურია რიგი მიზეზები, თუ რატომ გრძნობს ადამიანი თავს, ისე როგორც გრძნობს და რატომ აღიქვამს ყველა პიროვნება განსხავებულად მის ირგვლივ მყოფ გარემოს და საკუთარ თავს. რადგანაც ერთი კონკრეტული მიზეზი არ არის თვითშეფასების ჩამოყალიბებაზე პასუხისმგებელი, აქედან გამომდინარე საინტერესოა სხვადასხვა მიზეზების კვლევა, რომლებმაც მეტ-ნაკლებად შეიძლება გავლენა იქონიონ „მე“ კონცეფციის ფორმირებაზე. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია პერფექციონიზმი.

არსებობს ორი ტიპის პერფექციონიზმი: ჯანსაღი და არაჯანსაღი. ჯანსაღი პერფექციონიზმი ხასიათდება საკუთარი თავისადმი და სხვებისთვის მაღალი სტანდარტების დაწესებით, თუმცა თუ

პიროვნება ვერ აღწევს თავის დასახულ მიზნებს ის ამას ძალიან არ განიცდის. ადვილად უმკლავდება მარცხს, უფრო მოტივირებული ხდება და დაუღალავად შრომობს წარმატების მისაღწევად.

სხვა სურათი გვაქვს არაჯანსაღი პერფექციონიზმის შემთხვევაში. თუ პიროვნებას აღნიშნული სახის პერფექციონიზმი ახასიათებს, ის ზედმეტად მგრძნობიარეა განცდილი მარცხის მიმართ. ამ შემთხვევაში ინდივიდს შეიძლება გადაჭარბებული ფორიაქი და შიში აწუხებდეს წარსულში დაშვებული შეცდომების გამო, რაც ახალი მიზნების დასახვაში ხელს შეუშლის. ამ დროს პიროვნება ასევე განსაკუთრებული მგრძნობელობით გამოირჩევა თუ როგორ ხედავენ და აფასებენ მას სხვები კონკრეტული მარცხის განცდის შემთხვევაში. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი დიდ გავლენას ახდენს ინდივიდის ცხოვრებაზე, იწვევს გამძაფრებულ შფოთვასა და სტრეს.

1978 წელს ფსიქოლოგმა ჰამაჩეკმა გამოყო ორი ტიპის პერფექციონიზმი და ადამიანები დაყო ნორმალური და ნევროტული პერფექცინიზმის მქონედ. ნორმალური პერეფექციონიზმის მქონე პირები პერეფქციონიზმის მიღწევას თავიანთი თვითშეფასების ხარჯზე არ ცდილობენ, ამგვარი ტიპის ადამიანები სიმოვნებას იღებენ მათ მიერ გაწეული შრომიდან. ნევროტული პერფეციონისტები კი უკმაყოფილებას განიცდიან, როდესაც მიზნის მიღწევას ვერ ახდენენ.

ადამიანების პერფექციონისტად ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებენ ასევე მათი მშობლები. ეს მაშინ ხდება, როდესაც ეს უკანასკნელები: ზედმეტად კრიტიკულები და მომთხოვნები არიან; მათი მოლოდინები და სტანდარტები შვილების მიმართ მაღალია; ისინი არ აქებენ და არ ახალისებენ ბავშვებს; თავად არიან პერფექციონისტები და შესაბამისად შვილებისთვის მისაბაძ მაგალითად იქცევიან.

ხშირად მშობლები ვერ აცნობიერებენ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვის წახალისება ამა თუ იმ საქმეში, რადგან ეს საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს პიროვნების თვითშეფასების ჩამოყალიბებაზე. მუდმივი უკმაყოფილების გამოხატვა ბავშვების

ქცევების მიმართ, პატარებს არასრულფასოვნების განცდას უჩენს, რაც მათ ასევე დიდობის ასაკშიც მიჰყვებათ. ისინი ცდილობენ გააკეთონ უფრო მეტი, იმაზე მეტი ვიდრე სხვები აკეთებენ, ხანდახან ისახავენ არარეალურ მიზნებსა და სტანდარტებს, რათა მოსაწონები იყვნენ როგორც მშობლებისთვის, ასევე საზოგადოებისთვის. მართალია, არაიან ადამიანები, რომლებსაც თავიანთი თავისადმი რწმენა იმედანად გამყარებული აქვთ, რომ გარემო ფაქტორების ზემოქმედება მათ თვითშეფასებაზე თითქმის არ მოქმედებს, თუმცა ხშირ შემთხვევაში, იმდენად, რამდენადაც პიროვნება სოციალური არსებაა, მას თავისი თავისადმი რწმენა და თვითშეფასება სოციუმის მის მიმართ დამოკიდებულებით უმყარდება. სწორედ ამიტომ მიკრო გარემო, ოჯახი სადაც ბავშვი იზრდება უნდა ცდილობდეს მას განუმტკიცოს თავისი თვისადმი და შესაძლებლობებისადმი რწმენა, რაც პატარას მომავალში სრულფასოვანი „მე“ კონცეფციის ჩამოყალიბებაში აუცილებლად დაეხმარება. თუმცა აქვე უნდა ითქვას, თუ მშობლები თავად არიან პერფექციონისტები, რთულად წარმოსადგენია მათ შვილების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდეთ.

ეტინა ბენსონის 2003 წლის „ამერიკის ფსიქოლოგიის ასოციაციის“ ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში “პერფექციონიზმის მრავალი სახე” ვეცნობით პოლ ჰიუტისა და გორდონ ფლეტის კვლევას. პოლ ჰიუიტმა და გორდონ ფლეტმა 20 წელზე მეტხანს კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ პერფექციონიზმი კორელაციაშია დეპრესიასთან, შფოთვასთან, კვების დარღვევასთან და გონებრივი ჯანმრთელობის პრობლემებთან.

თვითშეფასებაზე მოქმედი ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ასევე გამოვყოთ შიში და შფოთვა და აღვნიშნოთ ის განსხვავები რაც მათ შორის არსებობს. როგორც წესი, შიშისა და შფოთვის მთავარი ფუნქციებია, რომ მათ ადამიანში გამოიწვიონ წინასწარი რეაქციები, კონკრეტული საფრთხის ან კონფლიქტის დადგომამდე. ისინი ერთგვარად საგანგაშო სიგნალებს წარმოადგენენ პიროვნებისთვის, რომ ინდივიდმა სხეული მოამზადოს უცნობი თუ ნაცნობი საფრთხის წინააღმდეგ. თუმცა შიშსა და შფოთვას შორის არსებობს არსებითი განსხვავება. შფოთვა უფრო წარმოადგენს

გენერალიზირებულ რეაქციას უცნობი მუქარისა და შინაგანი კონფლიქტის მიმართ, მაშინ როდესაც შიში ორიენტირებულია ცნობილ გარეგან საფრთხეზე. შფოთის მიზეზი შეიძლება იყოს გაურკვევლობა, პიროვნება ვერ აკონტროლებს სიტუაციას და განიცდის შფოთვას.

შიშების ჩამოყალიბებაზე პასუხისმგებლები შეიძლება სხვადასხვა გარემო ფაქტორები გახდნენ, როგორებიცაა მაგალითად:

- სოციალური გარემო, სადაც ტრავმული მომენტების გამო ხდება კონკრეტიული შიშების პროვოცირება, რაც ადამიანს შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვეს;
- დაკვირვებით დასწავლა, როდესაც ტრამვულ სოციალურ გარემოში ხდება სხვა ადამიანზე დაკვირვება. პიროვნება ხედავს, რომ კონკრეტულ სიტუაციაში სხვა ადამიანი დაშვდა და ეშინია მასაც იგივე არ დაემართოს;
- ინფორმაციის გადაცემა, როდესაც მაგალითად შეშინებული და სოციალური შფოთვის მქონე მშობლები შვილებს აწვდიან ინფორმაციას სოციალური სიტუაციების საფრთხეების შესახებ;
- აღზრა, რაც ასევე მნიშვნელოვანია შიშების ჩამოყალიბებაში.

შიში არის ნეიტრალური ევოლუციური პასუხი ახალ სიტუაციებზე, მაგრამ მაშინ რა ხდება თუ შიში ჩნდება თვითრწმენის არქონის გამო? თუ ადამიანი არ ენდობა საკუთარ თავს, რომ შეუძლია ისწავლოს, მათ შორის შეცდომებიდან. როდესაც პიროვნება ყველა პრობლემებიდან გამოსვალს ეძებს და ოპტიმისტია, ეს იმის მანიშნებელია, რომ ის თავის თავდაჯერებულობას შიშზე მაღლა აყენებს და შესაბამისად მისი თვითსეფასებაც მაღლი იქნება. აქედან გამომდინარე მთავარია, რომ ინდივიდმა გააცნობიეროს რისი ეშინია მას და მის წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებები განახორციელოს.

დაბალი თვითშეფასების მქონე ბავშვებს, რომლებიც ხშირად ხდებოდნენ საზოგადოების მიერ დაცინვის ობიექტები, შეიძლება დაბალი თვიშეფასება მომავალშიც ჰქონდეთ. შესაბამისად აწუხებდეთ გარკვეული შფოთვები და შიშები, რაც დაკავშირებულია საზოგადოების მის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებასთან. დაბალი თვითშეფასების მქონე პიროვნება თუ ფიქრობს, რომ ის

სხვებისთვის მიუღებელია, როგორც წესი განიცდის შფოთვას, რადგან არ იცის თუ როგორ მოერგოს კონკრეტულ საზოგადოებას და რითი მოაწონოს მას თავი. მაშინ როდესაც, შფოთვისა და შიშის დასაძლევად ზოგიერთი

ინდივიდი ინტროსპექციას იწყებს, ანუ ცდილობს საკუთარ თავში იპოვოს პრობლემის გასაღები და გადალახოს ფსიქოლოგიური დაბრკოლებები, ზოგიერთი პირიქით შიშთან გამკლავებაში თავის თავს ადანაშაულებს და ჰგონია, რომ მას აქვს პიროვნული ნაკლი, რის გამოც ის საზოგადოებისთვის მიუღებელია.

მაღალი თვითშეფასების მქონე ინდივიდებსაც შეიძლება ყველა ადამიანთან ურთიერთობა ადვილად არ გამოსდიოდეთ, თუმცა ამ შემთხვევაში ისინი ასე მძაფრად არ განიცდიან წარუმატებელ ურთიერთობებს, ცხოვრებისეულ დაბრკოლებებსა თუ მარცხს. ისინი ცხოვრებას მეტი ოპტიმიზმით უყურებენ და მარცხი თუ წარმატება მათი თვითშეფასების დონეზე ნაკლებად მოქმედებს.

არის შემთხვევები, როდესაც პიროვნებაში იმდენად ძლიერია წარუმატებლობის შიშის განცდა რომ ის უარს ამბობს კონკრეტული ქმედებების განხორციელებაზე. თუმცა სწორედ ამ დროს როდესაც ინდივიდს წარუმატებლობის შიშის განცდა აჩერებს, რომ მიზანს მიაღწიოს, შესაძლოა მან ამ დროს წარმატების შანსი გაუშვას ხელიდან.

წარუმატებლობის შიშის ქონა, რა თქმა უნდა, მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, მშობლების ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. ბავშობაში გადატანილი ტრავმული მოგონებები დიდობაში იჩენენ თავს. ასევე თუ წარსულში პიროვნებამ განიცადა მარცხი, შეიძლება მას გაუჩნდეს შიში რომ სხვა დროსაც იგივე განმეორდება.

როგორც წესი, წარუმატებლობის შიშის დროს ადამიანს შემდეგი განცდები აწუხებს:

- უხალისოდ ეკიდება სიახლეებს;
- თვითსაბოტაჟს განიცდის-როდესაც პიროვნება თავის თავს თავად უშლის ხელს წარმატების მიღწევაში და ხელის შეშლა გამოწვეულია მისთვის საზიანო ფიქრებით, როგორებიცაა: „ცდას

აზრი არ აქვს, მაინც არ გამომივა“, „ამის გაკეთება ჩემთვის ძალიან რთულია“ და ა.შ.;

- დაბალი თვითშეფასება-ამ შემთხვევაშიც პიროვნებას არ აქვს თავის თავისადმი რწმენა, რომ ის შეძლებს საქმის შესრულებას და წარმატების მიღწევას;
- პერფექციონიზმი-სურვილი, იმის რომ სცადო მხოლოდ ისეთი რამეების კეთება, რომლებსაც ზუსტად იცი, რომ კარგად დაასრულებ და წარმეტებული იქნები.

წარმატებული ადამიანების ცხოვრება წარუმატებელი ადამიანების ცხოვრებისგან იმით კი არ განსხვავდება, რომ წარმატებულებს, ყოველთვის უმართლებდათ, მუდმივად იმას იღბდნენ ცხოვრებიდან, რაც უნდოდათ, განსხვავება ამ ორი კატეგორიის ადამიანებში სხვა რამეა. წარმატებულ ადამიანებს როცა ცხოვრება გამოწვევებს სთავაზობს, ისინი არ ნებდებიან, მარცხს ცხოვრებისეულ გამოცდილებად აქცევენ და დასახული მიზნისკენ მაინც უშიშრად მიიწევენ წინ.

მკვლევარებმა ნათლად აჩვენეს, რომ წარუმატებლობის შიშს ნეგატიური გავლენა აქვს პიროვნების კეთილდღეობაზე. მიუხედავად წარუმატებლობის შიშის მნიშვნელობისა, მასზე ცოტა კვლევაა ჩატარებული. ტევანი (1983) ფოკუსირებულია მშობლების როლზე ბავშვებში წარუმატებლობის შიშის ჩამოყალიბებაზე. განსაკუთრებით ის გამოყოფს დედების როლს, როდესაც ისინი შვილებს წარუმატებლობის შემთხვევაში სჯიან, ხოლო წარმატების შემთხვევაში ნეიტრალურები არიან. არგილმა და რობინსონმა (1962) შეამოწმეს ბავშვების მიღწევების მიმართ მშობლების მოლოდინებს შორის და ბავშვების წარუმატებლობის შიშს შორის კავშირი და დაადგინეს, რომ მაღალი მოლოდინები პოზიტიურ კავშირშია წრაუმატებლობის შიშთან, განსაკუთრებით იმ ბავშვებთან, რომლებიც მშობლებთან ძლიერ იდენტიფიცირებას ახდენენ.

საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ თვითშეფასებაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია პერფექციონიზმის, წარუმატებლობის შიშისა და შფოთვის გამოყოფა. ეს ფაქტორები თავის მხრივ გავლენას ახდენენ პიროვნების „მე“ კონცეფციის

ჩამოყალიბებაზე. ის თუ რა მიზნებს უსახავს ინდივიდი საკუთარი თავს, რამდენად ახერხებს აღნიშნული მიზნების მიღწევას, განიცდის თუ არა შფოთვას მიზნების მიღწევის პროცესში, შეგვიძლია დავადგინოთ რამდენად მაღლი ან დაბალი თვითშეფასება ახასიათებს მას. განსხვავებული ტიპის პერფექციონისტები განსხვავებულად აღიქვავენ საკუთარ თავს. შესაბამისად, მათთვის კონკრეტულ ცხოვრებისეულ მარცხთან გამკლავებაც განსხვავებულად ხდება. მაშინ, როდესაც ჯანსაღი პერფექციონიზმის მქონე პირებს არ ახასიათებთ წარუმატებლობის შიში, პირიქით ცდილობენ მარცხი ცხოვრებისეულ გამოცდილებად აქციონ და მიზნის მისაღწევად უშიშრად წინ მიიწევენ, არაჯანსაღი პერფექციონიზმის მქონე პირები, ჯერ კიდევ საქმის დაწყების წინ, შფოთვასა და შიშს განიცდიან და თუ მათი ნეგატიური მოლოდინები გამართლდა, ისინი ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ რეალობას, რაც შესაძლოა სტრესისა და დეპრესიის მიზეზიც გახდეს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Akay, S., & Bratton, S. (2017). The effects of Adlerian play therapy on maladaptive perfectionism and anxiety in children: A single case design. *International Journal of Play Therapy, 26*(**2**), 96-110.
2. Benson E. (2003). The many faces of perfectionism: The need for perfection comes in different flavors, each associated with its own set of problems, researchers say.American Psychological Association, Vol 34, No. 10
3. Elliot, A. J., & Sheldon, K. M. (1997). Avoidance achievement motivation: A personal goals analysis. Journal of Personality and Social Psychology, 73, 171-185.
4. Garber, J., Robinson, N., & Valentiner, D. (1997). The relation between parenting and adolescent depression: Self-worth as a mediator. Journal of Adolescent Research, 12, 12-33
5. Hill, R. W., Huelsman, T. J., Furr, R. M., Kibler, J., Vicente, B. B., Kennedy, C. (2004). *A New Measure of Perfectionism: The Perfectionism Inventory.* Journal of Personality Assessment, 80-91
6. Hermans, W. (1990). Fear of failure as a distinctive personality trait measure of test anxiety. Journal of Research and Development in Education, 23, 180-
7. Positive identity as a positive youth development construct: A conceptual review. The Scientific World Journal, 2012.

8. Schmalt, H. D. (1982). Two concepts of fear of failure motivation. In R. Schwarzer, H. van der Ploeg, & C. Spielberger (Eds.), Advances in test anxiety research (Vol. 1, pp. 45-52). Hillsdale, NJ: Lawrence Earlbaum.
9. Stoeber, J., Schneider, N., Hussain, R., & Matthews, K. (2014). Perfectionism and negative affect after repeated failure: Anxiety, depression, and anger. *Journal of Individual Differences, **35***(2), 87-94
10. Teevan, R. (1983). Childhood development of fear of failure motivation: A replication. Journal of Personality and Social Psychology, 53, 506.

# კორპორაციის მართვის სტრუქტურის შერჩევის ზოგიერთი ასპექტიThe Some Aspects of Selection of Corporation Management Structure

**ნინო ლაზვიაშვილი** - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
თბილისის ღია უნივერსიტეტი
**ქეთევან მდინარაძე** - ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფესორი
თბილისის ღია უნივერსიტეტი
**Nino Lazviashvili** – PhD of Economics, Professor,
Tbilisi Open University
**Ketevan Mdinaradze** – PhD of Economics, Associate Professor,
Tbilisi Open University

**რეზიუმე:** კორპორაციაში სტრუქტურული ურთიერთკავშირები მრავალი მკვლევარისა და ხელმძღვანელის მუდმივი ყურადღების ცენტრშია. კომპანიის მიზნების მიღწევის ეფექტიანობისათვის აუცილებელია სამუშაოების, ქვეგანყოფილებებისა და ფუნქციური ერთეულების სტრუქტურის აგება.

ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება კორპორაციაში მართვის სტრუქტურას, შემდეგია: [1] ოპტიმალურობა, მოქნილობა, ადაპტაციურობა, მდგრადობა, საიმედოობა. კორპორაცია თავისი სტრუქტურის ტიპის (მექანიკური, ორგანული, ინოვაციური) არჩევისას, უნდა შეეცადოს, რომ აკმაყოფილებდეს ამ მოთხოვნებს.

ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს:

1. ადამიანებსა და მათ სამუშაოს შორის რეალური ურთიერთკავშირები, რაც აისახება ორგანიზაციული სტრუქტურების სქემებზე და თანამდებობრივ ვალდებულებებში;
2. ხელმძღვანელობის პოლიტიკა და მეთოდები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერსონალის ქცევაზე;
3. ორგანიზაციის მუშაკების უფლებამოსილებები და ფუნქციები მართვის სხვადასხვა დონეზე.

**საკვანძო სიტყვები:** კორპორაცია, მართვის სტრუქტურა, მენეჯმენტი, ეფექტიანობა, საპროექტო სტრუქტურა, უფლებამოსილება, პასუხისმგებლობა, იერარქია.

**Abstract:** According to the above mentioned, the following conclusion can be drawn: there does not exist any such structure of corporation management that is universal and fits it in all situations. Great knowledge, experience, intuition and providing insight into the situation are necessary when selecting a management structure. Besides, a structure will not be static, this means unchanged, it must be changed or modified according to the change in situation. It is evident that the same management structure will not be fit for a transnational corporation which functions in many countries of the world through the network of its affiliates and subsidiaries, and for a corporation working within the boundaries of one country.

However, which organizational structures must be the ones of the future?

Since the beginning of the 1990's, managers of corporations have been turned aware of the fact that an administrative-imperious (authoritarian) hierarchy is not acceptable any more. In a multilevel hierarchy corporation personnel are not able to help customers and adjust themselves to the changed environment.

In such conditions a horizontal structure, quick reaction and creative approach become necessary for the corporation. Managers and personnel which will have the proper authorization for reorganization of business processes, formation of self-governing work groups, introduction of Internet technologies and creation of an infrastructure of electric commerce are necessary for creating an effective organization.

**Key Words:** Corporation, management structure, management, efficiency, design structure, authority, responsibility, hierarchy.

**შესავალი:** ბოლო წლებში, კორპორაციულ სამყაროში სულ უფრო შეინიშნება ავტორიტარული, მრავალდონიანი იერარქიული სტრუქტურიდან უფრო ჰორიზონტალურ, დეცენტრალიზებულ სტრუქტურაზე გადასვლის ტენდენცია. ეს პროცესი პასუხობს დროის სამ მნიშვნელოვან მოთხოვნას: [2]

1. ინტერნეტის ეპოქაში შესვლის პარალელურად ტრადიციული იერარქიული სტრუქტურები, რომლებიც ორგანიზებული არიან საწარმოო სპეციალიზაციის პრინციპით, რადიკალურად უნდა შეიცვალონ, რომ შეძლონ ელექტრონული ტექნოლოგიების პოტენციალის და ახალ შესაძლებლობათა რეალიზაცია გარე ბაზარზე.

2. გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების დელეგირება უნდა მოხდეს ქვედა დონეზე. ეს არის ადეკვატური, კომპეტენტური და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების გარანტია. პრაქტიკაში ეს გულისხმობს იმ თანამშრომელთა უფლებამოსილებით აღჭურვას, რომლებიც ყველაზე უფრო ახლოს იმყოფებიან მოქმედების ადგილთან, ფლობენ ინფორმაციას და შეუძლიათ ყველა ფაქტორის გათვალისწინება.
3. რიგით თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ უფლება თანამდებობრივი ინსტრუქციის ფარგლებში იმოქმედონ საკუთარი შეხედულებების მიხედვით. თანამშრომლებისათვის გადაწყვეტილებების უფლების მინიჭება და მათ შედეგებზე პასუხისმგებლობის აღება კომპანიას საშუალებას აძლევს საკუ-თარი ინტელექტუალური კაპიტალი ეფექტიანად გამოიყენოს, რაც მიუღწევადია ცენტრალიზებული მართვის პირობებში.

**ძირითადი ტექსტი**. გარდამავალ ეკონომიკაში კომპანიების ორგანიზაციული გარდაქმნის ერთ-ერთი ტენდენცია არის მმართველობითი სტრუქტურების ცალკეული რგოლების დამოუკიდებლობის არსებითი ზრდა და ამ საფუძველზე შვილობილი ფირმების ქსელის ფორმირება, რომელთაც მოთხოვნილებების ცვლილების შესაბამისად სწრაფი გარდაქმნის უნარი აქვთ. ამის გამო ხდება საქონლის მწარმოებელი საწარმოების სამომხმარებლო სექტორებთან დაახლოება, რაც იწვევს პროდუქციის რეალიზაციის დაჩქარებას. ამით, ერთი მხრივ, იქმნება დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტები, რომლებიც ორიენტირებული არიან მომხმარებლებზე, ხოლო, მეორე მხრივ, შენარჩუნებულია კორპორაციის საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექსის მთლიანობა, მისი საქმიანობის საერთო მიმართულება და პროფილი.

მართვის **საპროექტო სტრუქტურა** წარმოადგენს დროებით ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია კონკრეტული კომპლექსური ამოცანის (პროექტის შექმნა და მისი რეალიზაცია) გადასაწყვეტად. განსაზღვრული პროექტის შესასრულებლად ერთ გუნდში იკრიბებიან სხვადასხვა პროფესიის კვალიფიციური თანამშრომლები. პროექტის დასრულებისა და მასთან დაკავშირებული ყველა ამოცანის გადაწ-ყვეტის შემდეგ გუნდში მომუშავენი ბრუნდებიან თავიანთ

ქვედანაყოფებში მუდმივ სამუშაოზე ან იწყებენ სხვა პროექტის შესრულებას. პროექტის ხელმძღვანელს ექვემდებარება გუნდის ყველა წევრი და მოცემული მიზნისათვის გამოყოფილი ყველა რესურსი.

პროექტის ხელმძღვანელმა უნდა შეძლოს განსხვავებული ტიპის სპეციალისტების შეთანხმებული მუშაობის ორგანიზება, რადგან მოცემულ შემთხვევაში მათ უჭირთ დინამიური საპროექტო ჯგუფის პირობებში ახალ სამუშაო ურთიერთობებთან შეგუება. ხშირად წარმოიქმნება, როგორც პროექტის მუშაობის კოორდინირებასთან, ისე ჯგუფის საერთო მუშაობაში მათი პირადი წვლილის გამოვლენასთან დაკავშირებული პრობლემები. ორგანიზაციაში საპროექტო ჯგუფების ჩამოყალიბებასთან ერთად ხდება უფლებამოსილებისა და ვალდებულების გადანაწილება. ზოგჯერ იქმნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც პროექტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ორგანიზაციის მნიშვნელოვან მიმართულებაზე, ხოლო ფუნქციური ხელმძღვანელი ინარჩუნებს პასუხისმგებლობას მხოლოდ მომსახურე პერსონალის ფუნქციონირებაზე. იზრდება საშემოსავლო საქმიანობაზე იმ საპროექტო ჯგუფის ზეწოლა, რომლის წევრებიც მანამდე მხოლოდ ხელქვეითები შეიძლება ყოფილიყვნენ ფუნქციურ ქვედანაყოფებში.

საპროექტო მართვის დროს კორპორაციაში სპეციალისტების ძალაუფლებას კომპეტენტურობა უფრო განაპირობებს, ვიდრე ოფიციალური მდგომარეობა. ხშირად სწორედ ეს წარმოადგენს საპროექტო ჯგუფებში მათი გადასვლის მიზეზს. თანაც, კონკრეტულ შედეგებზე პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით პროექტის დამუშავების საცდელ-საკონსტრუქტორო სტადიაზე, მოითხოვს საპროექტო ჯგუფების დამოუკიდებლობის შეზღუდვას. სხვადასხვა გამოკვლევები ცხადყოფს, რომ სპეციალისტების დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი ყოველთვის არ არის დაკავშირებული მაღალმწარმოებლურობასთან. ეფექტიანი მუშაობისათვის სხვადასხვა სპეციალისტს დამოუკიდებლობის სხვადასხვა ხარისხი ესაჭიროება. ამასთან, ცხადია, რომ სპეციალისტთა და საპროექტო ჯგუფის მონაწილეთა დიდი ნაწილი პროექტების ხელმძღვანელების გარკვეული ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. ისინი არამარტო ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანი დავალების შესრულებით

არიან მის უმაღლეს ხელმძღვანელებთან დაკავშირებული, არამედ ასევე მჭიდროდ ურთიერთმოქმედებენ მათთან. ასეთ პირობებში ფუნქციურ ქვედანაყოფში დარჩენილი სპეციალისტები ნაწილობრივ კარგავენ თავიანთ დამოუკიდებლობას.

საპროექტო მმართველობის შემოღება იწვევს ორგანიზაციაში კონტროლის შეცვლას. ფუნქციური ხელმძღვანელი თავის თავზე იღებს პროექტის ხელმძღვანელის მიერ დაყენებულ ამოცანაზე პასუხისმგებლობას. შედეგად ხორციელდება მრავალჯერადი კონტროლი, რადგანაც ფუნქციური ხელმძღვანელი იღებს დავალებას მმართველობის მისივე იერარქიულ დონეზე მყოფი პირისაგან, იგივე პირი აფასებს მათ და მათ შესრულებულ სამუშაოს. იმავდროულად ფუნქციური ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ხაზობრივი მმართველობის წინაშე ქვედანაყოფის მთლიან საქმიანობაზე. საპროექტო მმართველობაში ძირითადი ყურადღება ექცევა კონკრეტული ამოცანების შესრულებაზე კონტროლს. სამუშაოს შესრულება შეიძლება განხორციელდეს კოლეგიალურად, მაგრამ ეს გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. კორპორაციაში რესურსების განაწილებისას პროექტის ხელმძღვანელს აქვს გარკვეული უპირატესობა. განსაკუთრებით ეს კადრების გამოყენებას ეხება. პროექტის მნიშვნელობის გათვალისწინებით ის ცდილობს საპროექტო ჯგუფში მოიზიდოს საუკეთესო სპეციალისტები. ამით იზრდება მისი პასუხისმგებლობა, ხოლო ფუნქციური ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა ქვედანაყოფში მცირდება მისი სპეციალისტების საპროექტო ჯგუფში გადასვლის გამო.

მართალია, პროექტის ჯგუფში გადასული ფუნქციური ქვედანაყოფის პერსონალი აგრძელებს ამ ქვედანაყოფის უფროსის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში ყოფნას, მაგრამ სინამდვილეში მათი მუშაობა მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელის ინტერესებში შედის. ამ მიზეზით ეს სპეციალისტები პროექტის დამთავრების შემდეგ თავის ქვედანაყოფში დაბრუნებით შეიძლება გარკვეულ სიძნელეებს წააწყდნენ.

კორპორაციაში პროექტის ხელმძღვანელებსა და ფუნქციურ ხელმძღვანელებს შორის უფლებამოსილების განაწილება საკმაოდ რთული პრობლემაა. იქ, სადაც პროექტის ხელმძღვანელი იღებს მთელ ძალაუფლებას პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებული

პრობლემების გადასაწყვეტად, ფუნქციური განყოფილება რჩება პასიურ დამხმარე ორგანოდ. ასეთ შემთხვევაში, ფუნქციური ქვედანაყოფი მუდმივად ხელს შეუშლის პროექტის წარმატებას და გადაწყვეტილების მიღების მთელი პროცესი გაძნელებული იქნება. მეორე უკიდურესობაა ის, რომ პროექტის ხელმძღვანელს შეუძლია ჰქონდეს ისეთი ძალაუფლება, რომელიც მას აძლევს საპროექტო ჯგუფის კოორდინატორის როლში გამოსვლის უფლებას. ამ ძალაუფლების გამოყენებით იგი ზეწოლას ახდენს ფუქნციურ განყოფილებაზე.

ბოლო დროს კორპორაციებში გავრცელება ჰპოვა **ქსელურმა სტრუქტურამ**. მასში გამაერთიანებელ როლს თამაშობს ცენტრალური რგოლი, რომელიც ელექტრონული კავშირებით ახერხებს კომპანიის დანარჩენ განყოფილებებთან დაკავშირებას, რომლებიც სრულიად დამოუკიდებლები არიან მისგან. ხშირად ამ განყოფილებებს ცვლიან სხვა ფირმები, რომლებიც მსგავს საქმიანობაზე არიან დასპეციალებული. მაშასადამე, ქსელური სტრუქტურის მქონე კორპორაცია თვითონ მხოლოდ იმ ფუნქციებს ასრულებს, რომელიც ყველაზე მეტად ხელეწიფება, სხვა ფუნქციებს კი გადასცემს სხვებს.

ქსელური სტრუქტურის მოდიფიკაციებია **ვირტუალური და მოდულური სტრუქტურები**. ამ წესით აგებულ კომპანიებს ,,საზღვრების გარეშე“ კომპანიებსაც უწოდებენ. ისინი ელექტრონული წესით იღებენ და გადასცემენ ინფორმაციას და ამ წესით, ვირტუალურად ამუშავებენ ადამიანებს და ფირმებს, რომელთა ადგილზე ფიზიკურად ყოფნა სულაც არ არის საჭირო.

კიდევ უფრო ახალია **წრიული კორპორაციები**, **ინტელექტუალური კორპორაციები** და **შემსწავლელი კორპორაციები**.

**წრიული კორპორაციის** ძირითად სტრუქტურულ მახასიათებლებს წარმოადგენს ის, რომ ყოველი ხელმძღვანელის გარშემო ფორმირდება საბჭო. მაგალითად, მარკეტინგის საბჭო, ფინანსების საბჭო და სხვ. ნებისმიერ საბჭოს უფლება აქვს თავისი სამუშაოს შესასრულებლად წარმომადგენელი მიიწვიოს გარედან. საბჭოში დამატებითი მონაწილეების მიწვევა აუმჯობესებს კორპორაციის ურთიერთობას აქციონერებთან. უფრო ეფექტურად მუშაობენ ის საბჭოები, რომლებზეც ხელქვეითები ახდენენ ყველაზე დიდი ქვეჯგუფების ფორმირებას.

**ინტელექტუალური** კორპორაციის ფორმირება ხდება დიდი რაოდენობით წვრილი ურთიერთმოქმედი საწარმოებისგან. ითვლება, რომ ინტელექტუალურ კორპორაციაში ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების უფლება, როგორიცაა ,,რა ვაკეთოთ“ და ,,ვინ შეასრულებს სამუშაოს“ საწყის პერიოდში შენარჩუნებული იქნება ტრადიციული იერარქიული სტრუქტურით, მაგრამ მერე, თანდათან მოხდება ამ უფლებების გადაცემა უფრო მცირე, მოქნილი თვითმმართველი სამუშაო ჯგუფებისთვის, რომლებიც გარდაიქმნებიან ინფორმაციულ სასწავლო ლაბორატორიებად. ამ სტატუსს ისინი იძენენ კორპორაციის ხელმძღვანელობიდან მათ ხელში გადასული ფინანსური და სხვა ინფორმაციის მიწოდების წყალობით.

ინტელექტუალურ კორპორაციაში ყოველი დასაქმებული იყენებს პირად ინტელექტს იმისთვის, რომ დაადგინოს, რომელი პრობლემა ვისთან უნდა გადაწყვიტოს და როგორ შეასრულოს სამუშაო. მან უნდა გააკეთოს არჩევანი სად მოძებნოს ინფორმაცია, რომელი მეთოდი გამოიყენოს და ინფორმაციის რომელი წყარო ჩათვალოს სანდოდ. ინტელექტუალური კორპორაციის აგების პირობები ასეთია (ცხრ. 1).

**ცხრილი 1. ინტელექტუალური ორგანიზაციის აგების პირობები [3]**

| არჩევანის თავისებურება | საერთო პასუხისმგებლობა |
|---|---|
| 1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა<br>2. მეწარმეობის თავისუფლება<br>3. სამუშაო ჯგუფის ლიბერალიზაცია | 1. თანასწორობა და მრავალფეროვნება<br>2. ნებაყოფლობითი სწავლების სისტემა<br>3. დემოკრატიული თვითმმართველობა |
| შეზღუდული კორპორაციული მმართველობა | |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ინტელექტუალურ კორპორაციაში ცენტრალური მართვის როლი შეზღუდულია. მას არც შემსრულებელი ერთეულების ხელმძღვანელობისა და არც კონტროლის უფლება აქვს. მან მხოლოდ ისეთი პირობები უნდა შექმნას, რომელიც თანამშრომლებს მისცემს ეფექტური კოლექტივის ფორმირების შესაძლებლობას.

დადგენილია, რომ იმ ოთხი საერთო თვისებიდან, რომლებსაც კორპორაციული სამყაროს დღეგრძელი კომპანიები ატარებენ, ერთ-ერთი არის **ღია სწავლება**. [4] ასეთ კორპორაციებში სწავლება ხორციელდება 5 მიმართულებით:

1. სისტემური აზროვნება;
2. პირადი დაოსტატება;
3. მენტალური მოდელის შექმნა;
4. საერთო ხედვის შექმნა;
5. ჯგუფური სწავლება.

ბოლო დროს, მთელ რიგ კორპორაციებში წინა პლანზე წამოიწია მეორე თაობის სწავლების საშუალებებმა. მათ მიეკუთვნება ,,დიალოგი“, ,,სცენარების დაგეგმვა“, ,,სწავლება მოქმედებაში“, ,,რუქების შედგენა“, ,,მერლინის სავარჯიშო“ და სხვ.

**დასკვნა:** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ არ არსებობს კორპორაციის მართვის ისეთი სტრუქტურა, რომელიც უნივერსალურია და მოერგება მას ყველა სიტუაციაში. მართვის სტრუქტურის არჩევას დიდი ცოდნა, გამოცდილება, ინტუიცია და სიტუაციაში გარკვევა სჭირდება. ამასთან, სტრუქტურა არ იქნება სტატიკური, ე. ი. უცვლელი, იგი უნდა შეიცვალოს ან მოდიფიცირდეს სიტუაციის შეცვლასთან მიმართებით. ცხადია, ტრანსნაციონალურ კორპორაციას, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებს ქალიშვილები და შვილიშვილი საწარმოების ქსელით, ისეთივე მმართველობითი სტრუქტურა არ გამოადგება, როგორც ერთი ქვეყნის ფარგლებში მომუშავე კორპორაციას.

და მაინც, როგორი უნდა იყოს მომავლის ორგანიზაციული სტრუქტურები?

1990 წლების დასაწყისიდან კორპორაციების მენეჯერებმა გაითვითცნობიერეს, რომ თანამედროვე პირობებში ადმინისტრაციულ-მბრძანებლური (ავტორიტარული) იერარქია მისაღები აღარ არის. მრავალდონიანი იერარქიის დროს კორპორაციის თანამშრომლებს აღარ შესწევთ უნარი მიემხრონ მომხმარებლებს და მოახდინონ სწრაფი ადაპტაცია შეცვლილ გარემოსთან.

ამ პირობებში კორპორაციებისთვის აუცილებელი ხდება ჰორიზონტალური სტრუქტურა, სწრაფი რეაქცია და შემოქმედებითი მიდგომა. ეფექტიანი ორგანიზაციის შექმნისთვის აუცილებელია მენეჯერები და თანამშრომლები, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი უფლებამოსილებანი ბიზნესპროცესების რეორგანიზებისთვის, თვითმმართველი სამუშაო ჯგუფების ფორმირებისთვის, ინტერნეტ-ტექნოლოგიების დანერგვისა და ელექტრული კომერციის ინფრასტრუქტურის შექმნისთვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. მ. ბარათაშვილი, ლ. ქოქიაური, მენეჯმენტის პრინციპები, თბ., 2010. გვ. 196.
2. ა. ტომპსონი, ა. სტრიკლენდი, სტრატგიული მენეჯმენტი, საქართველო, 2010,
3. გვ. 507.
4. ნ. ბაკაშვილი, დ. მესხიშვილი, ლ. ქადაგიშვილი, ორგანიზაციის თეორია, თბ., 2009, გვ. 334.
5. ნ. ბაკაშვილი, დ. მესხიშვილი, ლ. ქადაგიშვილი, ორგანიზაციის თეორია, თბ., 2009, გვ. 339.
6. ნ. ლაზვიაშვილი, კორპორაციული მენეჯმენტი, თბ., 2013, გვ.194–231.

# მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის ეფექტურობის ამაღლების საერთაშორისო გამოცდილება

# The International Experience of Increasing the Effectiveness of the Social Welfare System of the Population

**ქეთევან მდინარაძე** - ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
თბილისის ღია უნივერსიტეტი
**ეკა აბესაძე** - ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
თბილისის ღია უნივერსიტეტი
**ნინო ლაზვიაშვილი** - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
თბილისის ღია უნივერსიტეტი
**Ketevan Mdinaradze** – PhD of Economics, Associate Professor,
Tbilisi Open University
**Eka Abesadze** – PhD of Economics, Associate Professor,
Tbilisi Open University
**Nino Lazviashvili** – PhD of Economics, Professor,
Tbilisi Open University

**რეზიუმე:** თანამედროვე ეტაპზე არსებითად აქტუალურია მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის საკითხები, როგორც სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი.

სოციალური დაცვა გულისხმობს სახელმწიფოს პოლიტიკას, უზრუნველყოს ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და გარანტიები, მიუხედავად მისი საცხოვრებელი ადგილისა, ეროვნებისა, სქესისა, ასაკისა და სხვა მახასიათებლებისა.

მსოფლიო პრაქტიკაში ჩამოყალიბებულია და მოქმედებს სოციალური დაცვის სისტემის მრავალრიცხოვანი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, როგორიცაა: 1.მოსახლეობის შემოსავლების ინდექსაცია; 2.სოციალური ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა სახელმწიფო სტანდარტებისა და ნორმატივების დახმარებით; 3.სოციალური შეღავათების დაწესება; 4.სამომხმარებლო ფასების სახელმწიფო რეგულირება; 5.სოციალურ-შრომითი საკანონმდებლო ნორმების მოქმედება; 6.მოსახლეობის შრომისუუნარო კატეგორიის სახელმწიფო უზრუნველყოფა; 7.აუცილებელი სოციალური დაზღვევა და სხვ.

თუმცა, რამდენადაც ქვეყნები განსხვავდებიან სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის ერთიანი, განზოგადებული მიდგომა ვერ იქნება ეფექტური. როგორც საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, სიღარიბის პრობლემის დაძლევა შესაძლებელი გახდება მოსახლეობის ღარიბი ფენების საჭიროებების, შესაძლებლობების გამოვლენით და სოციალურ პროექტებში მათი მონაწილეობით.
**საკვანძო სიტყვები:** სიღარიბე, სოციალური უზრუნველყოფა, ღარიბი მოსახლეობა

**Abstract:** In the article it is noted that modern goals of any society is considered vital to ensure social stability. Thus, governments in many countries around the world, not only to ensure economic growth, but also pay special attention to the fair distribution among the members of the society. Such measures improve the efficiency of social welfare of the population.

The study emphasized that social protection is one of the important functions of any state as a constituent element of social policy. The basis for developing programs to raise incomes and the standard of living of families classified as poor is to determine their composition and identify the causes of a difficult financial situation, as well as the economic possibilities of society, therefore, in principle, there can be no unified approaches to solving these problems in large differences in the level of socio-economic development.

According to the conclusions of the United Nations, it is necessary to implement macroeconomic policy taking into consideration the needs of the poor population and also with their participation.

**Key Words:** poverty, social welfare, poor population

**შესავალი: შესავალი:** დღეს სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა დამახასიათებელია ნებისმიერი საზოგადოებისათვის, მიუხედავად სოციალური წყობის განსხვავებისა. შესაბამისად, მსოფლიო ცივილიზაცია მიისწრაფის სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფისაკენ. ბევრ ქვეყანაში ხელისუფლების ძალისხმევა მიმართულია არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის მიღწევაზე, არამედ შემოსავლების სამართლიან გადანაწილებასა და სოციალური დაცვის

სისტემის ეფექტურობის გაძლიერებაზე. მოსახლეობის სოციალური დაცვა, როგორც სოციალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, სახელმწიფოს განსახკუთრებულ ფუნქციას წარმოადგენს.

ამჟამად არსებული სოციალური დაცვის სისტემა ჯეროვნად ვერ პასუხობს საზოგადოების ინტერესებს. ამ მხრივ საინტერესოა განვითარებულ ქვეყნებში უკვე დაგროვილი გამოცდილების შესწავლა და მათი პოლიტიკის უახლესი ტენდენციების გაანალიზება.

უნდა აღინიშნოს, რომ სიღარიბე მრავალმხრივი მოვლენაა, რომელსაც არა მხოლოდ წმინდა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური, არამედ ფსიქოლოგიური და მორალური ასპექტები აქვს.

**ძირითადი ტექსტი.** ღარიბი მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის ამაღლების პროგრამების შემუშავებას საფუძვლად უდევს საზოგადოების ეკონომიკური შესაძლებლობების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ვერ იქნება ერთიანი მიდგომა აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვნად განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ქვეყნებისათვის.

განვითარებული ქვეყნებისათვის სიღარიბის მიზეზი არის შემოსავლების არათანაბარი გადანაწილება და არა ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების ნაკლებობა, რაც შეინიშნება განვითარებად ქვეყნებში.

სიღარიბის დაძლევა და მინიმალური შემოსავლის მიღების უფლების უზრუნველყოფა წარმოადგენს ევროპის წამყვანი ქვეყნების დეკლარირებულ მიზანს. 60-იანი წლებიდან განვითაებულ ქვეყნებში მიიღეს მრავალი საკანონმდებლო აქტი მინიმალური შემოსავლის მიღების გარანტიების შესახებ. დაწესებულია მინიმალური გარანტირებული შემოსავლის ოდენობა ან პირველადი მოხმარების საქონლისა და მომსახურების ქალათის ღირებულების საფუძველზე ან კანონით განსაზღვრული მინიმალური ხელფასის მიმართ ფიქსირებული ოდენობით.

გერმანიაში, საფრანგეთში, ბრიტანეთში, ირლანდიაში, ლუქსემბურგში ფონდები, საიდანაც გაიცემა შემწეობები, იქმნება სახელმწიფოს მიერ, სხვა ქვეყნებში - სახელმწიფოსა და

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ სხვადასხვა პროპორციით. (მაგალითად, ნიდერლანდებში ამ მიზნებისთვის გაწეული ხარჯების 90 პროცენტი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დანიაში და ბელგიაში - 50 პროცენტი). შემწეობები გაიცემა საჭიროებების შესწავლის შემდგომ, რომელიც ითვალისწინებს ოჯახის ყველა შემოსავალს, უძრავი და მოძრავი ქონების ღირებულებას. არსანიშნავია, რომ მთელ რიგ ქვეყნებში გაითვალისწინება ოჯახის უფროსის სრული შემოსავალი, ხოლო ოჯახის დანარჩენი წევრების შემოსავლები - ნაწილობრივ. ზოგიერთ ქვეყანაში ოჯახის შემოსავლებს აკლდება ბავშვებზე გაცემული შემწეობები, ალიმენტები ან შემწეობები გაცემული საცხოვრისზე. [11]

ოჯახის მინიმალური შემოსავლის ოდენობა დამოკიდებულია საჭიროების მქონე პირის სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლებზე (ასაკი, შრომისუნარიანობა, ოჯახის შემადგენლობა) და შეადგენს საშუალო ანაზღაურების 20-40 პროცენტს.

საფრანგეთში, ლუქსემბურგში, ესპანეთში, ნიდერლანდებში და პორტუგალიაში არსებობს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ხალფასის მინიმალური განაკვეთი, ბელგიაში და საბერძნეთში ხელფასის მინიმალური განაკვეთები განისაზღვრება ეროვნული შეთანხმებით. დანიაში, გერმანიაში და ბრიტანეთში მოქმედებს ხელფასის მინიმალური განაკვეთის რეგულირების დეცენტრალიზებული სისტემა ეკონომიკის სხვადასხვა დარგების შესაბამისად. ლუქსემბურგში და საბერძნეთში გაითვალისწინება მომუშავის ოჯახური მდგომარეობა. ზოგიერთ ქვეყანაში ხდება მინიმალური ხელფასის ინდექსაცია, რიგ ქვეყნებში პრაქტიკაში გამოიყენება მინიმალური ხელფასის ოდენობის პერიოდული გადახედვა. [8, 10]

დღეისათვის აღიარებულია, რომ სიღარიბე არ შემოიფარგლება მხოლოდ დაბალი ფულადი შემოსავლებით. იგი ასევე ხასიათდება საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების შემადგენელი ელემენტების ნაკლებობით. ამიტომ შემოსავლების რეგულირების პროგრამები არ არის სიღარიბის შემცირებისა და აღმოფხვრის პოლიტიკის მხოლოდ ერთადერთი მიმართულება. განვითარებულ

ქვეყნებში ამა თუ იმ ფორმით გამოიყენება უფასო ან შეღავათიანი სამედიცინო მომსახურება, პროფესიული მომზადება და გადამზადება, მუნიციპალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სუბსიდირება. ცალკეული რეგიონებისა და პროფესიებისათვის, რომლებიც მეტწილად განიცდიან უმუშევრობის სიმძიმეს, ტარდება განსაკუთრებული ღონისძიებები, როგორიც არის უმუშევართათვის საკუთარი ბიზნესის ორგანიზებაში ხელშეწყობა და სხვ.

ლისაბონის სამიტზე (მარტი 2000წ.) განისაზღვრა ამოცანა 2010 წლისათვის სიღარიბის აღმოფხვრა ყველა ასპექტში. თანამედროვე ეტაპზე დგინდება სპეციალური ინდიკატორები, რომელიც სიღარიბის ხარისხის შეფასების შესაძლებლობას იძლევა და შესაბამისად, განისაზღვრება მისი დაძლევის ღონისძიებები. მიღებულია, რომ სიღარიბესთან ბრძოლის სტრატეგია მოითხოვს რთული პრობლემების გადაწყვეტას, პირველ რიგში, დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიებას, რომელიც მიმართული იქნება მოსახლეობის ხელმოკლე კატეგორიის უზრუნველყოფისათვის და შრომის ბაზრის ტრანსფორმაციისათვის როგორც ევროკავშირის, ასევე კანდიდატი ქვეყნებისათვის. [3,10]

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ 70-იანი წლებიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოქმედებს და მუდმივად ახლდება სპეციალური პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს ღონისძიებების კომპლექსს, რომელიც მიმართულია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სოციალური დახმარებისა და მხარდაჭერისკენ.[4]

1975-1980 წლებში ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედებდა პროგრამა „სიღარიბე 1“. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ევროკავშირის ქვეყნებში სიღარიბის პრობლემის და მისი დაძლევის პოლიტიკის დეტალური კვლევა. ცალკეული ქვეყნების სტატისტიკური მაჩვენებლები განზოგადდა და შეიქმნა ერთიანი სურათი, რის საფუძველზეც გაირკვა სიღარიბის მასშტაბები და შესაბამისად დაისახა შემდგომი კვლევისთვის მიზნები და ამოცენები. 1985-1989 წლებისთვის შემუშავდა ახალი პროგრამა „სიღარიბე 2“. აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავდა არა 'სიღარიბის“ როგორც მოვლენის კვლევას, არამედ მასთან ბრძოლას.

შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა სიღარიბის ინდიკატორები. 1990 წელს ევროსტატმა გამოაქვეყნა ევროკავშირის ქვეყნების საოჯახო მეურნეობების პირველი სტატისტიკური მაჩვენებლები.

1989-1994 წლებში შემუშავდა პროგრამა „სიღარიბე 3“. ამ პერიოდში ევროსტატმა ეროვნულ სტატისტიკურ ბიუროებთან ერთად შექმნა ეგრეთწოდებული ევროკავშირის ქვეყნების საოჯახო მეურნეობების პანელი. ამან მოსახლეობის შემოსავლების დეტალური მონიტორინგის შესაძლებლობა შექმნა. ამის საფუძველზე თითოეულ ქვეყანაში შესრულდა 1000 საოჯახო მეურნეობის მაგალითზე შემოსავლების დონისა და ცხოვრების პირობების ყოველწლიური კვლევევბი, რამაც საერთო ჯამში, ევროკავშირის ქვეყნებისათვის 20000 საოჯახო მეურნეობა მოიცვა.

ამერიკაში სიღარიბის ზღვარი ოფიციალურად დადგინდა 1965 წელს, მას შემდეგ რაც გამოცხადდა „ომი სიღარიბის წინააღმდეგ“. ეკონომიკური ზრდის და მოსახლეობის შემოსავლების საშუალო დონის ზრდასთან ერთად სიღარიბის ზღვარის მაჩვენებელი სულ უფრო მცირდება. [2]

კანადას, რომელიც აშშ-სგან განსხვავებით ახორციელებს მოსახლეობის მინიმალური შემოსავლების უზრუნველყოფის ევროპის ანალოგიურ პოლიტიკას, სიღარიბის ოფიციალური ზღვარი დადგენლი არ აქვს. 60-იანი წლების საბიუჯეტო კვლევების თანახმად, საშუალო კანადური ოჯახი პირადი მოხმარების საგნებზე ხარჯავდა შემოსავლის ნახევარს. თუ ოჯახისათვის აღნიშნული დანახარჯების წილი მთლიან შემოსავალში იყო უფრო მაღალი, შესაბამისად, მას ექნებოდა ნაკლები რესურსი სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამრიგად, ოჯახის ცხოვრების დონის მახასიათებლად გამოიყენებოდა სამომხმარებლო საგნებზე გაწეული დანახარჯების წილი მთლიან დანახარჯებში.

სიღარიბესთან ბრძოლის მიმართულებით ყველაზე მეტი გამოცდილება დაგროვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის ეს მიმართულება წარმოადგნეს წამყვან მიმართულებას ისეთი სტრუქტურებისა და ინსტიტუტებისათვის, როგორიცაა გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ჯანდაცვის მსოფლიო

ოგრანიზაცია (WHO), სურსათისა და სოფლის მეურეობის ორგანიზაიცა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), და სიღარიბესთან ბრძოლის მუდმივმოქმედი კომიტეტი.

მუდმივმოქმედი კომიტეტის პირველ სესიაზე (1993 ჟენევა) აღინიშნა, რომ სიღარიბე არაერთგვაროვანია სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში, ამიტომ საჭიროა მასთან ბრძოლის განსხვავებული საშუალებები და სტრატეგიები“. კომიტეტის წევრი ქვეყნები თვლიან, რომ მნიშვნელოვანია ამ საკითხში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, რამდენადაც სწორედ ეს შეიძლება გახდეს ამ მიმართულებით მათი საქმიანობის გაფართოების და ეფექტიანობის ამაღლების ინსტრუმენტი.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში პრაქტიკულად შეუძლებელია სიღარიბის მასშტაბების საგრძნობი შემცირება. სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ მოსახლეობის ღარიბი ფენების სასარგებლოდ მხოლოდ რესურსების გადანაწილება საკმარისი არ არის. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ცალკეულ სახელმწიფოში განვითარების პროცესში მოსახლეობის მარგინალური ფენების სრული ინტეგრაციის მიღწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ღარიბთა მდგომარეობა არ გაუმჯობესდება.

ცხადია ეს მოითხოვს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ძველის შენარჩუნებისათვის დაძაბულ შრომას, ასევე საბაზრო მექანიზმების და სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირების გაუმჯობესებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიღარიბის პრობლემის დაძლევა ან შემცირება მაინც მოითხოვს ძალისხმევას ორი მიმართლებით: საჭიროა მიღწეულ იქნას ეკონომიკური ზრდის სტაბილური ტემპი და მეორე, საჭიროა „ადამიანური კაპიტალში“ ინვესტირება. ეს უკანასკნელი აღმოფხვრის სიღარიბის როგორც მიზეზებს, ასევევ მის სიმპტომებს, როგორიცაა სხვადასხვა დაავადებები, განათლების დაბალი დონე, შიმშილი და არასრულფასოვანი კვება, გენდერული უთანასწორობა და სხვ. ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ეკონომიკური ზრდის ოპტიმალური მოდელის შერჩევა, რომელშიც შრომატევადი დარგების განვითრების საფუძველზე ღარიბი მოსახლეობა შეძლებს საკუთარი შრომითი რესურსების გამოყენებას. [5,6,7,9]

თუმცა, როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები ჯერ კიდევ არ გულისხმობს სიღარიბის პრობლემის ავტომატურ გადაწყვეტას. მნიშვნელოვანია მოსახლეობის ღარიბი ფენების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამავე დროს მათი უზრუნველყოფა სოციალური პირობებით.

გაეროს მუდმივმოქმედი კომიტეტის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ განვიათარებად ქვეყნებში სიღრიბის პრობლემა თანაბარი სიმწვავით არ აისახება ქალებსა და მამაკაცებზე. არსებული სტატისტიკური მაჩვენებლების შესაბამისად მსოფლიო ღარიბი მოსახლეობის 70 პროცენტს ქალები წარმოადგენენ. ამასთან, ღონისძიებები რომელიც მიმართული იქნება აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, პრაქტიკულად არ არსებობს.

რამდენჯერმე შეიცვალა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას სიღარიბის წინააღდეგ ბრძოლის სტრატეგია. თავდაპირველად შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობა მიმართული იყო მოსახლეობის ღარიბი ფენების გამოვლენისაკენ, 70 წლებიდან ყურადღება გადატანილი იყო სიღარიბის გამომწვევი მიზეზების კვლევაზე. (ილო) თავის მიმდინარე და სამომავლო საქმიანობაში მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს განვითარებად ქვეყნებს სიღარიბესთან ბრძოლის სტარტეგიის შემუშავებაში.

ილო სიღარიბესთან ბრძოლის სტრატეგიაში ყურადღებას ამახვილებს სამ ძირითად საკითხზე:

- ეკონომიკური ზრდის ტემპების შენარჩუნება, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმების მაღალ ტემპებს, ამასთან, განვითარებად ქვეყნებში ზრდის ტემპი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 6 პროცენტს;
- შრომის ბაზრის გადასვლა საბაზრო თამაშის წესებზე სამუშაო ძალის პროფესიონალური დონის ზრდასთან ერთად, ამავდროულად მათთვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობა;
- სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შექმნა, რომელშიც ჩართული იქნება სოციალური ფონდები.

ამგვარი სტრატეგიის უზრუნველსაყოფად (ილო) -ს თანახმად განვითარებადი ქვეყნების მთავრობებმა სიღარიბესთან ბრძოლის საკითხი უნდა განიხილონ როგორც ქვეყნის განვითარების

სტარეტგიის შემადგენელი ელემენტი, ხელი შეუწყონ ამ პროცესში მოსახლეობის ფართო ფენების ჩრთვას.

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია ცდილობს ისეთი ტაქტიკის და სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს მოსახელობის ყველაზე დაუცველი ფენებისათვის სამედიცინო მომსახურებას განვითარებად ქვეყნებში.

სიღარიბესთან ბრძოლის საქმეში გაეროს მუდმივმოქმედ კომიტეტს არანაკლებ დახმარებას უწევს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია თავისი უფლებამოსილებისა და მის ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში. მისი ეგიდით 1992 წელს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია კვების საკითხებთან დაკავშირებით. რამდენადაც სიღარიბის ერთ-ერთი გამოვლინებაა შიმშილი და არასრულფასოვანი კვება, კონფერენციაზე მიღებული საერთაშორისო დეკლარაცია და ღონისძიებათა გეგმა წარმატებით ავსებს სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა მნიშვნელოვან სამთავრობათშორის შეთანხმებებს.

გაეროს საქმიანობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფეროა მოსახლეობის ღარიბი ფენებისათვის შემოსავლის წყაროსთან, საწარმოო აქტივებთან, წვდომა. ამ მიზნით შექმნილია ბევრი მიზნობრივი პროგრამა, რომელიც მიმართულია მცირე ბიზნესის განვითარებისა და დაფინანსებაზე და ამ გზით სამუშაო ადგილების შექმნაზე.

საერთაშორისო დონეზე სიღარიბის პრობლემასთან დაკავშირებით ფართო ანალიტიკური და კვლევითი სამუშაოები ტარება რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მიერ.

თუმცა სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მნიშვნელოვანი ძალისხმევა როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე ხშირ შემთვევაში ზოგიერთ ქვეყანაში ვერ ასრულებს თავის მიზანს. გაეროს მუდმივმოქმედი კომიტეტი ამის მიზეზად მიიჩნევს იმას, რომ ღარიბი მოსახლეობა ხშირად არ არის ჩართული არცერთ ღონისძიებაში, რომელიც გამიზნულია მათ დასახმარებლად. მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამები მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ ხორციელდება, ისინი

როგორც წესი ნაკლებად იცნობენ რეალურ პრობლემებს, ან არ აქვთ საკმარისი წარმოდგენა მოსახლეობის ღარიბი ფენების წარმომადგენლების პოტენციალისა და შესაძლებლობების შესახებ დამოუკიდებლად გაიუმჯობესონ თავიანთი ცხოვრების პირობები შესაბამისი სტიმულებისა და სათანადო მხარდაჭერის არსებობის შემთხვევაში.

ამრიგად, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სოციალური ქველმოქმედება, არამედ მოსახლეობის ღარიბი ფენების მობილიზაცია, მათი საჭიროებების, შესაძლებლობების და საკუთრი ძალებით ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის მზადყოფნის ხარისხის გამოვლენა. ამ თვალსაზრისით გაეროს მუდმივმოქმედი კომიტეტი გამოყოფს შრი-ლანკის და ჩინეთის გამოცდილებას. აღნიშნულ ქვეყნებში 80-იანი წლებიდან ხორციელდება პროგრამა, რომელიც გაულისხმობს მაკროეკონომიკრი პოლიტიკის გატარებას მოსახლეობის ღარიბი ფენების საჭიროებების გათვალისწინებით. აღნიშნული პროგრამის ძირითადი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ღარიბებს თვითონ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება და მისი ცხოვრებაში განხორციელება შესაბამისი მხარდაჭერის არსებობის შემთვევაში.

**დასკვნა:** საერთაშორისო გამოცდილების განზოგადების საფუძველზე სიღარიბესთან ბრძოლის გაეროს მუდმივმოქმედი კომიტეტი გამოყოს ოთხ არსებით მიზეზს, რომელიც განაპირობებს ქვეყანაში სიღარიბის პრობლემის არსებობას:

ბუნებრივი მიზეზები, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურასთან;

სოციალური მიზეზები, რომლებიც ვლინდება პირველადი მოთხოვნილებების არასრულფასოვანი დაკმაყოფილების შედეგად;

ეკონომიკური მიზეზები, რაც გულისხმობს ბუნებრივი რესურსებით, საწარმოო აქტივებით, ფულადი რესურსებით ნაკლებ უზრუნველყოფას;

პოლიტიკური მიზეზები, რომლებიც განპირობებულია დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიების ნაკლებობით.

ამრიგად, სოციალური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის ღარიბი ფენების მდგომარეობის გაუმჯობესებას, უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს.

პირველ რიგში, ადამიანური რესურსების განვითარება მოითხოვს ასიგნებებს განათლების ხელმისაწვდომობისთვის, პროფესიული მომზადების გაფართოვებისთვის, ხარისხიანი ჯანმრთელობის მომსახურებისათვის და მომსახურების სხვა სფეროების განვითარებისათვის. ასევე, ჯეროვანი ყურდღება უნდა დაეთმოს ბუნებრივი რესურსების დაცვას.

მეორე, დასაქმების მაღალი დონის მიღწევისათვის, სოფლებიდან ქალაქებისკენ მიგრაციული ნაკადების შემცირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლად ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

მესამე, სასურველია ხელი შეეწყოს ადამიანებს საკუთრი ინოვაციური იდეების განხორციელებაში, რომელშიც გამოყენებული იქნება ადგილობრივი რესურსები და სამუშაო ძალა. ამასთან, უაღრესად დიდი ხელშეწყობა იქნება მათთვის უპროცენტო კრედიტის მიღების შეთავაზება.

და მეოთხე, სახელმწიფო რომელიც ფოკუსირებულია სტაბილური ეკონომიკური ზრდისთვის ხელსაყრელი მაკროეკონოიკური პირობების შექმნაზე, ასევე უნდა მიიღოს ზომები ქვეყანაში შემოსავლების განაწილების თანასწორობის უზრუნველყოფისათვის. [7]

## გამოყენებული ლიტერატურა:

1.Отчет Всемирного Банка, Оценка бедности. 1996, 85 с. [1]

2. Волгина Н.А. ―Актуальные проблемы усиления социальной направленности экономики‖, М.: 2006, 403 с. [2]

3. Доклад о развитии человека за 2014 г. / ПРООН. Нью-Йорк, 2015. [3]

4. Европейская социальная хартия. Истоки, механизм действия и воплощения в жизнь. М.: Изд-во «Весь Мир», 1995, 65 с. [4]

5.Кудуэль А.. Хендшейль Й. Данные о бедности и система измерения. Вашингтон: Всемирный Банк, 2010. [5]

6. Макаров А.С. Глобализация и человеческий потенциал. М.: Экономика, 2008, 160 с. [6]
7. Обратить реформы на благо всех и каждого. Бедность и неравенство в странах Европы и Центр Азии. Всемирный Банк. Вашингтон: 2007, 495 с. [7]
8. Основы социальной работы / Под ред. П.Д.Павленка. — М.: ИНФРА- М, 2007. —395 с. [8]
9. Рахманов Ф.П. Результативность работы государства /В материалах «Второго форума по стратегиям сокращения бедности для региона Европы и Центральной Азии», Будапешт. Изд-во Всемирного Банка, 2001, с.1-12 [9]
10. Ревелльон М. Сравнительные оценки бедности. Вашингтон: Всемирный Банк, 2006. С. 17 [10]

# მათემატიკის და ეკონომიკის ურთიერთკავშირის შესახებ

# About the connection between mathematics and economics

**ლალი ქელბაქიანი** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. აკადემიური დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**Lali Kelbakiani** - Doctor of physics and mathematics, Associate Professor of Georgian National University

## თეზისები

მათემატიკა და ეკონომიკა ორი დამოუკიდებელი მეცნიერებაა, რომელთა კვლევის საგანი და ობიექტი განსხვავებულია. მათემატიკა,როგორც მეცნიერება, ფლობს მძლავრ ანალიტიკურ ინსტრუმენტს სამყაროს და მასში არსებული მოვლენებს შორის კავშირების შესასწავლად. ამიტომ მათემატიკური აპარატი უნივერსალურია მრავალი ამოცანის გადასაჭრელად ცოდნის სხვადასხვა სფეროში, იქნება ეს ეკონომიკა, მედიცინა, ბიოლოგია, ლინგვისტიკა და სხვ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად წერენ მათემატიკის და ეკონომიკის ფუნდამენტურ მსგავსებაზე. ეს მსგავსება გამოიხატება როგორც მათემატიკური , ისე ეკონომიკური კვლევების სიზუსტეში. ეკონომიკაც და მათემატიკაც შეისწავლის აბსტრაქტულ ობიექტებს, - ყველა მათემატიკური ფორმულა აბსტრაქციაა. თავის მხრივ ეკონომიკური მოვლენები და პროცესები ასევე ეკონომიკური აბსტრაქციებია, რომლებსაც სივრცითი მახასიათებლები არ გააჩნიათ. ამიტომაც გახდა ეკონომიკა მათემატიკის გამოყენებისთვის ნოყიერი ნიადაგი. ეკონომიკური სისტემები საკმაოდ რთულია, მათ ახასიათებს ურთიერთდამოკიდებული ელემენტების სიმრავლე, შიდა და გარე კავშირები, დინამიურობა და განისაზღვრელობა.

მათემატიკის გამოყენება ეკონომიკაში საშუალებას იძლევა:

- გამოვყოთ და ფორმალურად აღვწეროთ ეკონომიკურ ობიექტებსა და ცვლადებს შორის ყველაზე არსებითი კავშირები;

- საწყისი მონაცემების და დამოკიდებულებების მკაფიო ფორმულირების შემდეგ დედუქციის გზით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები შესასწავლი ობიექტების შესახებ;
- მათემატიკური მეთოდების გამოყენებით და ინდუქციური მსჯელობით მივიღოთ ახალი ცოდნა შესასწავლი ობიექტის შესახებ, შევაფასოთ სიდიდეებს შორის დამოკიდებულება და ფორმა;
- მათემატიკა ეკონომიკური კონცეფციების ზუსტად და კომპაქტურად ფორმულირების გზაა.

სხვადასხვა სახის პროცესის და მოვლენის ფორმალიზაციას ეკონომისტები ახდენენ მათემატიკური მოდელებით. ასეთი ფორმალიზაციის საშუალებით შეიძლება შეფასდეს ეკონომიკურ ობიექტებზე (სიდიდეებზე) ზემოქმედების შესაძლო შედეგები, ასევე ეს შეფასება გამოიყენონ პროცესის მართვაში.

მრავალრიცხოვანმა ეკონომიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ სიდიდეები (მაგ. საქონლის ფასი და მასზე მოთხოვნა, ფირმის მოგება და წარმოების მოცულობა, ინფლაცია და უმუშევრობა და ა.შ.) ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. აქ განიხილება ორი ტიპის კავშირი: დეტერმინისტული(ფუნქციონალური) და სტოქასტური. მათემატიკური მოდელის შემუშავებისას ეს დათვალისწინებული უნდა იყოს. ეკონომიკაში ფართოდ გამოიყენება ფუნქციონალური დამოკიდებულება სიდიდეებს(ცვლადებს) შორის. სწორედ ფუნქციების საშუალებით მოდელირდება და შეისწავლება რაოდენობრივი და თვისობრივი კავშირები სხვადასხვა ეკონომიკურ მახასიათებელს შორის. მათემატიკაში უფრო მეტად შემუშავებულია დეტერმინისტული კავშირების აღწერის მეთოდები, თუმცა ეკონომიკაში დომინირებს სტოქასტური კავშირები, განსაკუთრებით მიკრო-დონეზე. მიკროეკონომიკური სისტემები გამოირჩევა განუსაზღვრელობით, ეს კი მოითხოვს ისეთი მათემატიკური აპარატის შექმნას, რომელიც ამ განუსაზღვრელობას გაითვალისწინებს - მათემატიკური სტატისტიკა, თამაშთა თეორია, მასობრივი მომსახურეობის თეორია და ა.შ. ამრიგად, მათემატიკასა და ეკონომიკას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. 21-ე საუკუნისთვის დამახასიათებელი განვითარების სწრაფი ტემპი, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური

სისტემების მრავალფეროვანი შიდა და გარე კავშირები კიდევ უფრო თვალნათელს ხდის მათემატიკური აპარატის გამოყენების აუცილებლობას.

ჩვენი ხედვაა ეს მჭიდრო კავშირი დავანახოთ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს, მომავალ სპეციალისტებს. ამით იყო განპირობებული ცვლილებები სილაბუსში, სადაც კლასიკური უმაღლესი მათემატიკის საკითხების წილი შემცირდა გამოყენებითი მათემატიკის ხარჯზე. მომავალი სპეციალისტისთვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ როგორ მიიღეს ესა თუ ის ფორმულა, არამედ ის, თუ როგორ კავშირებს აღწერს ეს ფორმულა და როგორ შეიძლება გამოიყენოს ის თავის საქმეში. მომავალში კიდევ საჭიროა მუშაობა იმ მიმართულებით, რომ სტუდენტებს შევასწავლოთ გამოყენებითი მათემატიკის სხვა მიმართულებებიც: თამაშთა თეორია, მათემატიკური სტატისტიკა, იმიტაციური მოდელირება

## Theses

Mathematics and economics are two independent fields of science. The subject and object of their research field are completely different. Mathematics as a scientific field has a powerful analytical tool to study the universe and the connections between its occurrences. That is why mathematics is a universal method for solving several tasks in many different fields such as economics, medicine, biology, linguistics, etc. The fundamental similarity between mathematics and economics is often mentioned in the economics literature. This similarity is conveyed in the precision both of mathematical and economical researches. Both economics and mathematics study abstract objects – all the mathematical formulas are abstract. Economical occurrences and processes are also economical abstractions which do not have spatial characteristics. Consequently economics has become a fundament for using mathematics. Economical systems are quite complex, it has several interconnected elements, internal and external connections, dynamics and indefinite nature. Usage of mathematics in the economical field gives us the ability to:

- Separate and define the fundamental connections between economical objects and variables;

- Make conclusions regarding the objects to be learned using deductive method after formulating the initial data and connections;
- Gain new knowledge about the objects to be learned, evaluate the connections between values and their nature using mathematical methods and inductive discussion;
- Mathematics is a way of formulating the economical conceptions precisely and compactly.

Economists are using mathematical models to formalize different types of processes and occurrences. This way we can assess potential outcomes of impact on the economical objects (values) and use this assessment in the process management. Several economical researches have shown that the values (e.g. cost of goods and demand, inflation and unemployment, etc.) are tightly connected with each other. There are two types of connections between them: determinant (functional) and stochastic. This should be taken into consideration while drawing up the mathematical model. Functional connection between the values (variables) is widely used in economics. Exactly the functions are used for modelling and studying the quantitative and qualitative connections between different economical characteristics. However stochastic connections are dominant in the economics, especially on micro level. Micro economical systems are indefinite which demands a mathematical model that takes into consideration the indefinite nature – mathematical statistics, game theory, theory of mass service, etc. Therefore, there is a tight connection between mathematics and economics. The fast pace of developing so characterizing for the 21st century, internal and external connections of modern social-economical systems are even more pointing out the necessity to use mathematical models.

Our perspective is to show this tight connection to the students of the business and economics faculty, our future professionals. This is the reason of the changes in the syllabus where classical higher mathematics was shortened in favor of applied mathematics. It is crucial for the future professional to know how the formula describes different connections and how to use them in their field rather than how the formula was created. More works are necessary in the future in order to teach the students other perspectives of applied mathematics: game theory, mathematical statistics, simulated modelling.

**Интернет-маркетинг: выбираем современные стратегии интернет-маркетинга**

**ინტერნეტ-მარკეტინგი: ავირჩიოთ ინტერნეტ მარკეტინგის თანამედროვე სტრატეგიები**

**Internet marketing: choosing modern internet marketing strategies**


**Лиана Каличава** - профессор
Факультет информатики и систем управления
Грузинский Технический Университет
**Саломе Мгебришвили**
Факультет бизнес администрирования
Грузинский Национальный Университет

**ლიანა ყალიჩავა**- პროფესორი,
ინფორმატიკისა მართვის სისტემების ფაკულტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**სალომე მღებრიშვილი**
ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

**Liana Kalichava** – Professor
Faculty of Informatcs and Contol Systems
Georgian Technical University
**Salome Mgebrishvili**
Faculty of Business Administration
Georgian National University


Сейчас пользователи всё чаще и с удовольсвием тратят деньги в интернете, поэтому, именно здесь нужно искать ваших будущих покупателей. Время обычной рекламы прошло - люди от неё устали и уже ей не доверяют, а интернет-маркетинг даёт новые способы рассказать миру о вашем продукте.

Интернет-маркетинг-это действия, направлённые на продвижение товаров и услуг в интернете. Основная цель интернет-

маркетинга - превратить посетителей сайта в покупателей и увеличить прибыль. У интернет маркетинга есть три важных преимущества, которые отличают его от классического маркетинга : интерактивность, таргетирование и веб-аналитика. Рост продаж в интернет-маркетинге строится на привлечении посетителей, повышении эффективности сайта и возврате клиентов. Но мало привлечь посетителей, нужно сделать из них ваших текущих клиентов, ведь именно они дают вашему бизнесу прибыль. Все эти моменты должна учитывать ваша интернет стратегия. Мы все знаем как важно постпроить надёжный бизнес-план. И всё же, что удивительно, многие из нас не прикладывают почти одинаковых усилий, когда речь идёт о создании сильной маркетинговой стратегии. Какой смысл вкладывать столько времени и денег в строительство и создании нового бизнеса, только чтобы не было клиентов? Согласно иследованию Smart Insights, у 46% брендов еще нет определённой стратегии цифрового маркетинга, а у 16 % есть стратегия, но она ещё не реализованна. Это озночает, что более половины компаний не получают информацию о себе и о том, какими клиентами они могут быть, просто потому, что люди ещё не знают, что они существуют. Когда у вас нет маркетинговой стратегии, вы рискуете стать бесцельным как компания, тратить деньги на каналы, которые не приносят вам результатов, и проигрывать потенциальным клиентам вашим конкурентам. К счастью не так сложно придумать собственную маркетинговую стратегию. Как построить маркетинговую стратегию? Из каких шагов состоит она? Вот четыре шага, которые вам нужны, чтобы создать маркетинговый план, который работает для вас.

1. Первый шаг с которого должна начинаться стратегия - точное определение своей целевой аудитории. Узнайте, почему люди покупают ваши продукты и составте портрет потрибителя.

2. Второй шаг - это изучение конкурентов и определение своей позиции по отношению к ним.

- Знай своего целевого клиента
- Исслейдуйте своих конкурентов

Ни один бизнес не существует в вакууме, даже если вы являетесь единственным брендом на рынке в своей специфической нише. Вы можете быть уверенны что рано или поздно вы столкнётесь с какой-то конкуренцией, и у них появятся собственные идеи о том, как лучше всего привлечь клиентов. Вот почему важно потратить некоторое время на изучение конкуренции.Смысл анализа конкурентов состоит в том, чтобы помочь вам понять, что вы можете делать лучше или отличаться от остальной части толпы.

- Узнайте, что работает для них, и сделайте это лучше.
- Или найдите неиспользованные возможности.

3. Третий шаг - это определение целей и методов для их достижения. Решите какие инструменты интернет-маркетинга вы будете применять и каким образом. Существует множество способов донести ваше маркетинговое сообщение до ваших потенциальных клиентов, как никогда ранее. Вы можете пойти традиционным рекламным маршрутом и разместить рекламу в газетах и на рекламных щитах, или вы можете попробовать более современные и постоянно развивающиеся тактики, такие как SEO (search engine optimization) и контент маркетинг. Каким бы маршрутом вы не пошли, вам нужно выяснить, какие каналы вы будете использовать, чтобы превратить свою аудиторию в потенцильных клиентов, а затем в клиентов. Лючший подход к определению правельных каналов для вашей маркетинговой стратегии состоит в том, чтобы сначала разбить все ваши потенциальные каналы на три раздела : собственные, заработанные и платные медия. Все три раздела играют важную роль в

вашей стратегии цифрового маркетинга, и все три должны работать вместе, чтобы охватить все ваши маркетинговые основы. Хорошее общее правило- следовать соотношению 2 : 1 : 1 , когда вы начинаете свою маркетинговую стратегию :

-2 собственных медиа канала

-1 заработанный медиа канал

-1 платный медия канал

Отличный способ помочь вам выяснить детали вашей маркетинговой стратегии и выяснить, какие правильные маркетинговые тактики и каналы для вас нужны, - это быстро сломать воронку продаж.

По всей сути каждая воронка продаж соответствует формату AIDA (awareness , interest, desire, action) : << Внимание, интерес, желание и действие>>.

На верхнем уровне у вас есть холодные лидеры, люди, которые не знают о существовании вашего бренда, и вы хотите понять, как привлечь их внимание и интерес. Как только вы это сделайте, вам нужно будет найти способ превратить их в горячих клиентов, генерируя чувство желания. И наконец, вы воспользуйтесь этим желанием, попросив их выполнить определённое действие, будь то подписка на список рассылки или покупка продукта.

То, что вы хотите сделать, это разбить каждый канал, на котором вы сосредоточились в своей маркетинговой стратегии, и наметить путь вашего клиента через вашу воронку продаж. Разбив путь вашего клиента, вы можете найти самые слабые стороны вашей воронки продаж, и узнать, есть ли что-то ещё, что вы можете сделать, чтобы убедиться, что вы продвигаетесь достаточно, ведёт к завершающий стадии действия.

4. Четвёртый шаг- создайте SMART маркетинговые цели.

Теперь когда вы понимаете суть вашей маркетинговой стратегии, давайте выясним, что для вас звучит успех.

Как вы можете сказать,что ваша маркетинговая стратегия работает, если вы точно не знаете, какой успех в первую очередь?

Некоторые примеры плохо определённых целей :

- Я хочу занять первое место в Google.
- Я хочу большой список адресов электронной почты.
- Я хочу больше осведомлённости о запуске моего продукта.

Это не хорошо. У них нет работоспособных сроков, им не хватает конкретики и действительных шагов, и, что хуже всего, их невозможно отследить или измерить. Чтобы приодолеть эту ловушку, мы всегда выступаем за создание маркетинговых целей SMART. Другими словами цели являются конкретныммы, измеримыми, действенными, актуальными и своевременными. Имея SMART цели на месте, вы можете убедиться, что ваши маркетинговые цели прямо соответствуют вашим бизнес-целям. За ними легко следить, и за ними может стоять вся ваша команда, и, самое главное, вместо того, чтобы полагаться на свой инстинкт, теперь у вас есть определенные метрики, которые вы можете использовать для отслеживания успеха вашей маркетинговой стратегии. Это означает создание маркетинговых целей, которые больше похожи на это:

- Я хочу увеличить свой список рассылки до 50 000 подписчиков к концу года.

- Я хочу создать рейтинг номер один для ключевого слова «предприниматель» к 2018 году.

- Я хочу отслеживать и измерять количество загрузок и продаж, которые я получаю из серии загружаемых электронных книг в течение трех месяцев.

Создавая подобные цели, вы сможете стремиться к чему-то и убедиться, что ваша маркетинговая стратегия всегда сосредоточена и находится на правильном пути. Это также даст вам более четкое представление о том, работает ли ваша тактика, и если вам, возможно, потребуется со временем изменить или скорректировать свою стратегию.

В интернет- маркетинге не бывает пошаговой стратегии, одинакого хорошо работающей для любого бизнеса. Перед тем как начать продвижение, вам нужно определить целевую аудиторию, проанализировать конкурентов и поставить цели. Только после этого можно начинать работу с инструментами интернет-маркетинга. Какие из них будут для вас еффективны, а какие нет, вы поймёте на практике.

## თეზისები

დღესდღეობით მომხმარებლები უფრო ხშირად და სიამოვნებით ხარჯავენ თანხას ინტერნეტში, სწორედ აქ საჭიროა ეძებოთ თქვენი მომავალი მყიდველები. ჩვეულებრივი რეკლამის დრო გავიდა, ხოლო ინტერნეტ-მარკეტინგი იძლევა იმის საშუალებას, რომ თქვენი პროდუქტი წარადგინოთ მთელ მსოფლიოში.

Smart insights-ის კვლევის მიხედვით, ბრენდების 46% ჯერ კიდევ არ აქვთ შესაბამისი ციფრული მარკეტინგული სტრატეგია, ხოლო 16% აქვს, მაგრამ განუხორციელებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ნახევარზე მეტი კომპანია არ იღებს ინფორმაციას საკუთარ თავზე და იმის შესახებ, თუ როგორი კლიენტები შეიძლება იყვნენ ისინი, იმიტომ რომ, ხალხმა არ იცის მათი არსებობის შესახებ. როგორ შევქმნათ ინტერნეტ სტრატეგია? აი, 4 ნაბიჯი, რომლებიც გჭირდებათ, მარკეტინგული გეგმის შესაქმნელად.

1. პირველი ნაბიჯი- განსაზღვრეთ თქვენი მიზნობრივი აუდიტორია. გაარკვიეთ თუ რატომ ყიდულობენ ადამიანები თქვენს პროდუქტს და შექმენით მომხმარებლის პორტრეტი.

2. მეორე ნაბიჯი- შეისწავლეთ თქვენი კონკურენტები და განსამღვრეთ მათი პოზიციები.

3. მესამი ნაბიჯი- განსაზღვრეთ მიზნები და მეთოდები მათ მისაღწევად. გადაწყვიტეთ, რომელ საშუალებებს გამოიყენებთ და როგორ. არსებობს ბევრი გზა რომ მიაწოდოთ თქვენი მარკეტინგული მესიჯი თქვენს პოტენციურ მომხმარებლებს. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ტრადიციული რეკლამის მეთოდი, გამოაქვეყნოთ რეკლამა გაზეთებში ან გამოიყენოთ ბილბორდები, ან შეგიძლიათ სცადოთ უფრო თანამედროვე და მუდმივად განვითარებადი ტაქტიკა, როგორიცაა SEO (საძიებო ოპტიმიზაცია) და კონტენტ მარკეტინგი.

4. მეოთხე ნაბიჯი - შექმენით SMART მარკეტინგული მიზანი. მიზნები კონკრეტული, გაზომვადი, ეფექტური, აქტუალური და თანამედროვე უნდა იყოს. სწორი მიზნების ჩამოყალიბებით თქვენ დარწმუნებული იქნებით, რომ თქვენი მარკეტინგული სტრატეგია ყოველთვის ფოკუსირებულია და თქვენი ტაქტიკა მუშაობს.

ინტერნეტ-მარკეტინგში არ არსებობს ყველასათვის ერთი და იგივე სტრატეგიები, რომლებიც თანაბრად მუშაობს ნებისმიერი ბიზნესისათვის. დაწყებამდე თქვენ უნდა განსაზღვროთ სამიზნე აუდიტორია, შეისწავლოთ კონკურენტები და დასახული მიზნები, მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ დაიწყოთ მუშაობა. რომელი ინსტრუმენტები იქნება თქვენთვის უფრო ეფექტური და რომელი არა, თქვენ მიხვდებით პრაქტიკაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://foundr.com/marketing-strategy/
2. http://tilda.education/courses/marketing/internet-marketing-beginning/
3. https://www.titangrowth.com/what-is-earned-owned-paid-media-the-difference-explained/

# ანაკლიის პორტის მშენებლობა და ანალიტიკური მედიის შეფასებები
# Anaklia Port Construction and Analytical Media Assessments

**რევაზ შიშმანიძე** - ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
**ლიკა ხურციძე** - ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

**Revaz Shishmanidze** - Faculty of Business Administration
Georgian National University
**Lika Khurtsidze** - Faculty of Business Administration
Georgian National University

## თეზისები

„ქვეყნის ყველაზე დიდი ინფრასტრუქტურული პროექტი", „ქვეყნის მთავარი საზღვაო კარიბჭე", „რეგიონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ლოგისტიკური ცენტრი", „ანაკლია: კარი ჩინეთსა და ევროპას შორის", „საუკუნის მშენებლობა" ეს ის გავრცელებუ ფრაზებია რომლებმაც მოიცვა ქართული მედია სივრცე და არა მარტო.

„ჩვენ ვაშენებთ 100 მილიონ ტონაზე გათვლილ პორტს, ეს იმას ნიშნავს, რომ ვაშენებთ 100-150 წელზე გათვლილ პერსპექტივას ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის...", – პორტის გახსნის ცერემონიაზე განაცხადა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის" დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ.

სტრატეგიული მდებარეობა, მაღალი გამტარუნარიანობა, ლოგისტიკური სერვისების განვითარების შესაძლებლობა, გაფართოებისა და განვითარების პერსპექტივა – ეს ანაკლიის პორტის მახასიათებლებია, რომელთა გამოც ფიქრობენ, რომ საქართველო აბრეშუმის გზის კორიდორში თავის ისტორიულ მისიას, ბოლოს და ბოლოს, შეასრულებს და ქვეყნის მთავარ საზღვაო კარიბჭედ იქცევა, ისევე, როგორც რეგიონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლოგისტიკურ ცენტრად, სადაც ასევე გაშენდება ქალაქი ანაკლია და განვითარდება სპეციალური ეკონომიკური ზონა.

ეს იქნება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, რომელიც ანაკლიის მიმდებარედ, 340 ჰექტარი ფართობის ტერიტორიაზე შენდება. პროექტი

სულ 9 ფაზად განვითარდება და მისი მთლიანი ბიუჯეტი 2.5 მილიარდი აშშ დოლარია.

საუბარია პორტზე, რომელიც დიდი სიმძლავრის პანამაქსის ტიპის ხომალდებს მიიღებს და საბოლოოდ შეძლებს ყოველწლიურად 100 მილიონ ტონამდე ტვირთის გატარებას.

საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ელიზაბეთ რუდის სიტყვებით. „ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტს და სპეციალური განვითარების ზონას აქვს დიდი მნიშვნელობა და დიდი პოტენციალი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანი რეგიონის განვითარებისთვის ... ამერიკის მთავრობის სააგენტოების ფართო ჩართულობა პროექტში აჩვენებს მნიშვნელობას, რაც ამ პროექტს ამერიკისთვის აქვს“,

პოპულარულმა ინტერნეტგამოცემა www.europeaninterest.eu-მ ანაკლიის პორტის შესახებ ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის ფრედერიკ სთარის წერილი გამოაქვეყნა, სადაც ვრცელ ანალიტიკურ სტატიაში, სათაურით: „პორტი ევროპის უკიდურეს აღმოსავლეთში“, სთარი მიმოიხილავს საქართველოს გეოპოლიტიკურ ვითარებას, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას, რუსეთის დამოკიდებულებას, პროექტის გამოწვევებს, სირთულეებსა და პერსპექტივებს.

რუსულუ ჟურნალი FORBES -ი, ამერიკული კომპანიის Conti International-ის, ანაკლიის პორტით დაინტერესების მიზეზად ჩინეთს ასახელებს. ჩინეთისთვის საქართველო არის ევროპასთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი უმოკლესი სავაჭრო გზა, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება ჩინეთიდან პროდუქციის ჩამოტანა 8 -10 დღეში და საქართველოდან ევროპაში 3-5 დღეში გატანა, ეს კი ჩინეთს დაეხმარება შეინარჩუნოს და გაზარდოს ქვეყანაში დასაქმებულთა რაოდენობა და კვლავ გააგრძელოს ეკონომიკური ზრდა.

ამ თემასთან დაკავშირებით აზერბაიჯანელმა ექსპერტმა ტოფიგ აბასოვმა გააკეთა ფრიად საინტერესო კომენტარი მედიასთან, მისი თქმით აზერბაიჯანი და საქართველო უკვე დიდი ხანია ქმნიან დამაკავშირებელ სავაჭრო ხაზს და დადებით ინტეგრაციონალურ ფენომენს მთელი რეგიონისთვის. ანაკლიის პორტის მშენებლობით დაინტერესება იკვე გამოხატეს ბალტიის პირეთის ქვეყნებმაც გერმანიამაც და შავი ზღვის აუზის ქვეყნებმაც ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს პორტის გეოსტრატეგიულ

და სავაჭრო მნიშვნელობას, მისი წარმატებით განხორციელება კი სარგებელს მოუტანს არა მარტო საქართველოს არამედ მთელ რეგიონს

## Theses

"The country's largest infrastructural project", "the main maritime gate of the country","One of the most important logistical centers in the region", "Anaklia: the door between China and Europe", "building of the century" these are the words that are covered by Georgian media space and not only.

"We are building a port arranged to carry 100 million tons of cargo, that means we are building a prospect for 100-150 years for the future of our country", - said Mamuka Khazaradze, founder of Anaklia Development Consortium at the port opening ceremony.

Strategic location, development of logistic services, expansion and development perspectives – These are the characteristics of Anaklia port, which is thought that Georgia will fulfill its historic mission in the Silk Road Corridor and will eventually become the country's leading maritime gateway, as well as An important logistics center, where the city anaklia and a special economic zone will be developed.

It will be a deepwater port of Anaklia, which is being built on the territory of 340 hectares of land near Anaklia. The project will have 9 phases and its total budget is US $ 2.5 billion.

It is about a port that will receive the Panamax-type ships of great power and will eventually be able to carry 100 million tons of cargo annually.

According to US Ambassador to Georgia Elizabeth Rudd. "The Anaklia Deepwater Port Project and Special Development Zone have great importance and great potential not only for the development of the whole country, but also for the whole region ... The broader involvement of American government agencies in the project shows the importance of the project for the USA"

A popular online publication www.europeaninterest.eu published a famous American journalist’s- Frederick Starr’s broad analytical article on Anaklia Port titled "Port of Europe in the Far East", Starr overlooks Georgia's geopolitical situation, geostrategic importance of Anaklia's deep-sea port, Russia's attitude, project’s challenges, difficulties and prospects.

Russian magazine Forbes names the China as a reason for interest of Anaklia port expressed by the American company - Cont international. For China, Georgia is one of the shortest trade routes connecting Europe with the help of which it would take 8 to 10 days from China to Georgia and 3-5 days from Georgia to Europe to transfer cargos, which will help China maintain and increase the number of employees in the country and continue to increase an economic growth.

Azerbaijan expert Tofi Abasov has made a very interesting comment with media regarding this issue, according to which Azerbaijan and Georgia have long been creating a connecting trade line and a positive integration phenomenon for the whole region. Interest in the construction of the Anaklia port has already been expressed by the Baltic countries, Germany and the Black Sea countries. This once again proves the geostrategic and trade significance of the port and its successful implementation will benefit not only Georgia but also the entire region

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. https://foundr.com/marketing-strategy/

2. http://tilda.education/courses/marketing/internet-marketing-beginning/

3. https://www.titangrowth.com/what-is-earned-owned-paid-media-the-difference-explained/

# სოფლის მხარდაჭერის პროგრამის როლი და მნიშვნელობა სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში

**ნანა ფირცხელავა** - ეკონომიკის დოქტორი,
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, უფროსი სპეციალისტი
**მარინე ალანია** - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,
თბილისის ღია უნივერსიტეტი

**Nana Pirtskhelava**- PhD of Economics,
Zugdidi Municipality City hall, senior specialist
**Marine Alania** – PhD of Economics, Professor,
Tbilisi Open university

**რეზიუმე:** სტატიაში საუბარია საქართველოს მთავრობის მიერ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების გზებზე, მის მნიშვნელობაზე.

მნიშვნელოვანია ის, რომ პროგრამით გამოყოფილი თანხების ხარჯვამ შეიძინა უფრო მიზანმიმართული ხასიათი. პროექტის მიხედვით, გამოყოფილი თანხა ხმარდება მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურულ პროექტებს, კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვას და გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვას.

როგორც ვხედავთ, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა სოფლებში მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების მოწესრიგების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს და პროგრამით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში ხდება სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილება. გადაწყვეტილებას კი კონკრეტულად თუ რა პრობლემა მოგვარდეს, სოფლის კრების მეშვეობით, თავად მოსახლეობა იღებს.

**Abstraqt:** The role and importance of the village support program in raising the welfare of the rural population. The article deals with the ways governing the Rural Support Program by the Government of Georgia. The cost of funds allocated by the program is a more purposeful character. Allocated money from the program is directly used for the local infrastacuture projects. Construction or rehabilitation facilities. Equipping of common use buildings and purchase equipment of long-term use techniques .

as we see Rural Support Program is one of the main sources of regulation of small infrastructural projects in villages and within the framework of the program the satisfaction of the first social and economic needs of the village is provided Deciding on the solution of the problem, the population itself gets through the village council.

სოფლის მხარადაჭერის პროგრამის განხორციელება საქართველოს მთავრობამ 2009 წლიდან დაიწყო და 2017 წელს გააუქმდა. პროგრამის ფარგლებში საქართველოს ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 50 მილიონი ლარი გამოიყოფოდა. აღნიშნული თანხა ხმარდებოდა სოფლის როგორც ეკონომიკურ ისე სოციალურ განვითრებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა არ ითვალისწინებდა მხოლოდ შერჩეული სოფლის ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, არამედ თანხის გამოყოფა ხორციელდებოდა ისეთ პროექტებზე, რომელიც სოციალური ხასიათისაა და არავითარი ეკონომიკური სარგებელი არ გააჩნია.

ასევე უნდა ითქვას, რომ ის სოფლებში მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების მოწესრიგების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა. გადაწყვეტილებას კი კონკრეტულად თუ რა პრობლემა მოგვარებულიყო, სოფლის კრების მეშვეობით, თავად მოსახლეობა იღებდა. დღეს მისასალმებელია ის ფაქტი, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა აღდგა და 2019 წლის ბიუჯეტში იქნა ასახული. ეს პროგრამა საინტერესოა იმითაც, რომ კარგი შესაძლებლობა მიეცათ მოქალაქეებს კვლავ აქტიურად იყვნენ ჩართულები გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ამით სასარგებლო შედეგები მოუტანონ დასახლებას, თემსა და სოფელს. ამ პროგრამის მეშვეობით გაძლიერდება მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტა უშუალოდ მოსახლეობის მიერ დასახული პრიორიტეტების შესაბამისად მოხდება.

მნიშვნელოვანია ის, რომ პროგრამით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში მოხდება სოფლების პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებების დაკმაყოფილება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, ისევე, როგორც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (გარდა მუნიციპალიტეტებზე გადასაცემი ტრანსფერებისა) ორი ინფრასტრუქტურული პროექტია, რომელთა მიზანი რეგიონებისა და სოფლების ინფრასტრუქტურის განვითარებაა და ამასთან, მის ადმინისტრირებას ადგილზე ადგილობრივი თვითმმართველობები ახდენენ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული სამინისტროს პატრონაჟის ქვეშ.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით საპროექტო წინადადებების შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევის პრინციპები;;
2. მოსამზადებელი სამუშაოები;
3. საერთო კრებების სხდომების და მოსახლეობასთან კონსულტაციების ინიცირება;
4. მოსახლეობის ინფორმირება;
5. მოსახლეობისგან საპროექტო წინადადებების მიღება;
6. საერთო კრების მიერ საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები;
7. კონსულტაციის მეშვეობით საპროექტო წინადადების შერჩევის პროცედურები;
8. საერთო კრების სხდომის / კონსულტაციის გამართვის დოკუმენტირება;
9. ერთობლივი საპროექტო წინადადებების შერჩევის პროცედურის თავისებურებები;
10. პროექტების დამტკიცება საკრებულოს მიერ.

2019 წლიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევის პროცესი ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს: მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის თანამონაწილეობა, მოსახლეობის აქტიურობის მხარდაჭერა; პროცესის გამჭვირვალობა;

გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის მიერ, რაც გულისხმობს პროექტის ფარგლებში თითოეულ სოფელში სოფლის კრებების, სხდომების ან მოსახლეობის კონსულტაციების ჩატარებას, სადაც მოსახლეობა თავად გადაწყვეტს, თუ რა საკითხი უნდა მოგვარდეს

პროგრამის ფარგლებში. საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მუნიციპალიტეტის მერი ერთვება მხოლოდ ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც პროექტების შესარჩევად ჩატარებული კენჭისყრის დროს ორმა ან მეტმა საპროექტო წინადადებამ მიიღო სხვებზე მეტი და თანაბარი რაოდენობის ხმა, საუკეთესო პროექტებიდან რომელიმეს შერჩევის მიზნით, ან პროექტების განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხის გადაწყვეტისას. მიმაჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევშიც გადაწყვეტილების მიღების უფლება უნდა დავუტოვოთ მოსახლეობას, მხოლოდ და მხოლოდ თანადაფინანსების საკითხში უნდა ერთვებოდეს მერი. თუმცაღა მერის გადაწყვეტილებებიც ეფუძნება საერთო კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს და გამომდინარეობს მოსახლეობის საჭიროებებიდან და ინტერესებიდან.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის თანამონაწილეობას ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების სინერგია მუნიციპალიტეტის საკუთარ რესურსებთან და შერჩეული პროექტების განხორციელებაში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეტანილ წვლილთან. საამისოდ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა იძლევა მუნიციპალური ბიუჯეტიდან პროექტების თანადაფინანსების შესაძლებლობას, მაგრამ არაუმეტეს დასახლებისათვის პროგრამით გათვალისწინებული თანხის 100%-სა. აქვე მინდა ავღნიშნო ის, რომ მისასალმებელია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების 100%-ით შესაძლებლობა პროგრამით გათვალისწინებული თნხისა, მაგრამ პროგრამით გამოყოფილი თნხები ძლიან მწირია და ეჭვი მაქვს რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება შეძლოს თუნდაც ყველაზე დიდი დაფინანსების მქონე სოფლებისთვისაც. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2012-2016 წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით რეგიონებისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 50 მილიონ ლარს, დღეს კი ის განისაზღვრება 20 მილიონი ლარით.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით საპროექტო წინადადებების შერჩევის მეორე ეტაპი გახლავთ მოსამზადებელი სამუშაოები. აქ ერთვება მუნიციპალიტეტის მერი და ქმნის სამუშაო ჯგუფს და ანაწილებს ფუნქციებს სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის.

სამუშაო ჯგუფის სარეკომენდაციო შემდგენლობა და ფუნქციები გამოიყურება შემდეგნაირად: პროცესის საერთო ხელმძღვანელობას უწევს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ახორციელებს საკრებულოს წევრების ინფორმირებულობას და მაჟორიტარი წევრების ჩართვს პროგრამის განხორციელების პროცესში, მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თვმჯდომარე ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სამოქალაქო სექტორს და ბიზნესის წარმომადგენლები ჩაერთოს პროგრამის განხორციელების პროცესში, ადმინინსტრაციული სამსახურის უფროსს ევალება საერთო კრებების, კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით. ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია, ჩემი აზრით, ენიჭება ინფრასტრუქტურული სამსახურის უფროოს, რომლის პირდაპირი მოვალეობაა საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება. საზოგადოებასთნ ურთიერთობის სამსახური პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე დაა მოსახლეობის ინფორმირებაზე. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ახორციელებს საჭირო თანხების მობილიზებას, თანადაფინანსების საკითხის განხილვას. იურიდიული სამსახურის უფროსი კი ვალდებულია მოამზადოს მერის სამართლებრივი აქტები. როგორც ვხედავთ მუნიციპალიტეტის მერიის მთელი სამსახური ჩართულია პროგრამის განხორციელების პროცესში.

სამუშაო ჯგუფის წევრები მსჯელობენ და განსაზღვრავენ მუნიციპალიტეტის დასახლებებში საერთო კრებების, სხდომებისა

და კონსულტაციების ჩატარების, დასახლებებისათვის საორიენტაციოდ გამოყოფილი თანხების ოდენობების, მათი ეფექტურად გამოყენების გზებისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, დასახლებისათვის (გარდა მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრებისა) გამოყოფილი თანხის გაანგარიშება შემდეგ პრინციპს ეყრდნობა:

ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს გამოეყოფა 5 000 ლარი;

ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს გამოეყოფა 6 000 ლარი;

გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს გამოეყოფა 8 000 ლარი;

დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს გამოეყოფა 10 000 ლარი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში კონკრეტული დასახლებისთვის გამოყოფილი თანხა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად.

ასევე მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირებულობა დასახლებაში განსახორციელებელი საპროექტო წინადადებების შერჩევასთნ დაკავშირებით. განსახორციელებელი პროექტების ნუსხა შემდეგნაირად გამოიყურება:

სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის ჭაბურღილები, წყალსადენები, ჭა და ა.შ. გაწმენდებით); წყაროების მოპირკეთება;

- სარწყავი სისტემები;
- სანიაღვრე არხები;
- ნაპირსამაგრი სამუშაოები;
- გზები;
- ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები;
- გარე განათება;
- სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

• სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;
• ამბულატორიის შენობები;
• კულტურის ობიექტები;
• სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;
• სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით;
• წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი;
• სასაფლაოს შემოღობვა;
• თავშეყრის ადგილები, მოსაცდელები;
• მინი-ჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა

2016 წელს `სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა 1649317 ათას ლარი მიიღო, ხოლო მიმდინარე წელს, მიუხედავად სოფლის მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისა 701317 ლარით ნაკლები და მიღებულმა თნხამ შეადგენდა 948 ათას ლარი. თანხა 58 სოფელზე გადანაწილდა. ყველა სოფელმა სხვადახვა რაოდენობის თანხა, სოფლის მკვიდრთა სულადობის მიხედვით მიიღო. ამ პრინციპით, ყველაზე დიდი თანხა 20 თასი ლარი 22 სოფელმა მიიღო, 19 სოფელმა 16 ათას ლარიანი დაფინანსება მიიღო, 8 სოფელმა კი-12 ათასი ლარიანი და ყველაზე დაბალი, 10 ათას ლარიანი დაფინანსება მიიღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 8 სოფელმა.

2016 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გახორციელდა 305 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები, საშუალოდ ერთი პროექტის ღირებულებამ შეადგინა 5407 ლარი, მიმდინარე წელს კი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებული 222 საპროექტო წინადადებებიდან, რომელიც გამოვლინდა სოფლის კრებებზე, კონსულტაციებზე თუ კენჭისყრის შედეგად, სავარაუდოდ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესამლებელია დაახლოებით 100 პროექტის განხორციელდება (საშუალოდ ერთი პროექტის ღირებულება შეადგენს 6320 ლარს) ამ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის სიმწირის გამო, თუმცა ყველა საპროექტო წინადადება, რომელიც გამოვლენილიქნა სოფლის კრებებზე, კონსულტაციებზე თუ კენჭისყრის შედეგად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სოფლის მოსახლეობისათვის. მაგრამ, მიუხედავად არასაკმარისი დაფინანსებისა ის არ აკნინებს სოფლის

მხარდაჭერის პროგრამის როლს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში და როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, წარმოადგენს სოფელში ინფრასტრუქტურული პროექტების მოწესრიგების ერთ-ერთ მთავარ წყაროს.

2019 წელსაც, ისევე როგორც 2016 წელს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ძირითად პრიორიტეტს სოფლის ინფრასტრუქტურა, გზის რეაბილიტაცია, ხიდები, სანიაღვრე არხები, წყლის მომარაგება და გარე განათება წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, პროგრამით გამოყოფილი თანხების ხარჯვამ შეიძინა უფრო მიზანმიმართული ხასიათი. პროექტის მიხედვით, თანხა ხმარდება მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურულ პროექტებს, კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვას და გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საპროექტო წინადადებების შერჩევა (სახელმძღვანელო მუნიციპალიტეტებისათვის), საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო-mrdi.gov.ge

# ინტერნეტ-მარკეტინგი: ავირჩიოთ ინტერნეტ მარკეტინგის თანამედროვე სტრატეგიები

# Internet marketing: choosing modern internet marketing strategies

**ვალერი მაჭარაშვილი**
ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
**დავით სეფაშვილი**
ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

**Valeri Macharashvili**
Faculty of Business Administration
Georgian National University
**Davit Sepashvili**
Faculty of Business Administration
Georgian National University

სამსახურებრივი ურთიერთობები წარმოუდგენელია ფარული მართვის გარეშე. სამწუხაროდ ადამიანები ხშირად ცდილობენ გამოიყენონ სხვა ადამიანი თავიანთი ჩანაფიქრის შესრულების იარაღად, თავისი სამუშაოები და პასუხისმგებლობები გადააბარონ სხვას, მოახდინონ თვითდამკვიდრება სხვათა ხარჯზე. ამგვარი ზრახვები უჩნდებათ როგორც ხელმძღვანელებს, ასევე დაქვემდებარებულებს.

დასაქმებულთა თვითშეგნებისა და განათლების დონის ზრდასთან ერთად აღარ ამართლებს მართვის მოძველებული მეთოდები და სულ უფრო მეტად მკვიდრდება ფარული მართვის მეთოდი. ბუნებრივია, იძულებითი მეთოდის ნაცვლად ფარული მეთოდებით მიზნის მიღწევა არ ამცირებს ადამიანის ღირსებას და ქმნის კეთილსურველ გარემოს კოლექტივის წევრზს შორის. ამგვარი დამოკიდებულება ხელსაყრელია როგორც ხელმძღვანელისათვის, ასევე რიგითი მომუშავისათვის, თუ რასაკვირველია ადგილი არა აქვს მანიპულაციას. ვინაიდან მანიპულაცია არის ფარული მართვის კერძო შემთხვევა, რომელიც ხორციელდება ადრესატის ნების

საწინააღმდეგოდ და სხვადასხვა სახის ზიანს აყენებს მას. სწორედ ამიტომ, არსებობს ეთიკური შეზღუდვა მანიპულაციაზე და, განსაკუთრებით, ამორალური ხდება, როდესაც ხელმძღვანელი მას იყენებს არა ორგანიზაციის, არამედ პირადი მიზნებისათვის. ხელმძღვანელია ფარული მართვის ობიექტი თუ ხელქვეითი მიზნები ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო შედეგი ხელმძღვანელის მართვისას შესაძლოა მძიმე შედეგით დამთავრდეს, თუკი იგი გამოაშკარავდება. დაქვემდებარებულთა ფარული მართვისას შესაძლოა გამოყენებული იქნას მათი მახასიათებელი ნიშნები: ამბიციურობა, საკუთარი განსაკუთრებულობის ხაზგასმის სურვილი, პატივმოყვარეობა და სხვა.

არც თუ იშვიათად ხელმძღვანელები თავს ახვევენ ხელქვეითებს ისეთი სამუშაოების შესრულებას, რომელიც არ შედის მათ პირად მოვალეობებში, მოითხოვენ სამუშაოს შესრულებას ხანმოკლე პერიოდში. ამგვარი მოთხოვნების შედეგად გამოწვეული პროტესტის თავიდან აცილების მიზნით ხელმძღვანელები მიმართავენ დაქვემდებარებულთა შემზადებას კომპლიმენტებითა და შეღავათების დაპირებებით, ხშირად ხდება დაქვემდებარებულთა პირადი ინტერესებით მანიპულირებაც, ზოგჯერ ხელმძღვაქნელები კარგად ირგებენ მსახიობის როლს და ვითომ მათი პრობლემით დაინტერესებულები, დაქვემდებარებულთა თანდასწრებით, აღნიშნული პრობლემის მოგვარებას თავიანთ მოადგილეებს ავალებს. ამგვარი მანიპულაციით ხელმძღვანელი იგებს დროს და არწმუნებს დაქვემდებარებულს, რომ პრობლემა გადაჭრის სტადიაშია, ამასთანავე იხსნის პასუხისმგებლობას. რაც შეეხება მანიპულაციის სამიზნეს, რომელსაც იმედი აღარ ჰქონდა პრობლემის მოგვარების, წარმოდგენილი “სპექტაკლის” მეშვეობით უჩნდება ნდობა და იძულებულია დაემორჩილოს ხელმძრვანელის მითითებებს როგორც მთხოვნელი. სამწუხაროა, მაგრამ ხელმძღვანელები ხშირად ზემოქმედების სამიზნედ იყენებენ დაქვემდებარებულთა შიშს არ დაკარგონ სამუშაო, ამგვარი მიდგომა გარკვეულწილად ასუსტებს მათ წინააღმდეგობას, ხდებიან

მორჩილნი და პროტესტის გარეშე ასრულებენ ნებისმიერ მითითებებს.

წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია თათბირის პროცესში მსჯელობის მიმართულება და საერთო წყობა. ამ დროს გამოიყენება შემდეგი ხერხები:

- „საჭირო“ ადამიანისათვის სიტყვის მიცემა, რომელიც თავისი ემოციური გამოსვლით მსჯელობას მისცემს შესაბამის მიმართულებას;
- ხელმძღვანელის მიერ დისკუსიის დაწყება ხდება წინასწარ შემუშავებული მანერითა და ტონალობით;
- დამსწრეთა შორის იმ ადამიანის არსებობა რომელსაც ეკისრება ხელმძღვანელის დაცვის როლი;
- ორატორის მოწინააღმდეგის აღმოჩენა მსმენელთა მიმიკებზე დაკვირვებით.

საინტერესოა რატომ ხდება თათბირზე დროის კარგვა, თუკი გადაწყვეტილების შედეგი წინასწარ არის ცნობილი? საქმე ისაა რომ თუ გადაწყვეტილება კონკრეტული ხელმძრვანელის მიერ არის მიღებული, მასვე აკისრია პასუხისმგებლობა, ხოლო თუ იგი თათბირის შედეგად არის მიღებული პერსონალურად არავინ აგებს პასუხს. ხშირად ამბობენ, რომ თათბირი პერსონალური პასუხისმგებლობისაგან გაქცევის საშუალებაა. მოცემული მანიპულაციის მიზანი სწორედ პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებაა, ხოლო მოქმედების სამიზნე კოლექტიური პასუხისმგებლობის პრაქტიკა გახლავთ.

ფარული მართვის პროცესი ფართოდ გამოიყენება მოლაპარაკებების პროცესში. კვლევების შედეგად დადგენილია, რომ საქმიანი საუბრისას განსხვავებული ხერხბის გამოყენება განსხვავებულ შედეგს იძლევა. განისაზღვრა, აგრეთვე პოზიტიური და ნეგატიური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოლაპარაკებების შედეგებზე.

პოზიტიურ ხერხებს მიეკუთნება:

1. კითხვების დასმა;
2. აქტიური მოსმენა;
3. ემოციური კომენტარები;

თანხმობის ქცევითი ნიშნები; აქტიური მოსმენის საშუალებით შესაძლებელი ხდება პარტნიორის მიერ გამოთქმული აზრების სისწორის გაგება და საუბრის ეტაპების მიხედვით შუალედური შედეგების შეჯამება.თანხმობის ქცევითი ნიშნები კი საშუალებას იძლევა ადვილად წასაკითხი გახდეს მსმენელის ვერბალური და არავერბალური სიგნალები. მაგალითად, თავის დაქნევა მოსმენისას ან კვერის დაკვრა. მოლაპარაკებების მონაწილენი, რომლებიც ცდილობენ მიაღწიონ საუკეთესო შედეგს სწორედ აღნიშნულ ხერხებს იყენებენ.

რაც შეეხება ნეგატიურ ხერხებს, რომლებიც აფერხებენ საუბრის წარმატებულ შედეგს ესენია:

1. გამაღიზიანებლების გამოყენება;
2. კონტრწინადადებები;
3. მოძრაობა სპირალიზებულად- “დაცვა- თავდასხმა”;
4. ბუნდოვანი არგუმენტები;
5. უთანხმოების ნიშნები ;

გამაღიზიანებლების გამოყენება, იქნება ის სიტყვიერი თუ ჟესტებსა და მიმიკებში გამოხატული, შეიცავს კონფლიქტის საშიშროებას, რადგან ისინი კონფლიქტოგენებს წარმოადგენენ. კონფლიქტის საშიშროებას ზრდის “დაცვა- თავდასხმაც”, ანუ კონტრიერიშზე პერიოდული გადასვლა, რადგან ასეთი ქცევისას იზრდება ერთმანეთის მიმართ ზეწოლა და ამოქმედებას იწყებს კონფლიქტოგენების ესკალაციის კანონი. თავდასხმა – წარმოადგენს კონფლიქტოგენს, რასაც მოსდევს საპასუხო კონფლიქტოგენი და სწორედ ამ სქემით ჩნდება კონფლიქტების 80%.

გამოცდილი ლიდერები მოლაპარაკებების პროცესში პარტნიორებს უსვავენ წინასწარ მომზადებულ კითხვებს, შეფასებებისას აანალიზებენ მიღებულ პასუხებს და ხელმეორედ სვამენ კითხვებს. მიღებულ პასუხებს ინიშნავენ არავერბალურ

ნიშნებთან ერთად, რომელიც შენიშნეს თანამოსაუბრეს. შედეგად მათ იციან ყველაფერი მათ შორის რის დამალვასაც ცდილობდნენ.

ფარული მართვისას მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ იმის ანალიზი თუ რას ლაპარაკობენ მისი თანამონაწილენი, არამედ იმისა თუ რას აკეთებენ, როგორ წარმოთქვამენ ისინი სიტყვებს,. არავერბალურ მოქმედებათა გამოვლენა ხდება ხმის სიმაღლეში, სახის გამომეტყველებაში, ჟესტებში, სხეულის მოძრაობაში, პოზებში ამგვარი არავერბალური ქმედებები მრავალნაირია და შეიცავენ უამრავ საინტერესო ცნობას, რომელიც გასათვალისწინებელია წარმატებული შედეგის მისაღწევად.

**დასკვნა:** ამრიგად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა  შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი ლიდერის, სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბებაში, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ  სხვადასხვა ორგანიზაციები  ვერ უზრუნველყოფენ  სწორე გზით შეარჩიონ ობიექტური და მცოდნე კადრები რასაც ხშირ შემთხვევაში ნეპოტიზმი უდევს საფუძვლად. სწორედ  მსგავსი პრობლემებიდან გამომდინარე ვაწყდებიტ  კოპანიეში  მართველებს შორის კოპლიქტს  ასევე ხშირ შემთხვევაში  გუნდებში ისახება ფარული ლიდერები რომლებიც  უშლის ხელს ინფორმაციის გაცვლას გუნდის სხვა წევრებს შორის  რაც აისახება საბოლოო ჯამში გუნდის წარუმატებლობაზე და ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფენ სრულ წარმატებას ყოველ სიტუაციაში.

ორგანიზაციის მართვას, რომელიც განიხილება, როგორც რეალურად არსებული ფენომენი, აქვს გარკვეული ფორმა და მოცულობა. მისი სიღრმისეული შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ მართვის განვითარების ცოდნის შემთხვევაში. რა თქმა უნდა, მოვლენების ან პროცესების აბსტრაქტული განხილვა გვაშორებს რეალობას, ანადგურებს კონკრეტულ დახასიათებებს, მაგრამ ამავდროულად იგი გვაძლევს საშუალებას უკეთ შევიცნოთ მათი არსი და ბუნება.

ნებისმიერი მეცნიერება ფორმირდება ისტორიული გამოცდილების დამსახურებით. ისტორიული გაკვეთილების

შესწავლა, შეცდომების და შებრყოლებების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

ადამიანი არის ორგანიზაციის ღერძი, მისი არსი და მთავარი სიმდიდრე. მმართველები მივიდნენ ამ დასკვნამდე, ჯერ კიდევ წინა საუკუნეში. სწორედ ამიტომ ადამიანური ურთიერთობების სკოლამ დაიწყო ინტენსიური განვითარება. პროცესებისა და ადამიანების მართვა არის ძალზე მნიშვნელოვანი საქმე ორგანიზაციისთვის. ლიდერს უნდა გააჩნდეს საკმარისი ცოდნა, რათა წარმატებით მართოს ისინი. ეს არის მთავარი თეზისი, რომელიც იყო ფორმულირებული, ადამიანური ურთიეთობის სკოლის განვითარების პროცესში.

მართვის მეცნიერების სკოლა იყენებს რაოდენობრივ მეთოდიკებს. მისი გავლენა იზრდება, რადგან ის განიხილება,

ნაშრომში განხილულია სხვადასხვა მიდგომა და შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სისტემური მიდგომა განიხილავს ორგანიზაციას, როგორც გახსნილ სისტემას, რომელიც შედგება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ქვესისტემისგან. სისტემების თეორია ეხმარება მმართველებს, გააცნობიერონ ურთიერთკავშირი ორგანიზაციის ცალკეული ნაწილებისა და მის გარშემო მყოფ გარემოს შორის. სიტუაციურმა მიდგომამ განავითარა თეორიული სისტემების პრაქტიკული გამოყენება და დაადგინა მთავარი ცვლადები, რომლებიც მოქმედებენ ორგანიზაციაზე. სიტუაციურ მიდგომას ხშირად „სიტუაციურ აზროვნებას“ უწოდებენ. სიტუაციის თვალსაზრისით, მართვის უკეთესი მეთოდი არ არსებობს.

## გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

1. თანამედროვე ორგანიზაციის მართვა - ჟურ. „სტრატეგია და ორგანიზაციის“ საუკეთესო სტატიების კრებული. პირველი გამოცემა. 2009 წ.
2. ლიდერის ხელოვნება - ჟურ. „სტრატეგია და ორგანიზაციის“ საუკეთესო სტატიების კრებული. მეორე გამოცემა. 2012 წ.
3. ნორთჰაუზი პ. გ. – ლიდერობა. Sps. C&A Digitals. თბილისი 2010.

# სოციალური დაცვის სისტემის განვითარების პერსპექტივები და მისი შესაბამისობა ევროკავშირის სოციალური დაცვის სისტემასთან
# Prospects for the development of the social security system of Georgia and its compliance with the EU Social Security system

**ნინო გრიგოლაია** - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,
თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი
**ნელი სესაძე** - ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

**Nino Grigolaia** - PhD of Economics, Professor,
Tbilisi Open university
**Neli Sesadze** - PhD of Economics, Assoc Professor,
Georgian National university

**რეზიუმე:** სოციალური დაცვის სისტემის განვითარება და ევროპული სოციალური დაცვის სისტემასთან მაქსიმალური დაახლოება საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამგვარმა სისტემამ უნდა მოიცვას სახელმწიფოს ყველა ღონისძიება და ქმედება, რომელიც მიმართულია ეკონომიკურად სუსტი ჯგუფების ცხოვრების საფუძვლების განმტკიცებისაკენ. სოციალურმა პოლიტიკამ მაქსიმალურად უნდა შეარბილოს საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობები. შესაბამისად, საქართველოსათვის ამ სფეროს განვითარება და მისი ევროკავშირის სტანდარტებთან მისადაგება წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან გამოწვევასა და მოთხოვნას, რომელიც ევროკავშირის წევრობის მოპოვების გზაზე აუცილებელად არის შესასრულებელი.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური სისტემა, სოციალური ინდიკატორები, ინდივიდუალური კეთილდღეობა

**Abstraqt:** Prospects for the development of the social security system of Georgia and its compliance with the EU Social Security system. The development of the social security system and the closer approximation with the European Social Security system is a crucial task for Georgia. This system should be cover all state activities addressed to economically weaker sections of the weak groups. Social

policies must maximally interfere with existing contradictions in society. Accordingly, Development of this field in Georgia and its compliance to EU standards is an important challenge and a requirement to be fulfilled on the path to EU membership. The basis of European social policy is the need for interaction of economic efficiency and social solidarity, On the basis of which the economic condition of Georgia will be created by a system of social protection, which will be in line with EU standards.

**Key words:** social system, social indicators, Individual welfare

საქართველოში ძირითად სოციალურ პრობლემად სიღარიბის დაძლევა სახელდება, ხოლო სოციალური პოლიტიკის სექტორულ სპექტრში ჯანდაცვის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის რეფორმირება განიხილება. ახლო წარსულში განხორციელებულმა არათანმიმდევრულმა რეფორმებმა, საკმაოდ წინააღმდეგობრივი სოციალური დაცვის სისტემა წარმოიქმნა. ერთი მხრივ, შემორჩა ძველი მექანიზმები და, მეორე მხრივ, გაჩნდა ახალი ელემენტების შემცველი სისტემა. სწორედ ამიტომ მოხდა ფუნქციათა აღრევა და მივიღეთ სოციალური დაზღვევის, სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის ელემენტების შემცველი გაურკვეველი სისტემა, რომელიც სასწრაფოდ საჭიროებდა რეფორმირებას.[66]

ევროკავშირისაკენ აღებული კურსი უკვე ნიშნავს ქართული საზოგადოების ოპტიმალური განვითარების პერსპექტივას, მაგრამ ამისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ევროპელ პარტნიორთა ძალისხმევა. საჭირო ხდება სახელმწიფოს განვითარების საშუალოვადიანი და გრძელვადიანი განვითარების ახალი სტრატეგიების შემუშავება. სწორედ ამაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იცხოვრებენ საქართველოს ახლანდელი და მომავალი თაობები, ამიტომ ის უნდა იყოს კარგად გააზრებული და დასაბუთებული.

---

[66] გოგიშვილი უ. „სოციალური დაცვის ევროპული მოდელები"ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი" . 2012 გვ. 87-105

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება ვერ იქნება სტაბილური და ვერ მიგვიყვანს ცხოვრების უკეთეს პირობებამდე, თუკი არ მოწესრიგდება სოციალური ინფრასტრუქტურა. ეს ფაქტორი უნდა იქცეს გრძელვადიანი განვითარების წინაპირობად. დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის მოდერნიზება უნდა მოხდეს იმასათვის, რომ მომავალი იქნეს უზრუნველყოფილი, სადაც სოციალური და ეკონომიკური ასპექტები მოსახლეობის ყველა ფენას თანაბრად მოიცავს და საყოველთაო კეთილდღეობის ფუნდამენტს შექმნის. ევროკავშირში, დაახლოებით 400 ინდიკატორი არსებობს, რომლებიც სოციალურ სისტემას მოიცავს. ინდიკატორთა სისტემა საერთო კეთილდღეობის პირველი რიგის საზომად ითვლება. კეთილდღეობის ცნების ქვეშ იგულისხმება გარკვეული ობიექტური ცხოვრების პირობებით შექმნილი «ინდივიდუალური კეთილდღეობა», დაფუძნებული მოქალაქეთა სუბიექტურ შეფასებებზე.

იმისათვის, რომ სამომავლოდ მაინც მოხერხდეს საქართველოს სოციალური დაცვის მაჩვენებლების შედარება ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან, პირველ რიგში, უნდა მოხდეს სოციალური ინდიკატორების სისტემის ფორმირება და ევროკავშირის ერთიან სისტემაში ჩართვა. ევროკავშირის სოციალური დაცვის კომიტეტმა ჯერ კიდევ 2001 წელს შეიმუშავა ინდიკატორთა ერთიანი სისტემა. მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს სტატისტიკის მაჩვენებლებში ისეთი სოციალური ინდიკატორების ჩართვა, რომლებიც შემდეგ 4 ძირითად კატეგორიაშია გაერთიანებული:

1. შემოსავლების განაწილება და სოციალური რისკებისგან დაცვა;
2. სამუშაო ძალის ბაზარზე ჩართვა;
3. სასწავლო და საგანმანათლებლო შანსები;
4. სქესთა გათანაბრება.

ასევე აუცილებებლია, ევროპული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმების პარალელურად, სტატისტიკის მეთოდოლოგიაც დაუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს.

ქვეყანაში უნდა მოხდეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების და სამოქმედო გეგმების არა მოკლევადიან მიზნებზე ორიენტირება, არამედ მათი გრძელვადიანი განვითარების პროგნოზირება. საზოგადოებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება არა იმის შესახებ, შევქმნათ თუ არა კეთილდღეობის მქონე საზოგადოება, არამედ _ კეთილდღეობის რომელი მოდელი იქნება ყველაზე შესაფერისი საქართველოსთვის. მსოფლიოში არსებული მოდელების განხილვისას, ჩანს, რომ სოციალური თანასწორობის მიზანია, მოქალაქეების დაცვა კონიუნქტურული და სტრუქტურული კრიზისებისგან. რომელიმე კონკრეტული სოციალური დაცვის მოდელის დანერგვა საქართველოში ასე თუ ისე ლოგიკურია რადგან მათ ახასიათებთ ისეთი ნიუანსები, რომელთა გადმოტანა ქართულ რეალობაში გაუმართლებელია. იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოსთვის მაქსიმალურად მორგებული მოდელის შერჩევა და დანერგვა, საჭიროა თითოეული მოდელის (დადებითი და უარყოფითი ნიუანსებით) გაანალიზება. საქართველოსათვის სოციალური დაცვის მოდელის კონსტრუქციისთვის ცენტრალურ რგოლს ეროვნული შემოსავლის განაწილება წარმოადგენს. აუცილებელია მოხდეს შემოსავლების განაწილების მოდელის ტრანსფორმაცია, რადგან ბოლო პერიოდში ქვეყანა ფაქტობრივად მდიდრებად და ღარიბებად დაიყო, საშუალო ფენა კი თითქოს სადღაც გაქრა. თუმცა, სკანდინავიური მოდელის ფარგლებში ყველაზე უკეთ ხერხდება შემოსავლების განაწილება, აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნული მოდელის მოქმედების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მაღალორგანიზებული საზოგადოება, რომელიც მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე ზრუნავს. მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ლიბერალური მოდელის მქონე სახელმწიფოებს (აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს) სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის ბერკეტები ხელთ არ უპყრიათ. უბრალოდ, მათი სახელმწიფოებრივი მიდგომიდან გამომდინარე, ისინი ამჯობინებენ, ნაკლები დოზით ჩაერიონ საბაზრო პროცესებში, ამით კი საზოგადოების როლი გაზარდონ, რაც არასახელმწიფოებრივ სექტორში ძლიერი ინსტიტუტების არსებობას გულისხმობს. ამის წინაპირობების შექმნას კი თავად სახელმწიფო უნდა ახდენდეს:

მწყობრი კანონებისა და ხელშემწყობი გარემოებების ჩამოყალიბებით. სოციალურ-დემოკრეტიული მოდელის მქონე ქვეყნებისგან განსხვავებით, ლიბერალურ სახელმწიფოებს არა აქვთ ძლიერი სოციალური კანონმდებლობა და პროფკავშირების როლიც შედარებით სუსტია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა სოციალური პოლიტიკის განხორციელებისას, სახელმწიფო საკმაოდ ქმედით ღონისძიებებს ატარებს. ლიბერალურ მოდელში სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ ის არ ითვალისწინებს გარკვეულ პროგრამებზე (საპენსიო, სამედიცინო დაზღვევის, ინვალიდობის პენსიის და ა.შ.) მიმართულ ცალკეული სადაზღვევო შენატანების არსებობას. ამ პროგრამების დაფინანსების ყველა ხარჯი იფარება ერთიანი სოციალური გადასახადიდან, რომელიც შემდგომ მიემართება სოციალური დაცვის განსაზღვრული სფეროს საჭიროებაზე. კონსერვატიული მოდელის დანერგვა გერმანიაში საკმაოდ ეფექტიანი აღმოჩნდა. ბისმარკისეულ მოდელს საფუძვლად დაედო სოციალური დაზღვევა, რომელიც მოიცავდა ხელფასის, საპენსიო ასაკის, სოციალური სტანდარტების შესაბამისი პენსიის ოდენობის, შემწეობებისა და სამედიცინო დახმარების ხარისხის განსაზღვრას. შემწეობის (დახმარების გაწევის) პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სოციალური დახმარების მიღება, ყველას შეუძლია, ვინც თვითონ ვერართმევს თავს ყოფით სირთულეებს. ისევე, როგორც სოციალური უზრუნველყოფის პრინციპი, ეს პრინციპიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას ითვალისწინებს. ეს ნიშნავს, რომ შემწეობა დიდწილად ქვეყნის ბიუჯეტზეა დამოკიდებული და რთულ პირობებში ის შესაძლოა მნიშვნელოვნად შემცირდეს.

როდესაც განვიხილავთ ევროპულ სოციალურ პოლიტიკას აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ, რომ მის საფუძველში ჩადებულია ეკონომიკური ეფექტიანობისა და სოციალური სოლიდარობის ურთიერთთავსებადობის აუცილებლობა. აქცენტი კი კეთდება ევროპის სოციალური პოლიტიკის დაბალანსებულ განვითარებაზე, ტრანსპარენტულობასა და ყველა წევრი ქვეყნის ინტერესების დაცვაზე.

სწორედ ამ პროცესების გათვალისწინებითა და სხვა ქვეყნების

გამოცდილების შესწავლით, იქნება შესაძლებელი შემდგომში საქართველოს ეკონომიკური პირობების მისადაგებით შეიქმნას სოციალური დაცვის ისეთი სისტემა,რომელიც ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში იქნება.

საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით მართებული არ იქნება ყურადღების შეჩერება მხოლოდ ერთ მოდელზე და მისი ბრმად გადმოღება ქართულ რეალობაში.

საქართველო, სოციალური დაცვის სისტემის რომელ მოდელზე გააკეთებს არჩევანს, უნდა გამომდინარეობდეს ამ სფეროში სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებიდან.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. სოციალური მომსახურების სააგენტო http://ssa.gov.ge
2. გელიტაშვილი ნ. „ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში“ . თბილისი, 2011.
3. გელიტაშვილი ნ. საქართველოს გზა ევროპის სამეზობლო პოლიტიკიდან კოპენჰაგენის კრიტერიუმებამდე. ჟურნ. სოციალური ეკონომიკა. #5. 2006.
4. გოგიშვილი უ. „სოციალური დაცვის ევროპული მოდელები“ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ . 2012 გვ. 87-105

5. Held M., Kubon-Gilke G., Sturn R. Normative und institutionelle Grundfragen der Ökonomik - Soziale Sicherung in Marktgesellschaften. Jahrbuch 5. Metropolis–Verlag. Marburg/Lahn. 2006.

# რეფორმები და ხარისხის პრობლემები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში

# Reforms and Quality Problems of Georgian Health System

**თამარ ქობლიანიძე** - სოცირებული პროფესორი,
სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი
**ლელა კოჭლამაზაშვილი** - ასოცირებული პროფესორი,
სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

**Tamar Koblianidze** - Associate Professor,
Teaching University Geomedi
**Lela Kochlamazashvili** - Associate Professor,
Teaching University Geomedi

**რეზიუმე:** საქართველოს ჯანდაცვაში რეფორმირების პროცესები 90-ანი წლების შუახანებიდან სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზაციით დაიწყო და დღემდე გრძელდება; შედეგები შთამბეჭდავია და ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში წარმატებულად ითვლება. რეფორმებმა განაპირობა სამედიცინო საქმიანობის თვისობრივად განსხვავებულ პრინციპებზე გადასვლა, რაც უკავშირდება ეკონომიკურ-პოლიტიკურ გარდაქმნებსა და დარგში ცვლილებებს; კონკურენციამ და კერძო მეწარმეობამ შექმნა სამედიცინო მომსახურების მრავალფეროვანი ლანდშაფტი, რომელიც მოიცავს საავადმყოფოებს და პროფილაქტიკური მედიცინის ორგანიზაციებს, სადაზღვევო გეგმებსა და არჩევანის თავისუფლებას. ეს პლურალისტული კონკურენტული სისტემა უზრუნველყოფს პაციენტის საჭიროებაზე ორიენტირებულ ინოვაციებს; საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ლიბერალიზაციამ მოიზიდა უცხოელი ინვესტორებიც, რომლებმაც თან არა მხოლოდ კაპიტალი, არამედ უცხოური მოწინავე გამოცდილებაც მოიტანეს. 2015 წელს პუი-ების მოცულობამ 140 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მიუხედავად წინსვლისა, ჯანდაცვის სფეროს გამოწვევაა ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება. სტატიაში განხილულია ჯანდაცვაში ხარისხის თეორიული ასპექტები და მოყვანილია ქართული რეალობა: ძირითადი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო დაწესებულების მომსახურების ხარისხის კონტროლს, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოა. ამასთანავე, ხარისხის

მართვა ასოცირდება მხოლოდ დოკუმენტაციის თანხვედრასთან არსებულ მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და არა თავად მართვად, უწყვეტ პროცესთან, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას.

**საკვანძო სიტყვები:** ჯანდაცვა, ჯანდაცვის სიტემის რეფორმები, სამედიცინო მომსახურება, სადაზღვევო კომპანია, სამედიცინო დახმარების ხარისხი

**Resume:** The process of reforming health care in Georgia started with the privatization of medical institutions from the mid-90s and continues to this day; The results are impressive and the country's health system is considered successful in the entire post-Soviet space. Reforms have led to the transition to qualitatively different principles of medical practice, related to economic and political changes and changes in the field; Competition and private entrepreneurship created a diverse range of health care services including hospitals and preventive medical organizations, insurance plans and freedom of choice. This pluralistic competitive system provides patient-oriented innovations; Liberalization of Georgia's health system attracted foreign investors who brought not only capital but also foreign advanced experience. In 2015 the volume of FDI amounted to 140.3 million US dollars.

The challenge in the health sector is quality of medical services. The article discusses the theoretical aspects of the quality of health care) and provides the Georgian reality: the main body providing the quality control of the medical institution, (is) the State Regulation Agency for Medical Activities. In addition, quality management is associated only with regulatory legislation that is in compliance with documentation and not with a manageable, continuous process, which should ensure the improvement of medical services.

**Key words:** Health care, health system reforms, medical services, insurance companies, quality of medical care

**შესავალი:** ჯანდაცვა სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობებისა და გატარებული სამედიცინო ღონისძიებების რთულ კომპლექსია. იგი ეკონომიკის სპეციფიკური დარგია,

რომელიც მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა.

საქართველოს ჯანდაცვაში რეფორმირების ურთულესი პროცესები გასული საუკუნის 90-ანი წლების შუახანებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება, რამაც განაპირობა სამედიცინო საქმიანობის (სამკურნალო და დიანოსტიკური) თვისობრივად განსხვავებულ პრინციპებზე გადასვლა. პროცესი მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ გარდაქმნებსა და სამედიცინო პოლიტიკის ცვლილებებს; შედეგად, ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა მსოფლიო სტანდარტების დონეს დაუახლოვდა.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეფორმების შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავია. თუ ადრე ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა ევროპაში ერთ-ერთი არაეფექტური იყო, დღეს იგი მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში წარმატებულად ითვლება. საქართველომ სისტემის რეფორმები საბაზრო საფუძველზე განახორციელა და 1996 წლიდან ქვეყანაში დაიწყო სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზაცია. აღსანიშნავია, რომ საავადმყოფოების პრივატიზაციამ ევროპაში (შვეცია, გერმანია) უზრუნველყო სამედიცინო დახმარების ხარისხის არსებითი ზრდა. კერძოდ, ეფექტიანობის ზრდის შდეგად მკურნალობაზე ხარჯები შემცირდა და გაიაფდა ხარისხიანი მომსახურება.

**ძირითადი ტექსტი:** 2005 წლამდე ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსების უმთავრეს წყაროს ჯანმრთელობის დაზღვევის სავალდებულო შენატანები - ჯანდაცვის მიზნობრივი გადასახადი წარმოადგენდა და სოციალური გადასახადის ნაწილს შეადგენდა. 2005 წელს იგი შეიცვალა სახელმწიფო სავალდებულო გადასახადებით (ზოგადი გადასახადები).

2006 წლიდან მოსახლეობის ყველა ფენისათვის გარკვეული სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ნაცვლად სახელმწიფო ეტაპობრივად გადადის ფინანსური სახსრებით ყველაზე გაჭირვებული ფენების სამედიცინო მომსახურების მოცვაზე - უნივერსალურობის პრინციპი იცვლება შერჩევითობით. 2007 წლიდან სახელმწიფო იწყებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. 2008 წლის საქართველოს მთავრობის №92

დადგენილების („სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გადასაცემი სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“) საფუძველზე, საქართველოში ლიცენზირებულ ყველა სადაზღვევო კომპანიას მიეცა უფლება მონაწილეობა მიეღო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვაში. სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა შეცვალა სადაზღვევო ვაუჩერებმა ღარიბებისა და მოხუცებისათვის, რომლებიც ფარავდა კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიის მომსახურებათა საბაზისო პაკეტს. კერძო სადაზღვევო კომპანიები საბაზრო კონკურენციაში შევიდნენ ამ პაციენტებისა და დანარჩენი მოქალაქეების მოზიდვისათვის, რომელთა არჩევანია შეიძინონ დაზღვევა თუ დარჩნენ დაზღვევის მიღმა. რეფორმის შედეგად, დროის მოკლე პერიოდში კერძო სადაზღვევო კომპანიებისა თუ ჰოსპიტალური ქსელების მიერ საკმაო რაოდენობის თანამედროვე საავადმყოფო და ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები აშენდა.

2013 წლის თებერვლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის მიზანს შეადგენდა ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა.

2018 წლის მონაცემებით ჯანმრთელობის დაცვის სერვისების დაფინანსების სახელმწიფო წყარო არის ზოგადი გადასახადები, რომელთა თავმოყრა ხდება სახელმწიფო ბიუჯეტში. სერვისების დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა მოსახლეობის მიერ ჯიბიდან გადახდილი თანხები. კერძო/კორპორატიული დაზღვევის შემთხვევაში დაფინანსების წყაროს წარმოადგენს დაზღვევის პრემია. ჯანმრთელობის დაცვა, ნაწილობრივ, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის გრანტებითაც ფინანსდება.

კონკურენციამ და კერძო მეწარმეობამ შექმნა სამედიცინო მომსახურების მრავალფეროვანი ლანდშაფტი, რომელიც მოიცავს საავადმყოფოებს და პროფილაქტიკური მედიცინის ორგანიზაციებს, სადაზღვევო გეგმებსა და არჩევანის თავისუფლებას. ეს პლურალისტული კონკურენტული სისტემა უზრუნველყოფს პაციენტის საჭიროებაზე ორიენტირებულ ინოვაციებს;

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ლიბერალიზაციამ მოიზიდა უცხოელი ინვესტორებიც, რომლებმაც თან არა მხოლოდ კაპიტალი, არამედ უცხოური მოწინავე გამოცდილებაც მოიტანეს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით 2015 წელს პუი-ის რეიტინგებში წამყვან პოზიციას ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორი იკავებს (37%), რომელსაც მოჰყვება საფინანსო სექტორი (11%), სასტუმროები/რესტორნები(9%) და ჯანდაცვა(9%). თუმცა ჯანდაცვაში ინვესტიციების დინამიკა არასახარბიელო მაჩვენბლებს იძლევა, რასაც სუბიექტურთან ერთად ბევრი ობიექტური მიზეზებიც აქვს.

2013 წელს ჯანდაცვაში 0.7 მლნ.აშშ დოლარის პუი განხორციელდა, 2014 წელს - 8.7 მლნ. აშშ დოლარი; რეკორდული იყო 2015 წელი, როცა პუი-ის მოცულობამ 140.3 მლნ.აშშ დოლარს მიაღწია, თუმცა შემდეგი 2016 წელს ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირებული იყო და მხოლოდ 28.6. მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა; 2017 წელი უცხოელი ინვესტორებისთვის კიდევ უფრო ნაკლებად მიმზიდველი აღმოჩნდა ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარების მიმართულება, სადაც მხოლოდ 3.3 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩაიდო, რაც თითქმის ცხრაჯერ ნაკლებია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება ქვეყანა, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სრულყოფით არ იყოს დაინტერესებული. ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას სამედიცინო მომსახურებისა ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ჯანდაცვა დაკავშირებულია ადამიანების სიცოცხლესთან. შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვას. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით „ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესებული ხარისხი განაპირობებს კლინიკური შედეგების გაუმჯობესებას, პაციენტების მეტ უსაფრთხოებასა და მათ კმაყოფილებას“.

სამედიცინო დახმარების ხარისხის უზრუნველმყოფელი მთავარი კომპონენტებია: სამედიცინო დახმარების უსაფრთხოება; სამედიცინო

დახმარების მისაწვდომობა; სამედიცინო დახმარების ოპტიმალობა; პაციენტების კმაყოფილება. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციას და მათი ანაზღაურების სისტემას.

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის** მიერ მიღებულ იქნა შემდეგი **განმარტება:** სამედიცინო მომსახურების ხარისხი წარმოადგენს ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთქმედებას, რომელიც ეფუძნება სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციას - უნარს შეამციროს დაავადების პროგრესირების და ახალი პათოლოგიური პროცესის წარმოქმნის რისკი, მედიცინის რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას და ჯანდაცვის სისტემასთან ურთიერთქმედებით პაციენტის კმაყოფილების უზრუნველყოფას.

სამედიცინომო მომსახურების ხარისხის ანალიზის ძირითადი პრინციპები და მეთოდები მსოფლიოში მე-20 ს-ის 60–იანი წლებიდან განვითარდა, რასაც განაპირობებდა ჯანდაცვის არასაკმარისი დაფინანსება, სამედიცინო მომსახურების დაგეგმვის პრაქტიკის არარსებობა, პროფილაქტიკურთან შედარებით უმეტესად სამკურნალო სერვისების განვითარება და ჯანდაცვის სერვისების უფრო სამართლიანი გადანაწილების საჭიროება.

მსოფლიო პრაქტიკა მნიშვნელოვნად ეყრდნობა დონაბედიანის ხარისხის მართვის ტრიადას (სტრუქტურის, ტექნოლოგიისა და შედეგის ხარისხი); ამასთან, მსოფლიო ტენდენცია ხარისხის შეფასებიდან მის უზრუნველყოფისა და მართვისკენ იხრება. საჭირო ხარისხის უზრუნველყოფა მოითხოვს პაციენტისათვის ადეკვატურ და უსაფრთხო ტექნოლოგიის შერჩევას, სამუშაო პირობებისა და ყველა სახის რესურსების შექმნას.

სამედიცინო დაწესებულებები ხარისხის შესაფასებლად სხვადასხვა კრიტერიუმებს იყენებენ: პაციენტთა სიკვდილიანობა, საავადმყოფოში გავრცელებული შიდა ინფექციების დონე, პაციენტების საავადმყოფოში განმეორებითი მოხვედრის - შებრუნების მაჩვენებლები, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება; უმნიშვნელოვანესია კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაციების (გაიდლაინების) და დაავადებათა მართვის სტანდარტების (პროტოკოლების) გამოყენების აუცილებლობა. ექიმებისათვის გადაწყვეტილების მიღების

პროცესის გამარტივებისა და პაციენტისათვის საუკეთესო კლინიკური პრაქტიკის ხელმისაწვდომობის მიზნით ჯანდაცვის სახელმწიფო უწყებები ქვეყანაში ნერგავენ კლინიკური პრაქტიკის ნაციონალურ გაიდლაინებს (კლინიკური მდგომარეობის მართვის რეკომენდაციები, სახელმწიფო პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტებს-პროტოკოლებს (გაიდლაინის საფუძველზე შემუშავებული კლინიკური მდგომარეობის მართვის მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპები და მოქმედებათა თანმიმდევრობა).

სამედიცინო დაწესებულებაში ხარისხის მართვის გამართული სისტემა გულისხმობს უსაფრთხო, ეფექტურ, პაციენტზე ორიენტირებულ სამედიცინო მომსახურებას, რომელიც პასუხობს პაციენტის მოთხოვნილებებს. მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებისთვის პირველივე ჩარევისას საჭიროა სწორი ქმედებები (რა?), სწორ პიროვნებებზე (ვის?), სწორ დროს (როდის?), რასაც უზრუნველყოფს გამართული ხარისხის მართვის სისტემა. იგი წარმოადგენს ორგანიზაციის მიზნებისადმი უფრო სისტემური მიდგომის საშუალებას.

აშშ ჯანმრთელობის ინსტიტუტი ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესების 6 მიზანს გვთავაზობს, რომელიც საერთოა განვითარების ნებისმიერ ეტაპზე მყოფი ქვეყნისთვის (იხ. სქემა 1).

**სქემა 1. ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნები**

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, სამედიცინო მომსახურების ხარისხში უმნიშვნელოვანესია პაციენტთა სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილება. იგი წარმოადგენს ბენეფიციართა პრეფერენციებს, მოლოდინებსა და მიღებულ სამედიცინო მომსახურებას შორის შესაბამისობის საზომს. პაციენტების კმაყოფილების შესწავლა ფართოდ გამოიყენება თანამედროვე მსოფლიოში ჯანდაცვის სისტემის შესაფასებლად.



ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ჯანდაცვის დაწესებულებები პაციენტის კმაყოფილების შესახებ კვლევებს იყენებენ არსებული მომხმარებლების შესანარჩუნებლად და პოტენციური მომხმარებლების მოსაზიდად. ჩვეულებრივ, სამედიცინო სერვისების ხარისხის წინასწარ შეფასება რთულია, იგი მხოლოდ მისი გაწევის შემდეგაა შესაძლებელი.

სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას მუდმივი მონიტორინგი და სხვადასხვა პროგრამების უწყვეტი მიმდინარეობა უზრუნველყოფს. შესაბამისად, ყველა ეს ქმედება ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, ჯანდაცვის პოლიტიკას და ეთიკის ნორმებს უნდა ეფუძნებოდეს.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჯანდაცვაში სწრაფად უმჯობესდება ხარისხი, რაც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით: გამოცდილების დაგროვებითა და ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესებასა და დაავადებების მართვაში ცოდნის გაღრმავებით, კომპლექსური სამედიცინო მომსახურების მიწოდების გაზრდით, გაუმჯობესებული სერვისების დანერგვასა და მათ მიწოდებაზე პაციენტების მოლოდინის გაზრდით. სამედიცინო მომსახურების ხარისხზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებს შორის ***კონკურენტული გარემოს*** არსებობა.

**დასკვნა:** საქართველოს ჯანდაცვაში რეფორმირები 90-ანი წლების შუახანებიდან სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზაციით დაიწყო და დღემდე გრძელდება; რეფორმებმა განაპირობა სამედიცინო საქმიანობის თვისობრივად განსხვავებულ პრინციპებზე გადასვლა, რაც უკავშირდება ეკონომიკურ-პოლიტიკურ გარდაქმნებსა და დარგში ცვლილებებს; კონკურენციამ და კერძო მეწარმეობამ შექმნა სამედიცინო მომსახურების მრავალფეროვანი ლანდშაფტი.

მიუხედავად წინსვლისა, ჯანდაცვის სფეროს გამოწვევაა ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება.

კვლევები ცხადყოფს, რომ ქვეყნის მასშტაბით სამედიცინო დაწესებულების სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის განმახორციელებელი ძირითადი ორგანო სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოა. ხარისხის მართვის რაიმე

სხვა მარეგულირებელი მექანიზმი არ არსებობს. ამასთანავე, ხარისხის მართვა ასოცირდება მხოლოდ დოკუმენტაციის თანხვედრასთან არსებულ მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და არა თავად მართვად, უწყვეტ პროცესთან, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას. ხშირია დაწესებულებების მართვის შიდა საინფორმაციო სისტემის არასრულყოფილება; მეტ-ნაკლებად დარეგულირებულია შიდა ჰოსპიტალური ინფექციების კონტროლი და სანიტარული და ლაბორატორიული სტანდარტები; მოქმედებს სიკვდილიანობის შემსწავლელი კომიტეტები. აღსანიშნავია, რომ პაციენტებსა და პერსონალზე ორიენტაცია, საზოგადოებასთან ურთიერთობები, ძირითად შემთხვევებში, ფორმალურია და არ ხასიათდება კონკრეტული მექანიზმების არსებობით, ან მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ხდება ამ რგოლების ფუნქციონირება. ხარისხობრივი სტატისტიკური მაჩვენებლების/ინდიკატორების შეგროვება/დათვლის პროცესი რეგულარულია, თუმცა, ძირითადად, ფორმალური ხასიათისაა და კანონმდებლობის დაცვის მიზნით ხორციელდება. დაწესებულებების მართვის უმაღლესი რგოლი არ ახდენს ამ მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე გარკვეული დასკვნების გაკეთებას და, შედეგად, რაიმე საკვანძო, დროში გაწერილი გეგმების დასახვას.

ქვეყნის სამედიცინო სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნის ერთ-ერთ მთავარ წინააღმდეგობას სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესახებ საქართველოს კანონებში (“საექიმო საქმიანობის შესახებ” და “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ”) სამედიცინო მომსახურების/სამედიცინო დახმარების ხარისხის ცნების კონკრეტიზაციის და განმარტების არარსებობა წარმოადგენს.

გამოვლენილი პრობლემები საჭიროებს ჯანდაცვის სისტემის სახელმწიფო და სამედიცინო დაწესებულებების დონეზე შესაბამის რეაგირებას. მკვლევართა აზრით, მიზანშეწონილია სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის ერთიანი, უნიფიცირებული სისტემის შექმნა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ხარისხის მართვის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გეგეშიძე ნ. ალადაშვილი პ. სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის სამსახურის მოქმედების პრინციპები და კონცეფციები თანამედროვე მოთხოვნების პირობებში. ჟურნალი ,,კავკასიის სამედიცინო მაცნე" . აგვისტო. 2009

2. ვერულავა თ. ჯანდაცვის პოლიტიკა (სახელმძღვანელო). თბილისი 2016. გვ.227-260 ხარისხი.

3. კოჭლამაზაშვილი ლ, ჩარკვიანი ე. სამედიცინო სერვისების ხარისხი. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა" #3 2017. გვ. 86-89

4. პატარიძე რ, ფირცხალაიშვილი გ, ბარკალაია თ. სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის პრობლემები. ჟურნალი „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა" # 1. 2015.

5. რა არის ხარისხი. ჯანდაცვის ხარისხის ეროვნული ფორუმი.

6. ქობლიანიძე თ. ჯანდაცვის სექტორის ხარისხის მართვის თეორიული ასპექტები. სასაწავლო უნივერსიტეტის „გეომედის" შრომათა კრებული. #4. 2016. გვ. 31-37

7.ქობლიანიძე თ. ჯიბლაძე ნ. ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების თავისებურებები საქართველოში. სასაწავლო უნივერსიტეტის „გეომედის" შრომათა კრებული.. #3. 2018 გვ. 33-41

8. Koblianidze T. Kochlamazashvili L. Chakhunashvili T. Healthcare System and Problems of Medical Personnel in Georgia. Ovidius Univrtsity Annals. Economic sciences series. Volume XVIII; Issue 1/2018; p.22-28

9. Майкл Тэннер, Каха Бендукидзе, Андриа Урушадзе, Фредерик Редер. Реформа здравоохранения в Грузии.

# ეკონომიკის როლი კონფლიქტის დარეგულირების პროცესში

# The role of the economy in the conflict resolution process

**მანუჩარ გუნცაძე** - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
**Manuchar Guntsadze** - Senior Research Fellow
National Center of Manuscripts

## თეზისები

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი, რომელსაც ფაქტობრივად 1918 წელს ჩაეყარა საფუძველი, საბჭოთა პერიოდში „მიძინებულ" მდგომარეობაში იყო. 90-იან წლებში კონფლიქტის გაღვივებამ ხელახლა წამოჭრა მისი მოგვარების პრობლემა. სამხედრო დაპირისპირებების შემდეგ, პოლიტიკური ურთიერთობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი და დე ფაქტო საზღვარიც მოსახლეობის მიმოსვლას ართულებდა. ამ პერიოდში ურთიერთობების ფორმამ გადაინაცვლა ეკონომიკური მიმართულებით. გორის მუნიციპალიტეტში არსებულმა ერგნეთის ბაზრობამ 1996 წლიდან ხელახლა წარმოქმნა ურთიერთობების საშუალება.

ერგნეთის ბაზრობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებდა და კონტრაბანდის დიდი რაოდენობით შემოტანას უწყობდა ხელს. მიუხედავად ეკონომიკური ზარალისა, ერგნეთის ბაზრობას ჰქონდა ერთი მნიშვნელოვანი დადებითი მხარე - კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური სარგებელი მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ერგნეთის ბაზრობაზე და შესაბამისად საქართველო რჩებოდა მათთვის ეკონომიკური სარგებლის მომტან საშუალებად. ყოველი დღის განმავლობაში დაახლოებით 150 ავტომობილი მოძრაობდა, რომლებსაც ტვირთი გადაჰქონდათ ბაზრობის ტერიტორიაზე.

ამ სიტუაციაში, კონფლიქტის მოგვარების კუთხით, იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო სავაჭრო პროცესების დროს მოსახლეობის ურთიერთობა, რამდენადაც კონტროლ დაკარგული ტერიტორიის ეკონომიკური დამოკიდებულება სახელმწიფოზე.

ერგნეთის ბაზრობის გარდა, ცხადია პარალელურად მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო საქონლით ვაჭრობა, როგორც გორის, ასევე თბილისის ბაზარზე. მნიშვნელოვნად მცირე, თუმცა ეკონომიკური დამოკიდებულებისა და მოსახლეობას შორის ურთიერთობის ფორმას ეს მიმართულებაც იძლეოდა.

2004 წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დაიხურა ერგნეთის ბაზრობა, რომელმაც ეკონომიკურ „შავ ხვრელს" მოუღო ბოლო და ამან რამდენიმე ასეულ მილიონ ლარიანი ზარალი აარიდა ბიუჯეტს. თუმცა ამას მოჰყვა ეკონომიკური ურთიერთობების ფაქტობრივი გაწყვეტა ცხინვალის რეგიონთან, რამაც ეკონომიკას, როგორც კონფლიქტის დარეგულირებაში არსებულ ფორმას, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

კონფლიქტის მომდევნო ეტაპმა - 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა - კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა. საქართველოს მხრიდან თავდაცვითი ზომების ერთ-ერთ ფორმად მიღებული იქნა დე ფაქტო საზღვრების მაქსიმალური ჩაკეტვა. თუ მანამდე კონფლიქტის ზონიდან, მოსახლეობას შეეძლო სასოფლო-სამეურნეო საქონლის ვაჭრობის მიზნით ძირითადად გორისა და თბილისის მიმართულებით მოძრაობა, 2008 წლიდან ეს საშუალება მთლიანად შეიზღუდა. შესაბამისად შეწყდა ეკონომიკური ურთიერთობისა და დამოკიდებულების მეორე, შედარებით სუსტი ფორმაც.

კონფლიქტის დარეგულირებისათვის ალბათ უმჯობესი იქნება ახალი ფორმის გამონახვა, რომელიც ეკონომიკას, კვლავ მიანიჭებდა

დატვირთვას. კონფლიქტის დარეგულირებისათვის საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებთან ერთად, საჭიროა არ დაიკარგოს არაკონტროლირებადი ტერიტორიის გარკვეული დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოზე, რომლის როლიც ყველაზე კარგად ეკონომიკას შეუძლია იტვირთოს.

# თანამედროვე HR მენეჯმენტის გამოწვევები

**ილია ჭიკაიძე**
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი,
ბიზნესის მართვის ფაკულტეტის

**რეზიუმე:** თანამედროვე HR მენეჯმენტი დიდი გამოწვევების წინაშე დგას. დღეს, უმაღლესი და ტექნიკური განათლება ისეთი ხელმისაწვდომია, როგორც არასდროს, შესაბამისად ბევრი კვალიფიციური კადრი გვევლინება და იზრდება კონკურენციაც. მსოფლიოს მასშტაბით ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც კომპანია ხშირად იცვლის კადრებს და ამას კადრების მოუმზადებლობას აბრალებს, მაგრამ იქნებ უფრო მეტად დამნაშავე სწორედ ასეთი კომპანიის HR მენეჯერები არიან, რადგან მათ არასწორი პოლიტიკა აირჩიეს.

თანამედროვე HR მენეჯმენტში იქმნება ახალი პრაქტიკები და ქეისები. თითოეული კომპანია ცდილობს თავისებურად მიუდგეს საკადრო პოლიტიკას, მოიგონოს გასაუბრების ახალი წესები, შემოიღოს ახალი კრიტერიუმები, ჩაატაროს ტესტირებები და ა.ს.შ. მაგრამ ასეთი მასიური პოლიტიკის გატარება მხოლოდ იმ კომპანიებს შეუძლიათ, რომლებსაც დიდი ფინანსური პორტფელი აქვთ და რა უნდა გააკეთონ პატარა და საშუალო ზომის კომპანიებმა? ჩემს მიერ განხილულ სტატიაში მე შემოგთავაზებთ თანამედროვე HR მენეჯმენტის მიღწევებს და ამ მიღწევების გამეორების შესაძლებლობას პატარა და საშუალო საწარმოებში. შემოგთავაზებთ სპეციფიური მიდგომების მაგალითებს და მათ შედეგებს და ვეცდები დაგიმტკიცოთ, რომ HR სფეროა სადაც ეკონომია არ უნდა გაკეთდეს და დანახარჯები დიდი რაოდენობით უნდა გავიღოთ, რათა სასურველი კადრი მივიღოთ, გამოვზარდოთ და შევინარჩუნოთ. ასევე გაგაცნოობთ რა პერსპექტივა აქვს შესაბამის სფეროს და რა პრობლემებს შეიძლება წააწყდეს.

**საკვანძო სიტყვები:** ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, გამოწვევები, პრსპექტივები.

Modern staff management is facing big challenges. Today, higher and technical education is more accessible than ever, therefore there are a lot of qualified personnel, and the competition is growing. In the world, there are often cases when a company frequently changes personnel and accuses of training personnel, but it is perhaps more likely that they are guilty of such company managers because they have chosen the wrong policy.

New practices and cases created in modern personnel management. Each company is trying to establish personnel policy, learn new interview rules, introduce new criteria, conduct testing and But such a large-scale policy can only those companies that have a large financial portfolio and what do small and medium-sized companies? In my article I will offer you the latest achievements in the field of personnel management and the opportunity to repeat these achievements in small and medium-sized enterprises. We will offer you examples of specific approaches and their results, and I will try to prove that HR is an area in which savings should not be made, and we have to spend a lot of expenses to get, save and maintain the desired result. He will also let you know what your prospects are and what problems you may encounter.

**Keywords:** Human Resource Management, Challenges, Predictions.

# კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისადმი მოთხოვნები საქართველოში და მისი სრულყოფის გზები

# The Requirements for Initial Public Offer (IPO) of Securities Issued by Commercial Banks in Georgia and The Ways of Perfection

**თეიმურაზ ირემაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

**Teimuraz Iremashvili** - Georgian Technical University

Doctorant of Business Administration Doctoral Program

ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება (შემდგომში „შეთავაზება") ხორციელდება კომერციული ბანკის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში „სებ") მიერ დადგენილი წესების მოთხოვნათა დაცვით მომზადებული და დამტკიცებული ემისიის პროსპექტის მეშვეობით. ემისიის პროსპექტი პოტენციურ ინვესტორს უზრუნველყოფს იმ ინფორმაციით, რომელიც საჭიროა საინვესტიციო გადაწყვეტილების მისაღებად. ემისიის პროსპექტი, მისი მომზადების, დამტკიცების და „შეთავაზების" პროცედურის მიხედვით 3 სახედ კლასიფიცირდება:

- წინასწარი პროსპექტი
- დამტკიცებული პროსპექტი
- საბოლოო პროსპექტი

„სებ" უფლებამოსილია დააწესოს დამატებითი მოთხოვნები, "შეთავაზების" მიზნებისათვის სხვა ინფორმაციის მოწოდებაზე.

„შეთავაზება" და მიყიდვა მხოლოდ გათვითცნობიერებული ინვესტორებისათვის არ განიხილება როგორც საჯარო შეთავაზება.

თუ კომერციულ ბანკს, როგორც ანგარიშვალდებულ კომპანიას ბოლო 2 წლის განმავლობაში წარდგენილი აქვს ყველა აუცილებელი ანგარიში „სებ"-ში, რის გამოც „სებ"-ს შეუძლია, თავის მიერ დადგენილი წესების მიხედვით, არ მოითხოვოს სრული ემისიის პროსპექტის წარდგენა ან მოითხოვოს ემისიის პროსპექტისათვის საჭირო ინფორმაციის ნაწილის წარდგენა.

კანონის შესაბამისად, კომერციულ ბანკს, რომლის ფასიანი ქაღალდები განთავსებულია უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო

ბირჟათაგან ერთ-ერთზე მაინც, შეუძლია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ემისია განახორციელოს საფონდო ბირჟის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, დამატებითი რეგულირების გარეშე. ამ შემთხვევაში ემიტენტი ბანკი ვალდებულია „სებ“-ს გაუგზავნოს შეტყობინება ფასიანი ქაღალდების ემისიის შესახებ, ხოლო „სებ“ საჭიროების შემთხვევაში ფასიან ქაღალდებს მიანიჭებს ეროვნულ საიდენტიფიკაციო ნომერს.

**წინასწარი პროსპექტი.** წინასწარი პროსპექტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „სებ“-ში დასამტკიცებლად წარდგენილი პროსპექტია, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- ემიტენტის შესახებ ინფორმაციას, კერძოდ, მის სახელწოდებას (დასახელებას), მისამართსა და დაარსების თარიღს, განთავსებული ფასიანი ქაღალდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რაოდენობასა და კლასს; ყოველი მფლობელის სახელს, რომელიც აკონტროლებს ემიტენტს; თუ ემიტენტი საწარმოა – მისი მმართველი ორგანოს წევრთა სახელებს, საჭიროების შემთხვევაში – ემიტენტის მიერ შერჩეული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სახელს, ინფორმაციას ზემოაღნიშნული პირების შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ;
- ბოლო 2 წლის განმავლობაში ემიტენტის საქმიანობის დახასიათებას და ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაძლო ძირითად რისკებს;
- აუდიტორის მიერ დადასტურებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებს, ხოლო არსებობის შემთხვევაში – კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებს ბოლო 2 სამეურნეო წლისათვის;
- ინფორმაციას გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების შესახებ, მათ შორის:

✓ ინფორმაციას გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების კლასისა და საორიენტაციო რაოდენობის შესახებ;
✓ ხელმოწერის პროცედურის დეტალებს, ხოლო თუ საბროკერო კომპანიამ ან შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფინანსურმა ინსტიტუტმა ხელი მოაწერა ფასიანი ქაღალდების შეთავაზების

ხელშეკრულებას და დათანხმდა, შეესყიდა ფასიანი ქაღალდების მთელი ემისიის ნაწილი – ასეთი გარიგების მიახლოებით დეტალებს;

- ✓ იმის შესახებ ინფორმაციას, ხდება თუ არა ფასიანი ქაღალდების მფლობელთა სახელით ფასიანი ქაღალდების შეთავაზება, ხოლო ასეთი შეთავაზების შემთხვევაში – მათ სახელებს და თითოეული მათგანის მიერ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობას;
- ✓ სასესხო ფასიანი ქაღალდისათვის პროცენტის გაანგარიშების მეთოდს, თუ ფასიანი ქაღალდი პროცენტიანია; ინფორმაციას ფასიანი ქაღალდის ვადისა და ნებისმიერი ნებადართული დაფარვის პირობების შესახებ;
- ✓ ინფორმაციას შეთავაზების შედეგად მიღებული შემოსავლების სავარაუდო გამოყენების შესახებ.

წინასწარ პროსპექტს ხელს უნდა აწერდნენ ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

**პროსპექტის დამტკიცება.** „სებ“ განაცხადის წარდგენიდან 15 დღის ვადაში განიხილავს მას და თუ:

ა) მიიჩნევს, რომ წინასწარი პროსპექტი არ შეესაბამება კანონს ან „სებ“-ის მიერ დადგენილ წესებს, ემიტენტს უგზავნის წერილობით პასუხს, რომლითაც მოსთხოვს დამატებით ინფორმაციას.

ბ) დაამტკიცებს ემისიის პროსპექტს, ემიტენტის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში აძლევს მას წერილობით თანხმობას ემისიის პროსპექტის დამტკიცებაზე;

გ) მიიჩნევს, რომ წარდგენილი ინფორმაცია არ შეესაბამება კანონს ან „სებ“-ის მიერ დადგენილ წესებს, ანდა თუ ემიტენტი უარს ამბობს ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების, მონაცემების ან ახსნა-განმარტებების წარდგენაზე, უფლებამოსილია წერილობით უარი განაცხადოს ემისიის პროსპექტის დამტკიცებაზე;

დ) ემიტენტს არ მიეწოდა ინფორმაცია წერილობით ამ პუნქტის „ა“, „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 15 დღის გასვლის შემდეგ ემისიის პროსპექტი დამტკიცებულად მიიჩნევა.

საბოლოო პროსპექტის საფუძველზე „სებ“ რეგისტრაციაში ატარებს ფასიან ქაღალდებს და თავის მიერ დადგენილი წესით

განსაზღვრული პროცედურის მიხედვით ანიჭებს მათ ეროვნულ საიდენტიფიკაციო ნომერს.
აკრძალულია „სებ“-ის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცებამდე მისი გავრცელება და „სებ“-ის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცებამდე სათანადო ფასიანი ქაღალდის გაყიდვის შეთავაზება ან ამ პირთა მიერ სხვა პირისაგან სათანადო ფასიანი ქაღალდის შესყიდვაზე თანხმობის მიღება.
**საბოლოო პროსპექტი.** საბოლოო პროსპექტში მითითებული მიმდინარე ფინანსური ინფორმაცია 18 თვეზე უფრო ადრინდელი არ უნდა იყოს. ტექსტში მოცემული აღწერა შესაძლო უახლეს თარიღს უნდა შეესაბამებოდეს. იმ დღიდან 10 დღის ვადაში ან „სებ“-ის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული მეტი დროის განმავლობაში, როდესაც ემისიის პროსპექტი დამტკიცებულად მიიჩნევა, ემიტენტმა „სებ“-ს უნდა წარუდგინოს საბოლოო პროსპექტის 3 ეგზემპლარი, რომლის პირველ გვერდზე მითითებულია შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, ფასი და ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების პირობები. საბოლოო პროსპექტი გამოყენებული უნდა იქნეს “შეთავაზებისათვის“ განკუთვნილი ფასიანი ქაღალდების საჯაროდ გასაყიდად.
**შეთავაზების პროცედურა.**
საბოლოო პროსპექტი მიეწოდება ინვესტორებს საჯაროდ შეთავაზებ ული ფასიანი ქაღალდების გაყიდვის დაწყებამდე, დაწყებისთანავე ან გაყიდვის პროცესში. „შეთავაზების“ პერიოდში ამა თუ იმ არსებითი მოვლენის (კერძოდ, ემისიის პროსპექტში ემიტენტის მიერ ფასიანი ქაღალდების რაოდენობის, შეთავაზების ბოლო ვადის ან სხვა არსებითი ფაქტის) შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში ემიტენტი ასრულებს შემდეგ პროცედურას:

1) „სებ“-ს წარუდგენს შეთავაზების განაცხადის შესწორებას, რომელშიც განიმარტება მასში შეტანილი ყველა ცვლილება;
2) აქვეყნებს შეტყობინებას გაზეთში ან „სებ“-ის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული სხვა საშუალებით; აცხადებს არსებული ფორმით შეთავაზების გაუქმების შესახებ და ახორციელებს შეთავაზებას მითითებულ თარიღამდე ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ყველა

ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე, ყოველგვარი ფასდაკლების გარეშე.

თუ ემისიის პროსპექტში შესწორება შეიტანება ამა თუ იმ არსებით მ ოვლენასთან დაკავშირებით, ხელმომწერებს უფლება აქვთ უარი განა ცხადონ შესყიდულ ფასიან ქაღალდებზე , ხოლო ემიტენტი ვალდებ ულია უკან დააბრუნოსფასიანი ქაღალდების საფასური გამოუქვითავ ად , ხელმომწერთა მიერ უარის განცხადებიდან 10 დღის განმავლობა ში. ხელმომწერნი,რომლებიც უარს არ განაცხადებენ შესყიდულ ფასი ან ქაღალდებზე, ექვემდებარებიან შეთავაზების ახალ პირობებს.

თუ „სებ"-ის მიერ დამტკიცებულ ემისიის პროსპექტში მითითებული სხვა ინფორმაცია „შეთავაზების" პერიოდში შეიცვალა, ემიტენტი ვალდებულია „სებ"-ს წარუდგინოს ამ ცვლილების (ახალი ინფორმაციის) ამსახველი დოკუმენტის ასლი, ვიდრე აღნიშნულ ცვლილებას ემისიის პროსპექტში შეიტანდეს „სებ"-ის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით.

**დამტკიცებული პროსპექტის მოქმედების შეჩერება და გაუქმება.** თუ ემიტენტი ან მისი სახელით მოქმედი საბროკერო კომპანია ან შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტი არღვევს კანონის მოთხოვნებს, ანდა თუ მათ მიერ ემისიის პროსპექტში მითითებული ინფორმაცია არსებითად არასწორი ან არასრულია, „სებ" უფლებამოსილია შეაჩეროს დამტკიცებული პროსპექტის მოქმედება და განსაზღვროს ვადა ამგვარი დარღვევების გამოსასწორებლად და თუ ეს დარღვევები არ გამოსწორდა გააუქმოს დამტკიცებული პროსპექტის მოქმედება.

თუ „სებ" შეაჩერებს ან გააუქმებს დამტკიცებული პროსპექტის მოქმედებას, „შეთავაზება" აკრძალულია და მყიდველებს უფლება აქვთ, უარი თქვან თავიანთ შესყიდვებზე.

**ფასიანი ქაღალდების ემისიისა და განთავსების შესახებ ანგარიში.** „შეთავაზების" დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში ემიტენტი „სებ"-ს წარუდგენს ფასიანი ქაღალდების ემისიისა და განთავსების შესახებ ანგარიშს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას შეთავაზებული და გაყიდული ფასიანი ქაღალდების ზუსტი რაოდენობისა და ფასის შესახებ.

**დასკვნა:** კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდების „შეთავაზების“ საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის პრობლემები:

1. ბუნდოვანია „გათვითცნობიერებული ინვესტორის“ დეფინიცია, კერძოდ:

- საქართველოს კანონით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ განმარტებულია, რომ „გათვითცნობიერებულ ინვესტორს“ უნდა ჰქონდეს „საკმარისი გამოცდილება“, თუმცა როგორ იზომება ეს „საკმარისი გამოცდილება“ არსადა არ არის მოცემული;
- გაურკვეველია „გათვითცნობიერებულ ინვესტორს“ უნდა ჰქონდეს „გამოცდილება“ <u>და</u> „ქონება/შემოსავალი“ თუ „გამოცდილება“ <u>ან</u> „ქონება/შემოსავალი“?;
- განმარტებულია, რომ „გათვითცნობიერებული ინვესტორი“ არის ფინანსური ინსტიტუტი, ასევეა მისი დირექტორი, თუმცა რატომ არ შეიძლება იყოს მაგალითად იგივე კომპანიის ბროკერი, რომელსაც ბროკერად მუშაობის მინიმუმ 5 (ან სხვა ოდენობა) წლის გამოცდილება აქვს?
- განმარტებულია, რომ „გათვითცნობიერებული ინვესტორი“ არის იურიდიული პირი, რომლის კაპიტალის ოდენობა აღემატება 1 მლნ ლარს, თუმცა არსად არ ჩანს მისი “გათვიცნობიერება“ ფასიანი ქაღალდების სფეროში რაგინდ დიდი კაპიტალის მფლობელიც არ უნდა იყოს იგი.
- განმარტებულია, რომ „გათვითცნობიერებულ ინვესტორად“ მიიჩნევა ასევე „მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი პირი“, რომლის დადასტურებული ქონება აღემატება 3 მლნ ლარს ან წლიური შემოსავალი ბოლო 3 წლის განმავლობაში აღემატება 200,000 ლარს. აქ „პირის“ ქვეშ მოიაზრება იურიდიული პირიც, რომელზეც ზედა პუნქტში განსაზღვრულია 1 მლნ ლარის კაპიტალის საჭიროება რათა იგი კვალიფიცირებულ იქნას როგორც „გათვიცნობიერებული ინვესტორი“ ანუ ბუნებრივია ჩნდება კითხვა - იურიდიულ პირი რომ იყოს „გათვიცნობიერებული ინვესტორი“ 1 მლნ ლარი სჭირდება თუ 3 მლნ ლარი?

- ზოგადად კი, ვფიქრობ „გათვიცნობიერებული ინვესტორის“ განმარტება, მეტწილად უნდა იყოს უფრო ცოდნა-გამოცდილებაზე დაფუძნებული და ნაკლებად მატერიალურ ქონება/შემოსავალზე და რაც მთავარია განმარტება უნდა იყოს არაორაზროვანი და მკაფიო რათა განმარტება არ დარჩეს მხოლოდ განმარტებად და იგი პრაქტიკაში ადვილად გამოყენებადი იყოს - რაც არის კიდეც მისი რეალური დანიშნულება.

2. „შეთავაზებისათვის“ აუცილებელი ემისიის წინასწარი პროსპექტის მოთხოვნებიდან აღსანიშნავია შეთავაზების ვადის მოთხოვნის არარსებობა, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ შეთავაზება ძალაში იყოს განუსაზღვრელი ვადით, თუნდაც მუდმივად, რაც ცხადია არარეალურია. მაგალითად, სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ ემიტირებულ პრივილეგირებულ აქციებზე შეთავაზება, მისი ემისიის პროსპექტის შესაბამისად, ძალაში იყო 10 თვის ვადით, თუმცა შემდგომ ემიტენტმა ცვლილების სახით მოახდინა ამ ვადის კიდევ 30 თვით (!) გახანგრძლივება, რაც არაბუნებრივად დიდი პერიოდია. ამიტომ აუცილებელი უნდა იყოს შეთავაზების განსაზღვრული ვადის მითითება პროსპექტში და სურვილისამებრ მისი გახანგრძლივებაც შესაძლებელია პროსპექტში ცვლილების სახით. აქვე, ვთქვათ, რომ განსაზღვრული უნდა იყოს მაქსიმალური ვადა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პროსპექტის შეთავაზების ვადად, რათა ემიტენტმა არ მიუთითოს არარეალურად დიდი ვადა (მაგალითად 10 ან 20 წელი ან სხვა).
3. ემისიის წინასწარ პროსპექტში მოთხოვნილია გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების საორიენტაციო რაოდენობა, თუმცა არაფერია ნათქვამი განთავსების ფასზე, ვფიქრობ განთავსების საორიენტაციო ფასის მოთხოვნაც უნდა იყოს, რათა სავარაუდო წარმოდგენა შეექმნას დაინტერესებულ პირს;
4. ემისიის წინასწარი პროსპექტი ექვემდებარება „სებ“-ის მიერ დამტკიცებას, მაგრამ არაფერია ნათქვამი თუკი იგივე დამტკიცებას საჭიროებს საბოლოო პროსპექტი, ვფიქრობ საბოლოო პროსპექტიც უნდა იყოს სებ-ის მიერ დამტკიცებადი,

რათა თავიდან იქნას აცილებული ინფორმაციის უზუსტობასთან დაკავშირებული სავარაუდო რისკები;

5. საკმაოდ ბუნდოვანია და შესაბამისად პრობლემატური იმის გარკვევა, თუ როდის არის ნებადართული „შეთავაზების" განხორციელება - წინასწარი პროსპექტის დამტკიცების შემდეგ თუ საბოლოო პროსპექტის (რომელიც სებ-ს წარედგინება წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში) გამოყენებით? ვფიქრობ ნებადართული უნდა იყოს დამტკიცებული წინასწარი პროსპექტის საფუძველზე „შეთავაზების" განხორციელება პოტენციური მყიდველებისათვის, რომლის მიზანია მყიდველების სავარაუდო ინტერესის განსაზღვრა, ასევე გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა და ფასის განსაზღვრა, რაც შეიტანება კიდეც ემისიის საბოლოო პროსპექტში. ამ მიზნით ალბათ არ არის საკმარისი 10 დღე (დამტკიცებულ ემისიის წინასწარ პროსპექტსა და საბოლოო პროსპექტს შორის შუალედი) კლიენტებისგან უკუკავშირისათვის და სასურველია იგი 17-20 დღემდე გახანგრძლივდეს.
6. „შეთავაზების" პერიოდში ამა თუ იმ არსებითი მოვლენის შეცვლისას ემიტენტი სებ-ს წარუდგენს შეთავაზების ცვლილებათა განაცხადს და აქვეყნებს შესაბამის შეტყობინებას გაზეთში. აქ საყურადღებოა ორი მომენტი, პირველი - არ მოითხოვება სებ-ის პასუხი ამ ცვლილებებზე, რაც ლოგიკურად დაუშვებელია, რადგან თავდაპირველი ინფორმაცია, წინასწარი ემისიის პროსპექტის ფარგლებში, თავის დროზე სებ-ის მიერ იქნა დამტკიცებული. მეორე - მოცემული ჩანაწერით ემიტენტს შეუძლია სებ-ის პასუხის გარეშე გამოაქვეყნოს შესაბამისი განცხადება გაზეთში, რაც ვფიქრობ მხოლოდ სებ-ის პასუხის/დამტკიცების შემდეგ უნდა იყოს შესაძლებელი.
7. „შეთავაზების" პერიოდში ამა თუ იმ არსებითი მოვლენის შეცვლისას ხელმომწერებს უფლება აქვს უარი განაცხადონ შესყიდულ ფასიან ქაღალდებზე და ემიტენტს კი აქვს ვალდებულება 10 დღის ვადაში უკან დაუბრუნოს საფასური. აქ არაა განსაზღვრული ის მაქსიმალური ვადა, რა დროსაც

ხელმომწერებს უფლება აქვთ უარი განაცხადონ შეძენაზე, ვფიქრობ 7 დღე ნორმალური იქნებოდა.

8. მიმაჩნია, რომ ემისიის პროსპექტის მოთხოვნებით არ არის საკმარისად გამყარებული ფუნდამენტური პრინციპი - შეთავაზების თანაბარი პირობები ყველასათვის, რაც პირველ რიგში გულისხმობს ყველასთვის თანაბარი ფასის შეთავაზებას. არსებული ჩანაწერი უშვებს იმის საშუალებას, რომ შეთავაზების ფასი პროსპექტში მითითებული იყოს ვთქვათ არანაკლებ 1 ლარისა, რაც სხვადასხვა მყიდველებზე სხვადასხვა ფასებად გაყიდვის საფუძველს იძლევა. ამიტომ პროსპექტში ხაზგასმული უნდა იყოს შეთავაზების თანაბარი პირობების პრინციპი ყველასთვის.

**ბიბლიოგრაფია:**


1. საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ”, https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=62
2. საქართველოს კანონი “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ”, https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=29;
3. სვანაძე ვახტანგ, სანაძე გაიოზ, ხიზანიშვილი თამაზ, მძინარიშვილი თინათინ, ლორთქიფანიძე მამუკა, ახობაძე თენგიზ, გოგიშვილი გურამ, *“საბირჟო საქმე და ფასიანი ქაღალდების ბაზარი”* , თბილისი, გმრფ - სტუ-ს პოლიგრაფიული საწარმო, 1998 წ., 420 გვ.
4. სს “ლიბერთი ბანკის“ პრივილეგირებული აქციების ემისიის საბოლოო პროსპექტი, აგვისტო, 2012 https://nbg.gov.ge/uploads/fasiani_qagaldebi/emis_prospeqti/liberty_security.pdf;
5. ქოქიაური ლამარა, შონია ნანა, *„ფასიანი ქაღალდების ბაზარი“* , თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2008 წ., 435 გვ.

# About the modern online teaching principles

**Tornike Mgebrishvili** – Master of Philology
The University of Georgia

## Theses

The English language is the most popular international language and it is highly used in educational, political, technological and trading affairs. Due to its popularity and usefulness, the language is taught all over the world. Nowadays, there are numerous methods and strategies of teaching a foreign language of which the most important ones are followed: Cognitive, Mnemonic, Metacognitive, Compensation, Emotional and Social. However, the modern technological development greatly affected the way the language is distributed to students regarding online teaching methodology.

There is a huge discrepancy between teaching online and in a classroom since a teacher usually has limited time to ensure that the instructions are effective and the audience has to be provided with the maximum value. Here are five of the most effective strategies that increase engagement and retention.

- The Cooperative Learning - Thanks to the modern technology, the contemporary software allows students to interact between participants and find new solutions to real problems. This method is extremely useful to prepare learners to find new solutions to real problems.
- Differentiation Instruction - Means providing the same materials to all students utilizing distinctive strategies. One of the ways to distinguish the learning style is by letting each learner go through at their own pace.

- Self-Paced Learning - This method allows the learner to control the speed of the course and it helps students learn better as it lets the applicants choose their own style of learning. Even though the course may be a bit longer, the result is always better.
- Multiple Learning Tools - Those are tools that can be used in teaching so as to let the student see, hear, read, write and act out information. Having done the research, it has been noted that learners gain more information when a single tool is used. However, when they are not able to fully engage with a particular style of learning, a mix of tools ought to be used.
- Teacher-Student Interaction - The biggest disadvantage of online teaching is the lack of face-to-face interaction. Nevertheless, live streaming and video chats help teachers to tackle the issue.

Based on the aforementioned, online teaching keeps becoming increasingly popular these days and despite some difficulties, it still appears to be extremely comfortable, effective and popular all over the world.

**Resources:**

https://www.onlineeducation.com/guide/instructional-methods

https://www.uscreen.tv/blog/list-of-online-teaching-strategies/

# ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ალტერნატიული მოდელები და მისი გამოყენების სპეციფიკა საქართველოში

# Alternative models of state regulation of economy and specifics of its use in Georgia

**დავით ჩახვაშვილი** - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
**ლიანა ყალიჩავა** - პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Davit Chakhvashvili** - PhD of Economics. Professor
Georgian National University
**Liana Kalichava** - Professor
Georgian Technical University

**რეზიუმე:** გერმანული ეკონომისტი ოლავ ჰერზემანი აღნიშნავს გერმანიის ეკონომიკურ და საფინანსო პოლიტიკაზე მეცნიერ-ეკონომისტების გავლენის შესუსტებას. ამ სფეროში, მაგალითად ფედერალურ სამინი-სტროთა თანამშრომლებს შორის, იგრძნობა პროფესიონალ-იურისტთა აშკარა უპირატესობა. გფრ-თან მოქმედი საექსპერტო საბჭოს დას-კვნების შემუშავებისას, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტები, მათ აზრს ნაკლები ყურადღება ექცევა.

გფრ-ის ,,ხუთი ბრძენის˜ – წამყვანი კვლევითი ეკონომიკური ინსტი-ტუტების მიერ მომზადებულ ქვეყნის ეკონომიკური კონიუნქტურის ყოვე-ლწლიურ ანალიტიკურ მიმოხილვას ზედაპირულად ეცნობიან სამინისტრო სტრუქტურებში. ეს, როგორც ჩანს, დაკავშირებულია იმასთან, რომ აღნიშნული დომუმენტები ატარებენ რა აწონილ ხასიათს ყველა მოვლენისა და კონტრმოვლენის დაწვრილებითი მიმოხილვით, მოცულობით მეტად ფართოა (1964 წლიდან, როდესაც გამოშვებული იყო პირველი საექსპერტო მიმოხილვა, მათი მოცულობა გაიზარდა თითქმის სამჯერადად).

თანდათანობით ქრება ფედერალურ სამინისტროებთან პატივცემული სამეცნიერო საბჭოების ცხოველქმედება. მეცნიერებს სერიოზულად აფიქრებს მეცნიერებასა და ეკონომიკურ პოლიტიკას შორის ეფექტური დიალოგის არარსებობა.

საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის სუსტი მეცნიერული საფუძველი იზრდება იმ პერიოდში, როდესაც იგრძნობა ეკონომიკურ რეფო-რმათა გატარების მწვავე აუცილებლობა, ე.ი. გერმანელ მეცნიერთა აზრით, მაშინ, როდესაც ეკონომიკური კურსის შემუშავებისას საჭიროა პროფესიონალიზაციის მეტად მაღალი დონე.

რაც შეეხება ევროპის საბჭოში შემავალ სხვა ქვეყნებს, მათში მეტად შეიმჩნევა სახელმწიფოს პირველ პირთა შორის დიპლომირებული ეკონომისტების არსებობა (იტალიაში – რ. პროდი, დანიაში – პ. რასსმუსენი, საბერძნეთში – კ. სიმიტისი, ავსტრიაში – ვ. კლიმა).

XX საუკუნის ბოლოს ეკონომიკურ თეორიაში გარდამტეხ პუნქტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს 1997 წლის იანვარში შემდეგი წიგნების გამოჩენა - რ. კატნერის ,,ყველაფერი გასაყიდად: ბაზრის ღირსებები და შეზღუდვები" და უილიამ გრეიდერის ,,მსოფლიო ერთიანია, მზად არის თუ არა: გლობალური კაპიტალიზმის მანიაკალური ლოგიკა˜. ორივე ავტორის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მსჯელობა ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ დაბრუნებულ იქნეს საზოგადო-ებრივი დისკუსიის სფეროში, არ იყოს გათვლილი მხოლოს ეკონომისტ-პროფესიონალთა ვიწრო წრეზე. ავტორებმა გადაწყვიტეს აღჭურვონ განათლებული მკითხველი აუცილებელი ტექნიკური ლექსიკითა და ანალიზის ინსტრუმენტებით, რმო ისიც გახდეს საზოგადოების ყველა წევრის ცხოვრებაზე მოქმედი პოლიტიკური გადაწყვეტილებების ღია განხილვის მონაწილე.

კატნერს, ეყრდნობა რა ,,რეალური სამყაროს˜ ეკონომიკას, მოყავს არგუმენტები ეკონომიკური თეორიის და დაგროვებული თანამედროვე გამოცდილების შესწავლის სასარგებლოდ. ის ამტკიცებს, რომ ეკონო-მიკას არ შეუძლია ფუნქციონირება სოციალური სისტემის გარეშე, რო-მელიც მას მხარს უჭერს.

ისტორიულ-ეკონომიკური მიდგომის საფუძველზე კატნერი იკვლევს აშშ-ის შრომის, ჯანდაცვისა და ფულად ბაზარს, აჩვენებს ტრან-სპორტის, კავშირგაბმულობისა და ბუნებრივი მომნოპოლიების სფეროში საბაზრო ჩავარდნების კონკრეტულ ისტორიულ მაგალითებს, რათა შემ-დგომში თავს დაესხას ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიას. ამ თეორიის თეორიული საფუძვლის შემადგენელი მათემატიკური მოდელების მოწონებით, კატნერი თანადროულად ამტკიცებს, რომ თავისი არსით ის საკმაოდ ნაკლულია და აკრიტიკებს დედუქციურ და ზოგჯერ ტავტოლოგიურ ლოგიკას, რომლის საფუძველზეც არის აშენებული ელეგანტური მოდელები. სთავაზობს რა მკითხველს ნეოკლასიკური პოლიტიკის რეალიზების შედეგებს, კატტნერი აჩვენებს, რაოდენ ცუდათ მოქმედებენ პრაქტიკაზე თეორიული მოდელები და აკრიტიკებს ფუნდამენტურ მდგომარეობას, რასაც ,,რწმენათა სისტემას˜ უწოდებს.

სხვა ავტორი – უ. გრეიდერი გვთავაზობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოკლე ჩანახატებს. მას მოყავს ინტერვიუები ლონდონისა და ფრანქფურტის პროფკავშირის აქტივი-სტებსა და ბანკირებთან, ჩინეთისა და ტაილანდის ტრანსნაციონალური კომპანიების ინსპექტორებთან, იმისათვის რომ, აჩვენოს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილის ურთიერთკავშირი და წარმოგვიდგინოს, თუ როგორ ხვდებიან ცალკეული პირები სისტემის ბადეებში, რომელიც ინდივიდუალურ რიგში არ კონტროლირდება.

**Summary:** German economist Oval Herzeman points out that the influence of scientists and economists in Germany's economic and financial policies. In this field, for example among federal ministries, stands out the obvious advantage of professional lawyers. In the development of GFR Expert Board of Management, which includes well-known scientists and economists, they have less attention.

In the structures of the Ministry of Environment and Natural Resources of Georgia, the "Five Wise" - the leading economic research instrument of the GFR is supervised by the Ministry of Economics of the country's economic conjuncture. This seems to be related to the fact that these domains carry out the weaker nature of all the events and the counterproductive overview, the extent of the volume (since 1964 when the first expert review was released, their volume increased almost three times). The life of scientific councils respected with federal ministries is gradually disappearing. Scientists seriously think of the lack of effective dialogue between science and economic policy.

1. R.L. Forstall, R.P. Greene, and J.B. Pick, Which are the largest? Why lists of major urban areas vary so greatly, Tijdschrift voor economische en sociale geografie 100, 277 (2009).
2. The problem of the independence of Korea" Archived October 23, 2013, საიტზე Wayback Machine. Resolutions Adopted by the General Assembly During its Third Session.

## ინვესტიციები, როგორც ეკონომიკურ ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი

## Investments as a contributing factor to economic growth

**ზექარ კილასონია** - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე:** თანამედროვე ეკონომიკის პირობებში ქვეყანაში წარმოშობილი მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა დღის წესრიგში აყენებს მათი გადაწყვეტისათვის ყველაზე მოქნილი და ეფექტიანი გზების ძიებას. ისეთი მცირე ზომის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, როგორიცაა საქართველო, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. ინვესტიციების მოზიდვა მარტივი როდია ის ძალიან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათგან აღსანიშნავია: ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, ფინანსური ლიბერალიზაციის დონე, ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, წარმოების ფაქტორების ფასები, ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარემო, საგადასახადო სისტემის სიმარტივე და გამჭვირვალობა, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად, საქართველო გადადის ლიბერალიზაციის უფრო მაღალ საფეხურზე, ჩვენი ქვეყნისთვის ეს ფაქტი სასარგებლოდ უნდა იქნას გამოყენებული. უფრო ზუსტად, უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვის ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების მექანიზმები. თუ დავუჯერებთ საერთაშორისო სავალუტო ფონდს, სწორედ, რომ მომხმარებლებისა და ინვესტორების ნდობის გაძლიერებაა საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნაწილი.

**Summary:** The modern economy, many socio-economic problems originated in the agenda put the most flexible and effective ways to solve them. Smaller countries of Georgia, attraction of foreign investments is of particular importance. Attracting investments depends on many factors. The Important factors are: Economic growth rate, Financial liberalization level, Infrastructure development level, Production factors prices, Institutional and legislative environment, Simplicity and transparency of the tax system, Economic and political stability.

As a result of signing the Association Agreement with the European Union, Georgia will move to a higher level of liberalization. This fact should be used in favor of our country. Mechanisms for the use of financial instruments to attract investments are important for increasing foreign investment volume. The International Monetary Fund says that strengthening the confidence of consumers and investors is an important part of Georgia's future economic development.

**Key words:** „The level of investment", „Foreign Direct Investments", „Investment Positive Parties", ,,Capital investment", „Intellectual Investments ", „Economic Freedom Index", „Doing business", „Investment environment".

**შესავალი** ინვესტიციები ეს არის თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი. სიტყვა ინვესტიცია ლათინურიდანაა წამოსული (investire - შემოსვლა) და იგი ნიშნავს ეკონომიკის სხვადასხვა დარგში კაპიტალის ხანგრძლივ დაბანდებას. ინვესტიციის არსის განსაზღვრის გარეშე, ახალ ეკონომიკურ სისტემაში საინვესტიციო პროცესის ანალიზი შეუძლებელია. არაერთი გამოკვლევის მიუხედავად, ამ საკითხის მიმართ დღემდე არ შემუშავებულა ერთიანი მეთოდურ-თეორიული მიდგომა.[67]

ინვესტიციები ბიზნესში უმთავრეს მიზნად ისახავს მოგების მიღებას, რისთვისაც ხდება საწარმოო აქტივების შეძენა და გამოყენება. სწორედ ამიტომ, ინვესტიციების ასეთი ფორმის დროს იქმნება რეალური საწარმოო სიმძლავრები. ეკონომიკური ინვესტირება ნიშნავს საწარმოო პროცესების ორგანიზებას რათა გავზარდოთ მოგება, ე.ი. ამ დროს ხდება წარმოების ფაქტორების (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი და სამუშაო ძალა) შეძენა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ინვესტირება ეს არის მოგების მიღების მიზნით, რეალურ აქტივებში სახსრების დაბანდება. იგი დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან „ნორმალური" რისკის პირობებში.[68]

---

[67] ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტ. კოლექტივი ა.სილაგაძის ხელმძღვანელობით. თბილისი გამომც. ინოვაცია 2005წ

[68] სიჭინავა ა. ინვისტიციები (თეორია, ორგანიზაცია, ანალიზი, მართვა). თბ. 2009წ

**ძირითადი ნაწილი** ინვესტიციების უპირველეს მიზნად შეიძლება ჩაითვალოს მომავალში მისაღები შემოსავალი. ნებისმიერ ინვესტორს აინტერესებს ის თუ რამდენად სტაბილურია და დაბალი რისკის მატარებელია ესა თუ ის ინვესტიცია. სპეკულაციის მიზანი არ არის აქციიდან მიღებული მაღალი შემოსავალი არამედ ის დაინტერესებულია ფასიანი ქაღალდის საბაზრო ფასის ცვლილებით. ინვესტორისთვის მამოძრავებელი და ამავედროს უმთავრესი მოტივია, იყიდოს იაფად, გაყოდოს ძვირად, ე.ი. მიიღოს ფასთა შორის სხვაობა და ამავედროს გარკვეული სახის მოგება. ინვესტიციები ძალიან მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს შიდა ეროვნულ პროდუქტში. მათზე მოდის განვითარებული ქვეყნების ხარჯების ერთობლიობის დაახლოებით 20%. ინვესტიციები ეროვნული შემოსავლის შემადგენელი ელემენტია. მას აქვს მიკუთვნებული შესაბამისი ფორმულა რომელიც შეგვიძლია ასეთი სახით გამოვსახოთ: [69]

Y=C+ I(1)1 სადაც:

Y - ე.შ. რეალური სიდიდეა,

C - საოჯახო მეურნეობების მოხმარების რაოდენობა,

I - ინვეტიციების მოცულობა.

საბოლოოდ ინვესტიციების თავისებურებანი შეიძლება შემდეგზე დავიყვანოთ:

1) ინვესტიციები უშუალოდ უზრუნველყოფენ კაცობრიობის ეკონომიკურ ზრდას და პროგრესს;

2) ინვესტიციები წარმოადგენენ ერთობლივი მოთხოვნის ყველაზე არამდგრად ნაწილს და ყველაზე მეტად ემორჩილებიან კონიუნქტურულ რხევებს.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ინვესტიციები მრავალ ცვლადზე არის დამოკიდებული, მათ შორის პროცენტულ განაკვეთზეც. მაგრამ დასაწყისისათვის დავუშვათ, რომ ინვესტიციები წარმოადგენს ეგზოგენურ ცვლადს, ე.ი. ცვლადს, რომელიც განისაზღვრება განხილული ეკონომიკური მოდელის გარეთ, დავუშვათ, ჩვენს შემთხვევაში ინვესტიციის სიდიდე (Ia) მუდმივია, მაშინ ინვესტიციის ფუნქცია ტოლია:

---

[69] ქოქიაური ლ. საინვესტიციო საქმე, თბ.2008

I=Ia(Ia>0).

- სადაც, I წარმოადგენს რეალურ ინვესტიციებს
- ხოლო Ia - ინვესტიციების მოცემული დონეა.

უმარტივესი მაკროეკონომიკური მოდელი იქნება წონასწორობაში, თუ I=S, ე.ი. ინვესტიციები დანაზოგის ტოლი იქნება. მოცემულ შემთხვევაში დანაზოგი (S) შეიძლება განვიხილოთ როგორც მიწოდება, ხოლო ინვესტიციები (I) - მოთხოვნა ინვესტიციურ ბაზარზე.

კაპიტალის მატების წყაროდ და ინვესტიციების განხორციელების მამოძრავებელ მოტივად პირველ რიგში მოგება (შემოსავალი) გვევლინება. ზოგადად, ნებისმიერი ინვესტიცია ხორციელდება შემოსავლის მიღების მიზნით, ეს მისი ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარეობს. თუ ინვესტიციას შემოსავალი არ მოაქვს, ესეიგი ის არც ინვესტორისთვისაა გამოსადეგი და არც ეკონომიკისთვის.

ამავე დროს, მიზანშეწონილია ყურადღება გავამახვილოთ ინვესტიციების არსობრივ ხასიათზე. არსობრივი ხასიათი, ძრითადად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ტექნიკური მხარე განსაზღვრავს მხოლოდ და მხოლოდ ფულადი ნაკადების მოძრაობას ეკონომიკურ სისტემაში და არ ასახავს ამ ფულადი ნაკადების მამოძრავებელი სახსრების არსს.

ინვესტიციის ხასიათიდან გამომდინარე, ინვესტიციას ახასიათებს შემდეგი მნიშვნელოვანი ნიშნები: [70]

_ ინვესტიციებს აქვთ შემოსავლის მოტანის პოტენციური შესაძლებლობა;

_ კაპიტალის დაბანდების რისკი;

_ სხვადასხვა ინვესტიციური რესურსების გამოყენება რომლებიც ინვესტირების
განხორციელების პროცესში ხასიათდება მოთხოვნით, მიწოდებით და ფასით.

_ ობიექტებსა და ინვესტირების ინსტრუმენტებში კაპიტალის დაბანდების მიზანმიმართული ხასიათი;

_ საშუალებების დაბანდების განსაზღვრული ვადა.

[70] www.nplg.gov.ge (გადამოწმებულია 14.06. 2018წ.)

ამასთანავე, ინვესტიციები შეიძლება განხორციელდეს ნატურალურნ-ივთობრივი (მანქანები, მოწყობილობები, აქციები, ლიცენზიები, ნებისმიერი სხვა ქონება და ქონებრივი უფლებები, ინტელექტუალური ფასეულობანი) და შერეული ფორმებით. ინვესტიციები დადებითად მოქმედებენ ეკონომიკურ ზრდაზე, მონაწილეობენ დოვლათის შექმნაში, ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს და ამავე დროს თავიანთი წვლილი შეაქვთ ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე. მაკროდონეზე ინვესტიციები წარმოადგენს გაფართოებული კვლავწარმოების პოლიტიკის განხორციელების, ხელს უწყობენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფასა და ხარისხის გაუმჯობესებას, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნას და ყველა დარგის შეწონასწორებულ განვითარებას. სოციალურ სფეროს რაც შეეხება, ინვესტიციები იწვევს სოციალური სფეროს განვითარებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას და მისი უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრას, გარემოს დაცვასა და სხვ. რაც შეეხება ინვესტიციებს მიკროდონეზე, ის აუცილებელია საწარმოთა ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მეურნე სუბიექტის სტაბილური ფინანსური მდგომარეობისა და მაქსიმალური მოგების მისაღებად.

ინვესტირების მოცულობის ზრდისათვის არსებით ფაქტორს ქვეყნისათვის ეფექტური საინვესტიციო გარემოს ქონა წარმოადგენს. საქართველოს ეკონომიკის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლები მნიშვნელოვანწილად ინვესტირების მოცულობის ზრდის პროგნოზს ეფუძნება. ამ მიმართებით არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირი - ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად ინვესტირების მაღალი დონის მიღწევა, ფართოდ აღიარებული და შეთანხმებული საკითხია.[71]

ფინანსური ინვესტიციების მნიშვნელოვანი წყაროა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც შიდა ინვესტიციებს შედარებით ნაკლები წილი უჭირავს. უცხოური ვალუტის ქვეყანაში,

---

71 კასრაძე, თსაინვესტიციო გარემო საქართველოში და ქვეყნის შიდა საინვესტიციო პოტენციალი, ჟურნალი ეკონომისტი, #5

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა და შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობისთვის. განვითარებადმა ქვეყნებმა ბოლო ათწლეულში მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, განახოციელეს საინვესტიციო რეჟიმების მასიური ლიბერალიზაცია. რადგანაც ინვესტიციების მოზიდვა განიხილება როგორც ეკონომიკური განვითარების, მოდერნიზაციის, შემოსავლის ზრდის და დასაქმების ხელშემწყობ ფაქტორად. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკისთვის დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითად, პოზიტიური მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე, ეკონომიკური ფაქტორების მთლაინი პროდუქტიულობის და რესურსების ეფექტიანი გამოყენების ზრდის ხარჯზე. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციები ზრდის კაპიტალის მოცულობას და ამ გზით ხელს უწყობს გამოშვების ზრდას. ასევე ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითად მოქმედებს დასაქმებაზე. პირდაპირი ინვესტიციების დროს, მუშაკებს აქვთ დასაქმების უფრო მეტი პერსპექტივები, აქედან გამომდინარე მაღალი ხელფასები და ასევე უკეთესი სამუშაო პირობები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი უმთავრეს დადებითი ეფექტად შეგვიძლია მივიჩნიოთ ტექნოლოგიური პროგრესი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმღებ ქვეყანას აქვს საშუალება და ამავე დროს შესამლებლობა ისარგებლს უახლესი ტექნოლოგიებით, ჰქონდეს წვდომა მასზე და ტექნოლოგიური პროგრესის განვითარების შედეგად გაზარდოს წარმოება, მიიღოს უფრო მეტი ეკონომიკური დოვლათი და ამავე დროს დადებითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკაზე. პირდაპირი ინვესტიცია ზრდის კონკურენციას ადგილობრივ ბაზარზე რის შედეგადაც, მომხმარებელს შეუძლია ჰქონდეს უფრო მეტი არჩევანის უფლება

შედარებით დაბალ ფასებში და ამ გზით უფრო მეტი დანაზოგის გაკეთების შესაძლებლობა. [72]

ზემოთ მოყვანილი ფორმების დახასიათებიდან გამომდინარეობს, რომ მიმღები მხარისათვის ყველაზე მომგებიანია პირდაპირი ინვესტიციები. ისინი, ერთი მხრივ, მჭიდრო კავშირშია ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებასთან, მოწინავე ტექნოლოგიების ამოქმედებასთან და მენეჯმენტისა და მარკეტინგის თანამედროვე მეთოდების ათვისებასთან, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო მათზე არ იღებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვალდებულებებს.

ინვესტიციების მოზიდვისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს უცხოელი ინვესტორებისათვის იმ სამართლებრივი გარანტიების მიცემას, რომლებიც უკავშირდება მათ ხელშეუხებლობას, კაპიტალის დაბანდებას და მოგების და დივიდენდების გადაგზავნას საზღვარგარეთ. ექსპორტიორ ქვეყნებში გარანტიების მიცემის საკითხი დეტალურად აქვს შესწავლილი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას (ეთგო). საგარანტიო სქემები, რომლებიც ერთმანეთისაგან მოცულობით განსხვავდება, განვითარებული მრეწველობის მქონე ყველა ქვეყანაში არსებობს. [73]

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა ცდილობს შექმნას თითქმის ისეთივე გარანტიები, როგორც ეთგო-ს წევრ ქვეყნებს აქვთ. მაგალითად, ეგვიპტეში იმ უცხოელ ინვესტორებს, რომლებსაც მიწა აქვთ მიღებული წარმოების გაფართოებისა და მშენებლობისათვის, მიწის ექსპროპრიაციის შემთხვევაში მიეცემათ მისი ტოლფასი კომპენსაცია. ბრაზილიის კანონმდებლობით ნებადართულია საინვესტიციო კაპიტალის და მოგების შეუფერხებლად

---

[72] ჭარაია ვ. აკადემიურტი ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის. თბ. 2015

[73] საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ. გადამოწმებულია 05.02.2019

რეპატრიაცია. ამასთან, კაპიტალის რეპატრიაცია თავისუფალია საშემოსავლო გადასახადისაგან და ავტომატურად ხორციელდება. [74]

თანამედროვე პირობებში კაპიტალდაბანდების მაჩვენებელი უკვე არ ასახავს ინვესტიციური შევსების მთელ სიღრმეს. სწორედ ამიტომ მართებულია მათი განხილვა კაპიტალწარმომქმნელი ინვესტიციების სახით. ასეთი განმარტება უკვე დამკვიდრებულია ჩვენს ქვეყანაში იმ საინვესტიციო ნაკადების სრულფასოვანი შეფასებისათვის, რომლებიც აისახება ეკონომიკის რეალური სექტორის მუშაობაში. აღნიშნული კატეგორია მოიცავს: ხარჯებს კაპიტალურ რემონტზე, ინვესტიციებს მიწის ნაკვეთების შესაძენად, ინვესტიციებს პატენტების, ლიცენზიების, პროგრამული საქონლის შესაძენად, ინვესტიციებს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო გეგმების შესამუშავებლად, საბრუნავი მატერიალური საშუალებების რეზერვების შესავსებად.

აუცილებელია დიდი ყურადღება დაეთმოს ინტელექტუალურ ინვესტიციებს. მსოფლიოში დაინერგა პრაქტიკა იმისა , რომ დაბალგანვითარებადი ქვეყნებიდან ხდება ინტელექტუალური ტვინების გადინება. მაღარლგანვითარებადი ქვეყნები ხელს უწყობენ ამ პროცესს, რადგან ნებისმიერ ქვეყანას სჭირდება და ხელგაშლილი შეეგებება ისეთ მუშაკებს, რომლებიც ინტელექტუალური თვალსაზრით არიან ძალიან განვითარებულნი და მათ შეუძლიათ ძალიან დიდი დადებითი შედეგების მოტანა. ამიტომ ინტელექტუალური ინვესტიციები არ შეიძლება უკუვაგდოთ რადგან, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ინტელექტუალური ინვესტიციების გადინება იმ ქვეყნებში რომლებშიც ეს ხორციელდება დიდძალი ზიანის მომტანი შეიძლება გახდეს, რომელიც პირდაპირ აისახება ეკონომიკის განვითარებაზე.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედი მაჩვენებლებია:[75]

---

[74] www.forbes.com გადამოწმებულია 05.02.2019 წ.

[75] http://www.nplg.gov.ge გადამოწმებულია 07.02.2019

მაკორეკონომიკური პარამეტრები,საგადასახადო რეჟიმი

ფინანსური მდგომარეობა, პოლიტიკური რისკები

კერძო საკუთრება, გეოპოლიტიკური მდებარეობა

კერძო საკუთრება,

კერძო საკუთრება,. ფორსმაჟორული სიტუაციების შექმნის საშიშროება

კერძო საკუთრება, ვალები და მათი მომსახურება.

ნებისმიერი ინვესტორი ცდილობს, რომ მის ხელთ არსებული კაპიტალი დააბანდოს იქ სადაც მისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობებია. ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს, შექმნას კარგი საინვესტიციო გარემო, მოახდინოს ეკონომიკის სწრაფვი განვითარება, ზრდა და მაღალი წარმოება, მზარდი მშპ, უმუშევრობის დაბალი დონე და რაც შეიძლება უკეთესი ცხოვრების პირობები. აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ფაქტორთა შორის ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ერთადერთია, რომელზედაც სახელმწიფო გავლენას ვერ მოახდენს. იგი ყალიბდება გეოგრაფიული და მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების ზეგავლენით, მაგრამ ხელისუფლებას შეუძლია შესაბამისი პირობების შექმნა რათა უცხოელმა ინვესტორმა ყველა პოტენციური ვარიანტიდან მოცემული ქვეყანა აირჩიოს კაპიტალდაბანდებების განსახორციელებლად.

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების სწრაფმა ტემპმა, რომელიც მოიცავს ახალ საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობას, კორუფციის შემცირებას და აგრესიულმა პრივატიზაციის პროცესმა ქვეყანაში უფრო მიმზიდველი ბიზნესკლიმატი შექმნა გასულ წლებთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში საქართველოს კონკურენტები ჰყავს დსთ-ს ქვეყნების სახით, რომლებსაც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების

საქმეში მეტი წარმატება აქვთ. ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:[76]

- მაკროეკონომიკური მდგომარეობა
- ექსპორტზე ორიენტაციის დონე
- სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები;

**ქვეყნის ბიზნეს გარემოზე წარმოდგენას გვაძლევს სამი მნიშვნელოვანი ინდექსი :**

- ბიზნესის კეთების სიმარტივე,
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი.

**ბიზნესის კეთების სიმარტივე-**მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების" 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ უპრეცენდენტოდ დიდ წარმატებას მიაღწია და მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-6 ადგილი დაიკავა. რეიტინგში წინა წელთან შედარებით ქვეყნის პოზიცია 3 ადგილით გაუმჯობესდა, ხოლო სარეიტინგო ქულა - 0.48 პუნქტით და შედეგად, ქვეყანას 2019 წელს ისტორიული მაქსიმუმი - 83.28 ქულა.

საქართველომ პირველად გადაასწრო რეიტინგის ისეთ ლიდერ ქვეყნებს, როგორიცაა ნორვეგია (მე-7 ადგილი), აშშ (მე-8 ადგილი) და დიდი ბრიტანეთი (მე-9 ადგილი).[77]

| Economy | Ease of Doing Business Rank ▲ | Starting a Business | Dealing with Construction Permits | Getting Electricity | Registering Property |
|---|---|---|---|---|---|
| New Zealand | 1 | 1 | 3 | 37 | 1 |
| Singapore | 2 | 6 | 16 | 12 | 19 |
| Denmark | 3 | 34 | 1 | 16 | 11 |
| Korea, Rep. | 4 | 9 | 28 | 2 | 39 |
| Hong Kong SAR, China | 5 | 3 | 5 | 4 | 55 |
| United States | 6 | 49 | 36 | 49 | 37 |
| United Kingdom | 7 | 14 | 14 | 9 | 47 |
| Norway | 8 | 19 | 21 | 23 | 14 |
| Georgia | 9 | 4 | 29 | 30 | 4 |

[76] აბესაძე მ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პირობები, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი, თბილისი 2002

[77] https://www.worldbank.org გადამოწმებულია 05.02.2019

წყარო: მსოფლიო ბანკი  The world bank

**ეკონომიკური თავისუფლეების ინდექსი**-რომელსაც ყოველწლიურად აქვეყნებს ამერიკული გამომცემლობა ჰერითიჯი, მოიცავს 180 ქვეყნის რეიტინგს ეკონომიკური თავისუფლების დონის მიხედვით. თითოეული ქვეყანა 5-დან ერთ-ერთ კატეგორიას მიეკუთვნება: **თავისუფალი, მეტწილად თავისუფალი, საშუალო თავისუფლების მქონე, მეტწილად არათავისუფალი და** რეპრესიული.ქვეყნების შეფასება ხდება 4 მთავარი კრიტერიუმით:

- ✓ სასამართლო
- ✓ მთავრობის ზომა
- ✓ ბიზნესის რეგულირების ეფექტურობა
- ✓ ბაზრის გახსნილობა

2018 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველომ მსოფლიოს 186 ქვეყანას შორის 16-ე ადგილი დაიკავა. 2017 წელს გამოქვეყნებულ ინდექსთან შედარებით საქართველო 3 ადგილით ჩამოქვეითდა. ინდექსში საქართველოს მიერ შარშან კუთვნილი მეცამეტე პოზიცია ტაივანმა დაიკავა, მას 76.6 ქულა აქვს. საკუთრების უფლებები - 62.8, ზრდა წინა წელთან 7.7 ქულა, მთავრობის ინტეგრაცია (ერთიანობა) - 65 ქულა, კლება წინა წელთან 3.2 ქულა, სასამართლო ეფექტიანობა - 64.2 ქულა, კლება წინა წელთან 2.3 ქულა.[78]




[78] www.forbes.ge გადამოწმებულია 03.02.2019

[79] Index of Economic Freedom ეკონომიკის განვითარების ინდექსი

რაც შეეხება 20018 წელს. 2018 წლის რეიტინგში საქართველო 76.2 ქულით (100-ქულიანი სისტემიდან) მე-16 პოზიციას იკავებს და მეტწილად თავისუფალი ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება. წარმოდგენილ ანგარიშში საქართველოსთვის პრობლემად სასამართლო სისტემა სახელდება, ხოლო ქვეყნის უპირატესობად – დაბალი გადასახადები, სავაჭრო ტარიფები და ნაკლები რეგულაციები. რეიტინგში ლიდერობენ: ჰონგ კონგი (90.2), სინგაპური (88.8), ახალი ზელანდია (84.2), შვეიცარია (81.7), ავსტრალია (80.9) და ირლანდია (80.4). ეს ექვსეული თავისუფალი ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება. რეპრესიული რეჟიმის ქვეყნების მცირე ჩამონათვალია: ჩრდილოეთ კორეა (5.8), ვენესუელა (25.2), კუბა (31.9), კონგო (38.9), ერიტრეა (41.7), ეკვატორული გვინეა (42.0).

რაც შეხება **პირდაპირ უცხოური ინვესტიციების** მათი შემოდინება საქართველოში წლების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება.
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2018 წლის III კვარტალში 322.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2017 წლის III კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებზე 48.2 პროცენტით ნაკლებია. შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური




გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულების ფაზა, ასევე

[79] 2018 Index of Economic Freedom, ეკონომიკის განვითარების ინდექსი. გადამოწმებულია 08.02.2019

რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში და არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება.

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

2018 წლის იანვარ-ივნისში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 676.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2018 წლის მეორე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 389.2 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც 2017 წლის II კვარტალის მონაცემებს 9.4 პროცენტით აღემატება. 2018 წლის მეორე კვარტალში მნიშვნელოვნად - 7-ჯერ მეტად (94.3 მლნ. აშშ. დოლარით) გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ენერგეტიკის სექტორში და 108.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საფინანსო




სექტორში ინვესტიციები გაიზარდა 4-ჯერ მეტად (62.1 მლნ. აშშ. დოლარით) და 64.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში ინვესტიციების 21.3 პროცენტიანი ზრდა (3.9 მლნ. აშშ. დოლარით მეტი) დაფიქსირდა და 22.2 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა.[80]

საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესების, ეკონომიკის სტრუქტურული გაჯანსაღების და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდის მიმართულებით. ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები, მათ შორის საგადასახადო და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი რეფორმები, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან ერთად კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის

[80] https://www.mof.ge გადამოწმებულია 05.02.2019

ზრდას და ქმნის ხელსაყრელ პირობებს ოპერირებისა და ბიზნეს საქმიანობის გასაფართოებლად.

მომავალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გამოყენებით ქართული ექსპორტისთვის ბაზრების დივერსიფიკაცია, რადგან ქართული ექსპორტის წახალისება მოხდეს, რაც თავის მხრივ გაზრდის ინვესტორთა ნდობას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანახმად, საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარებითვის მნიშვნელოვანია, სწორედ, მომხმარებლებისა და ინვესტორების ნდობის გაძლიერება.[81]

**დასკვნა** ინვესტიციები დადებითად, პოზიტიური მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე, ეკონომიკური ფაქტორების მთლაინი პროდუქტიულობის და რესურსების ეფექტიანად გამოყენების ხარჯზე. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციები ზრდის კაპიტალის მოცულობას და ამ გზით ხელს უწყობს გამოშვების ზრდას. ასევე ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში.

პირდაპირი ინვესტიცია ზრდის კონკურენციას ადგილობრივ ბაზარზე რის შედეგადაც, მომხმარებელს შეუძლია ჰქონდეს უფრო მეტი არჩევანის უფლება შედარებით დაბალ ფასებში და ამ გზით უფრო მეტი დანაზოგის გაკეთების შესაძლებლობა.

გლობალიზაციის პროცესი განვითარებად ქვეყნებს სთავაზობს სწრაფი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს საერთაშორისო ვაჭრობასა და კაპიტალზე წვდომის საშუალებით. შესაბამისად აღნიშნულ პროცესთან ერთად გაზრდილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობაც. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმღებ ქვეყნებს უკეთესი ტექნოლოგიის ათვისების, საერთაშორისო წარმოების და სავაჭრო პროცესში ჩართვის შესაძლებლობას სთავაზობს, ამიტომაც ინვესტიციებს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ეკონომიკის განვითარებაზე და კარგი საინვესტიციო

[81] International Monetary Fund (IMF) საერთაშორისო სავალუტო ფონდი გადამოწმებულია 07.02.2019

გარემო შესამლებელია იქცეს ეკონომიკის ზრდის უმთავრეს გარანტად.

**საკვანძო სიტყვები:** „საინვესტიციო გარემო“, „ინვესტიციების დონე“, „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები“, „ინვესტიციების დადებითი მხარეები“, „ინტელექტუალური ინვესტიციები“, „ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“, „ბიზნესის კეთების სიმარტივე“.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ბახტაძე ლ. ფინანსური ბაზარი. დამხმარე სახელმძღვანელო. გამომცემლობა ვერჟე, თბილისი. 2007
2. ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტ. კოლექტივი ა.სილაგაძის ხელმძღვანელობით. თბილისი გამომც. ინოვაცია თბილისი 2005.
3. სიჭინავა ა. ინვისტიციები (თეორია, ორგანიზაცია, ანალიზი, მართვა). თბილსი 2009.
4. ქოქიაური ლ. უცხოური ინვესტიციები, თბილისი 2017
5. ქოქიაური ლ. საინვესტიციო საქმე, თბილისი 2010
6. კასრაძე, თ საინვესტიციო გარემო საქართველოში და ქვეყნის შიდა საინვესტიციო პოტენციალი, ჟურნალი ეკონომისტი, #5
7. Frederic S. Mishkin. Macroeconomics Theory and Practice, Addison Wesley. Wesley, 2012
8. Kbiltsetskhlashvili T. Attracting Investors: Case of Impact of FDI on the Achievements of Economic Growth in Georgia, IBSU Scientific Journal 2010, 4(2), 36

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

# ეკონომიკა და ფინანსები

ჟურნალი წარმოადგენს აკადემიურ გამომცემლობას, რომელიც ყოველკვარტლურად აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს ისეთ სფეროებში როგორიცაა ეკონომიკა, ფინანსები, სოციალური მეცნიერებები და ბიზნეს-ტექნოლოგიები

მთავარი რედაქტორი - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჩახვაშვილი

https://www.linkedin.com/in/davit-chakhvashvili/

https://www.facebook.com/davit.chakhvashvili1099